მეგრულ ხალხურ პოეზიას ვერა და ვერ გამოუჩნდა ისეთი სვეკურთხეული ჭირისუფალი, როგორც ბატონი დავით წერედიანი გახლავთ სვანური ლექსისთვის, ორიგინალის ადეკვატურად რომ აჟღერებს სიფრიფანა სტრიქონებს. არადა, მართლაც საცოდაობაა — ქვეყანა, სადაც მთარგმნელობითი საქმიანობა ზენიტზეა აყვანილი, აქა-იქ ლამის რომ ჩრდილავს სიტყვაკაზმული მწერლობის დედნებს; ქვეყანა, სადაც ბრეგაძისეული, ჩხენკელისეული, აჯიაშვილისეული, ნიშნიანიძისეული, მედულაშვილისეული თარგმანებით ხელახალი სული შთაბერვია ბერძნულ, ინდურ, ებრაულ, ინგლისურ, სპარსულ საგალობლებს, იაჟუჟუნასავით ხელთუქმნელი მეგრული ლირიკა მივიწყებულია, მოთმინებით ელის მაჯაშიდა შემტყვებარს, ზოგადეროვნულ, სათაყვანებელ ქართულზე რომ გააცოცხლებს დღეს თუ ხვალ-ზეგ.

თქმა იმისა, რომ მეგრული პოეზიის გადმოქართულება არ უცდიათ კალმის ოსტატებსო, სწორი არ იქნება, რადგანაც სხვადასხვა დროს,

მეტნაკლები პოეტური აღმადრენით მოხერხებულა ზოგი ნიმუშის თარგმნა. საყურადღებოა ბატონების: ხუტა ბერულავას, ნოდარ ჯალალონიას, მურმან ჯგუბურიას ამაგი ამ მიმართებით, მაგრამ ისინი უპირველესად პოეტები ბრძანდებიან, და ამდენად, მეგრული ხალხური პოეზიის ნიმუშებს საშენ მასალად იყენებენ კოლორიტის, განწყობილების შესაქმნელად. მათ პოეტურ კრებულებში წარმოდგენილი „კოლხური მოტივები“ ფართო მკითხველთათვის აღიქმება, როგორც ორიგინალური შემოქმედება, და არა — ხალხური. ესეც რომ არა, სათარგმნი ლექსების მიმართ მათი დამოკიდებულება, რამდენადმე თავისუფალია. პირველწყარო აქ საფუძველია ახალი ინტონაციებისთვის, ახალი ბგერწერისთვის, თუმცა დიდი გოეთესი არ იყოს, პოეზიის თარგმნა მთვარის შუქის ლარნაკში მოწყდევის მცდელობაა — ვარდი, რომელიც მინის ხუფქვეშ მოთავსებულა, გხიბლავს და სურნელს არ გამოსცემს.

უსათუოდ შექების ღირსია მეგრული ხალხური პოეზიის შედევრების ბათუ დანელიასეული თარგმანები, რომელიც კრებულ „ეგრისში“ გამოქვეყნდა 1986 წელს, მაგრამ მასში დაბეჭდილი რამდენიმე თვალსაჩინო ნიმუშში მხოლოდ პრელუდიაა, ალბათ, ამ მართლაცდა ხალას გრძნობათა ოკეანის წარმოჩინების გზაზე:

**ხოჯგორია**

მელე-მოლე გვალა რენგ დო  
შქას ეშმურცუ წკონდაწყარი,  
თე წყარიში ოშუმუშუა,  
ხოჯ გილურცუ დიდი ქამი.  
ჭითა ჩხომი გილანჩურუნც,  
ქალე პიცე მიკირთუ,  
ხოჯის კუდეღც ქოჟგერგთნცენ,  
ხოჯი ჭითათ გინირთუ,  
ხოჯს გორუნცუ ხოჯგორია,  
გილურცუ დო გილენგარს.  
ნირსის მეთხოზ ჭითა ხოჯი,  
წიფურცე ქალეფს მიოგანს,  
ირემიში ქაშე ღობერს  
მიორე დო მიონგარს.

**ხარიძენია**

მიღელავს წყალი მთებს შუა  
და ცივზე ცივი არი,  
და წყურვილს იკლავს იმ წყლითა  
დიდრქებიანი ხარი.  
ამ წყალში თევზი დაცურავს  
თევზი წითელი არი,  
ხარს კუდით გაუდგაფუნებს  
და გაწითლდება ხარი.  
ხარს ველარ იცნობს პატრონი,  
თევზი გაჰყვება ჩქერებს,  
ხარს ეძებს ხარიძენია,  
ეძებს და ტირის მერე.  
ნისლს მისდევს ხარი წითელი,  
რქებს უჯახუნებს წიფლებს,  
ირმის რქის ღობეს მიადგა  
და ცას ბლავილით იკლებს.

მეგრული ხალხური პოეზიის სათავეებს კოლხეთის მითიური დიდებით მოსილ ხანასთან მივყავართ უცილობლად, სადაც მზე, მთვარე და ვარსკვლავები უკვდავი ღვთაებებია:

ბჟა დიდა რე ჩქიმი,	მზე დედაა ჩემი,
თუთა — მუმა ჩქიმი,	მთვარე — მამაჩემი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი, —	გაბადრული ვარსკვლავები —
და ღო ჯიმა ჩქიმი.	და და ძმაა ჩემი.

ამბობს მეგრელი მეღეჭე და როდესაც იგი ტოლფასად აისახება სალიტერატურო ენაზე, გამონათდება სრულიად საქართველოსთვის — უკვე პირველწყაროს ასავალ-დასავალი არც გახსენდება.

ბედნიერია ხევსურული, ფშავური პოეზია, რადგანაც დედაქართულის მეზობლობაში მორაკრაკებენ ისინი.

„იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისაო“, — იტყვის ერთი... „ბოლოს სთქვეს, ჟამი გავალის, კარ განიღების თავადო,“ — ბრძანებს მეორე და გულიც აღმაფრენით ძგერს.

ანდა რაოდენი სიხარული მოგეძალება „ირინოლას“, „თამბის“, „ბილებას“ პოეტურ სიმალეებს ზიარებულს?!

### თამბი

— საით მიდისარ თეთრო თამბი?  
 — მთაში მივდივარ სანადიროდ.  
 — მთაში ვეფხვია, თეთრო თამბი,  
 ბევრი წასულა, ვერ მოსულა.  
 არ დაიშალა თეთრმა თამბიმ,  
 შიში გულში არ გაიტარა:  
 — მკლაფი რად მინდა მოუღლედი,  
 მშვილდი რად მინდა მოუსრედი,  
 ხმალი რად მინდა ჯავარდნისა,  
 ახალმთვარობას გაჭედელი...  
 ცისა და მიწის შესაყართან,  
 დღისა და ღამის შესაყართან,  
 მზისა და მთვარის შესაყართან  
 თამბი და ვეფხვი შეიყარნენ...  
 ტორი ჩამოჰკრა ზოლიანმა,

**ჯაჭვე-აბჯარი ჩამოახსია.**

– ტანი რად მინდა მოხატული,  
თუკი ნახტომი ამიცდება!  
მაშინ გახელდა თეთრი თაბში,  
ხმალი დაჰკრა, მძიმედ დადრიკა.  
ვეფხვის ზმორება სასიკვდილო  
მდინარეს ჰგავდა ადიდებულს...

– ფიცხი ყოფილხარ ზოლიანო,  
მოყმე ყოფილხარ უშიშარი,  
მე ავთვალდი რისთვის მეგონე,  
მოხატული ტანი გქონია,  
ეკლიანი რისთვის მეგონე,  
ატლასივით ბეწვი გქონია,  
მოუქნელი რისთვის მეგონე  
ელვასავით ტორი გქონია.  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
მაშაჩეში შემომკვდომოდა,  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
ალაღი ძმა შემომკვდომოდა,  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
ღვიძლი შეიღი შემომკვდომოდა,  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
ან შენთან ერთად მოვმეკვდარიყავ.

ეს ლექსი უნებურად ორ ბალადს გაგვანსენებს ქართული ხალხური პოეზიიდან — მოყმე-ვეფხვისას თუ ყივჩაღის ვნებათაღლეღვას მუხრანის გზის სამძღვართან:

ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

მოყმემა პირშიშეელამა,  
შიბნ გაიარნა კლდისანი.  
მთინადირნა, დალახნა,  
ბილიკნი ჭიუნისანი,  
შამახდეს კლდისა თავზედა  
ხორონი ჯიხვებისანი,  
ჯიხვსა თოფ დახკრა ბესრენსა,  
ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი.

შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა,  
 დრონ იყვნენ შუადმისანი.  
 ვეფხვი რო წამოუფრინდა,  
 თვალნი არისხნა ხთისანი.  
 შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი,  
 მაშინ დაიძრნეს მიწანი,  
 კლდეები ჩამაინგრივნეს,  
 შტონ დაილეწნეს ტყისანი,  
 დრო აღარ დარჩა მოყმესა,  
 ხანნი რომ ჰქონდეს ცდისანი.  
 ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,  
 ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი,  
 გაზით გაართვნა კალთანი,  
 ჯაჭვისა, ჯაჭვშანისანი.  
 მოყმეშაც ხელში იყარნა,  
 ვადანი თავის ხმლისანი,  
 მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,  
 დრონ იყვნენ წაქცევისანი.  
 ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა,  
 ჩამოაწითნა ქვიშანი.  
 თავად კლდის თავზე შემოწვა  
 მოყმე სულამამდინარი,  
 ქვიშას მიჰღებავს წითლადა  
 სისხლი ზედ ჩამამდინარი.  
 ვინ ეტყვის მაგის დედასა,  
 კარს უსხდეს ქადაგ-მკითხავნი,—  
 „უერთოდ კი არ ისარჯნეს  
 ჩვენ მონადირის ისარნი!“  
 იარებოდა დედაი  
 ტირილით, თვალცრემლიანი:  
 „ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია  
 გაჯაფრებული, ტიალი,  
 ჩემს შვილს — ხმლით, იმას — ტოტითა  
 დღე დაუღამდათ მზიანი.  
 არც ვეფხვი იყო ჯაბანი,  
 არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,  
 იმათ დახოცეს ერთურთი,  
 არ დარჩეს სირცხვილიანი“—

ტირილით წყლულებს უხვევდა  
ვეფხვის კლანჭითა დაჭრილსა,—  
„შვილო, არ მოჰკვდი, შენ გძინავ,  
დაქანცული ხარ ჯაფითა,  
ეს შენი ჯაჭვის კალთები  
ტიალმა როგორ დაფლითა?  
შენც იმის საფერ ყოფილხარ,  
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.  
არც იმან მოგცა მეტი დრო,  
აღარც შენ დააცალია,  
ვეღარც შენ დაიფარიე  
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,  
ვეღარცა ვეფხვმა ტოტები, —  
ხმალმა დაკუწა ძვალია.  
მაგის მეტს აღარ გიტირებ,  
შენ არ ხარ სატირალია.  
ლაშქარში, მეკობარშია  
არ იყავ საწუნარია!  
მშვიდობით, ჯგარი გეწეროს,  
ეგეც სამარის კარია,  
ერთ შვილ სომ მაინც გაგზარდე  
ვეფხვებთან მეომარია“.  
ხან ვეფხვი, ხან თაგის შვილი  
ელანდებოდა მძინარსა,  
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს  
ტანზეით აპყრის რკინასა,  
ხან კიდევ იმისი შვილი  
ვეფხვს გადააგლეჯს ყირასა.  
აი, ამ სიზმრებს სედაფდის,  
გამაუღვიძის მტირალსა.  
ხან იფიქრებდა, უდედოდ  
გაზდა ვინა თქვა შვილისა,  
იქნება ვეფხვის დედაი  
ჩემზე მწარედა სტირისა,  
წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიმარ უთხრა ჭირისა,

**ისიც მიაპობს აპბებსა,  
მეც უთხრა ჩემი შეილისა,  
იმახაც ბრალი ექნების  
უწყალოდ ხელით დაჭრილისა.**

არანაკლებ შთამბეჭდავია უცხოტომელ ხიზანთან ქართველი კაც-ის დამოკიდებულება:

**ჩემი უამოქმედებითი მივლინებანი  
სამშობლოში გობლაობით იწყება**

ოცი წლის შემდეგ ვუბრუნდები ჩემი სულიერი მამის — ილია ჭავჭავაძის ყვარლის მთებს; ორაგულის გასულსწრაფებით ვუბრუნდები აუზღვრეველ კახეთს — ქართველი კაცის ქცევის ბარომეტრს შინ თუ გარეთ, ჭირსა თუ ლხინში და მაინც ჩემი შემოქმედებითი მივლინება სამშობლოში გოგლაობით იწყება: გაგაძეების სამასი წლის აკვნისკენ, მირზაანში, ფიროსმანის ფერების ოაზისისკენ, ხორნაბუჯის ცათამბჯენი ციტადელისკენ, ელიას პეშვისტოლა ტბისკენ, შირაქის ზამთრის საძოვრების ვრცეულობისკენ, სადაც კავკასიური ნაგაზებით გარემოცული ორლულიანით გამოვენთები ხოლმე ლილისფერ კურდღლებს;

მე იქ გოგოს შემაძლევენი — უბატონო ქიზიყის დედოფალს; მე იქ, ლაგოდების ნაკრძალში, თუშური ქუდით მისვამს ნამუსიანი რქაწითელი; მე იქ, „ზავოტობაზე“, ძმადნაფიცი თემურ ჩალაბაშვილი მიხსენებია და სრული კვირა დავუტყვევებოვართ ჯაგარა კახელებს; მე იქ, ბატონი ლადო მრელაშვილის იყალთოელი ბიჭები შემომფეთებთან ღობე-ყორეში მომავლის იმედად; მე იქ დიდი ნიკო ყოჩიაშვილის ალაზნის ველის სიხასხასეს მოვუნუსხივარ და კამბეჩოვანის მოთენთილობა გადამდებია; მე იქ, სულიკო პავლიაშვილის კაკაბეთში, მთისხელა ქვევრების ბუყბუყისათვის მიმიყურადებია დიდება ანას თითისტარის მოუსვენრობის ფონზე; და მაინც, ნამდვილ საქართველოსკენ ჩემი შემობრუნება, ბავშვივით მიხარია, გოგლაობით რომ იწყება.

ადრეც მიფიქრია გიორგი ლეონიძის ფენომენზე. მისი ფერწერული სულის მდულარებას განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენს თენგიზ აბულაძის „ნატურის ხე“. დიახ, ფერწერულია, სკულპტურასავით ნაძერწი გიორგი ლეონიძის პოეტური ხედვა, ბალადათა მიმართება ლექსის მშენებლობისას და მაინც „ყოჩაღის პაემანი“ განსხვავებულია,

ღვთაებრივ რემინისცენციათა ბაჯაღლო პირმშო. ჰეშმარიტი ხელოვანის თხზულებას ოდეს ასევე მაღალი რანგის კინემატოგრაფის ხელი შეეხება, მყისვე გაყოველთაედება აქამდისაც გენიალური ქმნილება. ასე იყო აკუტაგავასა და კუროსავას თანამშრომლობა „უსიერ ტყეშითა“ და „რასომინით“; ასეთი გახლდათ ჭაბუა ამირეჯიბისა და გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ტანდემურობა „დათა თუთაშხიათი“; ასეთი გამოდგება გიორგი ლეონიძისა და თენგიზ აბულაძის დანათესავება „ნატვრის ხეთი“.

მე, აი, ახლახან, გუშინ თუ გუშინწინ, დავძობილებივარ მსცოვან სტილისტს, აწ ნეტარხსენებულ დიმიტრი გულისაშვილს, რომელსაც თავის დროზე „ნატვრის ხე“ ურედაქტორებია. სიტყვათმშენებლობის მეტრს მრავალი იდუმალება გაუზიარებია ჩემთვის ვერბალურ ცდომილებათა ასალაგმავად და მანც მესად, მეთასედ „ყივჩალის პაემანს“ ვუკირკიტებ, ყივჩალის ათასწლოვან აღსარებას, ყივჩალის სულის შემადრწუნებელ მედიტაციას:

ყივჩალის პაემანი

... ერთი მეც გადავუქნიე,  
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...

მუხრანული

ყორღანებიდან გნოლი აფრინდა,  
ყაბარდოს ველი გადაიარა,  
ისევ აღვსდექი!  
მუხრანის ბოლოს  
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.  
ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან  
სოდაბუნები თავთუხებისა,  
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,  
როგორც ბადაგი დადუღებისას.  
ხოხობას ვნახე, მიწურვილ იყო  
როცა ზაფხული რუსთაველისა,  
ნეტამც ბადაგი არ დაძეულია  
და იმ დღეს ხმალი არ აძეულესა!  
ტრაპალ და ტრაპალ გამოგედევნე,  
შეპოვამტყერე გზები ტრიალი,

მცხეთას გუმტვრიე საკეტურები,  
 ვლევწე ტაძრები კელაპტრიანი!  
 მაგრამ თვითონაც დაილეწება,  
 დაბადებულა ვინც კი ყიფჩაღად,  
 მუზარადიან შენს ქმარს შემოვსვდი,  
 თავი შუაზე გადამიჩნა!  
 მოდი, მომხვიე სელი ჭრილობას,  
 ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...  
 როგორც საძროხე ქვაბს თხშივარი,  
 ქართლის ხეობებს ასდით ნისლები.  
 მოდი!  
 გეძახი ათას წლის მერე,  
 დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;  
 ვარდის ფურცლობის ნიშანი არი  
 და დრო ახალი პაემანისა!..

ეს ლექსი 1928 წლით თარიღდება. ამ დროისათვის უკვე არსებობს ყიფჩაღის თემატიკაზე „მუხრანული“, ოდეს ცოლ-ქმარს გადამთიელი ავტორლილება — დავით მეფისგან წვეული დამხმარე ძალა:

#### მუხრანული

შემოქეყარა ყიფჩაღი  
 სამძღვარს მუხრანის გზისასა,  
 პური მთხოვა და ვაჭმეი  
 გურჩევდი თავთუნისასა,  
 ხორცი მთხოვა და ვაჭმეი  
 გურჩევდი ხოსობისასა,  
 ღვინო მთხოვა და ვაჭმეი  
 გურჩევდი ბადაგისასა,  
 წყალი მთხოვა და ვაჭმეი  
 გურჩევდი წყართს წყლისასა,  
 ცოლი მთხოვა და ვერ მივეც  
 მიმყავდა სიდედრისასა.  
 ანკი ცოლს როგორ მივცემდი  
 შეილსა გაზრდილსა სხვისასა.  
 სელი მოხვიე, აკოცა,  
 მოზიდნა ნაწნავს თმისასა.

**შესტირა საბრალო ქალმა:  
„ვაი ცოლს ცუდის ყმისასა“,  
მეც გულმა ველარ გამიძლო,  
მოვზიდე ვადას ხმლისასა,  
უძალვე იმან დამასწრო,  
ელვასა ჰგვანდა ცისასა.  
მაგრამ დაუცთა მუხანათს,  
ვენაცვლე მადლსა ღვთისასა,  
ახლა მე შემოგუქნივე,  
ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა.  
გაგჭერი ცხენი და კაცი,  
წვერიც მომიხვდა ქვიშასა,  
არ იყო ღირსი, მოშორდა  
ცქერას ნათელის მზისასა.  
აქეთ მე ვკვდები, იქით ის,  
ქალი წაგიდა სხვისასა.**

წყალს მოითხოვს და დაამწყურვალევენ; პურს მოითხოვს და დააპურებენ; ღვინოს მოითხოვს და ასმევენ; ქალს მოითხოვს და აქ გაუბედითდება სურვილების ქორო თავხედს. ან კი ცოლს როგორ დაუთმობდა ვაჟკაცი თავნება მოძალადეს?

ხალხური ლექსით ქართველი ფალავანი ფლეგმა გამოდის, ურემი შეშით ძლივს რომ გათარანდება. სანამ ყივჩაღი გიშრის თმაში არ წვდება მის ღედაკაცს და თანამეცხედრის ტუჩებს არ დაუკოცნის, გული ველარ აუხანძრდება;

ჰოდა, რაჟამს დიაცი შესძახებს: „ვაი, ცოლს ცუდის ქმრისასაო“, აღენტება ქართველი მამრი, გასჭრის კაცსა და ცხენს □და არა პირიქით, როგორც ეს დედანშია — ცხენს და კაცს), ხმლის წვერს ქვიშას უწვდენს; აქეთ ქართველი მხედარი კვდება, იქით — მოხდომილი ყივჩაღი, ქალი კი წავა სხვისას □და არა ძმისას, როგორც ამას ქართველი ქალის რეპუტაციის გადასარჩენად ვაშალაშინებთ ხოლმე ზოგ რედაქციაში). დიახ, წავა სხვისას, ვინაიდან დახარბებული ყივჩაღიცა და მეპატრონე ქმარიც, ორივე უღირსია მისი გოროზი კდემამოსილებისა.

დიდი გიორგი ლეონიძის ეპიკურ სულს ვედარაფრით შეეხებოდა აკუტავავას ჩინებული ნოველა — „უსიერ ტყეში“, მით უფრო — კუროსავას „რასომინი“, რომელმაც ლამის გადაატრიალა კაზმული სიტყვიერება ობიექტური რეალიზმის უგულუბელყოფის თვალსაზრისით. ეს თემა არსებულთან შედარებით მეტ სივრცეს მოითხოვს და აქ ოდენ ვიტყვადი

იმას, რომ „მუხრანულითა“ და „ყვიჩადის პაემანით“ დანახულია მოვლენის მრავალპრიზმული გადმოცემის პერსპექტივა. ნოველა „უსიერ ტყეში“ ჩვენი შემთხვევის იდენტურია.

ულრანში ცხენზე ამხედრებული ცოლი მიჰყავს სამურაის □მეფის ჯარისკაცი), რომელიც კოლიზიის თვისებისამებრ ყაჩაღს შემოეფეთება. დიახაც, ქალის ნიადაგზე გაიმართება ხელჩართული ბრძოლა და გაკოჭილი სამურაის თვალწინ ყაჩაღი ნამუსს ახდის ავაზასავით მოხელეთებულ დედაკაცს. მაგრამ მთავარი ფასეულობა აქ დატრიალებული სცენისა, სხვა გახლავთ, ვინაიდან არაორდინალურია გარდახდილი ამბის მოწოდების წახნაგები სასამართლოზე: ყაჩაღი, დედაკაცი, სიტუაციას შესწრებული გლეხი თუ თავად სამურაის სული, ლამის ურთიერთ გამომრიცხავად გადმოსცემენ აწ გარდასულ კონკრეტულ სინამდვილეს.

საქმე ის არის, რომ ამ მიკრო-ტრაგედიის თითოეული პერსონაჟი თავის სასარგებლოდ ასურათხატებს ვითარებას, როგორც ეს ბიბლიის კარიბჭიდან გვეუწყება: რა დროს ხეცნობადის ნაყოფნაჰამ ადამს უფალი გამოეცხადება, ეს უკანასკნელი ევას გადააბრალებს ცდუნებას, ხოლო თავად ქალი — ძირს დანარცხებულ სათანაელს, ეშმაკეულ ძალას.

ქეშმარიტად, თითოეული სუბიექტურად, მიკერძოებით აპროექტებს სინამდვილეში ობიექტურად მომხდარ ამბავს.

ქალის თქმით, როდესაც გაკოჭილი ქმრის წინაშე ნამუსახდილია იგი, მამაკაცებს შესთავაზებს ორთაბრძოლაში გაარკვიონ უპირატესობა: ვინც გამარჯვებული დარჩება, შეურაცხყოფილი ქალიც იმას გაჰყვება ცოლად და თავდაჯერებული მტკიცებით, დიახაც, ყაჩაღს შემოკვდომია მოძალადისგან ვერდამცავი მეუღლე;

ყაჩაღის მონათხრობით სამურაის მკვლეელი ბუნებაში არ იქებნება, რადგანაც დიაცმა წუთიერი გამარჯვებული მოძალადე ამჯობინა საუკუნო თანამეცხედრეს. ყაჩაღი წიხლისკვრით მიაგდებს ქალს ბამბუკის კოჭებთან, ბორკილს შეუხსნის მეტოქეს და თავისუფლებას მიანიჭებს;

ხოლო სამურაის მონაყოლით, დედაკაცის მოღალატური საქციელის შემხედვარე, თვითონვე მოისწრაფებს სიცოცხლეს;

არის მეოთხე მთხრობელი, უსიერში გატრუნული გლეხი, ვითომცდა ობიექტური სინამდვილის დამადასტურებელი განზომილება, თუმცაღა მას სამურაის ცოლის დანა აღმოაჩნდება კუროსავას „რასომინის“ მიხედვით და აქაც განქარდება სიწრფელის მომენტი.

როგორც ჩანს, პოეტური სიდიადის წყალობით თუ იგივე უფლის ძალისხმევით, დამოუკიდებლად მისულან ლეონიძე და აკუტაგავა ლამის თანაზომიერ მსოფლგანცდამდე: **შეუძლებელია ზედმიწევნით მართალი იყოს მოვლენის მხოლოდ ერთი მხარე და მეორეს იოტი-**

**სოდენადაც არ მოეპოვებოდეს ზეციურთან პირის გასამართლებელი მოტივაციები.**

ქართველი მხედარი გულგრილია თავისი ქალბატონის მშვენიერებისადმი, ვინაიდან მეპატრონეა, მფლობელი, საგანძურის სრული ხელმწიფე, ამიტომაც ჭირს მისი აფეთქება, ამძვინვარება, როცა ყივჩაღი დანატრებულა ამ წყაროს, მშვიერი და მწყურვალა ბადაგივით ნეტარი მღვდრის სიშორე-მიუწვდომლობით.

დასასრულ, კვლავაც ავმჩატდები ყმაწვილური გახელებით, კვლავაც ოცი წლის წინანდელი სიფიცხით მივეხსნები სულიერი მამის — დიდი ილიას საუფლოს — ჩემს აუმღვრეველ კახეთს, ჩვენი ურყევობისა და ძელქვასავით უდრეკლობის გარანტს დროსა და სივრცეში; და მაინც, ჩემი შემოქმედებითი მივლინება სამშობლოში გოგლაობით იწყება.

**ბილუბა**

**ამბავი არის გასაკვირი,  
დიდი ხეები უვლიან ფერხულს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ჭიანჭველები აგებენ ციხეს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
დასეირნობენ თევზები მინდვრად.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ზურგზე უნაგირს ადგამენ პროხებს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
მაღალ ხეებზე შემსხდარან მწყურები.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ყარაულთბენ კატები ერბოს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
მეცხვარეებად დამდგარან მგლები.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
თხას მისდგომია მატყლისთვის ცხვარი.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ეჭიდებიან თაგვები დათვებს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ჩიტინ-ჩითრა იტაცებს ორბებს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს.**

**ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
მდინარე აღმა მიედინება.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
მზე დასაგლეითი ამოდის ცაზე.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
უსიტყვოდ სხედან დედაკაცები.**

მეგრული ხელთუქმნელი ლირიკა კი სავალალოდ დედაქართულის-  
თვის დახურულია.

ვაი, შური, საყვარელი,  
ღურა მუში მამარდა რე,  
რინაშე ნება ქორდასჯნი,  
ქიანა მუში მათართა რე.

ვაი, სულე, სანატრელო,  
ჩემთვის სიკვდილია ნანა,  
ყოფნის უფლება რომ იყოს,  
რა ვრცელია ეს ქვეყანა?!

დაიკვნესებს მეგრელი კაცი და ენობრივი ბარიერის გამო უჭირს გა-  
იგოს სრულიად საქართველომ, რომ ეს ამონათქვამი ყველასთვის მახლობე-  
ლი, ადამიანურზე ადამიანური ჩივილია სისხლგამწარებული მოკვდავისა;  
რომ ეს საყვედურია ქვეყნის, საწუთროს მისამართით. ოღონდ მოვუფრთ-  
ხილდეთ ერთმანეთს, ნუ მოვუშხამავთ წუთისოფელს და ყველა დავეტე-  
ვით ამ უკიდევანო მიწაზეო, გვამაღლებს ლექსის მორალი.

მეგრული ხალხური პოეზიის თვითმყოფადობა, დიახაც, რომ ღირსია პრო-  
ფესიონალი მთარგმნელების ყურადღებისა და სამართლიანობის აღდგე-  
ნასთან ერთად, ეს ყოველივე გადაუდებელი ეროვნული საქმეც არის ამავდ-  
როულად; ამის დასტურად გამოდგება ბოლშევიკების მიერ ოცდაშვიდი  
წლის ასაკში დახვრეტილი დანიელ ფიფიას, ქეშმარიტად გენიალური ლექ-  
სი „ბორჯი“, რომელიც ქართულად დრო-ჟამს ნიშნავს და რომელში ჩაღრ-  
მავებაც ცოტათი სხვანაირად ჩაგვახედებს სულში— ქართველობის ნასახი  
თუ ღვივის ჩვენს წიაღში, განზე გადაგვადებინებს ამბიციებს, ერთად-  
ერთობის ავადსახსენებელ ილუზიებს და გვამოქმედებს ისე, როგორც  
ამას ძარღვდაწვეტილი მამული გვიყიჟინებს განწირულის ხმით:

**ბორჯი**

ბორჯი, ირფელჷ სი გობარუ,  
ულირგ, რენგ დო მუმაალი,  
სო რე ბორჯი სი ვაქოფექ,  
სო ვემიონე სქანი ნალი?

**ღრო-შამი**

ბორჯი, შენ ერთს გაბარია,  
აწმყო-წარსულ-მომავალი,  
ბორჯი, სადღა არ ყოფილხარ  
სად არ სუფევს შენი კვალი?!

ოტობანია

მოსიოლუქ უმუხარცქო ,  
ირო ართინერო მალი,  
სი გიჩქ სო მი ჩილათე დო  
სო მის უღუ ნაინალი.

მოსრილებ უსასრულოდ,  
დღენიდაგ ფხიზლად მალი,  
შენდა უწყი, ვინ სად შეცდა,  
ვის სადლა აქეს სამართალი.

მური

სი რშუ თინა, მუთი ვაშუ,  
მითინც ცა დო დიხა შქასუ,  
სი უჯინედ სარიკოს—  
ბჟაშე დიხაშე მოხარცქასუ.

ცარგვალსა და ხმელეთს შუა,  
დგახარ ხსოვნის ნიშანსვეტად,  
შენ გიხილავს მზისგან მიწის  
საარაკო ჩამოწყვეტა.

სი ვარენო გიჯინუნი  
დიხაშე პირველ დორთაფაშა,  
სი გიჯინუ პირველ სერშა,  
პირველ დლაში გოთანაშა.

ერთადერთი შენ უმზერდი  
დედამიწის ფეხის ადგმას,  
შენ უმზერდი პირველ ღამის  
პირველი დღის სულში დანთქმას.

სი მითინცუ პატის ვაცე,  
სამართალი გიღუ თინუ,  
ხვალე ართი — სქანიწკალა  
ხანდა მითინც ვაუდინუ.

ბორჯი, ერთმა უწყი მხოლოდ,  
უღირსს კარგი რად არ ჰქვია,  
ამიტომაც ჭერეთ შენთან  
გარჯა არვის დაკარგვია.

კოჩი მუში მოჯგირესუ  
ჯადო ქუას ოყოთანს,  
უბადოში ცქვაფა უჩქუ,  
ჯგირს თხოზუ დო ოგორანს,

ვაგლახ, კაცი თავის მოყვასს,  
ხან სიტყვით კლავს, ხანაც — ქვითა,  
აუგს მიწყვი განადიდებს,  
მართალს აშთობს განკიცხვითა.

ირგ კოჩე ფირქენს მუ ორთუნი  
შხვა კოჩიში უჯგუშისგ,  
ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა —  
არძას არზენს მუშუშისგ.

ბევრს ჰგონია მისი ღვაწლი,  
გადაწონის ნათელს მზისას,  
ბორჯს არ უყვარს მოფერება,  
ყველას უზღავს თავთავისას.

აქ ასეა. ცოტა ზემოთ ხომ გახსოვთ როგორ არის გააზრებული წუთისოფელი ლაზურ შედევერში „ჭუტა ქარმატე?!“ (პატარა წისქვილი). პროტოიბერიელთათვის მართლაც წისქვილია ეს საწუთრო, რომელიც სხვისთვის ფქვავს და საკუთარი თავისთვის ყოველთვის ბოგანოა, დუხჭირი. დაგვეთანხმებით, ამისთანა ლექსებს მოკლებული ქართული ხალხური პოეზიას რულფასოვნად წარსდგება განაცვილი ზებული მსოფლიოს წინაშე?!

818

მეგრული ლექსების გადმოქართულებისას ხშირად ვცდილობ ორიგინალის არათუ ზომისა და რიტმის, არამედ რითმითა სისტემის შექ-

ლებისდაგვარად შენარჩუნებასაც, რაც ზოგჯერ აძნელებს შინაარსის ადეკვატურ გადმოცემას, თუმცა უმთავრესი მიღწეულია — გარეშე თვალი მათ შორის სხვაობას ძნელად თუ შეამჩნევს; მოკლედ, დიდის ძალისხმევა გვმართებს ყველას, რათა საფუძველი ჩავუყაროთ სინთეზურ, ყოვლისმომცველ, ეროვნულ ანთოლოგიას, ლექსიკო-გრაფიას, ფსიქიკას.

მართა მწერლები და პოეტები ამ საშვილიშვილო საქმეს ვერ გავწვდებით. საჭიროა შეთანხმებული მოქმედება — ერთ ბირთვად უნდა შევიკრათ ენათმეცნიერებიც, პედაგოგებიც, შემოქმედებითი ინტელიგენციაც, რათა ახლებურად გავიაზროთ ქართველი მოზარდის, ზოგადად საქართველოს ხვალისდელი დღე; რათა ბოლოს და ბოლოს სამართალმა პური ჭამოს და დაწყობითისთვის თუ ვერა, დამამთავრებელი კლასებისთვის მაინც შემუშავდეს ერთიანი დედაქართულის პროგრამა, სადაც მეგრულ-სვანურ-ლაზურსაც სათანადო ყურადღება დაეთმობა, როგორც მშობლიური დედაენის მასაზრდოებელ უმრეტ წყაროებს.

დროა ჩვენმა ახალგაზრდობამ სრულყოფილად თუ ვერა, საყველპუროდ მაინც იცოდეს ექვმიუტანელი ჭეშმარიტება, რომ სვანურის, მეგრულ-ლაზურისა და ქართლურის საერთო ენა პროტობერიულია; რომ ათასწლეულებს მიღმა ეს სამი ერთარსი კუთხე მსგავსი სინტაქსითა და სიტყვებით მეტყველებდა; რომ მართალია, ჟამთა სიავემ შეძლო ერთიანი ენის განტოტვა, დაშორიშორება, მარამ ისიც ხომ გვსმენია, მდინარის გასხლტომილი ტოტები ოდესმე როგორ შეიყრებიან ხოლმე, რათა უფრო ენერგიულად გაუტიონ ამბოხებული ზღვისკენ?! დროა იცოდნენ ქართველმა ასულებმა და ჭაბუკებმა, რომ **„ლაქუცი“** კოლხური წარმოშობისაა, ვინაიდან „ლაკ“ ჭანურში ძაღლს ნიშნავს, „ლაკვი“ მეგრულში — ლეკვს; აქედან გამომდინარე — „ლაქუცი“ — „ლაკისმიერ“, ძაღლისმიერ საქციელს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ფრიად გავრცელებული სიტყვა იყო **„რუსეთუმე“**, რომელიც რუსული ორიენტაციის, რუსოფილადამიანს გამოხატავდა ირონიულად. ეს სიტყვაც მეგრული წარმომავლობისაა, რადგან მხოლოდ მეგრულში მოგვეპოვება გრამატიკული ფორმა — „ლორონთუმე“ — ღმერთმანი, „შურუმე“ — სულის მადლმა, და მათი მიმსგავსებით — „რუსეთუმე“, ანუ რუსეთს გეფიცები.

მეგრულის გაუთვალისწინებლად ვერაფრით აიხსნება დაბა **„წყნეთის“** სახელი, რადგან „წყნეთი“ სხვა არაფერია თუ არა მუხრანი. მეგრულში მუხაა ჭყონი. ჭყონდიდი, ჭყონდიდელი, დიდმუხას, დიდ-მუხელს ნიშნავს. შესაბამისად თანდათან ტრანსფორმაციით მივიღეთ ჭყნეთი, წყნეთი და წყნეთი.

სულ მეგრული წარმოშობისაა აჭარა-გურიაში, იმერეთში, რაჭა-

ლეჩხუმში არსებული ტოპონიმური ერთეულები: **ჯინანჯირი** — ციხისძირი, **ჯუშაბათი** — ძმეთი, **ოჭილაური** — საჭილაიო, **ჭყვიში**, **ჭყვიშიაური**, **ჭანიეთი**, **გუბაზოული**, **კინტრიში**, **ონჭიკეთი**, **ონჯოსეთი**, **ოჯინჯი**, **ონტიფარი**, **ტყობენია** — სამალვისი, **ჩხოუში** — საძროხისი, **ჯარგვალი** — ძელური, **ოჭივარი**, **ორაგვე**, **ოკრიბა**, **მუსური**, **ჯიშისტარო**, **სოჯალია**, **ოსუნელე**, **ოყვალეთი**, **ოფინსეთი**, **ოფურეში**, **თოფურიათი**, **იმნათი**, **ჭანჭათი**, **ჩოჩხათი**, **ჯონჯუათი**, **ოცხანა**, **ონჯალეთი**, **ოკვარე** — საყვავე, **სუჭითა**, **ჭვითირი**, **წყალტუბო** — თბილწყარო, **ჯამპანა** — ბულოეთი, **საზანო**, **მორბეგ-უთი** და ა.შ. სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ ფორმათაგან დამახასიათებელია **სერობა** — ვახშობა, **ორჭოფი** — ორის დამჭერი, ორს შუა მოყოფმანე, იჩქითი, **ბადიში** — მამადიდი, **კინთი** — ძროხის ცურის თითი, **ბურდო** — ჩირგვი, **დურგი** — თიხის ქილა, **ბიგა** — ორკაპა ჯოხი, **თანაქა** — თუნუქის ფირფიტა, **ქართა** — ბაკი, **ბოგა** — მცირე ხიდი, **ბორკილი** — ბორკი მეგრულში ფეხს ნიშნავს, კაშკაში — **კაკაჩისგან** მომდინარეობს, მთვარის ძალით გაჩახჩახებულის ტოლფასია; **ონსომელი** — ჩხომი თევზია მეგრულში, **ჯაჭვი** — ძეწკვი, **მარყუყი**, **გიდელი**, **ისინდი**, **მანინჯი**; **ლაყური** — რაც ყურისთვის განკუთვნილს ეფარდება; **მარულა**, **მოლაღური** — მელღღვია, **მარჩხი**, **ჩაღა**, **ოჯინჯალე**, **ურდული**, **საჯალური** — ხარის შესაბორკად განკუთვნილი და კიდევ ვინ მოსთვლის.

ახლა ეს სიტყვები ისე შეიწოვა, ისე შეისისხლხორცა ზოგადეროვნულმა ფსიქიკამ, რომ მისი მეგრული წარმოშობა აზრადაც არავის მოუვა; რა, გაემდიდრდით ყველა ენობრვი თვალსაზრისით, თუ გავლარობდით, დაჭჩაჩნაკდით?! სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ესწავლობთ გერმანულს, ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს, თურქულს, სპარსულს, წარმოიდგინეთ, თვით ესპერანტოსაც კი და ჩვენი სისხლხორცი ძირების — მეგრულ-სვანურის შეთვისება გვეთაკილება, ურომლისოდ სრულყოფილად ველარაფრით ვიქართველებთ, ვინაიდან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქართველობა ყველაფრის ერთიანობას, ანუ მათემატიკის ენაზე ქართულს პლუს კახელი, პლუს იმერელი, პლუს გურული, პლუს მეგრელი, პლუს სვანი, მოკლედ, უკლებლივ ყველას ჯამს გულისხმობს; ასე რომ, ჩვენ, დიხაც, გვმართებს ცოტათი გაქართვლება, ცოტათი გაკახელება, ცოტათი გაგურვლება, ცოტათი გამეგრელება, ცოტათი გასვანება, ანუ ცოტათი გაყოველკუთხეობა, გაიმერამერლობა, რათა სრულფასოვან ქართველებად ვიქცეთ. ასე რომ, ვფიქრობ, უკმეხობაში არ ჩამომერთმევა მოკრძალებული განაცხადი: **ქართული ხალხური პოეზიის თუნდაც შედარებით სრული ანთოლოგიის გამოცემა კვლავაც საშური საქმეა და მისი**

**წარმოსახვა მეგრულ-ლაზურ-სვანური ნიმუშების შეუჯერებლად  
ნებაყოფლობითი თვითგანპარცვის ტოლფასია-მეთქი.**

ახლა საკუთრივ იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს თავად მეგრული პოეზია და რა საუნჯე-განძით აპირებს იგი ზოგადქართული სულიერების ოკეანის აღვსებას. მეგრული პოეზიის მკვლევარები მუშათა საუფლოს კოლხურ ჭირნახულს პრეისტორიულ წარსულში გადაისვრიან ხოლმე და რაღაც საკრალურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ. მაგალითისათვის: **ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა — მუმა ჩქიმი, სვინა-სვინა მურიცხეფი — და დო ჯიმა ჩქიმიო**, როცა მედიტაციობს მეგრელი ჭყორი, აქ უსათუოდ ვარსკვლავთმრიცხველის თუ მოგვისსამყაროთმცოდნეობის შეფეხს ალაჟვარდებენ; მეტიც შესაქმის ნოტარიულ დოკუმენტად წარმოსახვენ ამ ოთხსტროფულს, როგორც ეს ზოგ ეზოტერიკს სწადია იოანე ზოსიმეს „ქებაით“ გაბრუებულს. ფილოსოფიურს მიაკერებენ ხოლმე მსჯელობისას პოეტს, როცა საგნის არსს, დროის თუ მატერიის რაობაზე გააფანტალებს თავს, რაც წმინდა სისხლის გულუბრყვილობაა. თავად „ბორჯიც“ კი, მეგრული პოეზიის მწვერვალი რომაა, მასალის კლასიფიკაციისას სისულელეა ფილოსოფიური აზროვნების კატეგორიაში მოვქციოთ და ამ სიმალლიდან ვაშენოთ მერმე ჯუჯა ქობახეზი თუ ისლთი ნახური ჯარგვლები. ყოველივე, რაც პოეტის ერთგვარი დაფიქრებაა სამყაროს აგებულებაზე, ფილოსოფოსობას სულაც არ ნიშნავს. სად ფილოსოფია და სად — პოეზია. შეუთავსებელი ცნებებია ჰეგელის სწავლებით. ასევე სასაცილოდ მეჩვენება ფრაზა: **ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკაო**. რაოდენ შეურაცხმყოფელია ეს სიტყვა, ამ მართლაც აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომის მდომელი მეცნიერებისა! რა ესაქმება ფილოსოფიას იმ მიწიერებასთან, როცა ნაპოლეონს სამარე ევიწროება თუ სული ბოროტი მოხმობილია პოეტის წინამძღვრად? ან ობოლი სულის საბრალლობა როგორ მიესადაგება ფილოსოფიურ განზომილებებს, რომელიც სულის არსებობაშია შეეჭვებული საერთოდ?! ამაზე მეტი ინფანტილიზმი გავიწყობა? მაშინ რა ქნან „დუინური ელეგიების“ ავტორმა? გოეთემ? დანტემ? მოვლენისადმი ფიქრიანი მიდგომები სულაც არ ნიშნავს ფილოსოფიურ აზროვნებას. ცხოვრების რაობაზე დაფიქრება დამახასიათებელი შენაკადია ხელოვნების ნებისმიერი ჟანრისთვის, მაგრამ ძნელია მათგან ფილოსოფოსთა ნატურის გამოძერწვა. სამყაროს, ადამიანის არსის თაობაზე, ვერც ჩვენი გუშინდელი მელექსენი იუბნებენ „გილგამეშის“ ეპოსის შემოქმედზე მეტადრე. უმჯობესია პოეტებმა მუშათა საუფლოს მიეხედოთ, პლატონთა ყბაში ხელმეორედ ჩავარდნა თუ არ მოგვწადინებია. ნუ აღვემატებთ რწმენის ხარისხით რომის პაპს, და გავაგრძელოთ მსჯელობა იმ მიმართულებით, რომ მოშაირესთვის სულაც არ

არის აუცილებელი ფოლოსოფიური გაფხორილობა, **აქაოდა, შემომსუდეთ, რათდენ ჩაკვირულვარ სამყაროსეულ მჭვრეტელობაშიო.** ამის შესახებ თქმულა მწუხარე სახის რაინდის საუფლოდან მთელის სარკაზმით, მეტიც — რამდე-ნადაც პოეტურია შემოქმედი, იმდენად განწრეტილი ზედმეტი ფილომანიური კეკლუცობებისაგან.

— **სომ სედავთ, რა ბიჭიცა ვარ, მთელი თავით აღგემატებით, ვინაიდან საგანთა ბუნებას მეტადრე განვჭვრეტ!**

— **არა მე უფრო დიდი მოასტრონომო პოეტი ვარ, ურანიას განსრით!**

— **გეკადრებათ, მე გენეტიკურ სლართებში ნაძრომიდალვარ ფრიად, დაფნები ჩქარა!**


იჭინთება პირველიც, მეორეცა და მესამეც, მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ პოეტი უმთავრესად პოეზიით ფასდება, როგორც ამას ჩინებულად ახერხებს ღვთაებრივი ჰომეროსი: არც ზედმეტი მოყბედლობით გაბეზრებს თავს და აღარც გამიზნული მღუმარებით გიწვრილმანებს სულს. მოუღლეელი ქარავანივით ჯიუტად მიემართება ქვიშისტოლასახეების უდაბნოეთში და ხასიათების საპალნეებით დაჯორგილი აქლემებით მიემართება უკვდავებისაკენ. ეს იშვიათი გამონათებაა. **არა განსწავლელობის მტკიცება**, (ამტკიცებს, ის, რომელმაც არაფერი იცის), **არამედ ხასიათების და სიტუაციათა დაურევება პოეტური ხერხების მართლზომიერი გამოყენებით.** ფორმულასავით გამომდის. **პოეტისთვის ლექსისაც სოფრისის ძირითადი საშენი მასალა სიტყვაა, რითმისა და რიტმის აქსეკსუარებით და არაფითარ შემთხვევაში კათედრალუბიდან საკუთარი უმწეობის მენტორული წარმოჩენა.** ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მეგრულ ხალხურ პოეზიას, უამრავი მშვენიერი რუ და ბინული წამოკამკამდება ლირიკის სახით, რაც ძირითადად შეყვარებულის წაგვრით თუ სიშორით შეჭირვებული სულის კვილია. ეს არ არის მისტიკური სასოწარკვეთა, არამედ თვალამღვრეული დაღონებაა, ოდესმე რომ ამოირწყება ქუსლში ჩარჩენილი ეკალივით. **თუ ნანა, ჰოუ ნანათ,** ასდევნებია კოლხის სულიერებას განუყრელ რეფრენად, იავარქნილი მამულეთის ექო და სადაც უნდა რანდავდეს პოეტი სტრიქონს, უზენაესის, სამშობლოს, დედის თუ სატრფოს სახიერების მოსახელთებლად დამიზნებულს, ყველგან **ჰოუ ნანად** აელანდება, **ჰოუ ნანად** აეგზიანება დაწდევებული მელანქოლიის უტყუარ დასტურად.



## ჰოუნანა

უკიდურესად ყირმიზი, უკიდურესად ქართველი, უკიდურესად კოლხი, უკიდურესად მკვევრმეტყველი, გუბაზის დროინდელი ფარტაზის კვალობაზე, უკიდურესად ჩემი გოგი. მშვიდობიანი სოხუმის დღეებს ვიხსენებ. მე ვინმე გოლუბის მტრედებს ვუტრიალებ. — ბრეზენტის მოსასხამიან ნაოფიცრალს, რომელიც სიბერის მიდასებულ წუთებს ცისიერი ჩიტების მოვლა-პატრონობით იხანგრძლივებს. აქ ამესვეტება მოულოდნელ ნატვრასავით ჩვენი გოგი, გოგი ბუკია. ზღვის სანაპიროსკენ დავეშვებით, სადაც დამსვენებლების სიმრავლეა და ქვიშაში მოხარშული ყავის მძაფრი სურნელი. საიდანღაც ლუდი გამოიჩითება, ზორბლის არაყიც დაიდებს პატივს... სოსოსი, — მოწოწნიკი კონსტანტინესებურად.

გასაოცარი მეხსიერების პატრონია. მაკითხებს ლექსებს. დახარბებული სმენით გამოირჩევა.



მერე გავუტევთ ბიძაჩემისკენ — პაატა ფეტელავასკენ. იგი საბავშვო ტურიზმის მესვეურია აფხაზეთში და იქაური იდილიით გვარიანად მოვიჯერებთ გულს.

ვგონებ მეოთხე კურსელი ვარ, პრაქტიკანტი. მომდევნო დღესაც გაიკვანძება ჩვენი ბილიკები.

ახლა ჟურნალისტი რამაზ კუპრავა — ოლიონორა და ძმები კალანდიების წვერგაბებლილი შუალა რენე შემოემატება ამ ამქარს. პოეზია, ხემსი და ცეცხლოვანი წყალი. უკვე თავად გახლავთ სუფრის სადავეების სრული მექარაენე. მაგნიტივით მიუზიდავს ჩემი სტრიქონები. უცდომელი ინტონაციით გადმოსცემს ტაეპებს. სცენის ბევრ ოსტატს შეშურდება მისი შეუდარებელი ტემბრი და სუნთქვის წონასწორობა. თითქოს ამ საქმისათვის დაბადებულა. შემდგომ დავეკარგებით ერთმანეთს კვირებით, თვეებით, წლებით. უნივერსიტეტის დასკვნითი შტუდირება მაინც ზოოპარკის კიდესთან მიკოსებულ ლუდხანაში მთავრდება, ან კიდევ — ზემელურ „ობლებში“. ამიერიდან მისი ზეპირი პოეზიის ანთოლოგია გაცილებით ტევადია, დახვეწილი და უკიდურესად ესთეტიკური: ვაჟა, „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, ედგარ ალან პოს



„ყორანი“... მხოლოდ ფასეული, მხოლოდ ობოლი მარგალიტივით ხელიხელსაგომანებელი. ფოთოლცვენას ფოთოლცვენა მიედევნება. აწ მძიმე წყალწყვის ხომალდია, სათანადო ნაპირი რომ არ გააჩნია. ტანმძიმე ლაინერია ჩვენი მინიატურის გმირი, ასაფრენი ბილიკები გადახნულ მინდვრებად რომ შემოსალტვია.

კარდიოლოგიურ პრობლემებს მიმინოსავით შემართული გაუძალიანდება და კუდით ქვას ასროლინებს. მისთვის უჩვეულო წესრიგის არტახებში მოექცევა — ძირს ნარკოტიკი და ალკოჰოლი! გაუმარჯოს პოეზიას! რედუტ-კალეში განვმარტოვდებით ერთხელ. გავისხენებთ აქაურ თვითნაბად კუნძულს ხობის წყლის შესართავთან, რომლის ტერიტორიას ტერმინალის ბრჭყვიალა ნავთობსაცავები ჩაენაცვლება. ვსხედვართ დანით აჭრელებულ მერხზე. ზღვაურისათვის მიგვიშვერია შუბლი. ლივლივებს პირთამდე ალიფლიფებული მდინარე. გარინდულია. ჩამავალ მზეს მისჩერებია მზისფერი კაცი. მერმე მომიტრიალდება თვინიერი მზერით.

— იცი, გური — მეტყვის ჩვეული შემპარავი ხმით — შენ გაგიმართლა, ძმაო, შენ მიაგენი მეგრული სულის უმთავრეს ძარღვს. ეს განუზომელი სევდაა საუკუნეების მანძილზე უჩუმრად რომ მოჟონავს ჩვენი

არსებიდან. ერთ ფრაზაში ეტევა ყოველივე — ჰოუნანა ჰქვია ამას და, აგერ, ამ მდინარის ტანივით მოთენთილი კამკამით უერთდება დედასამ-შობლოს. არაფერს ვაჭარბებ. შენ ნამდვილად მიაგენი ამ საგანძურს. მდიდარი გეტქმის გონიერი კაცის თვალსაწიერიდან, თუმცა კი დალაყუნებ ნიავივით ქესეტა. ჰოუნანა ატომური ენერგიისაა, ბიჭო! შეეშვი ყველაფერს. აგერ, ჩირგვებთან მკუთავ მაშვს ხომ ხედავ, რითაა ვითომ როკფელერზე ღარიბი?! მოიღერე ყელი და მინებდი უზენაეს ხმას. ეს ერთგვარი ბედისწერაც არის ჭირიმე. ჩემს გოდერძის უნდოდა მეგრული ლექსების წიგნის გამოცემა. მეც შემიჩიჩინეს რამდენიმე ზის, მაგრამ საორლობო ყოფამ ყოველთვის ხელიდან დამისხლტომია. ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, ეს ყულევი, ეს ტერმინალი, ეს დევნილობა, ეს ყოველდღიური რუტინა, ზედმეტი ბარგია ჰოუნანასათვის, ზეცი-ერმა რომ მიგვანიშნა. რას აპირებ ახლა? მოვა მანქანა, თუ აქვე გა-ათევ ღამეს?

— მანქანა არის, — ძლივს ამოვღერღავ ერთანად მონუსხული, — შენ თუ წერ რამეს?! ან იქნებ საგულდაგულოდ გვიმაღავ?!

— ვინ იცის გური, ვინ იცის! ჩემისთანა კაცის ცხოვრება ერთი კამკამა ჰოუნანაა, გნებავს ღარნაკი გიწოდებია მინდვრის ყვავილებით დაზ-ნეჭილი, ან კიდევ — ვარსკვლავების მარადიული ციმციმი თავად უმე-ტოქო იმანუელ კანტსაც რომ აცვიფრებს და ზნეობრივი კანონები—საწუთროს მეტი სიმძაფრით მოქანდაკე. აგერ, შენი ბატია ჯულუხიძეც (ზაზა კირთაძე). ე, ბიჭო, სად გარბიხარ?! არის უამრავი დაუსრულებელი განცდა — **ჩქიმე ქანაში მაფშალია, შხვაშე ქანაში ვაფურინა**. კიდევ რამ დენი სტრიქონი ფარფატებს აქ, — გულთან მიიდებს ხელს, ოცნებაში ორაგულივით ავუყვები ხობის წყლის მდინარებას და ჟამგამძლე ქვირითივით მოვამრავლებ ხვალ იქნება თუ ზეგ.

მეგობრის უკანასკნელ დღეებში გამოვა პოლიგრაფიულად სრულ ყოფილი „მეგრული პოეზია“,“ შეუდარებელი ქველმოქმედი ძმის, გოდერძი ბუკიას ხელდასხმით. უბრალოდ გოგი ვერ მოასწრებს ხელის შევლებას, რომელსაც ათწლეულებია უჩინარი სვეტივით მიაშენებდა ცისკენ — მარადიული სამყაროს გულთმისან მესაიდუმლოედ.

\*\*\*

წინდებულ წიგნს „პოუნანას“ დავარქმევ სახელად — კოლხური სამოქალაქო რეგალიებისა თუ საკრალური ცოდნის შემნახავ სალაროს, ბიბლიას, ვედებს, ყურანს.

ამ ლექსებს ვერც ჩასტუმრებს უწოდებ, ვეღარც — რობაიებს და ტანა-ხაიკუებს, თუმცა აზრისა და მოცულობის იშვიათი ტევადობით ენათესავენ კიდევ მათ. შაირის ნახევარი სრულიად საკმარისია ამ უმაგალითო ჯადო-მომნუსხველობისათვის. გაიელვებს ციციანთელასავით, იგივე მარწკინაიას მსგავსად, აიყოლიებს თანატოლების ამაღლას და ვარსკვლავიან ცას შეუნათესავენს დედასაქართველოსკენ წამოდინებული კოლხური სინამდვილის ბინდისპირულს.

\*\*\*

მა წვალეზას ვორექუნნი,  
თიშა გური მის აჩინე,  
თიცალი რე ჩქიმი გური,  
ითამ ყბურს მიშაჭინე.

\*\*\*

მე რომ გასაჭირში ვარ,  
იმას ვინლა მიუხვდება  
ისეთია ჩემი გული,  
ვითომ კერიას უმზერდე.

\*\*\*

აია რე, ბაია რე,  
ბაიაშე წორი თანაფა რე,  
ქირსე რე დო კალანდა რე,  
წყაქურთხია — დიდი დლა რე.

\*\*\*

აიაა, ბაიაა,  
ბაიას სწორზე აღდგომაა,  
ქრისტეშობა და კალანდაა,  
წყალკურთხევა დიდი დლეა.

\*\*\*

მესიშე ჭვემა ორქო რენ დო  
ივანობაშე — ვარჩხილია,  
კვირკეშე ჭვემა დულა რენ დო  
არგუსოში — დაჩხირია.

\*\*\*

მაისის წვიმა ოქროა და  
ივნისისა — ვერცხლი,  
ივლისის წვიმა მდულარეა  
და აგვისტოსი — ცეცხლი.

\*\*\*

ქოსხაპე ძღაბე, დოფიგურე,  
თეცალე სხაპუა სო დიგურე,  
აშო ქიმხვარჩალე, ვარა,  
ეგებ გვალო დოგიდურე.

\*\*\*

იცეკვე გოგოვ და იკუნტრუშე,  
ამისთანა ცეკვა საიდან ისწავლე,  
აქეთ მოგოგმანდი, თვარა,  
იქნებ სულაც მოგიკვდე.

***	***
საყვარელი მიწორდასია, ნანა, ჩქიმე თის ოკო დინორდასია, ნანა, კუჩხის ოკო მიბონდასია, ნანა, ხურხის ოკო მიჯუნდასია, ნანა.	შეყვარებული მიყვარდესო, ნანა, ჩემს ოჯახში უნდა ტრიალებდესო, ნანა, ფეხებს უნდა მბანდესო, ნანა ყელს უნდა მიკოცნიდესო, ნანა.
***	***
სქანგ დო ჩქიმი ყოროფასუ, აშენტირე დიდი გვალა, ი გვალაშა გინილინე, უკულე მუ ბქიმიან ვარა.	შენსა და ჩემს სიყვარულში ჩაეტევა დიდი გორა, იმა გორაკს გადაივლი მერე რა (ჭირი) ვქნა თორემ.
***	***
ცირა მუჭო ოსვისინა ეგებ გშურო ვარწანდე, იშენე ქიგორლუაფუდა სოდგა მიოკვანწანდე.	გოგო, როგორ ინაზები, იქნებ სულაც არ გწამდე, მაინც თავზე შემოგვევლე, სითყენ წალერწამწამდე.
***	***
გოლას ქუა მიკოძუნი, ზენიშე გიორგინაფალი, ძღაბის თოლი ელაძუნი, ბოშიშე გოდინაფალი.	მთაზე ქვა რომ აკოსია, ბარში ჩასაგორებელი, გოგო თვალს რომ აგრიალებს, ყმაწვილკაცის დასაღუბი.
***	***
ვაი, შური, საყვარელი, მუ კოჩი რე შაყარელი, აკას ფერი ვეგნოძუნი, ჩქიმე ცოროფილე ვაშარენი.	ვაი, სულე, საყვარელო, ხალხია შეკრებლილი, ფერი ერთსაც აღარ ადევს რომ არა ჩანს ჩემი სატრფო
***	***
გური შეწუხებულე მათუ, შური აკოკორობილი, ნიტე ართო ქოპუანი, მა დო ჩქიმი ცოროფილი.	გული შეწუხებული მაქვს, სული — ამომდინარი, ნეტავ ერთად გვამყოფა მე და ჩემი შეყვარებული.

\*\*\*

ცაცხუს ჯინს გითვობეჭე,  
ბორია მიქაქალუანს,  
ცოროფილიშგ ნარაგადა,  
გურცუ მიცხვანტალუანს.

\*\*\*

ოჩხომესი ჩხომი ბჭოფი,  
ოქულეს ღაჭაჭია,  
ბოშეფს ქუენურცხონაფუნა,  
საარშიყო ფაჭაჭია

\*\*\*

სქან ცოროფა მილუანს,  
ცუდეს ვამორინუას,  
სითუ მიგოცოთანსუ ღო  
მათი მუმოდინუანს.

\*\*\*

მა ღო ჩქიმი მაჭუალი,  
წორო ვორდით ამჭუანი,  
ასეთ ვაფშუ სოდე დობდვი,  
ნამ ხვარჩინგ ღო ნამ ჩუანი.

\*\*\*

ჭიჭე ორქო ქოპუას,  
ჯიბეს ქელმოკვაკუას,  
მუმ მამალას მიმეშორი,  
ნიტე შურო ვაპუას.

\*\*\*

ტანი მშვენიერი გილუ,  
ულა გიჩქუ სი სქვეერიში,  
ჭირი ქობლოლამუდასუ  
სქანი ჩელა კისერიში.

\*\*\*

ცაცხვის ძირას ვზივარ (და)  
მიქიქინებს ნიავი,  
შეყვარებულის ნამბობი  
კაკალ გულში მოუსვენრობს.

\*\*\*

სათევზაოში თევზი დავიჭირე,  
ჯილეებში კიბორჩხალა,  
ბიჭებს გადაუვარცხნიათ,  
სააშიკო ქოჩრები.

\*\*\*

შენი სიყვარული დამივლის  
შინ არაფრით მაჩერებს,  
შენც დაგლუპავს (იცოდე) და  
მეც დამაქვესკენელებს

\*\*\*

მე და ჩემი დამნაცრავი  
ერთად ვიყავით ამ დილით,  
ახლაც არ მახსოვს სად დავდგი  
რომელი ჩოგანი და რომელი ქვაბი.

\*\*\*

პატარა ოქრო მქნა  
ჯიბეში ჩამასკუპნა,  
რა მალისად მომშორდი,  
ნეტავი სულ არ მამყოფა.

\*\*\*

ტანი მშვენიერი გაქვს  
სიარული იცი შენ შველისა,  
ჭირი შემომყროდეს  
შენი თეთრონი ყელისა.

\*\*\*

მახა, მა სქანოთ კირიბი ვორდა,  
ირი გაჭირებაში გალუაფარი,  
მახა, მა სქანოთ სანთელი ვორდა,  
ხატიშგ წოხოლე ონდლულაფარი.

\*\*\*

მახა, მე შენთვის კრავი ვიყო  
ყოველი გასაჭირის შესაწირი,  
მახა, მე შენთვის სანთელი ვიყო,  
ხატის წინარე დასაღვენთი

\*\*\*

თიზმა გიძიკინუდას,  
მა სი მუზმა მონგარე,  
თქვან გურ დაქეჭებდას  
მუსხით ჩქიმი მონკარე.

\*\*\*

იმდენი გეცინოს  
მე შენ რამდენიც მატირე,  
თქვენი გული ამჩატებულებიყოს,  
რამდენადაც ჩემი შიძიმეა.

\*\*\*

სინჩხე მაფუ, ჩხურუ მაფუ,  
ლუმა ვადომრულუაფუ,  
მუშენია, ბკითხენტუ და  
გური გიშამქუნუაფუ.

\*\*\*

მესიცხება, მამცივნებს,  
წუხელ არ მიძინია,  
რატომაო თუკი მკითხავთ  
გული გადამიყოლებია.

\*\*\*

ვო, ბჟა, ვო, თუთა,  
ვო, ჩქიმი თამურია,  
წყარი რჩაო, ღვინი რჩაო,  
წყარიშგ მოლე დოირჩაო,  
ვო, ბჟა, ვო, თუთა.

\*\*\*

ჰო, მზევე, ჰო, მთვარევე,  
ჰოი, ჩემო თამურია,  
წყალი გასვა, ღვინო გასვა,  
წლების გაღმა გაგიშალო ლოგინი?!  
ჰო, მზევე, ჰო, მთვარევე.

ხედავთ, ოთხსტრიქონიანობა დაირღვა. ეს კანონიკური ახირებულობა თქვენი მონა-მორჩილისეულია, თორემ ზოგი მათგანი სამ-ოთხ ტაეპში ტკეპნის მიწას, ერთსა და იმავეს ღიღინებს გაფუჭებულ ფირფიტასავით. ჩვენ მიგვინიჭებია კონცენტრირებული მიზანსწრაფულობა. თავად სტრიქონის ოდენობა ლექსში გულუბრყვილობაა ახირებულ მათემატიკურ შეზღუდებს დავუქვემდებაროთ. სონეტის არტახები გასაგებია პოეტური ჭურჭლის მნიშვნელობით. იგივე ითქმის ტრიოლეტებზე, კანცონებზე, სხვა კანონიკურ სალექსო ფორმებზე, მაგრამ მეგრული ხალხური პოეზია ჯერ ხომ პირველყოფილი მშვენიერებით იფშვენეტს თვალებს, თვითნაბადი ბრწყინვალეობით თავმომწონეობს ოსტატის წინაშე, რომელსაც სულ მა-

ლე პიგმალიონის სხეულის სამშვენისად გადაადნობს შემოქმედი იგი. და  
თუ ამ კუთხით კვლავაც გავაგრძელებთ კვლევა-ძიებებს მეგრული ფოლ-  
კლორის კონტურების დასადგენად, ერთობ მოზრდილი ულუფა შემოგვე-  
გებება სულის საღაღობოდ და სათრეველად.

\*\*\*

ვოჯანუქ ჩქიმჯ ჯარგვალს,  
კარჯ კილერო, უმინჯურო,  
ქუმორთ ჟირი მაჭირხოლქგ,  
ღურჭუღესუ მხიარულო.  
ქიგმაშინჯ ცოროფილქგ,  
გურქ მიმაჭუ უგემურო,  
ცუღეს თეშგ მიღემგარქგ,  
მუჭო ჩქგჩქი უძუძურო.  
დობღური და დომინგარი,  
გომიტახი საფულე,  
სქანი ჭიჭე კუჩხეფითუ,  
დიხა ქიმნოჭაპულე.

\*\*\*

სერი რე დო ჩე გოლას,  
ამარჯ გურქუ გეკოლას,  
ჩქიმო თუთა ვათუთენს,  
ორთუმელშა მეხოლას,  
ცოროფილცუ ქუგურე,  
დუღშა მუთუნ ველოლას.

\*\*\*

ვარდისუ დო ქუჭელესუ,  
წორო ნოდვედესუ ბინა,  
ვარდის ჯუნა ქოხვადუღდა,  
ქუჭელესუ — მიკოჯინა?  
ჟირიხოლო მაფალუ რე  
განგებაში ენარჩქინა,  
მუშგ ნაგორა მუს ცუნსგნი,  
ბედნიერი ორე თინა.

\*\*\*

ვწევარ ჩემს ძელურში,  
კარდახშული, უპატრონო  
მოფრინდა ორი მერცხალი,  
იჭიკჭიკეს მხიარულად.  
გამახსენდა შეყვარებული,  
გული მომეწვა უსიამოდ  
სახლში ისე ესტირივარ,  
როგორც ჩვილი უძუძური.  
თოკი მოგკვდე დამიტირე,  
გამითხარე სამარე,  
შენი პაწა ფეხებით,  
მიწა დამატკეპნე (ზედ).

\*\*\*

ღამეა და თეთრ მთაზე  
აგერ, გული ამოვარდეს,  
ჩემთვის მთვარე არ მთვარობს,  
სასთუმალთან მეახლოს.  
შეყვარებულს ვამსგავსე,  
თავს არაფერი აუხიროს.

\*\*\*

ვარდსა და ჭინჭარს  
რთად ჰქონოდათ ბინა,  
ვარდს ალერსი თუ ხვდებოდა  
ჭინჭარს — შემოხედვაც არა?!  
ორივე მოყვავილეა  
განგებისგან დანაბადი,  
თავისი გამორჩეული რომ მიჰყავს  
ბედნიერებაა, დიხაც.

\*\*\*

ირი ქიანა დომილებუ,  
ზესქვიშგ სქუა — მარვეშენი,  
ბოში დუდი მუს მორწონსუ,  
ჩე ქილა დო ღარტიშენი,  
თინათ შხვასუ უჩუქებუ,  
მუში უურის მარდიშენი.

\*\*\*

ყოველი ქვეყანა მომივლია,  
შაშვის შვილი — მარვეს გამო,  
ბიჭო თავი რისთვის მოგაქვს  
თეთრ მასრის და ჩოხის გამო,  
ისიც სხვას რომ უჩუქნია,  
თავისი სულის სამადლოდ.

\*\*\*

იშო ძღაბი დიკონით,  
ჯამკაკალი კიკონით,  
თქვა ბოშეფსგ მი მერჩანა,  
ბადიდეფი დიგორით.  
დუდი ტყურათ მოიღუნა,  
მოკონით დო მიკონით,  
ორთუმელშახე ქეთიდვით,  
სისმარეფსუ დიჯონით,  
ვარა დუსუ მეხვარით დო  
დროშე მიდტირჯონით.

\*\*\*

გოგოვ, იქით გაიწიევ,  
კიკნეთ თუთის ნაყოფი,  
თავი ტყუილად მოგაქვთ,  
მიხვრა-მოხვრით, იერით,  
თავქვეშ ხელი ამოიდვით,  
შემყუდროვდით სიზმრებში,  
ან რამეფრად თავს უშველეთ,  
დროზე გადატლიკინდით.

\*\*\*

ართი ჯღორი ქობუნსუ,  
გერშა უგუნაფოლე,  
მიდგარენქგ გომიზაკვუ,  
ქომიჭკუმუნს ნათოლე.  
კიბირს ორისინუანს,  
ხორცი მეუნჭაფოლე,  
ბების ღუმუვემნაზუე,  
ბაბუს ჩოგანჯვათოლე,  
ოში ვერსი მიდებუნჯდო  
სინჯას გემნუჯათოლე.

\*\*\*

ერთი ძალი მაბადია,  
ნაფეხური მგელს უგავს,  
ვინ ტიალმა გამიჩხიბა  
მოინელა ავთვალმა.  
კბილებს დააბზიანებს და  
მივუსწრაფებ შეჭამადს,  
ბებოს ღომი ვერ უზელავს,  
ბაბუ ჩოგანს ველარ თლის,  
ასი ვერსი ვავთრიე და  
სიძეს ვუბედნიერე.

\*\*\*

სინჯა მურსია, მოზოჯუნსია,  
სინჯაშგ ნაბადი მოქოსუნსია.  
სინჯაშგ ცხენია, ჭკოლა რენია,  
ონანგერია — ხანტურელია.

\*\*\*

სიძე მოდისო, მობრძანდებო,  
სიძის ნაბადი მოითრევაო,  
სიძის ცხენიო ერთობ მჭლეაო,  
უნაგირიო — მოხატულიო.

დიანთელია რაგადანცია:  
— სინჯას მუ ბჩათგ მა ლურელია.  
მუანთელია რაგადანცია:  
— ტარან ბჩათგ დო მუში წვენია.  
ცირა თეესი რაგადანცია:  
— თხა დუცვილათგ ამუსერია,  
ჩქიმი ქომონჯი ნაგურეფი რე,  
აფიცერი რე, მაიერია.  
პაპუ ყებურშა მეჩოჩუნსია:  
— სინჯაშგ ოშმეში მოჭვამ მუნსია.

სიდერი ამას ლაპარაკობსო:  
— სიძეს რით დავხვდეთ, მე სამიწეო,  
სიმამრი ამას ლაპარაკობსო:  
— ტარანი ჭამოს თავის წვენითო.  
ასული ამას ლაპარაკობსო:  
— თხა დავუკლათო ამაღმეო,  
ჩემი მეუღლე ნასწავლი გახლავთ,  
ოფიცერია, მაიორიო.  
ბაბუ ბუხრისკენ მიჩერჩეტობსო:  
— სიძის უღვაში კრუხის უკანალს!

\*\*\*

ართე ცოროფილგ მათ ქობუნსუ,  
გურშა მიხუტოლუნსუ,  
მა სოთინი მიდაბრთი და,  
შხვასუ ქიმიჭანუნსუ,  
ჩქიმგ საფულეს ტახუნდანი,  
თითგ ოხვარუ თხორუასუ,  
ქიანას ოსურქგოჭყორდუ და,  
თიმწკმა ქუმომგორუნსუ.

\*\*\*

ერთი სატროფო მენაც მყავს,  
კაკალ გულში ჩამიკონებს,  
თუკი სადმე გავეშურე,  
ვინმე ტიალს უხმობს მყისვე.  
ოდეს თხრიდნენ ჩემს სამარეს,  
ისიც ხელებს მიაშველებს,  
თუკი ქვეყნად ქალი გაწყდა,  
მომიკითხავს მხოლოდ მაშინ.

\*\*\*

აშო ბოში, ცალაია,  
სი ჩქიმგ ოქღვარტალაია,  
სქანგ მენდულუცუ მუშო მოკო,  
ქარვასლა დო სარაია,  
სი სქანგ ნაბადგ მალეჯუმე,  
მა მალევენუ დარაია,  
ვართგ ზოთონჯი მეცილებნა,  
ვართგ კვირკეში ჩხანაია.

\*\*\*

აქეთ, ბიჭო, შფოთისთავო,  
შენ ჩემო ტანშხვართო,  
შენს მოიმედეს რისთვის მინდა  
ქარვასლა და ბოხმანი,  
შენ შენი ნაბადი წამოიყოლე,  
მე მექნება დარაია,  
არც ზამთარი დაგვაკლებს რამეს,  
არალრც ივლისის ხვატი.

\*\*\*

ვოისარაიდა, ვარალო,  
სი მართალო სარალო,  
ჩქიმი დუდი ქიმერჩას,  
ლურიშგ მიოსვარალო.

\*\*\*

ვოისარადა ვარალო,  
შენ ნამდვილად საბრალოვ,  
ჩემი თავი გაღირსა  
ძილის მისათლეღად.

სი ღობჭვი დო სი ღობხალი,  
სი რე მომიკიონტე,  
ირკოჩე თესუ მირაგადგ:  
თე ცოროფა მიოტე.  
მარა ენა ვემმატებე,  
შური მიდგუ დიოდე,  
მალას ქომიძირუდას,  
ხასლას ელმაფიორდე.

შენ დამწვი და შენ დამდაგე,  
შენ დამასხი თავს რეტი,  
ყველა ამას მეუბნება  
ეს სიყვარული დააგდე.  
მაგრამ ამას ვერ ვეხსნები,  
სული მიდგას სანამდის,,  
(ნეტავ) მალე მენახოს  
გვერდით დაფოფინებდე.

ვგონებ ემარა კრიალოსნის მარცვლა. სანამ ჩვენს თითებს ქარვის სიყვით-  
ლე მისძალებია, შედარებით გულწამლები სტრიქონებისაკენ გადავეშვათ.

\*\*\*

ჩქიმი ცოდა უღუდასუ,  
მიდგაშე დაჩხირე მა ბჭუნსგნი,  
ნანა, მუში მანწარა რე,  
გიცორსუ დო ვარცუნსგნი,  
ხოლო უფრაშე თინა ორე,  
ელუქუ დო ვამურსგნი.  
გვალო დუდიშ ოჯილარი,  
კისერს ნტყოლუნს ხამუსგნი —  
შხვამ ცებურს რე მიკოსქვილი,  
მოჭვაცალო ვალუნსგნი,  
კანკაღეშა ტუს იხვატუნს,  
თოფურ ხვადუდ ნამუსგნი,  
არკვანს ძალით უკვანწუნს,  
მუშოთ იჩილამურსგნი.

\*\*\*

ჩემი ცოდვა ჰქონოდეს,  
ვისი ცეცხლიც მე მდაგავს,  
დედა, რაოდენ მწარეა,  
გიყვარდეს და აღარ გყავდეს,  
კიდევ უარესი ის არის,  
რომ ელი და აღარ მოდის,  
სულაც თავის მოსაკლავი,  
ყელში დანას რომ დაფლავს.—  
სხვის კერას ხარ მიჯაჭვული,  
კრუხივით რომ ქოთქოთებს,  
შიგადაშიგ ტუჩებს იკვინტს,  
თაფლი ხვდებოდა რომელსაც,  
აკვანს ძალით მიმოარწევს,  
თავისთვის იცრემლება.

\*\*\*

მუჟამს იხი შერენსგ დო  
ზღვა დო გვალას აკათუნი,  
მეხი კირდეს ონდლულუნს  
დო ზღვას კართე აკართუნი.  
მუჟამს კონკა დიხას წაწუ,  
რობუს ნოცორგ აკარდუნი,  
მუჟამს ქუა ზღვას ენოძუ,  
შონური დო ლაკადური.  
მუჟამს სქუა ეირჩქინდუ დო

\*\*\*

როცა ქარი გიჟმაჟობს და  
ზღვას და კლდეებს შეერევა,  
მეხი კლდეებს ადნობს  
და ზღვას კალთები ეკეცება,  
როცა კენწერო მიწამდე დახრილა,  
უფსკრულს პირი ა ამოქოლება,  
როცა ლოდი ზღვაში აგდია,  
სვანეთისა და მთიანეთის,  
როცა შვილი გიჩნდება და

ლიმუაშოთ ვაგარდუნი,  
 მუჟამს ჟინცა ჟინცა ვარე,  
 თუთას მურიცხვ ვაქარგუნი,  
 მუჟამს თოღეფვ ჩილამურიშ  
 ძიაძიათ მახარგუნი,  
 მუჟამს დიდაქ ვამანთხორ დო  
 მუჟამს მუმაქ ვამარგუნი,  
 სი სო რგორა მა თე დროსვ,  
 ვარა ხუჯვ მუთვ ვამართუნი,  
 ხუცვ თიმწკუმა მისქვამენქო,  
 მუჟამს რინაქ გამათუნი?!

\*\*\*

ირფელვ მოსალოდნელი რე  
 კოც ღურაშა მოხვადას,  
 მარა ოკო ვაშქურნას დო  
 ქომოლურო დოხვადას,  
 ცხენვ თოხარიკვ ქორცუნსვ და  
 საღარვ რდას დო ნოღა რდას,  
 თუღო რობუ ეთგობდას,  
 ოღონს ჟიშე ბოგა რდას,  
 ჩხორო ღურუ რძირძონდას,  
 ოღონს თელა გოხვარდას,  
 ცროფილი ქორცუნსუ და  
 შარა ჩალამ-თორსა რდას,  
 დუცუ ჰკუა ქორდასვ დო  
 თუმაშენი ქორსა რდას.

\*\*\*

მუჟამიშა უჩა ბედი,  
 მა თაშვ გილამცუნანქუნი,  
 უკულვ რენო მაკეთენქვინ,  
 ხესი ქეშგოღინუქუნი.  
 მუს გიჩირთი ქომიზოჯი,  
 მუს რე გიღმონდურუქუნი,  
 ჰკვერშე ხვადუ პატიება,  
 მეჩირთასი ცურუქუნი.  
 აკა მუთუნ ჯგირ ქომუჩი,

ომისათვის აღარ გეზრდება,  
 როცა ზეცა ზეცა არ არის  
 მთვარეს ვარსკლავი არ ქარგავს,  
 როცა თვალები ცრემლის  
 მძივებისგან იტვირთება.  
 როცა დედა ვერ დავმარხე,  
 როცა მამა ვერ ვიგლოვე,  
 შენ სად გეძებო მე ასეთ დროს,  
 ან მხარი როგორ არ ამექცევა,  
 მხარს მაშინლა დამიმშვენებ,  
 როცა ყოფნამ მომითავა?!

\*\*\*

ყველაფერი მოსალოდნელია  
 კაცს სიკვდილამდე შეემთხვეს,  
 მაგრამ უნდა არ შეშინდეს  
 და ვაჟკაცურად დახვდეს.  
 ცხენი თოხარიკი იყოს და  
 გინდ საღარი იყოს, გინდა ნოღა,  
 ქვემოთ უფსკრული გეფინოს,  
 ოღონდაც ზემოდან ხიდი გედგას.  
 ცხრა სიკვდილი გძიძგნიდეს,  
 ოღონდაც სიცოცხლე გწყალობდეს,  
 თუკი შეფარებული გაგაჩნია,  
 გზა გნებავს ტალახიანი გედოს,  
 თავში ჰკუა იყოს და  
 თმისა მხრივ მელოტი იყოს.

\*\*\*

როდემდინა შავო ბედო,  
 ასრერიგად მატარებ,  
 შემდეგაა ამაშენებ  
 ხელში როს ჩაგადნები.  
 ბრძანე, იქნებ ვერ მიგიხვდი,  
 ნეტავ რაღას მემდური,  
 ჰკვიანისგან ხვდება პატიება  
 რომ შეეშალოს უცოდინარს.  
 ერთი რაიმე კარგი მომეცი,

ბ უ რ ი ო ტ ო ბ ა ნ ი ა

უსამართო ვარეჭუდა,  
ქომუჩი დო მიდამილი,  
ჯგირო ვემიბხვარენქუნდა.  
მიმაჩამალგ, მიდმაღალარგ  
ეგებ შხვა დო შხვა რეჭუდა,  
ჟირიხლოქ დომილური,  
ჩქიმო აკა ვარეჭუდა.

უსამართლო რომ არ იყო,  
მომეცი და კვლავ წამართვი,  
კარგად თუ ვერ მოვიხმარე.  
მომნიჭებელ, წამრთმეველი  
იქნებ სხვადასხვა იყო,  
ორივე ნუ მომიკვდებით  
ჩემთვის ერთიც რომ არ იყო.

\*\*\*

ნათქუელგ რე ყორანი ყორანს  
თოლს დღას ველუღანსია,  
ჯოღორგ ჯოღორიშგ ტყებისუ  
ვასვატუნსუ დღასია.  
ხუც ქიმეჩანს ჯიმა ჯიმას  
და ქელუღორთ დასია,  
მარა ჩქიმო მითინ ვარე,  
ქიბშქვიდუდე წყარსია.  
ართგ ძვალგ მიშაბძგ უბედური,  
ბრალგ ვოულუ შხვასია,  
თისგთ გეიშამღანდანინი,  
გომჩურუნდი ზღვასია.

\*\*\*

თქმულა: ყორანი ყორანს  
თვალს არასდროს ამოთხრისო,  
ძალლი ძალლის ტყავს  
აღარასდროს დაგლეჯსო,  
მხარს მისცემსო ძმა ძმას,  
და ამოუდგება დასო,  
მაგრამ ჩემთვის არავინაა,  
რომ ვიხრჩობოდე წყალში.  
ერთი ძვალი მაქვს უბედური  
ბრალი არა აქვს სხვას,  
იმასაც რომ ამომაცლიდნენ,  
გადავცურავდი ზღვას.

ჭამა მადაში მოდის. შევჩერდეთ თუ განვაგრძობთ სვლა მეგრული ხალხური პოეზიის სიანკარისკენ? ორიოდე შტრიხიც დაგვრჩა წარმოსაჩენი და იმედია, თვინიერი, უკეთ, გულისხმიერი მკითხველი, ამასაც მოგვიტევენს. გვიხსენებია ამ ლექსებისათვის დამახასიათებელი მოტორული საზომი შაირია, მაგრამ თავად შაირობას, კაფიაობას ერთ-ერთი წამყვანი ძალა ასაზრდოებს სხეულის სხარტულობის წარმოსაჩენად — ენამოსწრებუ ლეება შეწყვილებია პოეტურ აღმაფრენას, სიტყვისგების ფენომენს. რითმებით კენჭაობა და ბწყარებით ფარიკაობა ანაპერწყლებს ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს:

**მაყარე**

— დუდმაყარე გოხოლუქ,  
საბაია ბარღეფული,  
ხვალე მობრთინჯ ვაიჩქუდას,  
ართო ვორეთ არყებული.

**მაყარი**

— მეწინავე მაყარი ვარ  
საბაია ბარღებელი,  
ნუ გგონია მარტო მოველ,  
ერთიანად გეახელით.

**მენძელი**

— ვითი ხოჯი დოიცივლით დო  
ხოლო ვარე ბაღებული.  
არძა ართათ მუს მიშით,  
დუდგ რჯოფუნა არდებული.

**მასპინძელი**

— ათი ხარი დავკალი და  
კიდევ არაა კმარებული,  
ერთიანად რომ მესტუმრეთ,  
თავაგდებული ბრძანებულხართ.

**ქვერი**

— მუში დროს საჭირო რე,  
ქოთჯ დაჩხირი, ქოთი სპიჩკა,  
ვარა სქვერი ქოიძირუნო,  
რჩინჯ გერიში მუნაქინჩა,  
ხუმლა ცვალი ქოჯოფენო,  
უკიბირეშე მიკნასქინჩა,  
მაფშალიათ ვეგმოდორთუ  
გიჩქუდასუ გოლურ სკვინჩა.

**ქვერი**

— თავის დროზე საჭიროა  
კიდევ ცეცხლი, კიდევ ასანთი,  
ანდა შველი ვის უნახავს  
ბებერი მგლის დანაგლეჯი.  
ხმელი ყველი სად სმენილა  
უკბილოსგან მონაკბეჩი,  
იადონად ვერ ივარგებს  
რომ იცოდე მთის სკვიჩა.

**კაბა**

— სპიჩკა-დაჩხირჯ საჭირო რენ,  
ენა მის რე ვაუჩქუნი,  
რჩინუ გერქუ, ბირგულამქუ,  
ქომძირჯ სქვერი დოქინჩუნი,  
ხუმლა ცვალი უკიბირექ —  
დალიბორჯ დო დოსქინჩუნი,  
გოლურჯ კვინჩაქ მაფშალია —  
ოჭოფუ დო დოჩიჩუნი.

**კაბა**

— ასანთ-ცეცხლი რომ გვჭირია  
ეს რომელმა აღარ უწყის,  
ბებერი მგლის, მუხლიანის,  
მახსოვს შველი დანაგლეჯი.  
ხმელი ყველი უკბილოსგან  
დარბილებულ-ჩანაკბეჩი,  
მთის სკვიჩა იადონი —  
რომ შეიპყრო და დაჩინჩლა.

აღბათ, მისახვედრებელია, საუბარი საითკენაც მიმყავს. იტყვიან ხოლმე:  
ფოლკლორიო, ხალხური პოეზიაო, იმას კი ვივიწყებთ, რომ ამ კრები-

თობის, ამ ამორფული ინდივიდუალობის შემმუსვრელი გაურკვევლობის მიღმა, კაშკაშებენ ვარსკვლავებივით რეალური პიროვნებანი, რომელთაც მერე და მერე წუთისოფლის მსახვრალი ხელი დიდის მონდომებით მოაყრის ხოლმე დავიწყების ხენეშ ქვიშა-ხერგილებს. კაკა ყვანია ისეთივე საღსალამათი პიროვნებაა მეგრული პოეზიისათვის, როგორც — იაკობ აკობია, ლადი სალაყია, დიდი დანიელ ფიფია, თუ სულაც ახლახან აღმოცენებული მათი შთამომავლობა. ავტორობის წინასწარ დავიწყებისთვის განწირულ სტრიქონებს გულმოდგინებით დაჰფოფინებენ ისინი და წამითაც არ ეპუებიან ბორჯალთა მომაკვდინებელ ჩაქუჩებს სამზეოზე ამოტივტივების ჟამს. ეს ხალხი ძალზე ცოტაა, სხვადასხვა ხელწერის, სხვადასხვა ტემპერამენტის თუ პოეტური ბიოგრაფიის:

**მურთაზ ჩახაგა** ღვთიურ გზას გაჰყვა, ეპისკოპოსია, იოანე-იონად წოდებული, მაგრამ უფაქიზესი ლირიკით იმთავითვე მოხიბლა პოეზიის მოყვარული ათასობით გული. ხალხური წილიდან ამონაზარდია მისი სიმღერა, შაირის დიაპაზონის და მაინც კონტრაპუნქტივით ცვლადი დოდან დომდე.

**შუკო ჯიქია** პროფესიონალი პოეტია. რომანის ავტორი. სიტყვის ძარღვიან მაჯისცემას დადარაჯებული, საკუთარი კუთხე-კუნჭულის მეციხოვნე და, ალბათ, შეუდარებელიც სხარტულებით, კაფიებთ, ფუნაგორიებითა თუ ფერწერული მიმართებით სტრიქონ-სტრიქონ. ჩვენც გავშიარებივართ ერთიმეორეს სიჭარმაცის წლებში, რომელსაც სანახევროდ მაინც იხილავთ „ოქროს საწმისის“ წინდებულ გამოცემაში. აქ დამატებით შეიძლება გაცხადდეს, რომ შუკო ჯიქია თავისი პოეტური პლასტიტით დანიელ ფიფიას პირდაპირი ჩამომავალია, ამ მართლაცდა თვითნაბადი პოეტის შეუდარებელი პოპულიზატორი და თავადაც იშვიათად გამოგვიძერწავს ხოლმე ოქროსხმულ სტრიქონებს.

**ლაშა გახარია** წერილის დასაწყისში დაბეჭდილი „ხოჯგორიას“ ავტორის, კაპიტონის, ვაჟია, პოეზიის მადლსა და სიჯიუტეს დაჭიდებული მოთმინებით. ცაბაოთთან მარკინალი იაკობივით გააქვს წუთისოფელი და მაინც კმაყოფილია, ნეტარი, ვინაიდან დარწმუნებულია: ვერაფრით შემოვიდოდა ჩვენში დუ ფუ, ბო ძი უი, ხე ჯი ჯანი, ჰაფეზი, პუშკინი, ლონგფელო, თუ სხვანი და სხვანი, რომ არა მთარგმნელობითი პრაქტიკა; ლექსის გადატანა ერთი ენიდან მეორეზე ფრიად უმადური შრომაა ათადან და ბაბადან მოყოლებული (თვალ-საჩინოების მიზნით ამას ქვემოთ „ოქროს საწმისის“ ერთ-ერთი ლექსის, „მშვილდ-ისრის“, თარგმანით გაგიაშკარავებთ უფრო ხელშესახებად), აქსიომაა: არსებობს დიდი და პატარა ენის ბაჯაღლო პოეტი და მათ შორის სასწორის პინის მერყობას სრულებით ვერ დაეჭომაგება მილიარდზე მეტი ჩინეთი თუ მილიონზე

ნაკლები სამეგრელო; მარ- თლაც, საცოდაობაა გენიოსებს შორის საზღვრის დადგენა მათი ლიტერატურული მემკვიდრეობით. გენია ყველგან გენიაა. უდაბნოშიც ძალუმს მას ძალუმად იხეთქოს მიკროოაზისის შესაქმნელად. და ცოტაა განა ყოველივე გრანდიოზული ხრიოკი ქვიშის დაოკების გზაზე?

ლაშა გახარია ტელეფონიდან მიკითხავს ხოლმე სულისშემძვრელ სტრიქონებს. ამას წინათ პოეზიის საღამო გამართა უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში, ჩვენი პოეტური ნათლობის კათედრიდან, მაგრამ ვირწმუნე, ძუძუნეზე მას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, რომ არა ზოგადეროვნული მწერლობის შიში: **შესუდეთ, ქართული ენის მოდალატე! ქართული ენის მტერი!** ეს განცდა თითქმის ყველა დამწყებ თუ დაბეზრებულ პოეტს თრგუნავს ჩვენი კუთხიდან, მხოლოდ თქვენს მონა-მორჩილს გადაულახავს იგი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულანთებულს; იმის რწმენით, რომ ჩინელისთვის, არაბისთვის თუ ბრიტანელისთვის უმნიშვნელოა რომელი კუთხის კილოკავით იფერციაგებს მისთვის სათარგმნელი მასალა: ქართლურით, კახურით, ფშავ-ხევსურულით, სვანურით თუ სულაც — მეგრულით; მთავარია, რომ ეს პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე „ქართულის“, დიახ, „ქართულის“ იმიჯით გავა, როგორც ეს აქამდე მოხდენილა ჩვენი ფოლკლორული ანსამბლების ჩადოქრობით. მსოფლიო მაყურებლისთვის განურჩეველია „ლილეოს“, „ოდოიას“, „მრავალქამიერის“, „ხასანბეგურას“, თუ „კრიმანჭულის“ სიტყვიერი ბაზისი. მისთვის თავად უანკარესი დედაქართულიც დახურულია. ერთადერთი პოლიფონიის შეუდარებელი ჰარმონიულობით მონუსხულა და პარალელს თუ ვავლებთ დასახელებულ ფენომენტთან, აქ ოდენ ადგილი შეეცვლება თავად პოეტურობის მადლს, თავად სიტყვის გენიის თავისებურებებს, რომელიც მათემატიკური სიზუსტით გადადის ერთი ენიდან მეორეში ჰომეროსის ჰეგზამეტრული აზროვნების შესატყვისად. ამიტომაც მიმაჩნია პოეზიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს თავად პოეტურობას, ხორცის ამოტანას გულიდან; ეს უმთავრესია ლექსისთვის, ვინაიდან გნებავთ უიშვიათესი რიტმისა და რითმის ჯეჯიმები, ბრდღუნად უვარგისი ჩიტის ბადალია თარგმნისას. ესეც რომ არა, გასათვალისწინებელია ბალადათა საშვილიშვილო ტრადიცია და ვაჟას განუმეორებელი პალიტრა: ეპიკური მასალის შეწნეხვა ლირიზმთან. ამდენი იმისთვისაც გვისაუბრია პოეტ ლაშა გახარიას ინდივიდუალურ სულთაფენაზე, რომ კარგა ხანია იგი ეპიკურ პოემას ეჭიდება, თანაც — მეგრულით, ესოდენ ჯვარცმულით და თავგადაკლულით ზოგადეროვნული ცნობიერების დასამკვიდრებლად. რამდენჯერმე შევეხმიანები ტელეფონით. სასურველი ნიმუშების მოპოვებას ვცდილობ. იმედია, სანთელ-

საკმეველი თავის გზას ეწევა; და კიდევ ჩემს ხელთ არსებული **თენგიზ ფეტყლაგას** და **გვანჯი სიჭინავას** სტრიქონები. აჰა, პოეტური საქმოს ხუთეული სამეგრელოდან, გიგანტი კოლხეთის ნაწყვეტი შურობუმუ-დან, რომელსაც ბალავრობის უპრეცედენტო ფუნქცია უკისრია უკვდავი საქართველოს მშენებლობის გზაზე, თუმცა უმჯობესია თავად ავტორებს დაუვადოთ ყური:

**მ უ რ თ ა ზ ჩ ა ხ ა მ ა**

\*\*\*

დიისერგ უსერეთ,  
ცა გიორე ონგარე დღას,  
ქარე იმბარს დო ფურცელეფს,  
ევრე-ავრე ოფართხანს.  
გოვალე თოლონჭეს,  
ცაქ გიხირიტ საბჟალეს,  
შქურნაფილე ტორონჯეფე  
გვალა გეგნიტკარჩალეს.  
სო იდი დო სო ფურინი,  
სო იდი დო სო ფურინი,  
ქარწყქ მუჭო დობღურინი,  
ნიტე ღურელე ქოპუნინი.  
გურქ ეკომცუ ქუმუცალო,  
თოლეფქ ემაფშე ვალუას,  
მუ გურზუ დო მუ მუცადუ  
ჩხანაშე გითოფალუას.

\*\*\*

დაღამდა უღამოდ  
ცა დანათის გლოვის ჟამს,  
ქარი ქოლავს და ფოთლებს  
აქეთ-იქით მიმოყრის.  
გაიელვა თვალსაწიერზე,  
ცა გაირღვა სამზეოში,  
დამფრთხალმა მტრედებმა,  
მთაზე გადაიტკრიციალეს.  
სად წახველ და სად გაფრინდი,  
სად წახველ და სად გაფრინდი,  
ხედავ რარიგად მოგიკვდი,  
ნეტავ მართლაც მკვდარი ვიყო.  
გული დაიფშვნა ქუმელივით,  
თვალი ამევსო ელ-ჭექით,  
რა გაუძლებს და რა მოუცდის,  
დარის გამოფოთლებას.

**ლ ა შ ა ბ ა ხ ა რ ი ა**

**ი რ ი ა თ ო ნ ი**

სა-ოჰმარეს ზესქვე გილახე,  
სა-ონჯუას — მეღადღური,  
სქანე ოსქვებურქ ვამათქუნი,  
კოჩქ თაშე მუჭო ალაბღური?!

რტო-დილაზე შაშვი ზის,  
რტო-საღამოზე — მოღადღური,  
შენი საკადრისი რომ ვერ ვთქვი,  
კაცი ასრერიგად როგორ მოკვდი?!

ვართ მასჭურო ეშმოღ შურქუ,  
ქიგნორქუე თუმასგნი:  
სქანგ უჯგუშო მის უჩქ, ცაშა  
მუ მეულუ კუმასგნი...

არც მასჭურად ამომხდა სული,  
გადაგიქროლო თმაზე,  
შენზე უკეთ ვინლა უწყის  
რანი მიაქვს ზეცად კვამლს...

ნარღიშგ ეს გილაჯონგქ  
პირსელიში მუმულჯგუა,  
გინაჯია სამარგალოს —  
ჯგირობუას უკუჩხუა.  
ირკოჩიში მენძელი რექ,  
გონჯღორუ სუმარუა,  
ნჭყოლირგ გურიშგ ლეცერი რექ  
ღურუს ცურუს უვარუა.

ნადვლის რტოზე დავანებულხარ  
ნათლიმამის მამალივით,  
განაკივლები სამეგრელოს —  
საკეთეს მეკვლეობ.  
ყველასი მასპინძელი ხარ,  
გეხამუშება სტუმრობა,  
დაჭრილი გულის მალამო ხარ,  
სიკვდილს სუროს უკუაყრი.

სქანგ წყურგილეფგ ვამკოროცხ,  
ჩხორო რე, ვარ... ვითოჩხორო,  
გურშე მუთი მორფუნცუნი —  
თის მეუხეხექ ქვიტორგ ჩხომო.  
ანწგ ვარენო ქომკითხენქ და  
ქიგლულგ, ქიგლებლანთირუქ...  
ოში ქიანა მიბლი, მარა  
ნამთინიშა ვამთირუქ.

შენი წყაროები არ დამითვლია,  
ცხრა არის თუ ცხრამეტი,  
გულიდან რაც აღმოსკდება —  
იმას ვეკვირ ქვირით-თევზად.  
აწი თუკი მომიკითხავ,  
დავალ და დავეთრევი,  
ასი ქვეყანა მოვლიე,  
ერთზეც არ გამიცვლიხარ.

რუმე სერიშგ ლანდღვე თოლც  
თუთაქ სინთე ქალაჭვალგ,  
ჭველეფქ ნირსი გეგნირცხონეს,  
მურიცხეფი იჭვარჭვალგ  
ჭილამგნეძიქ გამკოლგ დო  
სურუმ ქუას გიკაჭალგ,  
აურე ხობწყარგ მოშინთანც,  
ეურე მაფერგ მიკვაჭალგ.

მრუმე ღამის მღვრიე თვალს  
მთვარემ შუქი ჩაწველა,  
თქმელამ ნისლი გადივარცხნა,  
ციმციმებენ მთიები,  
ჩამოვარდა კაკალი  
და სიბჭვაზე გაკროლდა,  
აქეთ ქშუის ხობწყალი,  
იქით როკავს მაფერი.

სოფელც კამაცალო ლურცგ  
ელვოჯინექ აკანგ ცას,  
წიწინაფილგ ჩაფლა ლულის  
ბერწულგ ათაკარკაცანც.

სოფელი თვლემს კამასავით,  
ზეავხედავ ცის თავანს,  
ლელვებს გადამწიფებულთ  
ბროწეული შესცინის.

ლტობანი

თუთარჩელა მუნმოქუნცუ,  
თოღმეთხოზნაკვაცას;  
დია, მუ რე თე ბუნება —  
ირფელცემუქო დაკვანწანს?!

თუთარჩელა მახურავს და  
თვალი მისდევს დანაკვესს,  
ნეტავ რაა ეს ბუნება —  
ვით დააწყობს ყოვლიარს?!

ბური

ლანჯეფი დო თხუმუეფი  
ოჯალეშით გონაბადე,  
მალას მაჭარგგობორდიშანც —  
ბრელგბორულიშგმორაგადე,  
გედგ შქირენი, თე ტაბაკი  
ჯგირგდო სქვამით მორაბადე;  
გაკოკურცხითგჯიმალეფი,  
დომხვამითი ოდაბადე!

თელეები და მურყანები  
ოჯალეშით დანაბდულა,  
დაბოდებს მალე მაჭარს —  
დაბევრ შტერულს ირატრატებს.  
წამოდექი შიმშილო და  
ტაბლაგაავსე პირთამდე,  
გაიღვიძეთ ძმობილებო,  
დამილოცეთ საბადისი.

თენარდუო ჩქიმჯსიზმარი —  
თოღც აღმაფაფუდუნნი,  
ტყაშგმაფაშინირსი თუმა  
ანთას ფათი ფართხუნდუნნი,  
ოჩოკოჩიშგჩილამური  
ირფელც უჩათ დაფუნდუნნი,  
დიაჩქიმიშგწირწინუა  
სოფელც აკმოკათუნდუნნი?!

ეგი იყო ჩემი ზმანა  
თვალში რომ მიცრიატებდა,  
ტყაშ მათათა ნისლ-დალალი  
რომ მხლართავდა ათასკეცად,  
ოჩოკოჩის ცრემლის ღვარი  
შავად თხვრიდა ყოველივეს,  
დედაჩემის შეკვივლება  
თავს უყრიდა დიდ-პატარას.

ბაღანობას ლაკვანჩირემც  
ართიანცგქიმვოჩინჩხოლანდი,  
ნოცეცხელი გოცენდგნი —  
თიზმა ფარას იფხონანდი,  
უკულგ ბზოჯენდგ დიდ დადია —  
ორქო-ვარჩხილს გიფხომანდი  
დო თეჯგუა ჭყოლოფაშენგ,  
ღორონთგ, მარდის გიჯღონანდი...

ბავშვობისას მუგუზლებით  
ერთურთს შევუჩინჩინებდი,  
ნაპერწკლები რაც ცვიოდა  
ვინატრიდი ფულს იმოდენს,  
მერე ვიყავ დიდ-თავადი —  
ოქრო-ვერცხლში ვბანაობდი  
და ამგვარი წყალობისთვის  
ვუმაღლოდი მაღალ უფალს.

642

მარა ირფელც ტყურა ცოფედ —  
ზღვაშა გინორღვაფილგქვიშა,  
მუთუნც ვაგნორ ზებუედუ  
უგამაგაშგ ჭარკონტიშა..

თუმც ყოფილა სულ ტყუილი —  
ზღვაში გადაყრილი ქვიშა,  
თურმე ვერრა განაძლება  
უთავბოლო ბორიაყბს

ათაშგ შქირენგ-ცუმენულქუ  
დლუდგ ქიმიბლი შქაბორჯიშა,  
ჯიშტის გინოჭარუედგ —  
ჩხე ყებურიშგ ნაბორდიშა!

ათხას მუთი გერჭარუნი,  
თინა ცოფე კოჩიშგ ბედი;  
სკანგ დაჩხირსი ვაკარზანც  
შხვაშგ კვეცი დო შხვაშგ აბედი.  
ულუს ათვადვარკალუქი  
ალმარჩქილე მეჭეჭეთი,  
ამდღარგ დღაშა ჩქიმგ მურიცხის  
ვამკოლაფუ აკა ჭვეთი.

მარა იშენგ გურგ მიძახუ,  
შური ხოლო წგმე ჯღონც,  
ჩქიმგ ოხვამურგ ჯვეშგ ლავგანი  
ათუყურშუ ბირჯღალგ ჭყონც.  
ბირგულც ჭყანა აშარზუნი,  
დუნჯარებუ ოჩო კოც,  
აგაფას ეკვოსქუქ დო  
წგმე ბედი მემიჯღონც.

გოლა ფანდურც ქიგუბარდლე  
„ოდოია“ ქიგვობირი,  
შორს მალაღურქ ქიმიოთვალგ,  
გობიბრონდი, შურგ მიფხირი.  
ჯვეშგ ორკოლი ქიფხვამილე,  
ქინვოდაფი ხერკეს ღვინი,  
ღურელეფცი შურგ ქუშინე,  
თელგ დო ღურელგ ქიგიბშინი.

ასე მშიერ-მწყურვალემ  
თავი მოვიტანე შუალამემდე,  
თურმე ჯიშტზე წერილყო  
ცხელ კერიის ნაბოდვარი.

მხარზე რაიც გაწერია,  
ის ყოფილა კაცის ბედი,  
შენს ცეცხლს ვეღარდაავზნობს  
სხვისი კვესი და აბედი.  
ულელს ველოდილები,  
ჩამესმება ალქაჯური,  
დღევანდლამდე ჩამს ვარსკვლავს  
წვეთიც აღარ დაკლებია..

მაგრამ მაინც გული მერჩის  
სულიც კიდევ წინამძღვრობს,  
ჩემი სალოცავი ძველი ქვევრი  
შეყუყუვია გაბარჯღულ მუხას  
მუხლში ძალი რომ ავზნია,  
შეშურებია ოჩოკოჩის,  
კავს ვარ გამოკვანძული და  
ბედს წინარე ვმეგზურობ.

გუშინ ფანდური ვაქღარუნე,  
„ოდოია“ დავამღერე,  
შორიდან მოლალურმა დაიქვითინა,  
გავშეშდი და სული გავკვამინდე.  
ძველი კოკა ავიტაცე,  
ჩამოვღებე ხაპით ღვინო,  
მკვდრების სული მოვიხსენე,  
ცოცხალი და მკვდარი გავიხსენე.

**გიორგი სიძინაშა**

**თხუმე**

**თხმელა**

ჯიმაცალო საიმენდო,  
 საცოროფო თხუმე,  
 ვამთასგქ, ვამირგგქ,  
 სქანით ქუმოირთუმე.  
 ჩქინო ვარე თავადიში  
 მონალე ჭყონი.  
 სი ორექ ჭყორეფქუმა  
 მართალი დო ბონი.  
 არძა ჩქიმი გაჭირება  
 სქანდა მიკომპონგ,  
 სქანგ იმენდით ფთასუნუქე დო  
 სქანგ იმენდით ფხონგ.  
 ჩქიმი შური ქოთომცალო,  
 სქანგ ცას გილამცონგ.  
 თხუმუშე ღანდა,  
 თხუმუშე ბოგა,  
 თხუმუშე დიშქა,  
 თხუმუშე ოდა,  
 თხუმუშე ქვინჯე,  
 თხუმუშე კუბო...  
 სი ორექე ჩქიმი მინჯე,  
 დიხაშე ჟი დო  
 დიხაშე თუდო.  
 ჯიმაცალო საიმენდო  
 საცოროფო თხუმე,  
 ვამთასგქ, ვამირგგქ,  
 სქანით ქუმოირთუმე.

ძმასავით საიმედოვ,  
 სასიყვარულო თხმელავ,  
 არ მითესიხარ, არ მიმარგლიხარ,  
 შენითვე მოსულხარ.  
 ჩვენთვის არაა თავადის  
 მომსამსახურე მუხა,  
 შენა ხარ მუხასთან  
 მართალი და სწორი.  
 ყველა ჩემი გასაჭირი  
 შენთვის ამიყუდებია,  
 შენი იმედით ვთესავ და  
 შენი იმედით ვხნავ.  
 ჩემი სული ქათამივით,  
 შენს ქანდარაზე ზის.  
 თხმელის ღობე,  
 თხმელის ბოგირი,  
 თხმელის შეშა,  
 თხმელის ოდა,  
 თხმელის როდინი,  
 თხმელის კუბო...  
 შენა ხარ ჩემი პატრონი  
 მიწის ზევით და  
 მიწის ქვევით  
 ძმასავით საიმედოვ,  
 სავარელო თხმელავ,  
 არ დამითესიხარ, არ მითოხნიხარ,  
 შენითვე მოსულხარ.

**თენგიზ ფეტულაშვილი**

**ფანდური**

ვო, ფანდური, ფანდური,  
სქანგ ტანგ ნამგ ტყას ჩანდუნი,  
მახობია ჯაშქვიდუ,  
კისერს გითოიფშანდუნი.

ვო, ფანდური, ფანდური,  
სქანგ ტანგ ნამგ ტყას ჩანდუნი,  
ნამგ ბორია გიქინძუანგდ,  
კაბას ეკკოლანდუნი.

ეჰეჰეი, ფანდური,  
ტყა ხომ ქორთხილანდუნი,  
ამდლა ჩქიმგ ხე გითხობვახუ,  
უკვდებაში მანგური.

სქანგ გოლვაფრო ფანდური,  
გიჟორს ხინტურ-ხანტური,  
საქორთუოს ქიგნაქუნი,  
სქანგ ჭუეფიშგ შქართუნი.

**ფანდური**

ჰე, ფანდურო, ფანდურო,  
შენი ტანი რომელ ტყეში ხარობდა  
ხემხრჩობელა მცოცავი  
ყელს რომ ამომივსებდა.

ჰე, ფანდურო, ფანდურო,  
შენი ტანი რომელ ტყეში ხარობდა  
რომელი ქარი გწეწავდა,  
კაბას რომ აგხდიდა.

ეჰეჰეი, ფანდურო,  
ტყე ხომ გმეურვეობდა,  
დღეს ჩემი ხელი გეხვევა  
უკვდავების მაგვარი.

შენ შემოგველე ფანდურო,  
გიყვარს მიეთ-მოეთი,  
საქართველოს გადაფარე,  
შენი ტკივილების საბანი.

**შუპო ჯიშია**

**კუჩხბა**

ღუმა გიმასისმარგ:  
შალკო ჭიქიას ცუნდეს,  
შეფა ქორდგ ქონწყუმილგ დო  
მოინალეფი ცუნდეს.

ფართას რდგ არძა კარი,  
არძა გინალ-მინალგ,  
მუდგარენს ელუდეს დო  
მეჭყადილგ რდგ ნინალგ.

**ბელობა**

წუხელის დამესიზმრა  
შალიკო ჭიქიას სახლში,  
სეფრა იყო გაშლილი  
და მწდეები ჰყავდათ.

ფართოდ იყო ყველა კარი,  
ყველა გასასვლელ-შესასვლელი,  
რალაცას ელოდნენ და  
შემწყდარიყო მომსახურება.

მინჯ ღობერშე გინმიჯინედ  
ლო მინჯ შარას ქიგლარდგ,  
ხოთო ქიფჩინჯ, ღულუნჯ ქიფჩინჯ,  
თურმე გერდგნ გიგლა რდგ.

ვინ ღობიდან იმზირებოდა  
და ვინ გზაზე იდგა,  
ხოთო ვიცანი, ღულუნჯ ვიცანი,  
თურმე რომ იდგა გიგლა ყოფილიყო.

თუღოლეშე იჯინედეს,  
თეურეშე ელუდეს,  
ბუხუტი ღო ამერანჯ  
ართიანს ელურდეს.

თავქვემორე იმზირებოდნენ  
იქიდან მოელოდნენ,  
ბუხუტი და ამირანი  
ერთმანეთს ამოსდგომოდნენ.

ჟცვას შეფას მიდგარენეფქ  
გეტახეს ღაჭალჯ,  
მუკოჯინინჯ — არგუნამო  
კიმოქ გეგნიკვანჭალჯ.

ჟეცრად სეფაში ვილაცებმა  
ატეხეს კამათი,  
რომ მივხედე — ნაჯახიანად  
კიმოც გამოკვანჭალდა.

შალიკოშე კარშე ჭიჭე თუღო  
ქორშუნანდა, ოსქი რდგ,  
ეთეიშა ქიმერთუნჯ  
კიმოქ ხოლო გოსქიდგ.

შალიკოს ჭიშკრის ჟცოტა ქვემოთ,  
თუკი გახსოვთ საღორე იყო,  
იქობამდის რომ მივიდა,  
კიმოც კიდევ გაშეშდა.

მაშქურინ ღო მუდგა რდუნჯ  
ქეიშმაკურცხინ თეფერს,  
ვიშო ვეგეპუნაფუთუ,  
სისმარქ ვაგმათებეს

შემეშინდა და რაც იყო  
გამომედვიდა ამ დროს,  
იქით აღარ გავყოლილვართ,  
სიზმარი ვერ გავლიეთ.

ღო ნაძირეფ სისმარჯ რდგნი,  
მარდგ მეუჯღუნჯ ღორონთს,  
კინი ქიგნუოჯინ ჩქიმი განს ღო  
არდა გეგნობკოროცხი.

და ნანახი სიზმარი რომ იყო  
მადლი შევწირე უფალს,  
კვლავ გადავხედე ჩემს მხარეს  
და ყველა გადავთვალე.

ჟკულჯ ფორქეფქ მიდამიღჯ ღო  
მიმაჭვევ ართო გურქუ,  
ბრელს ეფშა აფგ მალაზა ღო  
ენებს ბრელი ურკუ.

მერე ფიქრებმა წამიღეს და  
დამეთუთქა ერთობ გული,  
ბევრს სავსე აქვს ნალია და  
ამათ ბევრი უკლიათ.

ირკოც მეჩასჯ ღო ვარა,  
ვართჯ მითინშო ვარდას,  
ათე ფიქრეფს ვორდინ თეში  
ქუგმოთანდგ ფართას...

ყველას მისცემოდეს, ანდა,  
ნურც ვინმესთვის იქნება,  
ამ ფიქრებში რომ ვიყავი  
თავზე ფართოდ დამათენდა.

გოთანდგ დო გოთანა რე,  
ამდლა რე კუჩხა,  
ლორონთი, მითინს ვემიარკა  
მუში თია ფუჩხა!

გათენდა და დილა არის,  
დღეს ბედობის დღეა,  
ღმერთო, არვის მოაკლო  
მისთვის კუთვნილი ლუკმა!

უჩა სისმარგ ჩეთ ეფუნსგ,  
არძას ჩეთგ გეუჯონი,  
ცაშა მუშული ქიგმუხუნე,  
ხასლას დადული ქელუჯონი!

შავი სიზმარი თეთრად ცხადდება,  
ყველას თეთრად აუხდინე,  
ქანდარაზე მამალი დაუმკვიდრე,  
გვერდით დედალი დაუვანე!

აი, მეგრული პოეზიის არე-მიდამოს მიახლოებითი სურათი.

სიყვარული, სატრფიალო მოტივები აქ წამყვანი თემაა, მთავარი ძარღვი, თუმცა საყოფაცხოვრებო ინტონაციები კვლავაც ტოლისდამდები ფენომენია! ალეგორიული მიმართებით, ქვეყნის ბედუკუღმართობას მეტყველებენ ჩელა, ქედდაკორძებული ხარები თუ კამეჩები; მაფშალია კვლავაც უღელქვეშ გმინავს, იმ უღელს, სხვისთვის მთოხნელ და სხვისთვის გამმორედებელ სესიას წითლად რომ გადაუღებავენ; კოლექტივის მუხუდოს ძველებურად იციცქნება ინგირთან ჩაცუცქული კურდღელი, ნიადაგ რომ უარობს, თუმცა აქა-იქ საჯაროდ დაიღრიალებს კიდევ ყსიდად; მეგრელი მესიტყვე ქვეყნის მაჯისძვერასაა მიწყვი მიყურადებული, ზარების დამრისხებელია უკეთესი მერმისისათვის, თუმცა სოციალური ფონი პოეზიის მასულდგმულეებელ ლიბოდ მოშლილია ესთეტიკის მკვლევარ მეტრებთან, არისტოტელესთან, პორაციუსთან, ჰეგელთან.

რიტმის ერთსახოვნობის ფერხულში მდიდარია მეგრული ლექსის რითმის არსენალი.

„ვარდა თიშა, —  
ელაზღვარდალიშა“;

ანდა მისთვის —  
წასაშხვართებლისთვის;

„მუჟამს მოულგ საბა გონსუ —  
ეესხასუ თუ საბატონსუ“;

როდის მოეგები საბა, გონს  
კვირას თუ შაბათს;

„ქუაკათი —  
ჯა ბხორხი დო ქუა ბკვათი“;

შევერიე —  
ხე ვხერხე და ქვა ვქერი;

„დოპუბტორი ხეთ ომბალე,  
ხეთეხლო ქეთეომბალე“;  
„ მუჭო ქოგუქეკოს ილია,  
სი იშგ მიკოქოსილია“.

დავპუტე ხელით ომბალო,  
ხელად წავაყირავე;  
როგორ ჰგავხარ კაცს ილიავ,  
შე მართლა გასაქრობო.

„— ჭიჭე ცირა, მაჭირხოლი, ხინკი მუშენ ვახინკოლი? — დოფხინკოლინჯ დომიჭვეს, ვაფხინკოლინჯ — მომინჭეს;“

„— პატარა გოგოვ, მერცხალო, ფიჩხი რისთვის არ დაამტვირე? — რომ დავამტვირე, დამიწვეს, რომ არ დავამტვირე, დამცხეს;“

— სი მახუტი, ნანა, სჭუა, დო მა თაქი გიღურჭულა, ქარწყქე თურქი მუჭო მიხვენჯგვ, მუმასქანიშე ნაბურჭულა.“


„— ჩამეკონე, ნანა, შვილო და მე აქვე გიგალობებ, ხედავ, თურქი რარე კოჭლობს მამაშენის დანაწალდი.“

შორს გაგვექცა საუბარი. მეგრული პოეზია, დიხაც, ხელდაუკარებელი ჰუმუსია ახალ გენიათათვის. ასე რომ, ყველაფრის გათვალისწინებით უფლებამოსილად მივიჩნეოთ თავი მოკრძალებით წარმომედგინა ლექსების საკმაოდ მოზრდილი კრებული, რომელიც საბოლოო იერსახით ავტორის მიდასების მერმე წარმოჩინდება მთელი სისავსით; მანამდე კი წვეთ-წვეთობით თუ ნაკად-ნაკად ჯიუტი შეუპოვრობით მღოვრდება იგი სულის ხმიანების კვალობაზე.

\*\*\*

განმარტებებს მოითხოვს თარგმანთან დაკავშირებული თავისებურებაც: ჩემი პირველი პოეტური კრებული „გვიმარა“ (გვიმრა. 1996 წ.) ორენოვენია, ბილინგვა, მაგრამ იქ გადმოქართულებულ მეგრულ ლექსებს თარგმანი ნაკლებად ეთქმით, უფრო თავისუფალი მიდგომა ტექსტისადმი და, ბუნებრივია, იშვიათ გამონაკლისს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, („**მშვილდ-ისარი**“ გვ. 15), დედნის ადეკვატური გადმოცემა ველარა ფრით მომიხერხდა, დამოუკიდებელი ნაწარმოები გამომივიდა. მაგრამ, რადგანაც ერთხელ ამნაირი ფორმით შეგვითავაზებია საზოგადოებისათვის, ხელუხლებლად ვტოვებ, როგორც რელიკვიას, ხოლო შემდგომ შექმნილებს — პწკარედულად. მათი შედარებით სრულყოფილი აქლერება პოეტური ტრადიციებით გამორჩეულ სალიტერატურო ქართულსა თუ მსოფლიო ენებზე, დაწდევებული მომავლის პრერო გატივია. სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ამ ათწლეულს მეგრულ პოეზიაში. ეგ არის, რომ ომიკო ქანთარის „ჩე რაში დო თუთარჩელა“ (თეთრი მერანი და მთვარიანი) ვერ მოვიპოვე თქვენვის გასაზიარებლად და კიდევ — ოთხმოციანი წლების ჩინებული პოეტის, ბატონ ვახტანგ ხარჩილავს ლირიკული მეცადი-ნეობანი, რომელიც სალიტერატურო ენასთან თანამიმდევრულად აზავებს მეგრულ სიტყვებსა და სტრიქონებს, მაგრამ ჯერ მივყვით სათქმელის მდინარებს.

პოეტი, რომელიც სამეზრელოში  
საქართველოს ვერ ხედავს  
ანუ ვეზუვმა ენა ამოიღბა



**„იმნაირი მარტია და იმნაირი ამინდი... ძაღლიშვილი ვიყო, თუ ვიცოდე რა მინდა.“** — ჩივის გაუხარელი დროებით ძარღვებამილილი პოეტი ტერენტი გრანელის გახსენებაზე და, ვფიქრობ, 26 მაისისთვის, საქართველოს განთავისუფლების უაღლუმო, მობუზული თარიღისთვის გათვლილ, „ლიტერატურულ საქართველოში“ განუკითხავად ხელგამილილ „პოეტურ“ პუბლიკაციას ბატონ მურმან ლებანიძისას, შეუძლებელია უკეთესი უვერტიურა მიუსადაგო, გამოაგნებლად თავზარდამცემს, დიახაც, ისეთი რეტისდამსხმელს სწორედ, თავის დროზე ვაჟა-ფშაველას რომ შეძრავს აკაკის შემოძახილი: „ენას გიწუნებ ფშაველო“-ო.

სად მარგალიტების მთესველის გენია და სად გური ოტობაიას უბადრუკი სუფევა?! მით უფრო, როცა ყვედრება-განჩინების აღრესატი პიროვნება კი არა, შენი კუთხე-საძვალეთია, მაგრამ თავზარი მაინც თავზარია — უთვალავჯერ უსამართლოდ ნაჯიჯგნ სამეგრელოს აწ კაკალ გულში ლახვარიც ჩასობია და ეჯაჯგურე რამდენიც გინდა გაფეხვილი ორღესულის ამოძრობას!

მგოსანი მურმან ლებანიძე, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრება ხელმწიფის ნავში ჩაჯდომას გაუბოდა; ტრუბადური, რომელიც სიციქემდე ეთაყვანება მაღალ სვანეთს — „ხალდეს ჭაღებში ჯისვების აფრენას“; მეჭანგე, რომელიც თრთოლვით შესცქერის იმერეთის „უფლის ცრემლის ყავრიდან დაბადლებს“ და კარზე ბოქლომდადებულ რაჭას ურჩევნია; მეღექსე დედულეთს რომ შეჭხარის — **პატარა სეობიდან, პატარა ნაკადული, პატარა წისქვილის ლაჯებში გამოძვრება**“; პოეტი, რომელიც ელოცება თუშებს, „ტანად დიდებს, სიტყვაძვირებს და გულით მდიდრებს“; მოშიარე, ვინაც ეხოტბება ქართლს, ამაშუკეთის წიაღიდან ამოზრდილი ფიალახმლიანი დედით სრულიად საქართველოსა; მომღერალი, რომელიც ებაბანება კახეთის „შავად მოშიშვლებულ მუხებს“ და მის „ძილში აბოდებულ გუება ქვევრებს“, ხორუმებით მომართულა საქართველოს მარადიული სიფხიზლის სიმფონიისთვის, „აჭარა და გურიის ბრძოლებით მოპოვებული“ გადასახედიდან; ლამის საქართველოს თითოეულ კუთხე-კუნჭულს წვდება კოლორიტული ჩანგის პოლიფონიით, ის კი არა — შორეთსაც, სადაც „ტურასავით ჩაყუნცული ქოხქვემოთ, ჭრეულ არყის ხეზე ბიჭს გოგო მიუყუდება და კრიახებს გარმონიკა“; ლამის შეუძვრეს სულში უფროს ძმას:

**„პოი, რუსეთო! გირეგია უთუოდ რვალი!  
ხალხო უბრალოვ, ხალხო გამძლევე! ამტანო ხალხო!  
მაინტერესებს, კიდევ ერთხელ მოგაგლო თვალი,  
რასა იქმ?! როგორ მიგდის საქმე? მოვსულვარ განხო“.**

იბაგუნებს მკერდზე მუშტს, სამეგრელოსთვის, მეგრელისთვის ორადორჯერ გაიმეტებს ტკბილ-მწარე კინკილა სტრიქონს — სავარცხელ-სამართებელს, ალერს-წყრომას, — ვეზუვმა ენა ამოიდგა:

1971 წელი:

ქართლ-კახეთად, იმერეთად,  
სამეგრელოდ, გურიად,  
ვისაც ჩვენი გაყოფა...  
და გათიშვა სწყურია,  
ან ჭკვიანი მტერი არის,  
ან უგნური მოყვარე,  
ამიტომაც, სადაც წავწვდი,  
ერთიანად მოვთხარე.  
მიყვარს — მტკვარი,  
მიყვარს — ქსანი,  
ტეხური და ენგური!  
მიყვარს — „ლილე“  
მიყვარს — „ლალე“,  
მიყვარს — „ჩელა“  
მეგრული...  
მაგრამ ყველას მირჩევნია  
ერთ დიდ მუშტად შეკრული,  
რა თქმა უნდა, საქართველო —  
ვიყოს მისი ერთგული!..

1999 წელი:

ვით დედა-მტკვართან ჭორთსს  
და ენგურს,  
რიონს და ტეხურს, იორს  
და არაგვს,  
აგრეთვე ენას, — ქართულთან  
მეგრულს,  
ხმა ამოიღოს, უფლება არ აქვს...  
თქვენ დუშმანს სიტყვა  
უქციეთ საქმედ,  
თქვენ სხვა აღძრით თქვენს  
მარტივ გლეხში:  
ვაი სირცხვილო, რუსთველი  
თარგმნეთ, —  
მიჯღარე-მოჯღარკეთ  
ქართული ლექსი.

ხედავთ, როგორი დებრესია განუცდია პოეტის სულს ამ 28 წელიწადში?! თუკი სიჭარმაგეში საქართველოს კუხთეებად გამთიშველ „ჭკვიან მტერს“ და „უგნურ მოყვარეს“ მოთხრის, ამოძირკვავს ერთიანად, ახლა თავად ერთ-ერთ კუთხეს მოსდგომია: ჩაცემულია ხანჯალი კაკალ გულში! დიახ, კაკალ გულში, ვინაიდან ჯერ საწერ მაგიდასთან შეგროვდება ეს მარაზმული სამსალა, მრავალგზის გაიფერება და გაირანდება, ალბათ. შემდგომ კომპიუტერზე აიკრიფება, ჩასწორ-ჩამოსწორდება მორიელივით დაღლაკნილი. მერმე მრავალ უგრძნობელ ხელს თუ დახუჭულ თვალს გამოივლის „ლიტერატურულ საქართველოში“ და ასე, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, კაკალ გულში სატევრად გაეხივება ეგზეკუციების წყებათაგან ძლივს სულმოთქმულ სამეგრელოს — ვეზუვმა ენა ამოიღდა! ბედი უნდა, სამუდამოდ ჩაეწერო კუთხის მეხსიერებაში!

ბრალდებაცაა და ბრალდებაც:  
უფლება არ აქვს ქართულთან მეგრულმა ხმა ამოიღოსო, ხმა აღიმაღლოსო, ანუ მეორე სახელმწიფო ენა შექმნასო, გახლიჩოს საქართველო ორ სახელმწიფოდო! ხომ არის ყოველივე გულსალბუნი სამშობლოს ერთიანობისთვის ჯვარცმული სამეგრელოსთვის?! მაგრამ მორიგ ბრალდებასთან ყოველივე ნაკმაზია:

თქვენ მტერს სიტყვა საქმედ უქციეთო, თქვენ სხვა — მოღალატე, ქვეყნის დამამხობელი აღძრით თქვენს მარტივ გლეხშიო. გამოდის, რომ ორგული ხარ, გამცემი, მტერზე საძაგელი, შარბათში შხამს რომ უწყვეთებ ძმას, ნიადაგ მიწას აცლი ფეხქვეშ, დღედაღამ მისი დამხობის ცდაში ხარ, იგივე კენი — აბელისთვის და აქედან გამომდინარე, მოსათხრელი, ჩასაქოლი, გასანადგურებელი. აი, ათწლეულობით მდუმარე ვეზუვის ავულკანების ქვეტექსტი! საბუთად კი მეგრელოფობ პოეტს არძინბას მოსყიდული შანაგების თუ ერგას წელს მიღმა ჟვანიების მეგრულად ნათარგმნი „ვეფხის ტყაოსანი“ მოუშველებია, როგორც მეორე სახელმწიფოებრიობის ფარული განაცხადის თითიდან გამოწოვილი „სამხილი მასალა“ და საქართველოს დამამხობელი ფენომენის „გამოაშკარავებასაც“ წინ აღარაფერი დაუდგება.

პოეტი ათწლეულობით თურმე შემთხვევით არ იკმენდდა ხმას, შემთხვევით არ უხუჭავდა თვალებს და არ უხშობდა ყურთასმენას ცოტნეებს თუ ქუჩებს, გუბაზებს თუ ჭყონდიდელთ, აიეტებსა თუ ფარტაზებს, იოანე მარუშიძეს ბოლოს და ბოლოს — ერთიანი საქართველოს შემოქმედს, შემდულაბებელს.

მეგრელები, აიეტ მეფის დროსაც ჟღერტულებდნენ თავიანთ კილოზე და სულხან-საბას პერიოდშიც, იმ დიდი მწიგნობარი ორბელიანისა, რომელსაც თურმე თვინიერ ქართულისა ვერცერთი ენა მოეწურთნა,

თუმცა პოლიგლოტობითაც რომ საჩინებელიყო, ლუდოვიკო მეთოთ-მეტესთან სახელმწიფო მისიით მიმავალს, კახური ანეკდოტისა არ იყოს, გამოადგებოდა რო?!

ადგილობრივ მოსახლეობას საყველპურო მეგრულით რომ ვერ გამოესაუბრება, გაძარცვავენ, დააყჩაღებენ, როგორც „უცხოელს“, და ბუნებრივია, რეაქციაც არ დააყოვნებს: **„ქღურტული – მეგრულია მრუდი ლაპარაკი“**-ო, დასჯის მთელ კუთხეს სამი-ოთხი ყაბალახიანი აბრაგისგან ვნებული „ქართლის ელჩი“.

დიდხანს ვეძებე „მან“-ზე მეგრელების ასავალ-დასავალი, მაგრამ ქართული სიტყვის მებალავრე ეთნიკურ დონეზეც კი არ დავაფიქსირებ „სიტყვის კონაში“ — „ქღურტულით“ მოგვისტუმრებს! აურაცხელი ენის მწყემსს ცოდნოდა ორი ღერი მეგრული, რომლის ქვიტიკირითაა აშენებული ღვთაებრივი ღედაენის მრავალზე მრავალი სიტყვა, ხომ ჩინებულად მოიზღუდავდა თავს და ჩვენც აგვაშორებდა ტრაგიკომიკურ სიტუაციას!

მეგრელები ილიას დროსაც ქღურტულებდნენ თავიანთ კილოზე, ცაიშის სიახლოვეს, გნებავთ ზუგდიდ-ქალაქში, მაგრამ იონა მეუნარგიას თუ რაფიელ ერისთავის მუნიციპალური სამსახურის მოხელე თავადაზნაურობის გარდა, ვეჭვობ ვინმე შეპასუხებოდა საქართველოს უგვირგვინო მეფეს, არათუ თავანკარა, თუნდაც „მიჯღარკულ-მოჯღარკული“ ქართულით, თუმცა გენიოსის საშვილიშვილო სიტყვა სადავეს აიწყვეტს:

— სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე, ნამდვილი საქართველო, — დაიუკვდავებს თავს კუთხის მიუკერძოებელ ფსიქიკაში.

მთელი საუკუნე ატომური ენერჯით იმუშავა და მუშაობს ეს ლაკონური ფრაზა. მოამზიანა და ამზიანებს ისტორიული უკულმართობით ჩაწყვარამებული მეგრელის გულის კუნაპეტ არეებს და მიუხედავად რუსეთის ცარიზმის გიგანტური მანქანის იმპერიული ხრიკებისა, ველარაფრით შეძლებს ამ სხივის ჩაქრობას, ველარაფრით ახერხებს მეგრელი „მარტივი გლეხის“ სულის ჩამობნელებას თვითიზოლაციისთვის თუ თვითლიკვიდაციისათვის. ჰოდა, დედაქალაქის ტოლფარდოვნად მოლაპარაკე სადადიანოს პირობებში, უფალ პოეტს გენიათაგან განსხვავებით სმენა დაღატობს: სამეგრელოში ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს საქართველო. აქვე ინტერეს მოკლებული არ არის, თუ „ქართულთან მეგრულის ხმის არ ამოღების“ სინდრომი რანაირ ზეგავლენას მოახდენს თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ლაზზე, რომლებიც ეს-ეს არის ჩვილივით შედგომიან ეროვნული თვითშეგნების გზას, საუკუნის წინანდელი მეგრელებივით ენას ვერ ატრიალებენ ქართულად და მხოლოდ სამეგრელოს კატალიზატორო-

ბით შეგვიძლია ზოგადეროვნულს, ზოგადქართულს ვაზიაროთ დროთა ვითარებაში, საითკენაც ქვეშეცნეულად ილტვიან ისინი; შიგადაშიგ პერიოდიკასაც გამოსცემენ „სქანი ნენა — ოგნი“-ს — იგივე დედა-ენას, ლათინური შრიფტით და მეგრელისთვის ხელმისაწვდომი ლაზურით. რა, მსტოვარი გვაკლია თუ ჯაშუში?! ხომ დაუდებენ მათ წინ სათანადო სამსახურები პოეტის მკრეხელურ სიტყვებს: შეხედეთ, მეგრელებს არ ინდობენ ქართველები და ლაზებს ტიკი-ტომარად ვინ ჩაგაგდებთო. როცა მეგრელები, სამეგრელო მოთხრილია, ლაზისთვის ხომ მთლად მუნჯობაა მისჯილი მესამე ათასწლეულის აბსტრაქტულ საქართველოშიო.

ბედი არ გინდა? ვეზუვი ენას ამოიდგამს — მოძებნის პოეტი საქართველოს გადარჩენის ფორმულას — **„აგრეთვე ენას, — ქართულთან მეგრულს, — ხმის ამოდების უფლება არ აქვს!“**

სათავეს კი უფრო ადრე დაუდებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ვიდრე ამას გუშინწინ ქუჯი და ფარნაოზი მოიმოქმედებენ, ინდოევროპულ ნიაღვრამდე, მეხუთე, მეოთხე ათასწლეულში, მაგრამ ამისი აღიარების გვეშინია, ძლივძლივობით საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3 000 წლის იუბილის გადახდას ვჯერდებით, იმის შიშით, არიქა, კოლხეთის პრიმატის დაწინაურებით, თვით საქართველოს პრიორიტეტი არ დაგვეჩრდილოსო და იყნებენ კიდევ მოხერხებულად ჩვენს უნიათობას მეზობელი ერები, როცა აბორიგენებს დამპყრობლად გვაცხადებენ ჩამოთესილინი. ამისთანა უმეცრება გაგონილა? როგორ შეიძლება შვილიშვილმა პეპერაზე უარი თქვას, ან კენწერომ — ფესვებსა და მდინარის შესართავმა — სათავეზე? რალა იქნება იტალიის არსებობა, რომანულ მემკვიდრეობაზე ზურგშექცევი? ქართული კი, კოლხურის მეშვეობით, რომს, რომულუსის ქვეყანას, ენეასის სამწყოს, პაპად შეჭფერის ხნოვანების მიხედვით. გავატანოთ, ბატონებო, წყალს და მეწყერს ჩვენი წარმართული საუნჯეები, ავადმყოფური გონება შეზღუდულობით?! დაჯერდეთ მოციცქნულს?! ჩვენ ხომ გამოუსწორებელი ფანტიაშვილები მოვევლინეთ გმირი წინაპრების ნაამაგარს?!

ზღვის ცნება სამშობლოს სიმბოლოს მოიაზრებს თავისთავში, რომელიც ათასი შენაკადით მძლავრობს, ათასი ხილული თუ მიწისქვეშა დინებით აღივსება. მერე თავის სტიქიაში აბუყბუყებს, აბორგებს ენგურების და ჭოროხთა, რიონების და ტეხურათა, არაგვებისა და იორთა, ალაზნების და მტკვართა განსხვავებულ მსწრაფველობებს, წყალწყებს, ჰიდროშემადგენლობებს და მღელვარება-დაწდევებით ჩამოინაკვთება ზოგადეროვნულში.

აქ ჩამოთვლილ თუ სხვა მდინარეთაგან ყველას გააჩნია მორალური უფლება განაცხადოს: „ზღვა ჩემიაო“, როგორც რიგითი მოკვდავი დაეჩემება ხოლმე სამშობლოს სიყვარულს, მაგრამ არც ერთ მათგანს ეპატი-

ება დაიყრანტალოს: „ზღვა — ეს მე ვარო!“ ზღვა ყველასია, თითოეულის მეცადინეობით თუ მუშაკობით შექმნილი; მართალია, განსხვავებულია მათი წვლილი ამ პონტოთმშენებლობაში, თუმცა ყველაზე დომინანტურსაც კი არა აქვს, როგორც იურიდიული, ისე ზნეობრივი უფლება „ხმა აღიმალლოს“:

— მე ვილაპარაკებ ნიადაგ და შენ გაილურსეო.

ამისი პრეროგატივა ერთადერთი — ზღვას მინიჭებია და ისიც მაშინ, როცა მისკენ მსწრაფველ მდინარეს სხვა წყალსატევისკენ მიმართულებას შეუცვლიან. ჩვენი მაგალითი კი უნიკუმია: მთელი შინაგანი ფასეულობებით მიილტვი დედამამშობლოსკენ, დედაქართულისკენ, სიტყვათმპყრობელი მანქანა კი შლაგბაუმებით ჩაგიკეტავს გზასავალს, ამოდ აწყდები ყრუ კედლებს, გეუბნება:

— ნურც ჩემში შემოხვალ და ნულარც იღვართქაფებო! ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე საკუთარი მეობა, ზოგადად იქეციო! არ არის საჭირო საქართველოს ერთიანობისთვის დამლუპველი მეორე ენა, უარყვი შენი მეგრული ზოგადეროვნულის სასარგებლოდო! — ეს სათქმელი, ბოლოს და ბოლოს უნდა თქმულიყო! ჩვენც მრავლად ვიმტრევთ თავს მისი უმტკიენეულო გადაჭრისათვის, მაგრამ ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

როგორ, საკუთარ თავში ვტბევდებით, ჩვენ, მეგრელები, სამეგრელო, მთელის, ზღვის, საქართველოს საზიანოდ, ოდეს მის „დუშმანს სიტყვას საქმედ გადვუქცევთ“, თუ სახელმწიფო მანქანა ძალად ქმნის სამეგრელოს პრობლემას დედაქართულში მისი შემონაკადების მიზანმიმართული შეფერხებით?! თუკი ჩონგურის რომელიღაც სიმი გამწყდარა, მნიშვნელობა არა აქვს პირველია თუ მეოთხე, დარღვეულია ინსტრუმენტის მთლიანობა, ხელყოფილია მისი ბუნებითი პოლიფონიურობა, და უკვე ჩონგური არა ხარ. ასე რომ, ახალი ფსიქოლოგიური ტრაგედიისთვის ნუ შევადრწუნებთ სრულიად საქართველოს ვეზუვის მარაზმული ამომთქნარებით.

საქართველო, ქართველი, ზღვა, ჩონგურის დარად ათადან და ბაბადან მოყოლებული კრებსით განზომილებად განიხილებოდა ჩვენში, ანუ ცოტა ქართლელად, ცოტა კახელად, ცოტა იმერლად, ცოტა გურულად, ცოტა მეგრელად — მოკლედ, სხვადასხვა ეთნიკური ნაკადით შეჯერებულ განუყოფელ სხეულად და გაუგებარია, რისთვის არ უნდა ამოედებოდეს ხმა მეგრულს, სამეგრელოს — მდინარეს, ქართულის, საქართველოს — ზღვის, ერთ-ერთი შემქნელთაგანის დონეზე?!

აქ ნაწილსა და მთელს შორის ტოლობის დასმა უმეცარი ბრალდებაა. როგორ შეიძლება ცალკეული განსაკუთრებულს გავუთანაბროთ, რო-

ცა პირიქითაა საქმე, კონკრეტული სისხლხორცეულად მ ი ე ლ ტ ვ ის ზო-  
გადის სრულყოფილებას, მისი გამბასრავი და შემკონავი ძალაა?!

როგორ შეიძლება საძირე დაუპირისპირდეს ნამყენ ვარჯს? აქ, დრო-  
ჟამისგან გამოჯანდაკებული შტამბიდან ამოხეთქავს ხოლმე ყრუ რტო,  
აშრილდება თავს ზემოთ, ცათა წიალ ომახიანად გატყორცნილი და-ძმა  
ტოტების უკვდავებით მთვრალი, გაბრუებული; იგი ფესვების სიახლოვი-  
დან თვალცრემლიანი ეფერება მისივე წილიდან გაზღვავებული შიმა-  
ლების ძლევა მოსილებას, ჩვენს შემთხვევაში — სახელმწიფოებრიობას, და  
დედაქართულთან, დედასაქართველოსთან ამგვარი მიმართების მეგრულს,  
სამეგრელოს, **თქვენ დუშმანს სიტყვა საქმედ უქციეთო**, ყამასავით გა-  
უტარო კაკალ გულში, ან უგრძნობელი უნდა იყო, მამაბაპური სისხლ-  
ძარღვებისგან ატროფირებული, ან სალოსი ვინმე, ნებსით თუ უნებლიეთ  
მტრის წისქვილის ღარში წყლის მიმწვები ძალუმად; ან კიდევ აქამდე სა-  
ძულველი მენიხბეობა-აფროსნობის გამო ზურგ შექცეული ერის ყუ-  
რადლების მოხვეჭის მდომელი სამეგრელოს დანაშაულებრივი ამოხრით:

— შემომხედეთ, როგორი მეციხოვნე გყოლივართ?! ხომ აღმოგიჩი-  
ნეთ ვერაგი მტერი, „ვეფხის ტყაოსნის“ მთარგმნელი მეგრელების, სამეგ-  
რელოს სახითო; თქვენ, ისედაც ვიცი არ ამიხირდებით ერთიანი საქართვე-  
ლოსთვის გულდამწვარს, — ეუბნება ვეზუვი პოეტი ქარაგმულად და-  
ნარჩენ საქართველოს, — მეგრელებს კი თუნდაც კისერი უტეხიათ, იყუ-  
ფონ, რამდენიც უნდათო, — იბღვირება!

აი, „ვაი სირცხვილოს“ ზუსტი მისამართი! მამებთან შვილებს იშვი-  
ათად შეშლიათ! მათი კონსერვატიზმი დაიძლევა ბოლოს და ბოლოს  
პროგრესულით. ამას თერგდალეულების ბობოქარი ეპოქაც ადასტუ-  
რებს: ქართული ენა დიდი ილიას გაწაღდული გზით წარიმართა, ხალ-  
ხურ სადინარში მჩქეფარე, სალონურის და მაღალფარდოვანის  
ნაცვლად. ეს ისტორიული მომენტი იყო ჩვენს ცხოვრებაში. დაახლოებით  
იგივე სიტუაციაა ამჟერადაც, ოღონდ სხვა პრიზმით, სხვა ასპექტით:

ჩვენ, თვალნათელი საქართველოს, მავანთაგან ლამის გერებად შერა-  
ცხული შვილები — მეგრელები, თავს ვიკლავთ ერთიანი საქართველოსთ-  
ვის, გამუდმებით ოფლს ვიდენტ კბილთაგან მისი გაუბზარავი მთლიანო-  
ბისთვის, თავად ვუსწორდებით ხოლმე რუსთველის თუ გალაკტიო-  
ნის მთარგმნელებს, □ თუმცა საუკუნის დამდეგს მეგრულ ენაზე „ვეფხის  
ტყაოსნის“ თარგმნამ, გარკვეული დადებითი როლი შეასრულა შოთას  
თავანკარა ქართულის „მარტივ გლეხში“ გასათავისებლად, როგორც  
შინაარსობრივი, ისე — საკუთრივ ქართულის შესწავლის თვალსაზ-  
რისით, ვინაიდან ბილინგვური, ორენოვანი დამოკიდებულებით

ზედმიწვევით გაცნობიერდა „მარტივ გლეხში“ გენიალური პოემა). ყველაფერს ვაკეთებთ თვითნაბად დანიელ ფიფიას თუ სხვათა პოეტური მემკვიდრეობის, იგივე ფოლკლორის, სრულიად საქართველოს ერთიან ფსიქიკაში დასაწდევებლად; ხმალამოდებული ვიბრძვით მონოლითური ენისთვის, სახელმწიფოსთვის, მაგრამ როდესაც მეგრულის, ლაზურის, სვანურის ზოგადქართულში შეუფერხებელი შემონაკადების თაობაზე საკითხი წამოიჭრება, მყისვე ყრუ კედლები აღიმართება ხოლმე. საუბარი ეგება ენის ლექსიკურ მარაგს და არა მის გრამატიზაციას.

დღეს საქართველოში არსებული დიალექტიკური ლექსიკის მისაღებ ერთეულთა სალიტერატურო ქართულთან შესინთეზებით ჩვენი სიტყვიერების ასოთხმეტიათასიდან, სულ ცოტა მილიონამდე გაზრდაა შესაძლებელი და, დიახაც, სწორედ აქედან, ამ მომენტიდან, ჩაეყრება საფუძველი ეგოისტური ხელისკვრებით დანაწევრებული ჩვენი კუთხეების ვერბალურ დაახლოებას, უფრო ფართო და ტევადი ზოგადეროვნული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. ასეა ბუნებაშიც: ცალმხრივი რეაქცია, ცალმხრივი შეერთება-შერწყმა არ არსებობს. სინთეზის დროს ხომ ცაბათის სასწორით მიმდინარეობს ფასეულობათა გონიერი გაცვლა-გამოცვლა, ახალი განზომილების შექმნა ორი ან მეტი ერთეულიდან საუკეთესო თვისებების ამოკრეფა-შედუღებებით?! ასეთია ცხოვრების დიალექტიკა ნებისმიერ სფეროში.

ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონი ჩვენი შეხედულებით მოიაზრება, როგორც ვეზუვი-პოეტის ამომთქნარებისთვის ნიადაგის გამომცლელი პატროფილია; ნებისმიერი შინაგანი უთანხმოების მომწესრიგებელი ნაწილსა და მთელს შორის; როგორც რამდენადმე მოფოლხვებული საქართველოსთვის მონოლითურ სხეულად შემკრავი რეფორმა ორიათასის მიწურულს, სამიათასის კარიბჭესთან. ამისი უგულებელყოფა, იგნორირება გვარნაცვალის გარდა, რომელ ჭკუათმყოფელ ქართველს მოაფიქრდება? მაგალითისთვის, ზოგადეროვნულ სიტყვებს: „სამშობლო“, „მამული“, არც მეტი, არც — ნაკლები, უბრალო სინონიმებად ჩაუმწყკრივდება: სვანური „ლარდა“, ლაზური „დობადონა“, მეგრული „ოდაბადე“, „შურობუძე“, „თბადიში“ და ორსიტყვიანი ქართული მსწრაფლ შვიდსიტყვიანად გადაიქცევა.

ბიბლიაში ერთი დაკარგული ცხვრის გამო ფარას მიატოვევენ ხოლმე, ჩვენ კი აურაცხელი განთესილი ქართული სიტყვის დაბინავებას მოვითხოვთ ზოგადეროვნულ ლექსიკონში, რომელიც ჩვენი სულიერი შედუღებების საწინდარია ორიათასის დასალიერს და სამიათასის კარიბჭესთან! ყოფილიყო ილია, ამ პრობლემას მეტი სითამამით მოეგვლე-

ბოდა, მაგრამ მომავლის იმედით სულდგმულობს ერი! ყოველივე ამის შემდეგ, ბრძანეთ, ღვთის გულისთვის, შეიძლება როყოდ შესძახო სამეგრელოს, მეგრელს: **დუშმანთათვის, სიტყვის საქმედ მქცეველნი ხართო?!** ამგვარი მკრეხელობის გამო სამორინეებში ძლეული კი არა, დიდგორიდან მოშარავანდედებულიც კი გაიკიცხება ბიბლიური მეცხრე ცნების უმართებულო ა მოქარქაშებისათვის! ახლა ზოგადეროვნული, ქართველურ სიტყვათა განმარტებითი, სინთეზური ლექსიკონი რომ გვქონდეს ხელთ, დავის საგანი დროსა და სივრცეში გაქრება საერთოდ:

„**სამშობლო** — მამული, ლარდა, დობადონა, ოდაბადე, შურობუმუ.

1. ქვეყანა, მხარე, სადაც დაიბადა ადამიანი და რომლის მოქალაქეც ის გვევლინება“...

„**ქალიშვილი** — გოგო, დინა, კულანი, ძლაბი, ცირა, ოსურსქუა.

1. ადამიანის შვილი მღედრობითი სქესისა, — ასული. 2. ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი, — ქალწული“.

რაც შეეხება პოეტის გვარის ძირს „ლებან“, სინთეზური აზროვნების პირობებში შეიძენს სრულყოფილ შინაარსს, ვინაიდან ჯერჯერობით მხოლოდ საბასებურად აიხსნება იგი: „ლებანი“ — ნიგვზის გულის ნახევარი“ — იგივე ცალი, ორმოცდაათი პროცენტი მათემატიკურად. არ არის სახარბიელო „ერთ დიდ მუშტად შეკრული“ სამშობლოს მოწადინე პოეტისთვის, მით უფრო „ცალ“ მსაზღვრელად თუ მოებმება, ვთქვათ და სააზროვნო აპარატს კაცისას, მაგრამ ყველასთვის სასიკეთოდ მისი გვარის ეტიმოლოგია სხვანაირად აელვარდება დასახელებული აბსტრაქტული ლექსიკონით; სადაც „ლება“ ღელვად წარმოჩინდება მოთხრილი ენით, იგივე ბობოქრობა, დაუდგრომლობა, ასე რომ ახასიათებს მისი შემოქმედების ჭარმაგულ პერიოდს, ქედუხრელს, ჭიქა არყის სამართლიანად დამამსახურებელს საქართველოს ნებისმიერი კუთხეში სამეგრელოსთან ერთად; რომ „გასწევდა და პურს უწვდიდნენ ჩანგსა და თარში, ხალხის ღვინოსა სვამდა, ხალხის შვილი ხალხადვე დარჩენილი.“

აი, ამ საუნჯეთა წარუშლელი ხსომიერების გამო არ ავყვები ზოგზოგის ფეხისხმას, რადგანაც სრულიად საქართველოს ინტერესების საჭიროებიდან, ვისურვებდი მსცოვანი პოეტის ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომას, სულიერ გაჭაბუკებას და აქვე წერილს ვამთავრებ ერთერთი მეგრული ლექსით (ქა-შქვილი დო ქა-საგანი — მშვილდ-ისარი, იხ. გვ. 22-23). პოეტურ თარგმანთან ერთად. ორიგინალს დედუღეთში აქა-იქ მღერიან, თარგმანი კი უთვალავჯერ დაბეჭდილა ჩვენი ჟარნალგაზეთების ფურცლებზე. პირველი — ჩონგურზე ცერის ათამაშებას გა-

უჩენია, მეორე — რუდუნებით გადმოქართულებას, გახედნვას სამშობლოს თემშარაზე სათოხარიკაოდ, და როგორია „მიჯდარკულ-მოჯდარკული“ სხეულიდან ზოგადქართულში გადმოსული ფორმა-შინაარსი — ქვევამ ხედვარე, გამბზარავი, ქვეყნის დამამხობელ გრძნობათა აღმძვრელი „მარტივ გლეხში“ თუ მრავალტანჯული დედასაქართველოს აღზევებისთვის, მისი გალავნების ურყევობისთვის ნიადაგ მომართული, გულისხმიერი მკითხველისთვის მიგვინდია განსასჯელად.

### P. S.

კი, ბატონ თამაზ წიფწივადის „ძვირფასი თანამემამულეებისადმი“ გულშიჩამწვდომი მიმართვა „ლიტერატურული საქართველოს“ მორიგ ნომერში, ერთგვარ შვებას მოჰგვრის სრულიად საქართველოს, და მასთან ერთად, ცხადია, გათარანებულ სამეგრელოსაც, მაგრამ კვირიდან კვირამდე — ჩვენი კუთხისთვის ლამის ამ ბიბლიურ საუკუნეში, ხომ ჰქონდა საშუალება პოეტს მსგავსი ნაბიჯი გადაედგა? რა, რომელი ტელეკომპანია, ტელეარხი, მას-მედიის საშუალებანი დაუჭერდა მალამო-სიტყვას:

— ჩემო თვალნათელნო, ლექსი კონკრეტულ ადამიანებს ეძღვნებოდა და არა — მთელს კუთხესო; თუმცა, როგორც სანდო წყაროებიდან ირკვევა, ეს აფორიაქებული კვირა, ყველა ოპონენტის ერთად მოსტუმრების საბაბით მდუმარებს თურმე.

მართალია, ბატონი თამაზ წიფწივადე ნაწილობრივ განმუხტავს სიტუაციას, როდესაც განზოგადოებულ ბრალდებას უკიდურესობამდე შეავიწროვებს რედაქციის მიერ უგულვებელყოფილი ლექსის სათაურის რეანიმაციით, მაგრამ „ხმის ამოღებისა“ და „ხმის აღმადღების“ დაცაცხანებას, როგორც ჩანს, არაფერი ეშველება.

რა ვქნათ, პირის დაღების გვეშინოდეს და მელოდიის დონეზე ვილინოთ გულში: „ჩელა“, „სისა ტურა“, „კუჩხი ბედნიერი“ თუ „ოდოია?“ მე ზემოთ მივუთითე სინთეზური საქართველოს აშენების გზებზე ენათმეცნიერული პოზიციიდანაც, რომლის უებარი საშუალება „ქართველურ ენათა განმარტებითი სინთეზური ლექსიკონის“ გამოცემა — პროტოქართული თუ სადღეისო ნებისმიერი ფონემის სალიტერატურო სიტყვის სინონიმად განთავსება.

რაც შეეხება სამაისო პუბლიკაციაში გაფანტულ სხვა მოტივებს „ქილიკომანის“ პროფილით, შედარებით უღრუბლო დღეს განიხსრიკება მეტის გამოწვლილვით.

არის ჰუმანის უმბროპების ღრო  
ღს  
არის ჰვანთა სროლის ჟამი

დიდხანს მარილებს თავს ბატონი მურმან ლებანიძე ჩემო ლაზო, ძმაო, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ. არც მე ვაკვლები სიტყვაკაზმულ პაემანებს. მოგვიანებით დაბეჭდავს პასუხს, ყველა თავდამსხმელს ერთად მოისტუმრებს. რამდენადმე ანგარიშგასაწევი ოპონაცია მხოლოდ ჩემს მიმართა და კიდეც — ბატონი ინდიკო კვეკვესკირისადმი.

პასუხად ოპონენტებს,  
რომლებიც ჰვანს (თუ ჰუმანს, ბ. ო.) ისვრიან  
(„ვეფხისტყაოსანი“ — „წიკრი და  
ჯგიჯგიტია“ არ არის!!! ფრაგმენტები)

„... გური ოტობაია — მშვენიერად ფლერს, რაც თქვენს გემოვნებაზე მეტყველებს, — ბევრად სჯობს ფეტულაფას... გიმადლით წიგნს და გულთბილ წარწერას... ენერგიული და თავისებურია თქვენი პროზა, ოღონდ მე თქვენ ქართველი მწერალი შეგონეთ და ყოველმხრივ მეტისმეტად მეგრული მწერალი ყოფილხართ... რაიც სამორინეებს ეხება, რისი ხსენება გაზეთში გინებუბიათ, — ამას მიშველაძის გასაგონად ვამბობ, — იქ, ძირითადად, მამაცი კაცები დადიან, გრაფომანები ვერ ბედავენ სამორინეში შესვლას...“

„ რაც შეეხება პათეტიკურ კითხვას — „რა ვუყვით მეგრულ ენას“? — დაგემაყოფილდეთ მისი სვედრით, თუ საქართველო და ქართველობა გეწვია, შინასასაუბრო მისი საბატო და საყვარელი ფუნქციით, გაფითართო იგი შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც ამას ინდიკო კვეკვესკირი და გური ოტობაია სწადიან თავიანთი ეტიმოლოგიური თუ ლექსიკოგრაფიული ძიებებით. ოღონდ, — ზოგ-ზოგის გასაგონად, როგორც ზემოთ ითქვა, — ცოტა უფრო ზრდილობიანად — მურმან ლებანიძემ თქვენზე უკეთ იცის თავისი გვარის ეტიმოლოგია, თუ დაინტერესდა, არც თქვენი გვარებისა შეეშლება“!

ბატონი მურმანის წერილიდან ჩვენ ამ ორად ორ ფრაგმენტს დავსჯერდით, ვინაიდან მასალის სრული გადმობეჭდვა შორს წაგვიყვანდა. და კიდეც ერთსაც დავამატებთ პოეტის ადრეული წიგნიდან:

ცოტნას — გაგვიღველს

„— ხომ არ წამოხვალ შენ ჩვენთან თქვენი?—  
 იქ, ჩვენს ტაბლასთან, ანაზღად გკითხვს,  
 ფუჰ! აგვერიე კამერი ლომში  
 და... ჩვენს საძოვში ჩაგრიცხეთ იმ დღეს.  
 კაცად გიცნეთ და გაგნათლეთ ტომში,  
 გატეხე პური, ასწიე ჭიქაც.  
 მართალი იყო ერთი სპა ორში.  
 შენ — კუდს იქნევდი აქაც და იქაც.  
 სველი გაქვს ლანჩა სიგლახის ტბორში, —  
 აწ შენი გზები სხვაგვარად მიდის:  
 იუდას გერცხლი მოგართვეს სონჩით.  
 შუა ჩაგვიდის მდინარე — მოგრიით,  
 ჩატეხილია ბურჯები ხიდის!“

ცხადია, ვერ გამაჩუმებს პოეტის გაუმართლებელი თავის მართლებანი, თუნდაც ნათელში იყოს. ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი და ასევე დროშიც თანაბარი გვეთქმის, ვინაიდან მწერლობისთვის არ არსებობს დავიწყებული წარსული, უხილავი მომავალი თუ ბეცი დღევანდლობა; მწერლობა სამივე დროს ერთარსში აღუღაბებს აზრის ნათელს და ცნობიერების ზედაშეს. იქიდან, იმ სამგანზომილებიანი კრონოსიდან, ესიტყვება ცაბაოს, ერს თუ საკუთარ სინდისს და აქ კავშირი ურღვევია ყველა პარამეტრით.

დიდი აკაკიც ენობრივი ზოგადეროვნული ჩარჩოების მოდარაჯეა და ერთდროულად კომპენსაციებსაც არ იშურებს მაღალი რანგის ხელოვანის წინაშე:

აკაკი წერეთელი

ენას გიწუნებ ფშაგვლო,  
 მგოსანო მაღალ მთისათ,  
 თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..  
 მკითხველიც იმას მკისათ!

**ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,  
 მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა:  
 შენ დამინატე ის მხარე  
 ფშაურის ჭკუა-გრძობითა.  
 და რაც არ გადმოვიცია  
 მის შეგნებაზე ენითა,  
 მე თვითონ მივხვდი ყველაფერს,  
 შენთანვე აღმაფრენითა.  
 ვიცი, რომ ფშაველის სოფელი  
 წმინდაა, მაღალ მთისაო,  
 ენა – მეტყველი სიპართლის,  
 გულ-მკერდი – ფოლადისო.  
 წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,  
 სადღეისოდ სჭრის კალაში...  
 გადაეც ბარის მგოსნისგან  
 მთიელებს ძმური სალაში.**

თანადროულ ვითარებას ვაჟა ჩინებულად პასუხობს და ვგონებ ეს პასუხი ქრესტომატიულია ნებისმიერი ენობრივი პოზიციისთვის შინ თუ გარეთ:

**ვაჟა-ფშაველა**

**დაგვიანებული პასუხი აბაქის**

„ენას გიწუნებფშაველო,  
 მგოსანო მაღალ მთისაო,  
 თუმც კი გვითესავ მარგალიტს,  
 მკითხველიც იმას მკისაო“

**ბევრი ვიფიქრე ძალიან,  
 თუ რა პასუხი გაშეცა  
 შენთვის, მხცოვანო პოეტო;  
 დღეცა ვფიქრობდი, დაშეცა.**

როს დაგაპირე სიტყვის თქმა,  
 უცებ თავზარი დაშეცა:  
 სიტყვა, მოსული სათქმელად,  
 ენიდან მომწყდა, გაშექცა.  
 დაგლონებულვარ ძალიან,  
 თითქოს სანღ-კარი დაშექცა.  
 რაო? რა ღმერთი გაშიწყრა  
 მარგალიტების მფლობელსა,  
 რომ თავის უშნო ენითა  
 ვერას ვაგონებ მშობელსა?!  
 ბუღბუღლისათვის გალობა  
 დაუწუნია რომელსა?  
 მარგალიტების მფლობელი  
 ენასა სმარობს ღონედა;  
 და როცა მარგალიტს სთესავს  
 ან თუ ააგებს ყორედა,  
 მაინც ის არი, რაც არი,  
 ჭორები მოაშორეთა!  
 იქნებ მე, ჩემმა ენამა,  
 სამშობლო დაგაღონეთა?  
 ფრთები შეგაკვეცეთ ოცნებას,  
 დაგამხეთ, დაგამონეთა?  
 უვარგისობის მიზეზი  
 ფშავლობა არის სწორედა.  
 მოძღვნილი არის მთის მიერ,  
 ჩამოტანილი ქარისა,  
 რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი,  
 ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!  
 აქაც სომ ქართველები ვართ,  
 ყვაფილი აქაც ჰყვაფისა.  
 ნატად ჰყავ, სალოცავ ნატად,  
 მთიელთ სამშობლო თავისა.  
 და ენა მთისა სიმტკიცით  
 მსგავსია კლდისა სალისა;  
 იქნებ აკლია, არ ვიცი,  
 ამ ლომს სინაზე ქალისა?  
 ამისთვის დასაგმობია  
 და წასაღები წყალისა?!

კაცი მეტყველი, მგრძობელი,  
 ცხოვლად ამხელი თვალისა,  
 ამგვარის აბის მოწამე,  
 შეგდრკე, დაგმუნჯდე ღამისა.  
 მაინც წინ მივალ, მაინცა,  
 არ მეშინია შარისა.  
 გულს მისვენია ხატადა  
 ენა მთისა და ბარისა.  
 მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,  
 თუა ქართულის გვარისა.  
 მოთაყვანე ვარ ყოვლისა  
 იმათ ტკბილის და მწარისა.  
 სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,  
 დამსშობი მზის და მთვარისა,  
 სამშობლოს დამამსობელი  
 და გამომჯრელი კარისა...  
 სჯობს, რომ იმაზე ვიტყვით,  
 მუდამ მთქმელი ვარ ამისა...  
 ნუ შეგაშინებსთ, არ გაგნებსთ  
 მთიდან ყვირილი ხარისა.

მოგვიანებით გავეცნობი ეთერ თათარაიძის პოეზიისადმი მიძღვნილ  
 მურმან ლებანიძისეულ ლექსს. აქაც სადავი სიტუაციაა. ამ ჩინებული  
 მესიტყვის სტრიქონიც ლიტერატურული გარანდების შემთხვევაში  
 ხელაღებით ჰკარგავს თავის მომხიბვლელობას, თავის ზღაპრულ ელფერს  
 და პროზაულობის უნიათო ორლობეში ენარცხება თავ- კისერ-ფეხიანა:

მურმან ლებანიძე

ეთერ თათარაიძეს

თათარაიძის  
 პატარა ქალო,  
 შენ შენი გული  
 პოეზიის ცეცხლს მიეც უშრეტს,  
 თავდავიწყებით  
 შენ შენსას ჰგალობ —

ისარე, შვილო,  
 ესახელე ჩვენს ბედგრულ თუშეთს!  
 ჩიტუნას ჰგავსარ  
 პაწაწუნას, რომელიც სჭყვივის  
 და გაჩქარებით  
 ათასნაირ ტკბილ სმას გამოსცემს:  
 ტირილ-წუნილთან  
 სისარულიც შენს სმაში სჭყვივის,  
 გაოცებულხარ –  
 გაოცება შენი შაოცებს.  
 შენ არ გეწყინოს,  
 არ თქვა: რჩევა ადვილად ითქმის!  
 მე შენ ერთს გკადრებ  
 არას გეტყვი მრავალსართულად:  
 შიგდაშიგ, შვილო,  
 ეგ ყვაავილი თუშური სიტყვის!  
 სთქვი უფრო ნათლად,  
 ცოტა უფრო მთავარ-ქართულად!  
 სსვა რა გირჩიო?  
 გახარებას ლექსით გვპირდები –  
 „ჩემ დედო“ უთხარ  
 დედას მთავარს,  
 ვინაც შევიგრძნო!  
 სომ მოგვეწონა  
 დაქსივილი შენგნით ჩითუბი?!  
 სომ მოგეფერა  
 საქართველო როგორც შეიძლო?!  
 თავდავიწყებით  
 შენ შენსას ჰგალობ...  
 მადლი შენს გამჩენს,  
 შენს გამომცემ ქორბუდა თუშეთს!  
 თათარაიძის  
 პატარა ქალო,  
 გვირილას შენსას  
 ბერიკაცი იმედით უჭვრეტს!

თუმცა ჩვენი ეთერა თავისნათქვამაა, ლაზო ძმობილო და არ მოიშ-  
 ლის ლექსების ამოკენესებას თუშურად, აღარ მოიშლის პოეტო ბასა,

ვინაიდან, საკმარისია მან ლიტერატურული სტილის არტახებში გამო-  
ატაროს სტრიქონები, რომ მერმე ვერასდროს განაწრფელოს საჯეჯიმო  
ძაფები გაუხუნარის ფერჭვირვა ლებით:

**ცას მთვარის ნალ აკრავს,  
თვალ რომ არვინ დახკრავს,  
კერაის პირ ფიქრნასევ  
ღართ ხმელ ფალავთ ჩახკრავს.  
უცბად მოსისინებულ  
სიო სეთ მხარს გახკრავს...  
ცას მთვარის ნალ აკრავს,  
თვალს ვერავინ დახკრავს.**

გვეცოტავება? სხვა ვინებოთ:

**ჩემკინ მოსასვლელ უენ გზას  
ნარი-დ ეკალ ახვიავ,  
შენკინ მოსასვლელ ჩემ გზას  
სამოს აცვი თალხიან...  
ჩემ გზასაც თალხ გასცვეთი,  
შენიმ გზას ქეპენ ჩახხიან.**

მარტო ფორმა „ნარი-დ“ რად ღირს, ეს ხომ ენის ზეიმი, გამოაცლის  
ქართულ პოეზიას ეთერ თათარაიდის ჭვირვალეზას და იგი დაემსგავსება  
ბუხარს, რომელსაც გვარიანად გათარანებული მუგუზალი გამოა-  
რიდეს. კიდეც ხომ არ ამოგვებერტყა გული ერთგზისა?

**სიყოთლად მაქე ქარ-წვიმის  
მიწ-მოწეწილ კარავ,  
თავზე მადგას უთენებ  
ღამე მრუმი-დ წკვარამ,  
დღეებ მიმდის ვარშიან  
ჩემდ სილაღის მჩქმალავ.**

ჰოდა, რა ქნას ეთერ-ღაიმა, როცა:

**აღარ მოგაქე იების  
ცვარმონაბკურ კონებ,**

**აღარ აქვის სადარდელს  
გასასვლელა ფონებ,  
შენ გულ გამოგყინვია  
მე გულ შქცევი თონედ.**

მაინც რა განძლიადა „გასასვლელა ფონებ?!“  
მოკლედ, ველარ თავსდება ერთმანეთში პოეტი მგოსანი და პოეტი  
ვეზირი.  
კიდევ რანაირად მეტადრე „მთავარ-ქართულად?!“ ასე?

**აღარ მოგაქვს იების  
ცვარნაბკურები კონები,  
აღარ ეტყობა სადარდელს  
გადასასვლელი ფონები,  
შენ გული გამოგყინვია,  
ჩემში — გიზგიზებს თონები.**

პოეზიის საიდუმლო კი სულ სხვაგან არის, ჩემთავმკვდარო, ქაზიმ  
ქუიუნჯუ! დიახაც, იქ, რომელიც ეწირება აკაკი წერეთლის, თუ მურმან  
ლევანიძის ლექსისადმი პატრიოტულ დამოკიდებულებებს. არადა, ჰეგელი  
ცხადლივ მიანიშნებს „ესთეტიკაში“, რომ პოეზია განთავისუფლებული უნდა  
იყოს ნებისმიერი პოლიტიკური უღლისგან. მთელი საიდუმლოც  
ცნობიერების ნაკადთანაა, ვინაიდან ერთადერთი პოეზია ექვემდებარება  
ქვეშეცნეულ შინაგან ხმას და აქ ზედნაშენი ფასეულობა, ნასწავლი  
გამოცდილება უმაქნისია.

მყავს მე ერთი უხერხული ოპონენტი-თანამოკალმე, მაგრამ იმ  
დალოცვილს, საკუთარ პოეზიაში რომც არაფერი განეხორციელებ-  
ბინა, გალაკტიონის ბეწო ლექსის თარგმანითაც იუკვდავებდა:

### **გალაკტიონ ტაბიკი**

ჰამლეტის ქნარით

**ამათა მთლად ცხოვრება,  
დრტენვის წუთისოფელია,  
წადი... წადი მონასტერში,  
მონასტერში, ოფელია!**

**ტკბილი ნანა სულს უთხარი,  
უბედობა ხატს აჩვენე,  
დაბაშერალი სული, გული,  
მონასტერში მოასვენე!  
მაშ, შორს მტკერი, შორს, შორს მიწა! —  
ის ცის უარყოფელია,  
წადი...წადი მონასტერში!  
მონასტერში, ოფელია!..**

ცათე ქიანა, ცათე რინა,  
გვალო პოტიკე ცოფენია,  
მეუ.. მეუ მონასტერშა,  
მონასტერშა, ოფელია!  
უბედობა ხატის ქეჩი,  
გურც დაჩხირი დუბარბანჯე,  
შულადირი შურჯ დო გური  
მონასტერსუ ქემასვანჯე!  
ცაშე ვარიაშე მორაგადე  
მუშო გოკო სოფელია...  
მეუ... მეუ მონასტერშა,  
მონასტერშა, ოფელია!..

ენდე ჩემს გემოვნებას და გამოცდილებას, ლაზო ძმაო. ამ შემთხვევაში გალაკტი-ონს 20-25 პროცენტით აღემატება ჩვენი ოპონენტის თარგმანი: მოუხეშავია ქართულ ვარიანტში „**დრტკინვის**“, „**შორს შორს მიწა, შორს შორს მიწა**“, თარგმანი გაცილებით მოქნილია და ელასტიკური, თანაც ლექსი 99 პროცენტით მისდევს დედანს. მაგრამ ამისთანა პროცესებს სრულიად სამართლიანად გმობს ბატონი მურმან ლებანიძე, ვინაიდან მეგრული ლექსის აღზევებაში იგი ხედავს საქართველოს დაქუცმაცების რეალობას და ქვეყნის მონოლითურობის სადარაჯოზე მდგომს, როცა სამშობლოს მთლიანებას საფრთხე შეემუქრება, პოეტური აღმაფრენები არაფერში ეპიტნავენა. მოკლედ, როგორც კი პატროფილური დამოკიდებულება იჩენს პოეზიაში თავს, ლექსსაც გავწირავთ და ველარც ქვეყნის ერთსხეულებას მივალწევთ. არადა, ჩინელისათვის სულ ერთია საიდან გადააჩინელებს ოფელიას, ქართულიდან თუ მეგრულიდან. მსგავს სიტუაციაში მეც მურმან ლებანიძის პოზიცია დამიკავებია ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ, და თანაც — წარბის შეუხრეღად, მაგრამ წუთისოფელი გულმავიწყა თურმე:

## „უშაგაცი მსაჯულის მანტიით“

(ამონარიდი ბელეტრისტული  
მატიანედან „სუფევა“, ტ. I. გვ. 462-463.  
„ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა“, თბ., 2007 წ.)

„...რაც შეეხება ნარიმან იაშაღაშვილის „ტორონჯს“, ეს მართლაც მრავალი ეჭვის აღმძვრელი უნიკალური შემთხვევაა. დავიჯერო, რომანებისა და პიესების ავტორი ნართ კოლხარი, იმდენად გულუბრიყვილოა, რომ საჩოთირო საქციელს ჭკუა ვერ დაატანოს?! ან ვის მიუბოძებია მასთვის უფლება, გნებავთ — იურიდიული, გნებავთ — მორალური, ჯერ კიდევ დაურეგისტრირებული გაზეთი მისთვის აბსოლუტურად უცნობი საზოგადოების ყრილობას მიუძღვნას! დაგუშვებთ, როგორც თვითონ ასახუთებს, კეთილისმყოფელობამ მოამოქმედებინა ყოველივე, მაგრამ სომ უნდა მაუწყო პატრონს, ვინემ ჩემი სახელით საჯაროდ გამომაჭენებდე?! როგორც ჩანს, უფალი კოლეგა მაცდუნებელ პოპულარობას დახარბდა და ლოქოს დაჭერაში გაუწაფავ ბონდოიაზე (ანკესზე ჭიაყლის ნაცვლად პურის ნამცეცი წამოუცვამს) ყბულობას გადაგვაცოლა.

დაგეონკრეტები: ადრეც უჩუქნია ჩემთვის ნართ კოლხარს მოთხრობების მომცრო კრებული — საინტერესო პასაჟებით, მსუბუქი იუმორით შეკონილი ორენოვანი წიგნი, მაგრამ აშკარა მაფალუისტური ნიშნით ცხებული: პროგრესულია ის, რაც მთელი სკენ ისწრაფის და არა — პირიქით. როცა ჩვენ მეგრულიდან ქართულად ვთარგმნით, მამულს ერთ თაველად შეგკონავთ სოლმე, მაგრამ თუ უკუშეკცვადია ეს პროცესი, გამუხრუჭებთ სინთეზური საქართველოს შექმნას. ვგულისხმობ პროზაული ნაწარმოების მეგრულ ენაზე შეთხზვის ტენდენციას. ჰა და ჰა, პოეზია მოსათმენია სადღაც, მელოდიის, სიმღერის დედაა. ლექსს თავისი უბადლო კანონები ახლავს, თავისი მეტრიკა და ინტონაციები, განუმეორებელი პოეტური სასკები, მინანქრული სისადავე (რითაც განთქმულია საერთოდ მეგრული პოეზია), მშვენიერების ავტონომია, დამოუკიდებელ სხეულებრიობას რომ ანიჭებს, და ამგვარად — არსებობის იურიდიულ უფლებასაც, მაგრამ ისეთი რა გავგჭირვებია, ორლობის საყველბურთ ლაყაფი დედაქართულზე ვერ

გამართოთ?! აქ ტოსკანური და პროვანსული გამოცდილების მოშველიება არაფრად წაგვადგება. ნუთუ სამაგალითოდ ვერ იკმარებს ვაჟას შემოქმედებითი გენია: აკაკის დაწუნებულ კილოზე მარგალიტების მთესველი მგოსანი, შეუდარებლად ანკარაზე ანკარა სალიტერატურო ქართულით რომ ქმნის შგლის ნუკრის, ბესრეკი წიფლის, მაღალი მთების სულისშემძვრელ ტრაგედიებს?!

ჩემი მიზანი სულაც არ არის ნართ კოლხარის გაკილვა ან გულის დაწყვეტა. მიფუთითუბ უბრალოდ, რომ მისთვისაც და ერისთვისაც აჯობებს თავისი პროზა ქართულ სიმეზზე ააფლეროს, ხოლო მეგრულ ზღაპრებს თუ გვითარგმნის ბრეგაძეებისა და ჩხენკელების სწიფოსილებით, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ან მოსათმენია განა კერიის „პოეტებს“ შორის „ვეფხის ტყაოსნის“ მეგრულად თარგმნაში გამართული გაცხსოვებელი ჯიბრი?! საჭირო ყოფილიყო ვერაგინ დამასწრებდა ამ საქმეს! ის კი არა საკუთარი პოეზიაც მოვბოჭე, (აქა-იქ რომ იმღერება კიდეც), საერთო საქმის სასარგებლოდ. აბა, დაფუკვირდეთ, ვინ უმართაგს სელს შანაგას გაითარგმანის სოლიდურ ტირაჟიან საუცხოო გამოცემას? არაფრით დამიჯერებთ, თვით საქართველოს დაუძინებელი მტერი, გლადისლაგ არძინბა!

„ვეფხის ტყაოსნის“ რუსთველზე უკეთესად ვერაგინ დაწერს, ვერც ცხონებული კაკა ჟვანია და ველარც – უორდრო-



ბი, ნუცუბიძე თუ თქვენი მონა-მორჩილი გური თტობაია! მეგრელებისათვის კი იმაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს, ორიგინალში რომ ძალგვიძს ამ მართლაც და უკვდავი ქმნილების ადეკვატური აღქმა?!

მახსოვს, ერთხელ, გამომცემლობა „სამშობლოს“ დერეფანში გაზეთ „ტორონჯს“ მისხუნებს ნართ კოლხარი და წარმოდგინეთ, თანამშრომლობასაც კი შეპოშთაგაზეხს. მე თავაზიანად მოუცლელობას მოვიმიზეზეხ, რაც თანამოსაუბრეს არ ეჭაშნიკება და უფრო ღირსეულად წარმომიჩენს თავს:

– გინესის წიგნში ვარ შეტანილიო, – გამყნდობა. გაგიოცებ, როგორ-მეთქი?

– როგორ და 78 საათში (მომიტევოს ადრესატმა, დროს თუ ზუსტად ვერ ვასახელებ), რომანი დაგწერო.

თვალებს დაგჭყეტ:

– მწერალი თუ გუთქმის, შენ, ძმობილო! მე საწყალი ათი წელიწადია ჩემს „სიცოცხლემისჯილებს“ ვეჯაჯგურები და ჯერაც ვერ გამიმართავს რიგიანად-მეთქი.

ბევრი რომ არ გაგაგრძელოთ, ნართ კოლხარის სტახანოგური ტემპით წერა რა ჩემი სადარდებელია, მისი ნამოქმედარის გამო ტალახს რომ არ შესროდნენ.“

წაეკითხა ოჯახაშენებულს და მერმე ნაკლებად მოიქნევედა, ალბათ, ხარისხს ჩემი ტოტებისკენ, მაგრამ ეს საკითხი ბოლომდე ამოწურვას მოითხოვს და მომიტევებს ძმობილო ისედაც დამაშვრალი თვინიერება შენი.

ახლაც, სადაც არის, შემოვევლე სულხან-საბას ძვლებს, რომელიც მეგრულს ფრინველთა ჟღურტულს უწოდებს საქართველოს გადასარჩენად საფრანგეთისკენ მიმავალი და ჭანებისაგან გაქურდული;

ახლაც, სადაც არის, შემოვევლე ლებანიძის ჯერაც ნელ-თბილს ხელს, რომელიც მიჯლარკ-მოჯლარკეთ ქართული ლექსიო, შემოგვძახებს სახელმწიფოს მთლიანობას მოდარაჯე ვეზირის პოზიციიდან. ერთიცა და მეორეც ამ შემთხვევაში პალადინის, პატრიოტის გადასახედიდან განიხილავს პოეზიას და არაფერში არგია რომელიმეს საქვეყნო საქმეებიდან განთესილი სტრიქონი, მაგრამ რა ქნას თავად პოეზიამ?!

სამოცდაათიანი წლები მახსენდება, ჩემო ლაზო ძმაო, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ. ხიდისთავი. კალანდაძეების ილილიური ოჯახი ჩოხატაურის რაიონში და იქ გატარებული 72 საათი. ქალბატონ ანას ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათარედაქცია სიუჟეტს ამზადებს და როგორც პრაქტიკანტი მეც იქ

მოვხვდები გადამღებ ჯგუფთან ერთად. ეს პერიოდი მურმანი ჩემთვის პოეტური ალქიმის მეტრია, მეტიც, ქურუმი. მივსერირობთ გუბაზოულის პირას, ვბანაობთ, ვთევზაობთ, აქა-იქ ლირიკის პრობლემებსაც გადავწვდებით. ჩემს რამდენიმე ლექსს მაჯას გაუსინჯავს ბატონი მურმანი. პირუთვნელია.

— დუენდე აკლიაო, — მეტყვის. — თარგმანს ჰგავს სადღაცო, — დაუნდობელია. იმ წუთას მამალი ინდაურივით აფხორილი, მოგვიანებით გავიცნობიერებ მგოსნის რჩევებს და საერთოდ გავანადგურებ ნაწვალბე ლექსებს. აი, სწორედ ამ მომენტიდან მივებარები მეგრული პოეზიის აკრძალულ ხილს, უკეთ დახურულ თემას — შიშით, რიდით: არიქა, ქვეყნის დამამხობელი და მოლაღატე არ მიწოდონ-მეთქი, და როგორც გზადაგზა იხილავთ, თავი ჭირსა არ დამალავს; ვერ შეიწყნარებს ერთმანეთს ლექსისადმი ორგვარი დამოკიდებულება: საკუთრივ პოეზია და პატრიოტიზმი. აი, ყველაფრის ანი და ჰოე, ზოლამ ბერე.

მეგობრული შეხმინება გაზეთი „მაფშალიისა“ და ლექსების კრებულ „მეგრული პოეზიის“ გამომცემლებს

მიუხედავად ამდენი წლის გასვლისა, ახლაც იგივეს გამეორება გვიწევს ბატონების: რამაზ კუპრავს თუ „მეგრული პოეზიის“ გამომცემლების მისამართით, რასაც ნარო კოლხარს მივუთითებდი. კოკასადმი თქმული არაფრით შეისმინა ლიტრამ!

მეგრულენოვანი გაზეთი „მაფშალია“ (ბულბული) 12-გვერდიანია. მისი ქრონომეტრაჟი ორთვიურია. პერიოდიკა პოეტების და მწერლების ორგანოდ აცხადებს თავისთავს. პრემიულად წამძღვარებულია დევიზი:

**„გაკვირტულიყავი, გაფურჩქნილიყავი“.**

სარედაქციო მიმართვის სანაცვლოდ შემოთავაზებულია გრიგოლ რობაქიძის რომელიღაცა სიტყვის ფრაგმენტი, რომლის თანახმად მწერალი იმის მომხრეც გახლავთ, რომ მეგრული მწერლობა აყვავდეს. ეგერ არ არის პროვანსული ფრანგულის გვერდით?! ამით ქართული არაფერს წააგებს, პირიქით მოიგებს კიდევცო. იგი შეიძლება საყოველთაოდ გადაიქცეს ქართულისათვის. სვანურზეც იგივე ითქმისო. (რობაქიძის სულის მოგვიტევენს, ალბათ, ფრაზის მეგრულიდან გადმოქართულების გამო).

პირველსავე გვერდზე განთავსებულია ნიჭიერებით დატენილი პოეტის, დანიელ ფიფიას, სტრიქონები პოემიდან: „ბულათია“.



გაზეთში სოლიდურადაა წარმოდგენილი პოეტები: ლაშა გახარია, ალიო ქობალია, რინოს კვარაცხელია, რამაზ კუპრავა.

დაბეჭდილია ერნესტ ჰემინგუეის ნოველა „ინდიელების სოფელი“.

სბოს კუნტრუშისმაგვარი მგონია გ. ქარჩავას ინფორმაციული ლიფსიტები.

მთავარი სულისკვეთება მაინც რედაქტორის (ბ-ნ რამაზ კუპრავა) მიმართვა-წერილსა — „ოსურპატონეფი დო პატონეფი“ და ესეშია ჩაქსოვილი — „კოლხური (მეგრული) ენა კოლხური ენაა, კოლხური ქართულის უფროსი ძმა-ენაა“. დასახელებული პუბლიკაცია გაზეთის 3 გვერდზეა განთავსებული და ჩვენი საუბარიც ფაქტობრივად მის გარშემო გაიშლება.

ავტორი ორიგინალურად იშველიებს ნიკო მარის, აკად. სერგი ჭიჭიას, შალვა ნუცუბიძის და პროფ. აკაკი ურუშაძის ერთობლივ კონცეფციას იმის თაობაზე, რომ ეტიმოლოგია „სამეგრელო“ მომდინარეობს „არგ“ ძირიდან, მისგან იწარმოება „არაგვი“, „არგვეთა“, „ენგური“ და ა.შ.

აკად. თამაზ გამყრელიძის კაპიტალური ნაშრომიც იგივე დასტურდება.

ყოველივე თამამად დაასკვნენებს რედაქტორს, რომ იქნებ პირინის არაგულია და არაგო (ლუი არაგონი) აქედან წარმოსდგებაო.

ავტორს აქამდე გამოჰყოლია პოეტ მურმან ლებანიძის წამიძახებული



სტროქონი-სამსალა ქართული ლექსის მიჯღარკ-მოჯღერკვის თაობაზე. იგი დაუბრუნდა დასკვნებისას, როცა ქართულის შემნახავ და გადამრჩენელ ენად მის უფროს ძმა-ენას, კოლხურს, მეგრულს ასახელებს.

ღია კარების მტვრევა კოლხური ტოპონიმების ძიება, არა მხოლოდ დასავლეთ, თვით — აღმოსავლეთ საქართველოშიც. ებრაელებმაც დიდხანს მალეს თავიანთი ბიბლიური წიგნების წარომავლობა, მთლად ორიგინალურად წარმოგვიჩინდნენ მას ლამის 26 საუკუნე, მაგრამ, აი, გაითხარა შუამდინარეთის დიხაგუძუბები და დაიწყეს თიხის ფირფიტებმა ღაღადისი: თურმე ყველაფრის სათავე შუმერია, შავთმიანთა მოდგმა, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთში დამკვიდრებულან (კავკასიიდან თუ ინდის აუზიდან). ჰოდა, თვალსა და ხელს შუა გაირკვევა, რომ ებრაელ ხალხს ჯერ აქადურ ენაზე უთარგმნია წარღვნის მითოლოგია, შემდგომ — ბაბილონურზე, ბოლოს სემიტურად აუმეტყველებია ეს პასაჟები და ცივი წყალი გადაესხმება „დაბადების“ ორიგინალობას. მაგრამ ამ მეტამორფოზისათვის, ამ მწიგნობრობისთვისაც უდიდესი მადლობა უნდა შევიწიროთ მათ.

აქ სულაც არ კნინდება ებრაელი ხალხის როლი. მკვდრეთით აღსდგა შუმერთა გენიალურობის მისტერია და თანაც ებრაელი მოგვების მიერ ჩაწერილი ბიბლიური სიუჟეტებით.



ვთქვათ და ნოეს კიდობნის პარამეტრებით მივიღეთ დედამიწაზე მომხდარი კატასტროფის სურათი, როცა 12-10 ათასი წლის წინათ ჩვენს პლანეტას ასტეროიდი დაცემია, 38° გადაუხრია მისი ღერძი და სულ რაღაც ერთი ბრუნით გაახანგრძლივებულა დღე-ღამის რაოდენობა წელიწადში, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ყოველივეთი იმისი დამტკიცება გვწადია, ლაზო ძმობილო, რომ იესოს ქრისტეს თქმულისამებრ: **არარაი დარჩეს დაფარულ.**

ისტორიული სინამდვილისათვის თვალში ნაცრის შეყრაა ლეონტი მროველის ჩმახები ქართველური ტომების გენეოლოგიის თაობაზე, თითქოს ჩვენი ეთნარქი ქართლოსია, რომლის უფროსი ძმაა ჰაოსი და ა.შ. ეს ხომ ისტორიული კუდაბზიკობაა! სადღაა არიან ქართლოსი და ჰაოსი, როცა კოლხი ტომები ზეობდნენ ჩვენს ერამდე ოთიხი ათასი წლის წინათ?! ისტორია არაფერს დაკარგავს, იოტისოდენასაც. მოდის ახალი ტექნოლოგიები და ფრჩხილისოდანა ექსპონატიითაც თავის უფლად დადგინდება გიგანტი იმპერიების კონტურები.

ჩვენ სხვა რამ გვადარდებს, სხვა რამ მოითხოვს დაფიქრებას და კოლექტიურ სამსჯავროზე გამოტანას, როგორც ეს მოხდა 15 საუკუნის წინათ, გუბაზ მეფის ვერაგული მკვლელობის დროს.

როგორ, რანაირად მოვექცეთ ქართველურ ენებში წარმოქმნილ სიტუაციას, როცა ერთდროულად გვაქვს ერთი სამწერლობო (საკუთრივ

ქართული) და სამი შინაურობაში სახმარი ენა — სვანური (300 000 მომხმარებელი), მეგრული — (1 მილიონი მომხმარებელი) და ლაზური — (3-4 მილიონი მომხმარებელი). რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ ერის მამებმა, ფარტაზებმა და აიეტებმა, რომ ეს დაქსაქული ეთნოფსიკა გავამრთლიანოთ?!

სალიტერატურო ქართული მუშაობს ფერეიდანში. საკმარისია ქართული ანბანის შეტანა მათ ცნობიერებაში, რომ ისინი დედაქართულზე მწიგნობრობას დაიწყებენ. მაგრამ როგორ მოვექცეთ ამ დედა ქართულს ლაზების მიმართებაში, როცა მათ აბსოლუტურად არ ესმით მისი, როცა ისინი ქართულ ეთნოსთან ურთიერთობის მეგრული ენით ამჯობინებენ — მეგრული და ლაზური 60-70 პროცენტით ენათესავენა ერთმანეთს. დაშორების მკვეთრი ხაზებია სვანურში, როგორც ქართულის ისე მეგრულ-ლაზურის მისამართით.

რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?! სალიტერატურო ქართულს 40-50 პროცენტამდე ნასესხობები კვებავს უცხოური ლექსიკიდან — სპარსულიდან, თურქულიდან, არაბულიდან, ბერძნულიდან, რომაულიდან, რუსულიდან, სომხურიდან და ა.შ.

სად არის გამოსავალი?! ამ სიტუაციის დაძლევის საუკეთესო სახსარ-ღონედ მე ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონის შექმნა დავასახელებ თავის დროზე, სადაც მაგალითად, სალიტერატურო „სამშობლოს“, „მაშულის“ სინონიმებად ერთ ბუდეში განვათავსე სვანური „ლარდა“, ლაზური „დობადონა“ და მეგრული „ოდებადე“, „ობადიში“, „შურობუმუ“. ამნაირი ლექსიკონის შექმნით ჩვენ ერთი-ორად გავაიოლებდით საქმეს, გავაიოლებთ ლაზების ქართის ტომის ხალხთან დაკონტაქტებას, ფერეიდნელების დალაპარაკებას ლაზებთან, დანარჩენი ხომ ისედაც ვემუსაიფება ერთურთს დედაქართულით?!

პოეზია ენის ძრავაა, ჩემო ლაზო ძმაო, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ, ენის სული და გული, ამიტომაც მისი წარმოება მეგრულად, სვანურად, ლაზურად, საჭირო და ეროვნულ საქმედ მიმაჩნია, როგორც ქართულის გამაჯანსაღებელ- გამაძლიერებელი საშუალება. არაფერია დასამალი, რომ სალიტერატურო ქართული III-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა მეგრული ენის საფუძველზე, ქართველის მეტყველების გრამატიზაციის მეშვეობით. ამას უსწრებდა ქუჯისა და ფარნავაზის კოალიცია, რომელმაც ქრისტემდე 284 წელს გამოაქვეყნა ქართული ასომთავრული. სულაც არ არის გამორიცხული, რომ იგი რამდენადმე ჩამოჰგავდეს შემგერულ თიხის ფირფიტებზე წარწერილ წარღვნის მითოლოგიას, რომელიც ებრაელი მწიგნობრების მეშვეობით შემოსულა ჩვენში. არ არის გამორიცხული, რომ ქართული ასომთავრული კარგად დავიწყ-

ებული კოლხური კირბებია, კირიბიშები! აკი, კორიბანტები კალი-გრაფებად იწოდებიან ბერძნულ წყაროებში; ქართუშები აკურთხებდნენ ფარაონებს ტახტისმტეებად, აღასრულებდნენ საკრალურ წეს-ჩვეულებებს, ხოლო კოლხიტები აპატიოსნებდნენ მათ ნეშტებს სამუდამო სასუფეველისათვის მუმიების სახით.

განა შემთხვევით მოუხრიდა ქედს ფარნავაზ მეფეს ქუჯი, ქართის, ქართუშების წარმომადგენელს, ანუ ხელდასმულების დესპანს, ვისაც გამოქვაბულში განძეული უხილავს, ანუ დაფარულ ცოდნას დაწაფებია. ეს განდობილთათვის უზენაესთან ზიარებაა, ცაბაოთთან წილისყრა. ანუ III-X საუკუნეებში უკვე მოხდა ქართველი ერის, საქართველოს ფორმირება, რამაც მე-12 საუკუნეში „ვეფხისტყაოსნით“ დაიქუხა.

ახლა, როგორ გინდა ამ პროცესის უკან მობრუნება?! დღეს ჰომეროსს ახალ ბერძნულზე კითხულობს ელინელი. ძველბერძნული მოკვდა, წიგნიერი ენაა. მისი რესტავრაცია არანაირ ძალ-ღონეს ხელეწიფება უკვე. იგივე ითქმის ლათინურზე. მანაც გენეზისი განიცადა და იტალიურში განსულიერდა. ქართულმა გამოიარა სვანურ-მეგრული პლასტების პერიოდი და ფორმირდა სახელმწიფო ენად.

ვინც სერიოზულად ფიქრობს, რომ მეგრულ ენაზე ამეტყველდება სრულიად საქართველო, აბსურდია, უტოპია. ჩვენ ლაზური, მეგრული, გვჭირდება და დაგვჭირდება მომავალშიც ქართული ენის ასაფხიანებლად, განსაწმენდად, დასაწდევებლად. მეგრული მეტყველების დავანება, შენაკადება ქართულში არანაირად მოასწავებს მის გაქრობას. ნაწილის არსებობა მთელში არ ნიშნავს ნაწილის იავარქნას. შესაძლოა იგი საზოგადოდ არ ბრწყინავდეს, არ ელვარებდეს, მაგრამ აშენებდეს მამულიშვილურ გალავნებს. სახელმწიფოებრივად მომართული ადამიანი სხვანაირად ვერც მოიაზრებს. ლაზო, ძმობილო, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ, ამიტომაც მივუტევე მე შეძახილები სულხან-საბას, აკაკის, ლებანიძეს სახელმწიფოებრივი პოზიციიდან. სალექსო ფირმების არსებობა ამ ენებში უზალთუნებად შემოადწევს ზოგადეროვნულ ცნობიერებაში. ამისთვისაც გამოვცემ აქამდე ლექსების ორენოვან წიგნს — მეგრული ტექსტებითა და პოეტური თუ ბჭკარედული ქართული თარგმანითურთ. სხვანაირად გამაღიზიანებელია მეგრული პოეზია დანარჩენი საქართველოსათვის. კაცობრიობის მომავ- ალს ვერავინ დასაზღვრავს III ათასწლეულის მიწურულისთვის, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით ერთი დომინანტური ენა რომ იქნება მთელს მსოფლიოში, ამას მტიცებები არ სჭირდება. რომელ სკალაზე აღმოჩნდება ამ პერიოდში ქართველური ენები?! ეყოფათ კი მათ ძალისხმევა არსებობისთვის ბრძოლაში თავის გადასარჩენად?! რა შემთხვევაში შეიძლება პროზი-

ციები დათმოს ქართულმა რომელიმე ქართველური ენის წინაშე?! აქ საკითხი მარტივად დგას.

სანამ ქართულ საზოგადოებას ხელთ არ აღმოაჩნდება „ვეფხისტყაოსანზე“ მაღალმხატვრული ნაწარმოები, ქართულ ენას პირველობას ვერავინ წაართმევს.

საკმარისი იყო მეტი პოეტური აღმაფრენა დაბერტყვოდა მხრებზე ვაჟას, ერთ, მონოლითურ სხეულად შეეკრა თავისი შემოქმედება მინდიას გარშემო, რომ მთელი საქართველო ფშავურ კილო-კავზე აუბნებოდა. ფშაველა ვერ გადაეგლო რუსთაველის დაძლეულ ესთეტიკურ თამასას და ვაგრძელებთ კიდევ მისი ფსიქოლოგიით ცხოვრებას. სხვანაირად წარმართა ვირგილიუსისა და დანტეს ბედი, როცა ალიგიერმა ფლორენციულ დიალექტზე აახმოვანა „ღვთაებრივი კომედიის“ ბნელხვეულები და გადაწონა ენეასის საგა. საკმარისია ქართულ სინამდვილეში დაიბადოს ახალი გენიოსი, გნებავთ — სვანურ ენაზე, გნებავთ — მეგრულ-ლაზურზე, რომ მომავლაში საგრძნობლად გადაისინჯება დღეს დომინანტური ქართულის პოზიციები. ამ მიმართებით მისასაღმებელია მცდელობები ორიგინალური ნაწარმოების შექმნის თვალსაწიერით და არა — ერნესტების თუ სხვათა თარგმანზე კბილებიდან ოფლის მოდენა.

არის სხვა ნიუანსებიც, რომელთა ფრჩხილების გახსნას აქ არ შევუდგები, მაგრამ გაცხადების ღირსია ერთი ფაქტიც — ჩინებულად დასტამბული „მეგრული პოეზია“. მის გამომცემელ ხალხს მე წიგნის სათაურად „პოუნანა“ შევთავაზე, მაგრამ მათ „მეგრული პოეზია“ ინებეს და აღასრულეს კიდევ. ისინი ორიგინალების დაბეჭდვით შემოიფარგლნენ. ჩემეული პოზიცია ბჭკარედული თარგმანების თანხლების თაობაზე არ გათვალის წინებულა.

წიგნი დაიწყო დაინიელ ფიფიას „ბორჯით“ და დასრულდა გური ოტობაიას „გვიმარათი“. ამისთვის მაღლობის მეტი არაფერი გვეთქმის. აქვე აღმოჩნდა, რომ მაინც და მაინც ჩემი ლექსები გამოიტენა კომპიუტერული ლაფსუსებით. კორექტურა სხვა ნიმუშებშიცაა გაპარული, მაგრამ შეცდომების გასწორების ფურცელი მარტო ჩემს ლექსებს აახლეს.

„მაფშალია“ საერთოდ არ ცნობს პოეტ გური ოტობაიას, რომელმაც პირველმა გამოსცა მეგრული ლექსების წიგნი „გვიმარა“(1976 წ.), თუმცა თქვენი მონამორჩილი ლაზო ძმობილო, ტაბიძის ღვთაებრივ ინტუიციას უფრო ენდობა მომავლის მსაჯულად, სადაც ზოდვიითაა დაფორმატებული უტყუარი ცნება: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი,

## „გვიმარას“ ხელმეორე დაბადება

ზუგდიდში გახლდით ამას წინათ. არის იქ ერთი ჩინებული ყმაწვილი, ლოტბარი ბესო ჭითანავა. კაი ხანია ვმეგობრობთ. დიდ საქმეებს აკეთებს. ჩვენი ბავშვები ჩაიყვანა საფრანგეთში. მერე იქაურებს რამდენიმე ათეული ჩვენი ხალხური სიმღერა დაასწავლა. ფრანგული ათვისა საამისოდ. ჰოდა, ეს ყმაწვილკაცი მკლავს გამომდებს მერიასთან და მეუბნება:

- იქნებ ათიოდე წუთი დამითმო!
- ოცი იყოს-მეთქი.

დავუყვებით რუსთაველის პროსპექტს.

იქ, თომა ლოლუას რესტორანთან პატარა სტუდია ხქონია. შემოდგება შიგნით. ფორტეპიანოს ხუფს ახდის და ყოვლად შეუმზადებელი ჩემს „გვიმარას“ არ დაუკრავს, კაცო! ის ქრუანტელი დღემდე არ მომცილებია.

სპილოს როდი დაუბიჯებია ჩემთვის ყურებზე. გიტარასასაც ვაჩხაკუნებ აქა-იქ მოყვარულის დონეზე. საკუთარ ლექსებსაც ვახშიანებ ზოგჯერ ხალხური ნიმუშების მხარდამხარ, მაგრამ ბესო ჭითანავასეული ვერსია მართლაც მოულოდნელია. თითქოს სრულიად საქართველოს ინტონაცია შეუკრებია ოჯახაშენებულს, თვით აფხაზურის ამქრობით.

მორჩება სიმღერას და მომაჩერდება თვალეში. გაოგნებული ვუყურებ. სიტყვა ვერ დამიძრავს. მერე ჩავუხვევთ სადღაც და გამოვ-ტყვრებით გვარიანად. იქიდან მოყოლებული მრავალ ნიუანსს შეიძენს „გვიმარა“ — დაიხვეწება, დაწვევდება, ბოლოს პროფესიონალი მუსიკოსის, ქალბატონ ნონა კანკიას ხელშიც გაივლის და მთლად კლასიკურ სიმაღლეებს ეზიარება.

დიახ, თავიანთი ბედი აქვთ წიგნებს. ვფიქრობ, „ჰოუნანაც“ მათი ყიდისაა. მომდევნო წლებშიც არაერთგზის გამოიცემა იგი, ჩემო ლაზო ძმაო, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ და ყოველ ახალ ჯერობაზე განსხვავებული რეპერტუარითა და პოეტური ლაბორატორიით წარსდგება მკითხველის წინაშე. დასტურად ამას წინათ მოსკოვში ნათლიმამა ვახტანგ მიშველისადმი ფაქსით გაგზავნილ წერილს გაახლებ:



**მეგობარი**

მეგობარს ადვილია ვერ იკნობა  
სხვისს უფრო სურვილია  
თუ შეგობა



## წერილი ნათლიმამას

„ვახტანგ, მორდია, როგორ მომენატრე ძვირფასო, როდის გაეძღვები შენთან ლაბაჩით? როდის მოვიჭამ გულს შენთან სერობით? წავიდა ცხოვრების ლამაზი წლები და ის ყმაწვილკაცი გულადი ფეტველავა, აწ საკმაოდ მოზრდილი ულუფა გური ოტობაიაა მაცილისათვის თუ ზეციერისთვის. თერთმეტ თხზულებას გავასრულებ უშენობისას. ვამთავრებ ტრილოგია „სიცოცხლემისჯილების“ III წიგნს. ხოლო ლექსების ამ კრებულს ბოლო წუთამდე, ალბათ, როგორმე ჩამოვმარცვლავ კრიალოსანის მსგავსად. მასალა ნედლია და ლამის გაუკორექტურებელს რომ გიგზავნი, მომიტევე — დიდი წიგნის მცირე ნაწილია იგი ოდენ. ვიმედოვნებ, დაგვაცლის უფალი ლელოს ღირსეულად გატანას. მათი თარგმანით თავს არ შევიწუხებ, სულ ერთია, მაინც არ გამომდის. გეხსომება ერთი სამურზაყანოელი თარგმანის ყსმათი, წეკო რომ „ზაკაშტანილ“ — ჩატენა ჩიბუხში, რანაირად უთხრა მერმე მოსამართლეს ბრალდებულის თავანკარა მეგრულით გაწამებულმა?!

— თეჭ მუშენჯ ვეგეზიკონდია! — იქ რატომ არ დასიკვდილდიო. მოკლედ, ასეა ჩემი საქმეც, ვახტანგ, ძვირფასო. რუსისთვის რა მნიშვნელობა აქვს, საიდან გადაიღებს გური ოტობაიას ლექსს, მეგრულიდან თუ ქართულიდან? რაც შეეხება უეროვნო, უმამო პასპორტის მფლობელ ქართველს, კეთილი ინებოს, ინგლისურის ჩქაროსნული მეთოდებით სწავლას რომ მიკვდომია, ერთი მეგრელებსაც მოგვხედოს ადამიანურად! რა თვალში ვეპატარავებით?! ბოლოს და ბოლოს მიბაძონ ჩვენს გულთმისან რძალს, ჩვენს მესიაკონ ნოსას, საქართველოს პირველ ლედის, ქალბატონ სანდრა ელისაბედ რულოვსს, რომელიც ნამდვილი ოტობაიელივით გემუსაიფება მეგრულად: „**ჩქიმ დიანთელჯ ჯგირ ოსურ რე**“ — ჩემი დედამთილი კარგი ქალი არისო, (იგულისხმება სიკეთის განსახიერება ქალბატონი, პროფესორი გიული ალასანია). მოსკოვისაკენ ვედარაფრით დავიძარი, ძვირფასო! რის ვაივავლახით (5000 ლარი) თარგმნილ რომან-ტრიადა „სიცოცხლემის ჯილებს“ ვერანაირად ჩამოვყვი ცნობილი უსახსრო ბის გამო. ჰოდა, ძირით ქუთათურმა რედაქტორმა, ბატონმა ალექსანდრე ებანოიძემაც ვერ უჭირისუფლა უპატრონო რომანს. შეეხმიანე ერთ შენებური რუსულით. დიდ საქმეებს შეჭიდებია ჭეშმარიტი მამულიშვილის კვალობაზე და იმ აურაცხელ საპალნეს იქნებ მცირედი ჩემიც წარუმატოს?!



**P. S.**

ვახტანგ, ძვირფასო, მერწმუნე, სულ რაღაც სამ-ოთხ წელიწადში შენს გური ოტობაიას უფრო გაიცნობს მოუცლელი მსოფლიო! მორჩა, ის უკვე ფიჭასავით სავსეა ბოლომდე, როგორც ჩემი მასწავლებელი, ცხონებული პაპაჩემია — ნადიაკენარი ფერშალი — ბიქტორ ფეტელავა.

ერთხელ, სექტემბრის მიწურულს, აივანზე გამოსულ პატარას მეუბნება ბაბუა, ჯოხით ლელვის ტოტს მოიწვდენს, გაფცქვნის (გოფერჩველანს) დავარსკვლავებულს, მაჭმევს და ისე:

— ეს ჩემია ლელვია, მოუფრთხილდი, სხვამ არავინ ჭამოსო.

გადის რამდენიმე დღე და ახლა უმცროსი ბიძა მიადგება იმ ტოტს. მოიწვდენს და დაიწყებს დაცვარული ლელვის „ყულიტუას“ — ყლაპვას. მე ვის ვახსოვარ. აქ ვებრდღენები ფეხებში წითურ ბიძია შაქროს, შალვა ფეტელავას:

— ეგ ბაბუასია-მეთქი.

იცინის, მაგრამ კბილებს რომ ჩავასობ ბარძაყში, „იკადრებს“

ჩამოშორებას. ცალი ხელით ქეჩოში მწვდება და ისე მომაპროწიალებს ზალისკენ. მრავალკუთხა მაგიდაზე დავარსკვლავებული ლედვებით პირამდე სავსე ვედრო დგას. იქვეა მომცრო გრაფინით არაყი ტუჩების მოსაწმენ დად თუ ყელის ჩასაკოკლოზინებლად

— კულო, ვისთვის დავკრიფე ამ დილა უთენია ეს ჩაფლა ლეღვი, თუ იცი? — გაოგნებული თავს ვაქნევ აქეთ-იქით გაურკვევლობის ნიშნად. — შენთვის დავკრიფე, კულო, მაგრამ ბაბუაშენი ბიქტორი გლუბავს ნიკოიას დროინდელი ცხოვრების წესებით. აბა, დააკვირი, საყვარელო, როგორ შეიძლება მხოლოდ შენი იყოს რაიმე, გნებავს ლეღვის ხე. ეგ ხომ გაქანებული ეგოიზმია. ეს ლეღვის ხე ჩემიაო, აუჩემებია ბაბუაშენ ბიქტორს და თომასაც სხვათა შორის. ორივე ტყუის, საყვარელო. ეს სიტყვები შენთვის კი არა ჩემთვისაა განკუთვნილი... „ჯერ-ჯერობით აქ მე ვარ ოჯახის უფროსიო“, ამბობს ამით ალექსევიჩი. მერე და ართმევს ვინმე? კულო, საყვარელო, ადამიანებს სიტყვა „ჩემი“ ღუბავთ, რადგანაც „ჩემი“ ცხოველისთვისაა დამახასიათებელი და ამნაირ კაცში უფლისთვის ადგილი არ რჩება. „ჩემიაო“ იძახი ლეღვზე და წუხელ მოლალურების ხუთი წყება ისე გამოაძლო, ლოგინში მხარიც არ შეგიცვლიათ შენ და ბაბუაშენ ბიქტორს. იგივეს აკეთებდნენ ამ დილაადრიან ქვექვერია შაშვები, ჩემი ახირება რომ არა. შეხედე რუსთაველი როგორ გვასწავლის: **„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“**. რომელია ახლა უფრო დიდი, ბაბუაშენი თუ რუსთაველი?

— ბაბუა, — ვიტყვი უშურველედ.

— ჰოდა, არსად დაგეკარგოს! ჭამე ეგ ლეღვი და ტუჩები არყით მოიწმინდე მერე, თორემ მალულია დაგაჩნდება და სკოლაში გოგონები დაგიწუნებენ. — ამნაირი სიტყვებით დამემშვიდობება.

მოგვიანებით მივხვდები ვინ უფრო მეტი დიაპაზონისაა კაცურ-კაცობის ნამუსიან გზაზე — ბიქტორ ფეტელავა თუ მამფალი რუსთაველი. ერთსაც გავარკვევ უცილობლად, რომ ბიძაჩემ შალვას რუსთაველის სიტყვები მთლად ზუსტად ვერ მოუშველებია მაშინ. შოთასთნ ის სტრიქონები ამგვარადაა: **„რასაცა გასცემ შენია, რას არა — დაკარგულია“**, მაგრამ ერთი ცხადია, რომ იმთავითვე ორი განსხვავებული ხელწერა მიუჩორდება მაღალ ზეცაში გადაწვეტილ ჩემს ბედისწერას.

— შენგან დიდი კაცი დადგება. ადამიანში მთავარზე მთავარი პასუხისმგებლობის გრძობააო, — მასწავლის ბაბუა ბიქტორი. გაიხსენებს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში როგორ გამოცდიდა

აღსაზრდელებს ხუცესი ვერცხლის მონეტებით, ლოგინში უყრიდა თურმე მოსწავლეებს. ვინც არ დააბრუნებდა ტექნიკურად მოიშორებდნენ. მარცხენა მხარზე კოცნა უყვარდა ცხონებულ ბიჭტორ ფეტელავას.

— ენა თიშენგ, ბაბაგე, ნამდა, ნებისმიერი ადამიანი გაორებულია, მარჯვენა მხარზე უფალი აზის და მარცხენაზე — სატანა. როცა მის ეშმა-კეულ მხარეს აკოცებ, ესე იგი შენი ღმერთი გადაგყავს იქ და ბელზებელს აძეგებ მისგანო.

ზღაპრებისა რა მოგახსენო, მაგრამ ამ სიშორიდან მხარზე მიამბორია ბაბუაჩემის კვალობაზე, ვახტანგ, ძვირფასო, და ერთხელაც, გთხოვ, უმორჩილესად, შენი თავანკარა რუსულით შეეხმიანო იმ ხელმწიფის ტოლ ქუთაისელს და უთვისტომო კაცის იერი ჩამომრეცხე სახიდან. ესეც ჭისმაგვარ საქართველოს ფსკერში ჩავარდნილი გური ოტობაიას ხმა.

მარად შენი,  
**გური ოტობაია**

ჩემო ლაზო, ძმაო, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ,  
სხვას ბავიხსენებ — ყრმობის ღროინდელს

„ვინ დამაწყველა თითქოსდა ყოფითი ნამცეცების მექარავენობა, გამახარიების კერიასავით მიდაისებული მათი დაუსრულებელი ჩქამი და მდუმარება?!“

ცეროდენა ბიძაშვილი, ჩემი ჯილაგი, ზაზა ფეტელავა, ახლაც მებლაუქება ორბორტიანი, ყორნისფერი პიჯაკის კიდეზე პაწუა თითებით. ეგზიუპერის უფლისწულის ტყუპისცალია. ბიძებთან ვეღარ გავჩერებულვარ, მამიდაშვილებთან გადალამებაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია. იდაყვდაყრდნობილი ლურსმნისმაგვარი თვალებით უცდის ჩემი ორგების დასრულებას ტყემლის არაყთან. გნებავს თავი დაგმძიმებია, გნებავს მუხლი დაგბანდვია დიონისეს ბალზამებით, არაფრით ეთმობი სხვისი საბანლეებისთვის.

— ჯინჯ ცუდეს ოკო გისერუე, — ძირეულ სახლში უნდა გაითენოო, მეტიტინება ნიადაგ.

ჭადრაკის დალაქავებულ არენათი მეპაექრება. ღრანჭი მოქცევია „ცხენს“; მეფეს და დედოფალს გვირგვინები წავგვრია, მაგრამ შეუპოვა-

რია ზაზას ჟინ-წადილი. დაუთმობ? მიხვდება და ატირდება. მოუგებ? უფრო რე ამოესკვნება გული. დილით მაგიდის ჩოგბურთით შეეცდება შელახული ღირსების აღდგენას. დაჭიმული ბაღიდან ხოტორა თავილა მოუჩანს, ბიჭტორ ფეტელას კინკრისო, როცა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მნათე ვერცხლის წვრილი ფულით გამოცდის მისი სულის მზვობრობას.

წამოფრენილ პლასტმასტის ბურთს ჩოგანს უმიზნებს, მაგრამ ეშმაკურად მოჭრილი, როგორც კი დაბზრიალდება და ორიენტაციას შეიცვლის ათწლეულობით გაწაფულობის კვალობაზე, მიწაზე დავარდნილი ცრემლს გადმოყრის კვლავაც. არა, დათმობით ვერ აფხიანდება ჩემი ჯილაგის სული. რაც მეტი იქნება მომთხოვნელობა, მით უფრო გაიზრდება მონდომებაც. უპირატესობას როდი ვუმტკიცებ ცეროდენას, მისთვის უკეთესია ეტალონში არ შეეჭვდეს, მისაბაძი არ გაუბედიოდეს, იდეალი არ გაუცამტვერდეს ჩემი სახით. მოვებოტებთ შუალამე მეფორიებისგან, ჯაბუებისგან, შამათაებისგან თუ გელენავებისგან. ჯვარს დასვამენ ნახშირით ბიჭტორის ალი-კვალ შუბლზე, ავსულებმა რომ არ გათვალონ, მაგრამ თხისჩლიქებანნი რას დაგვაკლებენ ზენაარის აურათი გარემოსილებს?! ანგლობის იშტაზე მოვსულვარ:

**სი ყოყილი ჩქმი ზაზა,  
ბატიცალი გილაკვასა,  
მუსხი ოცთი აჭუანო,  
ღუმანური გინაკასა?!**

**შე დლაბუნა ჩემო ზაზა,  
ზაქეთი რომ დაქენტრუმობ  
თქვი რამდენი გაისროლე  
წუხანდელი დანატენი?!**

— სხვანაირად თქვი, სხვანაირად თქვი! — გამომიწევს ყელს ბაკულია თითებით.

— კეთილი, — დავიბოხებ ხმას:

**სი ყოყირო წიე ზაზა,  
ქოლით რექი გინათფასა,  
მინგ მარგაღვ ძიბბ დოიცადურუ  
მინგ—რუსი დო მინგ— აფსაზა.**

**შე დლაბუნა ბიჭო ზაზა,  
ქორფლით რომ ხარ დაბენტილია,  
სოფვერ მეგრულს უქაქუნებ  
ხან—რუსსა და ხანაც—აფსაზს.**

დავასრულებ კაფიას და მყისვე დამაცხრება.

— ჰო. მართლა, — მეტყვის ფეხის შენელებით, — ცოლს რომ მოიყვან, ჩვენთან დასვი!

— მერე სად გაქვს შენ უჭრაჭუნო საწოლი?

მ  
შ  
რ  
ი

- როგორ არა, შარშანწინ არ გაამზითვეს ღელა?!
- მაშინ ხვალვე მომიგვრია პატარძალი და ეგ არის.
- ასე ჩქარა საიდან? — ამომხედავს მთვარიანში.
- აი, თუნდაც ფოფო.
- ფუფუ, ფოფო კიბირ რისალო? — ფუი, ფოფო კბილებ-გადმოლყრილო.
- ცალიჩახე რომ იყოს?
- მაგას არა უშავს რა, მაგრამ მაინც ვარდიშას შვილიშვილია. შენ მზეთუნახავი უნდა ჩამოიყვანო, აი, იქიდან, იქიდან, ხელმწიფის ქალიშვილი. სხვაზე თქვი რა, ლექსი...
- მაინც რომელზე?
- ვთქვათ და მიხოზე.

**მისო რექო ჯაბუა,  
ჩუანს გიგორჩხაფუა,  
ნაჭკადუშა მიდაიქუნა,  
ჭაკის დიგონჭყაფუა.**

**მისო სარ ჯაბუა,  
ქვაბებს გაგარეცხვინებ,  
ნაჭკადუში წაგიყვან,  
ჭაკ ცხენს გაგახედნინებ.**

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა, — ტყვარცალებს ზაზა, — კიდევ, კიდევ მითხარი, ბოჩიაზე.

**ბოჩო რექო მეფორია,  
წიე, მუჭო გებორია,  
ქვარა ეთეშე გიბიზანსუ,  
ვითომც რყინტკო ჩხე ბორია.**

**ბოჩია სარ მეფორია,  
ბიჭო როგორ გასულელდი,  
იმოდენა მუცელი გაქვს  
თითქოს ყლაპე ცხელიქარი.**

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა, — ზეიმობს ნაბოლარა ფეტელავას სული, — კიდევ თქვი, ტუკულიზე.  
— ტუკული სათამაშო სახელია, მურთაზე არ ჯობია?  
— იყოს მურთაზე, — მყაბულდება ხელად.

**თე შამათა მურთაზე,  
განთხის ეთეშე ურთანს,  
მეძირქ მალას ეიოფშანს  
ბაბუშეშიშო კურთას.**

**ეს შამათაგა მურთაში,  
ბარძაყს ისე ატრიალებს,  
მგონი მალე აავსებს  
ბაბუამისისთვის ნიფხავს.**

...მოახლათორთებს შაქრო როგორღაც ჩეჩმას. კარი ჩამოკიდებულ-  
ლია, გვერდითა კედლები— მიჭედებული, ჯერი უკანაზეა. საკაკუტე  
ლურსმანს აწვალებს თითებში წითური ბიძაჩემი.

— მაგი რისთვის გინდა, სადუმოვკე აილე! — ჭკუას ასწავლის ბაბუა  
ბიქტორი აივნიდან.

— ეტკინება? — ქირქილებს შაქრო ბიძია.

— გადაჭერი ქე მაინც, თორემ დახეთქავს ფიცარს.

— ქონს წავუსვამ!

— გადაქლიბე, კაცო!

— კარგი, მასე ვიზამ, — ყაბულდება ნაბოლარა ფეტელავა. სინამ-  
დვილეში ყურს არ ათხოვებს ბაბუაჩემის შეგონებას. დაადღეზს  
ლურსმანს და მტკაველზე გამოაშვერინებს წამახულ წვერს.

— ალექსევიჩ, ნახე, როგორია?

ბიქტორ პაპა ხენეშით წამოიმართება. ხომ უნდა შეუფასოს შვილს  
ნახელავი? გამოადირწკინებს ტუალეტის კარს, მოათვალიერებს შიდა  
სივრცეს. გამოშვერილი ლურსმანი უხსენებლის კენტი ლაკარტივით ეცე-  
მა თვალში.

— ეგ რაღაა, ბიჭო, ტვინს მიანთხევს მთვრალი კაცი, — ბრაზობს  
ბაბუა.

— გეკადრება, ალექსევიჩ, შენი ცილინდრის ჩამოსაკიდია.

მეცადინეობის ჟამს ზაურ ელიავას მოუხმობს ბიძაჩემი. ზაური რამ-  
დენიმე წლით ეუმცროსება. შემოიშველიებს ზვინზე ჩემს ამოყვანაში,  
მერმე ხელს გაუწოდებს ამოსამაღლებლად და სანახევროდ რომ  
ამოიყვანს, ჩამოაზლართანებს ძირს სევერიანის უმცროს ვაჟს. მე კი ამ-  
გვარი დიალოგით მაბიაბრუებს:

— სტალინი გირჩენია თუ ლენინი?

— სტალინი, — ვიტყვი მიამიტად.

— სტალინს წვერი რომ არა აქვს?

— მაშინ — ლენინი, — არ ვცხრები მე.

— ლენინს თმა რომ გასცვენია?!

— აბა, რომელი? — ვერ ვმაღავ გაოცებას.

— ბაბუაშენი ბიჭო, ბაბუაშენი.

— რომელი, ბიქტორი თუ თომა?

— შენ ამოარჩიე.

— ბიქტორი! — მოვჭკრი გვარიანი ყოყმანის შემდეგ.

— ბიქტორს რომ ბუზინი უყვარს.

— აბა, თომა.

— თომას რომ ჩუქინი ემარჯვება?

შაქროს ხასიათის სიბასრე მრავლად გააკაფვინებს გზას ცხოვრებაში. ორმოცდაათი წლისას შეეძინება პაპაჩემს, თითქმის შვილიშვილად ერგება. ამიტომაც მარტოკას უხდება ლელოს გატანა. ორ უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებს მიყოლებით, უთვისტომო, ურეპეტიტორო, უფულო, (ახლა უეროვნობა და უმამრობაც დაემატება), მაგრამ თავის თავში დარწმუნებული. წარბს ვერ შეახრევინებ ჩხუბისას; უსულგულო ლექტორებს მისაღებ გამოცდებზე თვალებს გადმოაკარკვლინებს ყელში წაჭკერით. სამართლიანია. სარძლოებს მზითვით და მზეთუნახაობით არ დაეძებს, მთავარია ერთმანეთი სწამდეთ ახალგაზრდებსო. არც მძიმე სამუშაოს დაუფრთხება დევნილობის ჟამს, მაგრამ ჯერ ხავერდოვანი წლებია.

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი, — მდულარებს ზაზა ფეტელავა. ხვალ უკვე მთელს სოფელს მოსდებს კაფიას მამიდაშვილებზე.

ფეხაწყობით მოვაბიჯებთ.

— ვისი ღორინი გირჩევნია, ბიქტორ ბაბუისა თუ ლადასი? — ველადავები გზადაგზა წითური მამის ოდინდელი იერნაცვალ სიტყვებით.

- ბიქტორის, — მიბასუხებს პიჯაკის კიდეს ჩაბლაუჭებული.
- ბიქტორი რომ ბუღინაა? — დაუუდინჯდები მე.
- მაშინ ლადასი, — მეტიტინება ვერცხლისწყალი ფესვი.
- ლადა რომ ჩუღინაა?! — ვებირქუშები განუყრელ თანამგზავრს.
- აბა, ვისი? — უსაგნოა ცნობისწადილი.
- ღორინი არც მამაშენისაა ვინმეზე ნაკლები, — მივახვედრებ ქარაგმას.

ისევ მეჭვლიმება ჭაჭა.

— ეგენი იქით იყოს. შევრიგდეთ, — ცაცს\* ჩამოვართმევთ ერთმანეთს, — აბა, მაგარზე მაგარი იქნები, თუკი მიხვდები რომელი სჯობია, ხრუშოვი თუ ბრეჟნევი?

- ხრუშოვი! — მომიგებს მკვირცხლად.
- ხრუშოვი, რომ ქონიანი ღორია? — ვეკამათები ყასიდად.
- მაშინ, ბრეჟნევი! — მომახლის სხარტად.
- ბრეჟნევი რომ ბალნიანი გორილაა?! — დავასკვნი და უწყინარ მუშტს კვლავაც მომიბაგუნებს ქამარს ზემოთ, თირკმელთან. ხელში ავიტაცებ. მხარზე დამაყრდნობს თავს. მივირწევით უხმოდ და ვიდრე პაპისეულ ძველისძველ ჭიშკარს გადავცდებოდეთ, ძილისგან ამჩატდება მოხელთებული ჯიმ-ჯილაგის სიახლოვით უსაზღვროდ ბედნიერი.

## ცა იყო ცაზე ბევრად მაღალი

უფლის საჩუქარს უფრო ჰგავდა ყოველივე, ვიდრე კაცთაგან ხელქმნილ საოცრებას. ნანახმა მოლოდინს ბევრად გადააჭარბა: განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ (პრეზიდენტი — გოდერძი ბუკია) მიერ გამართულმა ხობის III საერთაშორისო ფესტივალმა — „სიმღერა სამეგრელოზე“ მსოფლიო მეგრულად აამღერა. სიყვარულისა და სიხარულის, ცამდე აწვართული გახარების მზე მცხუნვარებდა კოლხეთში. ღურღულა მანათობლის ქვეშ ნარნარჰანგობდნენ: „ჰარირა“, „სი ქოულუ ბატა“, „ვაგიჭორქო მა“, „ჩელა“, „ვარადო“, „ოდოია“, „ცირა“, „ბალის ვორდი“ და კიდევ მრავალი ნიმუში მეგრული სიმღერისა. თითქოსდა დუმდა კოლხეთს მიყურადებული სამყარო და მითაჟამიდან გამონანავებული ბგერადები სულსა და შინაგანობაში ამწვერვალდნენ უკვდავებას შემარადისებულ საოცრებებს მეგრელთა.

ცა იყო ცაზე ბევრად მაღალი, მზე იყო მზეზე უფრო მცხუნვარე, სულს ეცვა „ჩელას“ თეთრი სამოსი და „ჰარირას“ ჰანგი — მძვინვარე... ყველაფერი იცინოდა და ბრდღვიალებდა, გახარება დანანავებდა ეზო-ეზო, კარდაკარ, ყველაფერს ეზეიმებოდა, ყველას უყვარდა და გულის დღე იღვა ხობში.

\*\*\*

ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ 2003 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ფესტივალი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საპრეზიდენტო პროგრამის





ფარგლებში ხორციელდება და მიზნად ისახავს ქართული ხალხური მუსიკალური საგანძურის მოძიება-აღდგენასა და პოპულარიზაციას.

ფესტივალზე, სამეგრელოს უნიკალურ ფოლკლორთან ერთად, დიდი ადგილი დაეთმო თანამედროვე ქართულ ესტრადას. ზურაბ სოტკილავას საიუბილეო საღამო კი, თუ შეიძლება ითქვას, გახლდათ ნამდვილი საოპერო შოუ. დისკოთეკის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ და მოესმინათ ირაკლი ფირცხალავას, დათო ხუჯაძის,

ჯგუფ „დიანამტისა“ და ესტრადის სხვა პოპულარული მომღერლებისათვის. ფესტივალი 2 ივნისს, 14 საათზე სამეგრელოს ფოლკლორის 7 უნიკალური გამოკვლევისა და 9 აუდიო-კომპაქტდისკის წარდგენით გაიხსნა. საზოგადოებას წარედგინა „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები — სამეგრელო“-ს სამტომეულის გადამუშავებული ვარიანტი და ამ სერიის მე-4 ტომი, ასევე ვლადიმერ გეგეჭკორის „ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი“, ანზორ ერქომაიშვილის წიგნი „ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში“ (კატალოგი), ზურაბ სოტკილავას ბრწყინვალედ გამოცემული საიუბილეო ბუკლეტი, ჩინებულად დასტამებული ლექსების წიგნი „მეგრული პოეზია“ და ფესტივალის ალმანახი. ფესტივალის მონაწილეებმა ასევე იხილეს, ხელახლა გამოცემული კომპაქტდისკი „პარირა“, მეგრული სიმღერების სხვა შედეგებიც. ამავე დღეს, 16 საათზე ხობის ცენტრში გაიხსნა მეგრული სიმღერის პატრიარქის ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერების მუზეუმი — „სამეგრელო“, სადაც გამოიფინა უნიკალური ექსპონატები, მოეწყო ხმის ჩამწერი სტუდია. საღამოს 20 საათზე ხეთის თეატრონში ფოლკლორული გუნდების კონცერტზე საქართველოს, კანადის, ნორვეგიის, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, თურქეთის და სხვა ქვეყნების ფოლკლორულმა გუნდებმა და ანსამბლებმა შეასრულეს სიმღერები უნიკალური მეგრული სასიმღერო საგანძურიდან. 3 ივნისს ძირითადი



ლონისძიება ზურაბ სოტკილავას საიუბილეო საღამო გახლდათ, რომელიც 16 საათზე ხობის თეატრში შედგა. დიდ ხელოვანთან ერთად სცენაზე იმდერეს ელენე ობრაზცოვამ, მაყალა ქასრაშვილმა, პაატა ბურჭულაძემ და მსოფლიოში აღიარებულმა სხვა ოსტატებმა. იუბილართან ერთად მეგრული სიმღერა შეასრულა საქართველოს პიროველმა ლედიმ, ქალბატონმა სანდრა -ელისაბედ რულოვსმა.

საღამოს სხვა ღისრსშესანიშნავ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი. 20 საათზე ხეთის თეატრონმა გალაკონცერტს უმასპინძლა, სადაც ქართული ესტრადის ცნობილი სახეების მიერ შესრულდა სპეციალურად ამ ფესტივალისთვის დაწერილი და კონკურსით შერჩეული ახალი სიმღერები. 21 საათზე ხობის სტადიონზე ახალგაზრდებისათვის უცხოეთში მოღვაწე ქართველმა საესტრადო ვარსკვლავებმა დისკოთეკა გამართეს და ... უფლის საჩუქარს უფრო ჰგავდა ყოველივე, ვიდრე ხელნაქმნს კაცისას. ლამაზ დღესასწაულს აკლდა ამ ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ყველა სტუმრისთვის უშურველი მასპინძელი, ნიჭიერებით გამორჩეული პუბლიცისტი და კეთილგულოვანი კოლხი — გოგი ბუკია. ეს დღეები ულამაზეს მოგონებად შევა ხობის ისტორიაში. ამასთან ხობელები და არა მარტო ისინი, პანთეონისათვის ვერ ელევინ ამ დაუვიწყარ წუთებს და სჯერათ — ეს დიდებული საქმე მომავალში უფრო ფრთაშესხმით ალივილივდება კოლხეთის ცაზე! უამრავი ადამიანის სახელით მადლობას ვუხდით საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ გოდერძი ბუკიას, ჩვენი რაიონის მკვიდრს, ბიზნესმენს ბატონ მერაბ ჭოჭუას, ბიზნესმენს ბატონ ვანო ჩხარტიშვილს, ქართული კულტურის დაჯიჯგულ ჭყონს — ბერმუხა ანზორ ერქომაიშვილს, ამ ღონისძიების ერთ-ერთ სულისჩამდგმელს, ბატონ




ზურაბ ერქვანიას, ყველას, ყველას, სტუმრებს, მასპინძლებს. უდიდეს მადლობას ვწირავთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს და გვჯერა — უფლის შეწევნით ორ წელიწადში კვლავ იმცხუნვარებს კოლხური მზე და კვლავ იქნება ცა ცაზე მაღალი, იქ, ღვთისმშობლის კვართის მფლობელი მონასტრის სამყაროში, ჩვენს ლამაზ ხობში! მრავალჯამიერ! **(ლაშა გვასალია).**

**P. S.**

გავა რამდენიმე თვე და ჩვენ საქართველოს პირველ ლედის ყურნალ „კირიბიშის“ საახალწლო ნომერს მივუძღვნით წინმომლოდინე ფოტოთი. ეს ბადრი ვადაჭკორიასეული, ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე ქართველების საფლავებთან სანთლით მლოცველი ქალბატონი სანდრას გამოსახულებაა ოჯახთან ერთად, რომელსაც მონდომებით შევამონტაჟებთ დადიანების სასახლესთან და მივიღებთ ადამიანი-სამეგრელოს, ადამიანი-მხარის ერთგვარ სიმბიოზს.

— შერწყმულივით არისო, იტყვიან. ნამდვილად არაფერი შეეშლებათ, ვინაიდან, დიახაც, შედუღებებულა უკვე რულოვსხეს სული კოლხეთთან, საქართველოსთან. აკი, ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეც გახდება იგი და ორ ქურანაზე ჯდომის ბრალდებებსაც ნიადაგი გამოეცლება.



**ჩემთვის მუხრული ენა მუხვიდა,  
ხოლო ჰოუნანა — პირველი**

**სანდრა-ელისაბედ რულოვსი**  
საქართველოს პირველი ლედი

### მოხეტიალე წერილები

**წერილი, ბარათი, უსტარი... მრავალნაირია იგი – სამკუთხა, ღია, დახურული და ვინ მოთვლის. ჩვენი შემთხვევა განსაკუთრებულია, რადგანაც ადრესატამდე გერაფრით მიღწეულა, ავტორთან ერთად სექციალობს ღამის წელიწადია.**

თქვენო აღმატებულებავ,  
სასიხარულო იყო ჩემთვის ცნობა იმის თაობაზე, რომ ჩვენი ჟურნალი ოპერატიულად გადმოგცეს. ბევრი ვეცადეთ საამისოდ, მაგრამ თქვენს საბრძანისს ვერანაირად მივუღეჭით, ოფისი „სოკო“ რემონტზე ყოფილა, თქვენი ოჯახის დაცვამ თავი დაიზღვია, კანცელარიაში წაგვიყრუეს და ა.შ.

ჟურნალი „კირბისი“ „ვარდების რევილუციის“ ასაკისაა. სულ სამადსამი ნომერია გამოსული, და სამივე სხვადასხვა არხით გავუგზავნეთ ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ მიხეილს, მაგრამ მის გარშემო ისეთი აზრგაუმტარი ჯავშანი აღმოცენდა კანცელარიული სამსახურის სახით, ალბათ, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას რადიოლოგიის ინსტიტუტის ულტრა-იისფერ სხივებს გაუძნელდება იქ გაღწევა. მქონდა საშუალება ერთხელ ქალბატონ გიული ალასანიასთვის გადამეცა იგი, როცა ონკოლოგიის ეროვნულ ცენტრში ახლდა დედას. ეგ იყო და ეგ. ამით დასრულდა ჩვენი ჟურნალის გამოცემის პირველი ეტაპი. ჩემი შუათანა ასულის, თექვსმეტი წლის ანის, უკურნელ სენს 17 თვე ამაოდ ვეძებთ. დავმარცხდით უთანასწორო ბრძოლაში და შლეგივით ვიბორილეთ ერთ ხანს, თუმცა ადამიანი ყველაფერს აიტანს თურმე და მორიგი ნომერიც მწუხარების გაქარვების ერთგვარ საშუალებად მომევიღინა.

თქვენი მშვენიერი წიგნისადმი მიძღვნილი ჩემეული წერილი-ესსე გაცილებით ადრე გამოქვეყნდებოდა, რომ არა ქართული ბუნების მიკერძობითი სიფრთხილე: ნახევარ ხმაზე დამღერება ურჩევნია უმეტესს **„მომეტებული ხომ არ არის პოზიცია ესპეციტარი?!“** და ვითომ სიტყვის თავისუფლებისათვის ხმალშემართული პერიოდიკანი, (საჭიროების ჟამს სათითაოდ დასახელდება), დროს დამაკარგვინებენ იწილობიწილოთი, თუმცა არაფერია, მოსასვლელ დილას ვერანაირად დააკეპენ ფლატენი და კონცხები კლდეთა.

ქალბატონო, სანდრა, წიგნი, რომელსაც სახსოვრად გადმოგცემენ, გასულ წელსაა დასტამბული წინსწრებული თარიღით, თორემ



მქონდა წაკითხული თქვენი თხზულება, მისგან ამონარიდ ფრაზას უცილობლად ვაახლებდი ეპიგრაფად: „ჩემთვის მეგრული ენა მეშვიდეა“. „იდეალისტის ნაამბობი“ დაგვიანებით ჩამივარდა ხელში, ქალბატონ მანანა კარტოზიას ვენათხოვრე. უკვე არსად იყიდება. დაიტაცა ხალხმა. ასეთი რამ იშვიათია. ჩანს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. (ისე კი, სულითა და გულით ვისურვებდი ერთ ეგზემპლარს პირველი ლედის სამახსოვრო წარწერითურთ და სავიზიტო ბარათს აუცილებლობის შემთხვევაში შეუფერხებელი სატელეფონო ზარისათვის).

ქალბატონო სანდრა, ორიათასის მიწურულს პირველმა მე დავიწყებდი ფრიად პრესტიჟული სარიალის გამოცემა: „ნობელის პრემიის ლაურეატები“. რუსებმა მოგვიანებით ამიბეს მხარი, და ცნობილი მოვლენებით შეჭირვებულს, უკვე მეორე წიგნის გამოცემისას გადამასწრეს კიდევ. ცოტაც და გაიტაცეს ქალაქი სტამბოგან, პიპერინფლაცია ხომ მთლად გაგვიფუჩეჩა სახელმწიფოსგან აღებული სესხი, (თავადაც გვარიანი ყუყუჩი გამოვდექი, როგორც ბიზნესმენი, ფულის კონვერტაცია ვერ მოვიფიქრე), და ცხონებული გურამ ფანჯიკიძის ხელშეწყობით წამოწყებული ფხიანი საქმე ჩამიფლავდა.

რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ ორი წიგნის ავტორი ვარ. პირველი „ჟინი“ — რუსულად თარგმნილია და სადღაც ჟურნალ დრუჟბა ნაროდოვ“-შია დაკონსერვებული. დასრულებული მაქვს ბელეტ-



რისტული მათიანე „სუფევის“ ექსტომეული, რომლის ეპიცენტრი „ვარდების რევოლუცია“ და მისი სულისჩამდგმელი ტანდემი — სამეგრელო-სააკაშვილია (ცხადია, კოლეგა-წინამორბედების ტოლერანტული ასახვის ფონზე). ესეც იგივე დღეშია. ბანკები სესხების გაღებას გაუბრბან. თუ ოქრო-ვერცხლი, უძრავ-მოძრავი ქონება არ გაგაჩნია, დელიკატურად გამოგისტუმრებენ უკან. შევქმენი კინოსცენარი. აქაც ყინულზე მიწერილი აღთქმულობებია. აი, რა მიზეზით აგვიანდება ლამის თვენახევრის წინათ გამოსაცემად მომზადებულ ჩვენს ჟურნალს.

ჩამოყალიბებული მაქვს ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის პროექტი „გვიმრა.“ მისი ძირითადი მიზანია ფენომენური ნიჭიერების ბავშვების ამოცნობა, დაკვალიანება და ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა. (ყოველ 1000 ინდივიდში 1 გენიოსი ურევია, რომელმაც არაფერი უწყის თავისი უნიკალური უნარების შესახებ). ჭერ-ჭერობით ვერც ამ თემშარაზე ვხედავ რაიმე პერსპექტივას. საუნივერსიტეტო გარდაქმნების ღირიჟორი ბატონი გიორგი ხუბუა თითქოს მოხიბ-ლულია მისით, მაგრამ დრო გარბის და ოსს-ის მრჩეველთა საბჭო ვერანაირად იკრიბება ჩემი ერთსაათიანი მოხსენების მოსასმენად. პატარა ილბლიანობის შემთხვევაში ეს პროექტი უსასყიდლოდ გადაეცემა ჰოლანდიელ ხალხს ფაშიზმთან ბრძოლაში თავდადებული ქართველების ესოდენი დაფასებისათვის; და ისრაელს — 26-საუკუნოვანი უმაგალითო თანაანსებობის დანახვა-აღიარების გამო.

ისევ ეპიკურ ტილოზე მუშაობით გამაქვს საწუთრო. „ოდოია“ ჩემი უკანსკნელი ლიტერატურული სარბიელია. სხვათა შორის ამ პოემაში სკანდინავიელი ხალხის ისტორია 700-600 წლითაა გადატანილი მითოლოგიურ წარსულში, იგივე ნორვეგიელების, დანიელების, ბელგიელების (ჩემი პოტენციური მითოსური წინაპრები: პაპაჩემის გადმოცემით ჩვენ ხე-ტყის დამამზადებელი და ფეტრის ქულების მეწარმე ფეტერების შთამომავლები ვართ თითქოს), ჰოლანდიელების, ირლანდიელების, ისლანდიელების — ვიკინგების ცხოვრება ზოგადად.



თქვენი „ოდინ“ და ჩვენი „ოდოია“ ერთი და იგივე პიროვნებაა დასახელებული ეპოსის მიხედვით, აიეტ მეფის შვილიშვილი, აფსირტესა და ჰალიძონების ბელადის ასულის — ჰანანის ვაჟი შვილი.

ამ პიროვნებას ჰომეროსიც მოიხსენიებს თავის უევედავ „ილიადაში“ — „ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან: (ხ) ალიბეს მხრიდან.“ ჩემს პოემაში ოდინ-ოდოია ფრიგის, საგასა და რინდას მეუღლეა, ლოკის დამამარცხებელი, იდგარასილზე (იფანი) ცხრა დღე-ღამეს თავის ჩამომხრჩობი მისნობის დასაუფლებლად, თვალი ამომღები სიბრძნის წყაროს დასაუფლებლად — ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ფონემა „ოდი“ ღმერთის იდენტურია ბერძნულ-კოლხურში. „უდუია“ მსუქანი ცხვარია შუმერულში, იგივე ოქროს საწმისი, სამყარო- ისეული ინფორმაციის დამტვეი ბანკი. ჟორჟ ამადუს რომანში „ტერეზა ბატისტა, უსტავშია ვოევატ“ ამნაირ ფრაზას შემოგვაშველებს: „ოდოია — დრეენო იბერიისკაია პესნია,“ ასე რომ ტყუილად როდი გაიძახის ჩვენი პრეზიდენტი: ქართველები ძველთუძველესი ევროპელები ვართო.

ქალბატონო, სანდრა, როგორ მინდოდა მეგრული სიმღერების რიგით III ფორუმს ხობის რაიონში ხელდამშვენებული ვსტუმრებოდი, ჩემი ჟურნალი ჩამეტანა იქ ხალხში დასარიგებლად, ყოველნაირად შეკული ჩვენი მესიაკონი ნოსა რაღაც მისხალი სხივითაც გამეცისკროვნებინა, მაგრამ არის მეგრულში ამნაირი გამოთქმა: **ამსურ ცათე მოჭყუდუსუ მუშ სისქვაჲე გოჭყუდუნსია** — ამალამ ამ პატარძალსო თვისი ემხი გამზითავსო. მართალია, თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მან-ძილზე პირველად მეგრული „ჰოუნანათი“ ამღერდებოდი ჭკვიანი რძალი, მაგრამ ჟურნალის გამოცემა ჩამეფუშა ცნობილი მიზეზებით და მხრებ-აწურული ველარ ჩამოველ. (ამიტომაც ვესესხები ზემორე მეგობრის ინფორმაციას გოდერძი ბუკიას ფესტივალზე.) იმით მაინც ვინუგეშებდი თავს, რომ სახელდახელოდ დაისტამბა „მეგრული პოეზია“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და ჩემი ლექსების გაცნობა ასე თუ ისე მოხერ-ხდებოდა, თუმცა კვლავაც გავწბილდი. კი, დასკვნით აკორდად ამ



კრებულში გური ოტობაიას ლექსებია წარმოდგენილი, მაგრამ აურაცხელი საგანგებო კორექტურული შეცდომით გაჭედილი (ამას მოწმობს თანდართული „შეცდომების გასწორება,“ რომელიც საგანგებოდ ჩემი სტრიქონებისთვისაა გამოგონილი და არა საერთოდ მრავალკორექტურული წიგნისათვის) და დავლონდები. განგებ თუ უნებლიეთ?!

ყველაფერმა ამან მაფიქრებინა, ხომ არ დადგა დრო ჩვენმა ჩინებულმა ქალბატონმა „გვიმარა“ იმღეროს-მეთქი, მომავალ ფესტივალამდე, წელსვე თუ გაისად. ჩემეული ტექსტის მუსიკა ეკუთვნით ბესიკ ჭითანავას და იური მაკალათიას. მართლაც იშვიათი სიძლიერის საგალობელია, სრულიად საქართველოს ჰიმნი, სადიდებელი. პროექტის მიხედვით აქ სამეგრელოს სასოწარკვეთას ტენორი ზურაბ სოტკილავა განასახიერებს; გადაულახავ წინალობას, იგივე ბეთოჰვენისეულ V სიმფონიის ბედისწერასავით კარზე მოკაკუნებას, ედგარ ალან პოს ყორანის დაყრანტალებას „Memento mori“-ს აქცენტებით — ბარიტონი პაატა ბურჭულაძე, ხოლო კოლხეთის წვას, მის იმედს და ხვალინდელ პერსპექტივას — თქვენ ქალბატონო, სანდრა.

მე გოცებულები ვარ თქვენი მრავალმხრივი ტალანტით. ასეთი რამ მარგალიტის თვისებაა მხოლოდ. მილიონ ნიჟარაში ერთი ქვიშის მარ-



ცვალი მოხვედრა განგების წყალობით დიდღელვისას, დაიხურება ის ნიჟარა და ასწლეულების მერმე ჩაუმქრალ ნათლად აღმოცენდება. მეგრული „ჰოუნანას“ უწრფელესი კაეშანი თქვენშიც იტრიალებს აწ და მარადის. ახლა ყველასა და ყველაფერზე გაცეცხლებულმა თავიდან დავუტრიალდი ლექსების წიგნს. მოვიშველიე თქვენეულ ფრაზა ეპიგრაფად, რომელიც მოგვიანებით მოვიხელთე და მორჩა. ამიერიდან ეს წიგნი ამ აფრის ტკაცუნით გავა გაშლილ ზღვაზე — **„ჩემთვის მეშვიდე ენა მეგრულია, ხოლო ჰოუნანა — პირველი“.**

შვიდი რასაც ნიშნავს ეზოტერიკულად ახსნას არ საჭიროებს თქვენთან, ვინაიდან შვიდი იგივე სამ-ოთხეა, სამისა და ოთხის — კაც-ქალისა და საზოგადოების ერთობლიობა.

ვუბრუნდები ავტოგარაჟად ქცეულ დუმბაძის მოედანს მუხიანში. ვუბრუნდები ფიტულივით აჩონჩხილ, არაშენდად სახელდებულ ჩემს საცხოვრისს. შევეტევი ბეტონის კედლებში. კომპიუტერის პროგრამა გაფუჭებია ბიჭს. შევხარი ქალ-ვაჟს და ჩემი შორეული ანის ხელით შესრულებულ ნახატებს. მალე ეს იდილიაც წამეგვრება. გავერიდები თბილისს, ვინაიდან დავრწმუნდები მითვალთვალევენ ჭერიდან, მოპირდაპირე კორპუსიდან. უფალი დიდია. ყველგან მსუფვევი ცაბაოთი გფარავდეთ, ქალბატონო, სანდრა. ისე როგორ გამწირავს უფალი, ერთხელ მაინც ვერ მოვახერხო თქვენთან შეხვედრა?!

## ორქოშ სარწუმისი — ოქროს საწუმისი


„ოქროს საწუმისი იგივე ოქროს სარწუმისია, ცოდნის სათავე, ფილოსოფიური ქვა, კირბები მარტივად, კირიბიში — კრავისა. იგი თავის დროზე ტროას ცხენის ფუნქციასაც კი შეასრულებს პროტოიბერიულ საიდუმლოებათა მოხელთების გზაზე.“

1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13
8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1
9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2
10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3
11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4
12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5
13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6
1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13
8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1
9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2
10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3
11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4
12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5
13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6

1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13
8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1
9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2
10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3
11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4
12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5
13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6
1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13
8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1
9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2
10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3
11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4
12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5
13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6

საქართველო დროსა და სივრცეში ლუმერული, იგივე ატლანტიდური ცივილიზაციის ერთ-ერთი მემკვიდრე ქვეყანაა, ქურუმთა და მოგვთა სამკვიდრობელი, მარგალების — თიხის ფირფიტებზე ცოდნის, ასო-ნიშანთა დამრგველი ხალხის სამყარო, რომელ სიბრძნესაც ველარაფრით დაუფლებია შორეული აზიიდან მოსული ინდო-ევროპული რასა.

ამისთვისაც ტყუპისცალი და-ძმა, ფრიქსე და ჰელე გრძნეულ, ოქროს მატყლიან ცხვარზე ამხედრდებიან და კოლხეთისკენ გამოეშურებიან. ჰელე ლტოლვილობისას ჯადოსნური ვერძიდან ჩამოვარდება და ზღვაში დაიხრჩობა. ამიტომაც ეწოდება ჰელესპონტი დარდანელის ზღვას, ხოლო ფრიქსეს დიდის პატივით მიიღებენ კოლხები, როგორც ჯადოსნური ტოტემის პატრონს. გრძნეულ ვერძს ჰელიოს-ღმერთს შესწირავენ მსხვერპლად, ხორცს თავად ინებებენ, ოქროცურვილ ტყავს კი საკრალურ მუხაზე ჩამოჰკიდებენ, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ დრაკონი იცავს. ოქროს ვერძი და ტროას ცხენი ამ შემთხვევაში ეკვივალენტური ცნებებია — მოწინააღმდეგის დამარცხების სახსარ-საშუალება, ვერაგობა, ხრიკი. გაივლის რამდენიმე წელიწადი და ახლა ბერძენთა სხვა ნაკადი მოადგება კოლხეთს, რომლებიც ამას წინათ ნაჩუქარი ოქროს ვერძის დაბრუნებას მოითხოვენ. გასაოცარი ფაქტია, ჯერ ძღვნად მიურთმევიათ იგი და აწ უკან მიაქვთ თავიანთი არმადანი. მოტივაცია ბუნდოვანია, მაგრამ აქ ამოსაცნობი არაფერია, ვინაიდან ჯადოსნური ვერძის ტყავი უკვე სტრატეგიული მნიშვნელობის საგანძურია, რომელზეც კოლხებს



- I. 1 : 13 = 0, 076 923
- II. 2 : 13 = 0, 153 846
- III. 3 : 13 = 0, 230 769
- IV. 4 : 13 = 0, 307 692
- V. 5 : 13 = 0, 384 615
- VI. 6 : 13 = 0, 461 538
- VII. 7 : 13 = 0, 538 461
- VIII. 8 : 13 = 0, 615 384
- IX. 9 : 13 = 0, 692 307
- X. 10 : 13 = 0, 769 230
- XI. 11 : 13 = 0, 846 153
- XII. 12 : 13 = 0, 923 076
- XIII. 13 : 13 = 1

თავიანთ საკრალური ცოდნა გადაუტანიათ და ოქროს სარწუმისად, ოქროს საწმისად, ეტალონად გადაუქცევიათ — აქამდე არსებული ყოველი სიბრძნის ჩანაწერად, კაცობრიული ინფორმაციის სრულ ბანკად და ბუნებრივია, ასეთ საგანძურს რომელი ხელისუფალი შეეღევა, აიეტ-მეფემ რომ დათმოს?!

ბერძნები მედეას მეშვეობით მოახერხებენ კოლხეთიდან ოქროს საწმისის (სარწუმისის) გატაცებას, თუმცა საიდუმლო წერილს წამკითხავი სჭირდება, ხელდასხმული, განდობილი. აკი ბერძნულ წყაროებში შავით თეთ- რზე წერია: **ოქროს საწმისი ეს ის კი არ გახლდათ, როგორც აქამდე გვამცნობდნენ, არამედ იგი იყო წიგნი იმის თაობაზე, თუ როგორ მიეღოთ ოქრო და ვერცხლი ქიმიის მეშვეობითო.** ცოტა მეზობ ლობაში ოქროს საწმისის მნიშვნელობა უფრო გამჭვირვალედაა გადმოცემული — ძველები, ე.ი. კოლხები, აღმართავდნენ წერილ-სვეტებს, რომლებზეც სამკუთხა ქვის დაფებს — კირბებს მიაკრავდნენ. მათზე წარწერილი იყო სამოქალაქო და რელიგიური კანონები და მათ ერთობლიობას ძირბისი ერქვათ; სხვაგან ოქროს საწმისი, კირბები, იგივე გზათა და სმელთა მარგნებელი ნიშნებია, კარტოგრაფიის მნიშვნელობის შემცველი იეროგლიფები.

ყველაფრის გათვალისწინებით, ოქროს საწმისი დაახლოებით ისეთივე სიძლიერის სტრატეგიული იარაღია იმდროინდელი კოლხეთისათვის,

როგორც სადღეისოდ — წყალბადის ატომური ბომბი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და გასაგებია, აიეტ-მეფის თავგამოდება მის გადასარჩენად, თუმცა ოქროს საწმისი მოხელეთებულა უკვე ბერძნების მიერ და მათი სწავლულები ამაოდ უკირკიტებენ ზედ წარწერილი ფორმულების გაშიფვრვას. აი, ამ მომენტიდან იწყება კიდევ ტროას ომი. ილიონი, ვილუშა ხეთური წყაროებით, ამ შემთხვევაში პროტობერული სივრცეა, რომელსაც დაახლოებით 13 ათასი მეომარი იცავს. შემოეწყობა ამ ქალაქსახელმწიფოს ბერძენთა 130-ათასიანი ლაშქარი აგამემნონის მეთაურობით და 10 წლის მანძილზე ვერაფერს დააკლებენ, ვინაიდან კოლხური იარაღი იბრძვის იქ — რკინა, ფოლადი — სპილენძის წინააღმდეგ.

**პალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოპყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, ხალიბეს მხრიდანო,** კკითხულობთ „ილიადაში“. მეექვსე სიმღერაში კი აგამემნონი პოროლით განგმირავს ოტებულ, გაქცეულ, გოლიათ ოდიოსს — იგივე ოდოიას, ოდის. ოდიოსი და ოდოია იდენტური ფონემებია. „უდუია“ ხომ ცხვარია შუმერულად?! კოლხეთს გააჩნია იმდროინდელი დანარჩენი მსოფლიოს დამთრგუნავი ფოლადი და ოქრო, იმიტომაცაა სიძულვილი დაბალგანვითარებული ხალხებისათვის.

ჰომეროსის პოემის შესატყვისად ხის ცხენის შეგზავნით გაიხსნება ილიონის კარიბჭე და მიმოლეწავენ ბერძნები პროტოქართულ ქალაქსახელმწიფოს, მაგრამ ოქროს საწმისის საიდუმლოს გასაღები მაინც ვერაფრით იძებნება. არავინ უწყის ამის თაობაზე: არც პრიამოს მეფემ, არც — მედეამ, თვით აიეტმაც კი. ამისი ყველა ძაფი და მარჯვალე თავს იყრის უმთავრეს ქურუმ ამირანთან, იგივე პრომეთესთან თუ არამხუტუსთან. და აი, ამდენი ზიგზაგის შემდეგ, ბერძნები მოულოდნელად მოულოდნელობებიან კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ მისანს, რომელსაც დღემოსწრება ზევსის არწივი უკორტნიდა ღვიძლს; რომელსაც, როგორც კი ჭაჭვი შეუთხელდებოდა, საკუთარი მჭედლები ახალს მოარგებდნენ, რამეთუ მათი მესია — პრომეთე კაცობრიული ინფორმაციის სრული ბანკის ერთადერთი მფლობელია მთელს სამზეოში. იციან ამის თაობაზე ბერძნებმა და ჰერაკლეს მეშვეობით მონობის ჭაჭვისაგან ახსნიან კიდევ ამირანს, რის შემდეგ მითები შემადრწუნებლად მდუმარებენ. სავარაუდოა, რომ პრომეთე არ გასცემს ატლანტიდელების, იგივე ლუმერული ცივილიზაციის საკრალურ ცოდნას, ვინაიდან უბირს, დაბალი განვითარებისრასას არ უნდა მიენიჭოს განუსაზღვრელი ძალა (იარაღი), რათა მისი მოხმარების უცოდინარმა ქვეყნიერება არ დააქციოს. მაინც რა საიდუმლოებაზე საუბარი?! ამოსავალი პუნქტი გენიალური ებრაელების დროშაზე გამოსახული დავითის ვასკვლავია — ორი სამკუთხედის

შეპირაპირებით მიღებული ექვსქიმიანი გეომეტრიული სხეული, იგივე სრულყოფილი ადამიანის სიმბოლო. ეს იდეალი სკულპტურულად პირამიდაშია არეკლილი; კალენდრულად — მაიას ცივილიზაციის ცოლკინში; პალეოგრაფიულად — პროტოიბერიულ კირიბიში — ოქროს საწმისსა და ასომთავრულში; კირბი პირამიდის მეოთხედია, 25 პროცენტი. ხოლო 4 კირბის ერთობლიობა კრავს პირამიდას, ანუ სრულფასოვან უფალს. ცოდნა იმის თაობაზე, თუ რატომ შედგება ადამიანის ტვინის ნეირონები წესიერი ექვსკუთხედების — სექსტაგონების ბადისაგან, ან რისთვის ენათესავენა აღნაგობით იგი ფუტკარის ფიჭას, სამარეში ჩაუტანია პრომეთე-ამირან-არამხუტუ-აბრსკილ-ნასრენ ჟაკეს-მჰერ-ფჰარმათს — ღვთიური ცეცხლის მოპოვების ზოგადკავასიურ გმირს. ეპოსის მიზანია ცივილურმა მსოფლიომ გული გაუხსნას პროტოიბერიელების ბორგნულ ბიოგრაფიას და ვიზუ-ალური მასალების მოშველიებით: ადამიანის ნეშტის ხარის ტყავში გახვევაა ეს, ნორჩი ხის მოღრეკა და მიცვალბულის ზედ ჩამოკიდება — ღვთაება მზისადმი ძე-ხორციელის მიძღვნის იმიტაცია; ეგვიპტის პირამიდების წვეროებს მობმული ტორნადობით ფარაონის სულის ცად ამალღების ინსცენირება, თუ სიმღერა „ოდოიას“ ათასწლოვანი ტრანსფორმაციით — ბრძოლის სიმღერის შრომის ჰიმნად გარდასახვის სემანტიკით, ნათელფენის მცდელობა ადამიანის ზოგადკაცობრიულ მისწრაფების გასაცნობიერებლად — გემზე წევს დაჭრილი ოდოია და ამ საგალობლის ფონზე მოჩანან სამჭედლოები, გავარვარებული ორპირა ცულები, მათი შიშინი წყლით სავსე გობებში, მათი ელვარება ხელჩართულ ბრძოლებში. ორომტრიალს დროთა ვითარებაში ნელინელ შრომის ჰეროიკა ენაცვლება — იმავე სამჭედლოში სხვა თაობა წალდს, ნაჯახს და თოხს კვერავენ; მოგვიანებით ომის სიმღერა თანდათან შრომის ხოტბაში ტრანსფორმირდება. ეპოსი „ოდოია“ ცოლკინის, დავითის ვარსკვლავის, პირა-მიდების, ოქროს სარწმისის — რწმენის წიგნის — ოქროს საწმისის ერთობლიობით ცდილობს უხსოვრობის დროინდელი ფასეულობების რესტავრაციას, რომელიც 12 ათასი წლის წინათ ერთ ღამეში დაქვესკნელებულა დედამიწაზე მომხდარი კატასტროფით, როცა ასტეროიდი დაცემია პლანეტას ჩვენსას და მისი ღერძი **38** გრადუსით გადახრილა. ეს ყველაფერი ასახულია ნოეს კიდობანის პარამეტრებში — **144 X 24 X 14, 4** (სიგრძე — **300** წყრთა, სიგანე — **50**, სიმაღლე — **30**; წყრთა ტოლია

48 სანტიმეტრის) = 49 766,4 : 13 = 38 28 1,8 461 538 და მიანიშნებს დედამიწელების გარდახდილი ტრაგედიის ასტრონო- მიულ სურათს, რომელიც წარდგენს სახითაა ბიბლიაში გაფორმებული. ასეა თუ ისე ლექსების წინდებული წიგნი — „ოქროს საწმისი“ კიდევ გვარიან ხანს იჩინდრიკებს დუნიაზე, ოსტატის ნაცად ხელებს მიჩერებული; კიდევ მრავალ სტრიქონს შეიმყუდროებს ფრთებქვეშ, სანამ არქიტექტო- ნიკურად უზადო იერსახეს შეიძენდეს; ვინემ, „წამო, შეჩერდიო,“ დაილულლულდეს მთელი პლანეტის გასაგონად ღვთაებ რივი მეგრულით: რომ ცაბაოთთან იაკობისეული ჭიდილი დასრულდებულა; რომ უფალთან შერკინება წარსულს ჩაბარებულა; რომ „**ვტოვებთ სხულებს და ვისევთ ცისკენ**“ (შუკო ჭიქია).

ერთ ღაპვირკვამასაც ბაბანდოზ  
ჩემო ლაზო მამო, ჩემო მახიმ მუიუნჯუ —  
მეექვსე აბრეპატი

1978 წლის 5 ნოემბერს დაბა საბურიოში, ენგურძესის მიწისქვეშა სადგურის სამანქანო დარბაზში ჩაირთვება I აგრეგატი და საქართველოს მიიღებს ენგურძესის პირველ ელექტროენერგიას 260 ათასი კილოვატსაათის ოდენობით..

1978 წლის 15 დეკემბერს, ანუ პირველი აგრეგატის ამუშავების მე-40-ე დღეს ენგურძესის მიწისქვეშა პიდროელექტრო სადგურის II აგრეგატი ამოქმედდება და მისი სიმძლავრე მიაღწევს 520 ათას კილოვატსაათს.

1978 წლის 30 დეკემბერს, ზუსტად 15 დღის შემდეგ, ექსპლუატაციაში შევა ენგურძესის III აგრეგატი და უკვე მისი სიმძლავრე გაუტოლდება 780 ათას კილოვატსაათ ენერგიას.

1979 წლის 15 დეკემბერს ლამის წლისთავზე მწყობრში ჩააყენებენ ენგურძესის მიწისქვეშა სადგურის IV აგრეგატს და ელექტროენერგიის გამომუშავება 1040 ათას კილოვატსაათამდე გაიზრდება.


1980 წლის 6 ნოემბერს ამუშავდება ენგურძესის მიწისქვეშა სადგურის V აგრეგატი და უკვე მისი სიმძლავრე განიზომება 1300. 0 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიით, ანუ როგორც ენერგეტიკოსები იტყვიან სოლმე დადგმული სიმძლავრით. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს VI აგრეგატი, როცა იგი პრაქტიკულად განთავსებული არ არის ენგურძესის მიწისქვეშა სადგურის დარბაზში?!



გასაოცარი და ლამის დაუჯერებელი თანხვედრა შევნიშნე მაიას ტომში აღმოჩენილ ფირფიტა ცოლკინს, ენგურჭესის მიწისქვეშა სადგურსა და პოემა „ოდოიას“ შორის. პირვლი ორი, ცხადია, ჩემგან დამოუკიდებლად დაპრექტდა ათასწლეულების თუ ათწლეულების მიღმა, მაგრამ თავად ამ პოემის კოორდინატებიც მისდა უნებურად რომ წარიმართა აწგაცხადებული განზომილებებით?

უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მაიას ცივილიზაცია, კანიბალური აცკეტების რასა, აღიგვება მიწის პირისაგან, მაგრამ გადარჩება მხოლოდ და მხოლოდ მატრიცა, ლოგოსი ამ ცივილიზაციის წარმართველ ძალად, რომელთაც კაციჭამიობამდე დაიყვანეს ციური სხეულების თაყვანისცემა, მზის კულტი ბოლოსდაბოლოს და ემსხვერპლებიან კიდევ ამ გონდახშულობას პროპორციით  $12\ 000\ 000:400=0$ . ეს ხომ პარადოქსულია. ოთხასმა ავაზაკმა კეთი რომ აიღოს და დილიდან საღამომდე ურახუნს თავში 12 მილიონს ადამიანს, თითოეულს ხელის 30 000 მოქნევა მოუწევს და კიდურის ამდენივე უკუქცევა. გადარჩა ცოლკინი. გადარჩა დედამიწისეული ცოდნა სამყაროს აგებულების შეასახებ, რომელსაც ხულიო არგუელისი მაია-I-ს მიაწერს, ცად რომ ამალღება დედამიწის სინქრონიზაციის შემდეგ; რომელიც გენის სტრუქტურაა და სამყაროს მიკროსქემა, მოდელი და ა.შ.

ჩემთვის მეტნაკლებად ცნობილია ენგურჭესის დამპროექტებელი ხალხის ვინაობა, რომელთაც მის ენერგეტიკულ სიმძლავრეს ყველასთვის უჩინარი ეზოტერიკული მნიშვნელობა მიანიჭეს, არაორდინალური გაქანების ინჟინერები — ირაკლი ამირეჯიბი, ალექსანდრე ლოსაბერიძე და სანდრო მენაბდე — სწორედ მათი ინტელექტის წყალობით შექმნილია ენგურჭესის ენერგეტიკულ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ხუთ-მოქმედებიანი ა ტრაგედია, იგივე პენტაგრამა, დაბა საბერიოს მიწისქვეშეთში, მაგრამ ამავდროულად, ცხადია, ისიც, რომ მათ მაინცდამაინც „26“ აიღეს საწყის ელემენტად, გაორმაგებული 13; „26“, რომლის



შესატყვისია ცის თალის სრული მობრუნება. ეზოტერიკულად თუ ვიმსჯელებთ, ენგურჰესის დადგმული სიმძლავრე 1 300 000 კილოვატი, ცის თალის 5 სრული შემობრუნების ტოლფარდია და ზედმიწევნით აცხადებს დაფარული ცოდნის რანგს, დონეს. ეზოტერიკული, საკრალური სიდიდე ცოლკინში მიიღწევა 13 + 7 X 13, რაც 260-ს ტოლია. მსგავსი დამოკიდებულებაა ჰომეროსის „ილიადა“-ში, სადაც 13 000 ტროელს 130 000 ბერძენი ებრძვის.

აღორძინების ეპოქის უდიდესი პროექტი დანტე ალიგიერი „ღვთაებრივ კომედიას“ წერს 130 სტრიქონიანი თავებით, და მათი რაოდენობა ელემენტარული არითმეტიკით 13 ათასია.

ენგურჰესში ეს სიმბოლიკა მიღწეულია  $260 \times 5 = 1300$ . იგივე მიმართებაა პოემა „ოდოიაშიც“, სადაც თითოეული თავის სტრიქონების რაოდენობა 2600 და საბოლოო ჯამში უდრის 13000 —  $(260 \times 10 \times 5)$ . არა, ბატონებო, ამისთანა დამთხვევები ნაკლებად იცის სამყარომ.

დაილუპა მაიას ცივილიზაცია, მაგრამ ავგაროზივით გადარჩა ცოლკინი, რომლის საძირკველზე აღმოცენდა დღევანდელი სამხრეთამერიკული სახელმწიფოები — ჩილე, კოლუმბია.

მშობლიურ ფლორენციაში გაიხიზნა რომში სიკვდილის განაჩენ-გამოტანილი დანტე, რათა ლათინური ენის ბატონობის პირობებში მშობლიურ იტალიკურზე აეჟღერებინა კაცობრიობის უდიდესი სულიერი დრამა და თანამდროვეთაგან დაფნის გვირგვინით შემკულიყო სიცოცხლეშივე. განადურდა ქართულ-აფხაზური თანაარსებობა, მაგრამ გადარჩა ენგურჰესი და დარწმუნებული ვარ კვლავაც ენგურჰესი ააღორძინებს ახალ, სრულიად განსხვავებულ ქართულ-აფხაზური ერთობლივი სახელმწიფოს გულისძგერას.

დაემხო გური ოტობაიას პიროვნული იდილია, ზიგ-ზაგიანი ბელეტრისტიკითა და რიმიანობაითი, მაგრამ, დიახაც, დედის დარწმუნებული აკნიდან შეთვისებული „ჰოუნანათი“ აღსდგება ფერფლიდან მისი



დახანძრული სული და მაინც რა უნდა იყოს საბერიოს მიწის- ქვეშეთში არარსებული VI აგრეგატი, სათაურშივე რომ გამოვიტანეთ ბურუსით მოცული სათქმელის ლოცმანად?!

**მთელი საიდუმლოებაც აქ არის, ქაზიმ, კმობილო. სანამ ახლა უშუალოდ აქ გაცხადებული თავსატეხის პასუხი შეპოპითაგაზებია, ჯერ იქნებ თვალი გადაგავლოთ თავად VI აგრეგატის შექმნის პერიპეტიებს ფამ-სივრცეში და მერე უფრო სელშესახებად ჩამოგაყალიბებთ სათქმელს ბატონ ლემზან მებონიასთან.**

კაჯგჷლი სიტყვიერების დაქლეული  
და გადასასჭრელი პრობლემები

(ამონარიდი ბელეტრისტული მატთანედან „სუფევა“, ტომი VI).

— თეორიას მხოლოდ უბირი გაუბრის, ბეცი. ესთეტიკის პრობლემები ხელისგულზეა დალაგებული არისტოტელეს, პორაციუსის, ჰეგელის ნაშრომებში და მაინც ერთ ასპექტზე მსჯელობა თანადროულად მიგვაჩნია, კონკრეტულად კი მკითხველის დასწრების ეფექტის საკითხი თხზულებაში. ფსიქოლოგებს შეუნიშნავთ, რომ მკითხველის თანაგრძნობა გმირის სულიერი ძვრებისადმი გაცილებით შთამბეჭდავია, როცა ეს ჯოჯოხეთი უშუალოდ მისი შინაგანი სამყაროდან მომდინარეობს; მწერლისეული ჩარევებით კი არ იხატება, არამედ თავად პერსონაჟის თვითგვემიდანაა არეკლილი. ავტორის უმთავრესი საფიქრალი ამ გზაზე ყოველთვის იყო, არის და იქნება დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანრობის პრობლემა. არისტოტელე ამიტომაც ანიჭებს უპირატესობას ტრაგედიას პოემასთან შედარებით, ვინაიდან ტრაგედია გაცილებით სხმული ნაწარმოებია. ჰომეროსს ამ მიმართებით უამრავი პრობლემის გადაჭრა მოუხდა. მან პირველმა მოახერხა სივრცისა და დროის დამორჩილება გმირის სულიერი მღელვარების გარშემო. ბრმა



უილიამ ფოლკნერი რამდენადმე დააწდევეს „ულისესეულ“ აწლილობებს, თუმცა გრანდიოზული, მონუმენტური სულიერება ძველებურად იგვიანებს. ეპიკური დამოკიდებულება სამყაროსადმი, პოეზიის ინსტრუმენტებით ასახული სინამდვილე და მწერლის გარედან შემოტანილი საზრისი — მედიუმის ვითარება, გარდახდილია. ახლა მიმდინარეობს პროცესი ზედმეტი პერსონაჟის ამოსაგდებად მკითხველსა და გმირს შორის, ანუ საბოლოოდ უნდა აორთქლდეს მთხრობელის ნატურა და ეს ფუნქცია უშუალოდ გმირს უნდა გადაელოცოს, რათა დასწრების უკეთესი ეფექტი მივიღოთ.

„ხმარი და მძვინვარების“ დამოკიდებულება ობიექტური რეალობისადმი ამას ცხადად ადასტურებს. მასში სუბიექტური პერსონაჟის გვერდით ობიექტურიც იხატება განსხვავების წარმოსაჩენად. ეს მწერლის ხელწერაა შინაგანის წარუშლელიობისა და გარეგანის მომაკვდინებელი ერთფეროვნების შესადარებლად. ჩვენ, კვენტინ ჟომპსონის შინაგანი მღელვარებით შეძრულებს, ავტორი დაუნდობლად გადაგვისვრის ჯეისონის საყველპურო ცხოვრების შმორში და ამიერიდან ვერაფრით ველევით გმირისეულ მონოლოგებს, ზედმიწევნით გააზრებულთ თუ მისდა უნებურად ქვეცნობიერს. კაზმული სიტყვიერება ახლა ამ მოურჩენელ დილემასაა შეჭიდებული. კინემატოგრაფი თან-

აედმა მარადუჭკნობ „ილიადაში“ ყველაფერი აქილევსის რისხვას დაუჭვემ-  
დებარა და არა — უშუალოდ ტროის ორომტრიალის ჩვენებას.

**— გამოდის რომ დანარჩენი მწერლები ტყუილად აწვალდებდნენ  
კალამს, როცა ლამის ნატურალისტურად ქმნიდნენ სხვადასხვა  
ომების ამსახველ ბატალიურ სცენებს არსებული სინამდვილის  
გადმოსაცემად.**

— სრული სიმართლეა, ბატონო ლევან, თქვენ გაცილებით მეტი იცით  
ლიტერატურის თეორიაზე, ვინემ ჩვენმა თავმომწონე მწერლებმა. ამ  
ასპექტით ჰომეროსთან ახლოსაც ვერ მივლენ მისი უმცროსი თანა-  
მოკალმენი — სერვანტესი, ტოლსტოი, გამსახურდია, განსაკუთრებით  
„ომსა და მშვიდობას“ თუ „დავით აღმაშენებელს“ ვგულისხმობ. ჰომე-  
როსთან პოემის მასალა მოწოდებულია დისკოს პრინციპით; ეს  
გახლავთ წრიული აზროვნება. ნაწარმოები დაყოფილია 24 ნაწილად,  
სადაც I თავს XXIV შეესაბამება, II-ს — XXIII და ა.შ. ანუ ჰომე-  
როსმა პირველმა მოახერხა კაზმული სიტყვიერების ფორმულის დონეზე  
აყვანა და ფუჭი მეცადინეობაა მსოფლიოს ასი საუკეთესო მწერლის  
გამოსავლენად შეკრებილი გაზეთიკების მუშაკობა, როცა ისინი  
პლანეტის № 1 მწერლად სერვანტესს შერაცხავენ ლამის ერთხმად,  
ხოლო ჰომეროსი ათეულში ძლივს მოიაზრება. დიახაც, ერთადერთი  
ჰომეროსი მოახერხებს ფორმა-შინაარსის დაურევებს — ადგილის,  
დროისა და მოქმედების მონოლითურობის გადაწყვეტას, მაგრამ მისი  
დამოკიდებულება გმირისადმი დამკვირვებლურია, მიკროსკოპით მისჩე-  
რებია აქილევსის რისხვის მიზეზებს და უზალთუნებად ალაგებს პასაჟებს,  
ფრაგმენტებს ერთმთლიანის გადმოსაცემად.

დანტემდე ეპიკური გმირისადმი დამოკიდებულება მკითხველსა და  
მოქმედ პირს შორის კვლავაც დამკვირვებლურია. მხოლოდ რენესანსი,  
მხოლოდ მისი ალამდარი ალიგიერი მოახერხებს ამ ბარიერის დაძლევას  
და პიროვნულ პრიზმაში გარდატეხს გარემომცველ სამყაროს, გნებავთ,  
ქრისტიანულ სამფენოვან გარსში მოქცეულს (ჯოჯოხეთი, სალხინებელი,  
სამოთხე). XIX, განსაკუთრებით XX საუკუნე წყურვილით გათანგული  
აქლემის მსგავსად დაეწაფება ამ ლიტერატურულ მიდგომებს, მაგრამ  
„ილიადას“ ადეკვატური ნაწარმოების შექმნა ჯერხანობით ვერავის  
მოუხერხდება. აყალიბებენ თეორიებს, დოქტრინებს გმირის სულიერ  
ძვრებზე უზნაძეები, ფროიდები, შტაინერები, თუმცა დღესდღეობით  
კვლავაც ხელთა გვაქვს ჯოისის რებუსული კომენტარები შექსპირის  
„ჰამლეტსა“ და „ოდისეაზე“, სადაც შვილი თავგადაკლული დაეძებს  
მშობელ მამას.

დათან ამკვიდრებს გარდახდილი სინამდვილის გადმოცემის მეთოდებსა და საშუალებებს პარალელ-ლური მონტაჟით, შავ-თეთრი კადრებით და სხვ. ბუნებრივია, „ბათა ქექიას“ გმირისეული თხრობის სტილი ვერაფრით გადაწყვეტდა ამ საკითხს; ვერც ზურიკელას ხბოსავით კუნტრუ-შობები და ველარც ოთარ ჭილაძის ენერგიული თხრობა თუ ოთარ ჩხეიძის ფრაზის მაგიას ჩაბლაუჭებული პროზა.

ახლებს ხომ კონცეფცია საერთოდ არ გააჩნიათ. ისინი თავპირის-მტვრევით გამოგირბენენ სახელდახელო პურეულს. ეგ არის და ეგ. არ მოეპოვება სერიოზული პლატფორმა დღევანდელ ლიტერატურულ პროცესს, ვინაიდან ჭიუტი უმეცრებით უგულვებელყოფს თეორიულ მემკვიდრეობას და სალოსის სიკერპით განზე მოისვრის ახალი ეპოქის მოთხოვნებს, მით უფრო, როცა ი ნფორმაციულმა ნაკადმა წარღვნა-სავით გადაუარა მონუმენტურ მიდგომებს თემისადმი. უპირატესობა მიანიჭა იაპონურ ლაკონიზმს ხელოვნებაში (ხაიკუ, ტანკა), აკუტაგავას მომჭირნე სტილს განცდათა დასინთეზებისას.

ეს არქიტექტონიკური მოთხოვნები, თუმცა გმირი კვლავაც უღიმ-ლამოა, თითებიდან გამოწოვილი, ან სულაც ნიველირებული, ეპოქის არაადეკვატური ქუჩური ვნებათაღელვიდან შემოხეტებულია და არამც



და არამც — დოქტორ ფაუსტუსის ყაიდის, ათასი ფილოსოფიითა და კონფესიით გონებაარეული, აურაცხელი პლასტიკა და ინფორმაციული ნაკადით გაჭერებული, ჩინეთის დიდი კედლით გათიშული დანარჩენი მსოფლიოსაგან, ნაწილ-მთელის გახლეჩის პროდუქტი, საზოგადოებისა და ინდივიდის გათიშვის საგანი.

გლობალიზაციისა და პატრიოტიზმის უკომპრომისო ცივმა ომმა, ადვილმოსალოდნელია, უფრო მცხუნვარე ბატალიები წარმოშვას ხვალ-ზეგ მასშტაბური ტერორიზმის პერსპექტივით, როცა ვინმე ჭკუადა თესლილის ხელში წყალბადის ბომბი აჭყვიტინდებოდესა დასაკლავი გოჭივით. აი, ეს სივრცეები და რეალობები განზე მოუტოვებია ჩვენეულ სიტყვაკაზმულობას, ანუ დანარჩენი მსოფლიოს ლიტერატურულ ხელგარჯილობებს. ამას მიუთითებს ვინმე მეორდობე თურქ მწერალ ორხან პამუკისადმი ამას წინათ მიბოძებული ნობელის პრემიაც. დიახ, გლობალური შიმშილია ფასეული თხზულების შექმნის თემშარაზე, ვინაიდან იგნორირებულია თეორიის ტრადიციები და გაცნობიერებული არ არის თანამედროვე მსოფლიოს ფსიქოლოგიური ვითარება. ამისთანა მდგომარეობაში, რამდენიც უნდა შემოგვთავაზოს მორჩილადემ ბელეტრისტული პესტიციდები რვეულების სახით თუ ბულადემ და სხვათა გამოწმენდილი იწილობიწილო, სრული ხელმოცარვები მოგვევლინება შედეგად, რომლის უმთავრესი მიზეზი ტრადიციის ნიველირებაა.

გარემომცველი სამყაროსადმი სინთეზურმა დამოკიდებლებამ კულმინაციას 2900-2800 წლის წინათ მიაღწია „ილიადას“ სახით და დანტემდე იგი ზვავის სისწრაფით მიექანებოდა უგემოვნების უფსკრულისაკენ. მხოლოდ ალიგიერმა მოახერხა სუბიექტურად ექცია გარემომცველი სამყარო, საკუთარ მეობაში აღმოცენებინა ზადი და სრულყოფილი. მაგრამ შემდგომ და შემდგომ კვლავაც გაგრძელდა ლაბორატორიული დაკვირვებანი ასახვის ობიექტისადმი. რაც შეეხება სადღეისო პროცესებს, ხომ იოტისოდენად არ ახლავს დრამა. იგი გამოწურულია ვნებებისაგან, ზერელე სიუჟეტურ „რგო-ლებსა“ და ფაბულურ კვანძებს ეპოტინება, როცა ოკეანეთა გრიალი ნემსის წვეროზეა დასატევი. ამ მოთხონებისაკენ პროზის მოუხეშავი სხეულით ვედარ ივლის კაზმული სიტყვიერება. კვლავაც ფორმულასავით ტევადი პოეზიის უმართსამართი ამოტივტივდება თვალსაწიერზე ადრე თუ გვიან, ოღონდ არა მთხრობელის უძვლო ენით დამათრახებული, არამედ ისევ გმირის სულიერ ძვრებში აფეთქებული, ისევ პერსონაჟის ინდივიდუალურ გარსში მოთუშული და ახალი ხელ-წერის დამსაზღვრავი.


აბსურდულია მეტრის პოზიციიდან მსოფლიოს ლიტერატურული პროცესების შეფასება, მით უფრო — თანამედროვესი, როცა იუნესკოს მონაცემებით ყოველწლიურად ათასობით რომანი ქვეყნდება და იქიდან მხროლოდ თითო-ოროლას თუ მიაღვენებ მზერას. იქნებ ვინმე გენიოსს უკვე გადაწყვეტილიც ჰქონდეს ჩვენეული პრეტენზიები თანამედროვე კაზმული სიტყვიერებისადმი, მაგრამ ამგვარი ვითარებაც პრობლემას ვერ მოხსნის, რამეთუ საზოგადოება გუშინდლის ნასუფრალით იცოხნება, მეორად ძველმანებში გაუყრია ბარძაყები და ლიტერატურული ცხოვრება მსოფლიო დუდილში ვერაფრით იგრძნობს თავს არათუ ზვიგენის, უბრალო ლიტესიტას მდგომარეობაში, ენობრივი ბარიერების გამო. ეს შლაგბაუმები ზოგიერთებისათვის თუნდაც რომ ალაგდეს, არ კმარა მოცემული სიკვლე, გნებავთ მათუსალას ხანსვიანობა, თვალის დახამხამებაში აგყრის იარაღს სისხლსავსე წამების დამცინცლავი ჟამი, იგივე ცხოვრება, წუთისოფელი, საწუთრო რომ ჰქვია სახელად.

ეპიკური მიმართება გმირისადმი გადაზრდილია სუბიექტურ მთხრობელობაში, ანუ ამოგდებულია მკითხველსა და გმირს შორის ეკალივით აღმოცენებული მწერალი-კომენტატორი. პერსონაჟი ახლა თავად ეტიკტიკება მისი სულიერი ძვრების მოდარაჯე მომხმარებელს, მაგრამ სავალალოდ კვლავინდებურად ნაკლებად შეინიშნება ჰომეროსივით განსწავლული ხელოვანი, რომელიც ბრმა აედევით შეადუღებდა კაცობრიულ ყოფიერებას, ერთ პიროვანებაში, ერთ ცნობიერში, ერთ ჭირთათმენაში.

### სტუმრად ჰქონდიდელ ჭურუმთან

ყველაფერს გადამფარავია მარტვილის ეროვნულ მუზეუმში განცდილი წუთები. ოთხმოცი წლის ბერმუხა გივი ელიავა ჭარმაგული აღტკინებით გვწინამძღვრობს ექსპონატების ხომლეულისკენ. თხელია და სალეს ქვასავით დაღეული. ჰკვიანი თვალები წყალთაგან ნაცად ქვიშასავით დაშთენილა ხორცის ფსკერზე და სულის კარიბჭესთან. გაუბზარავი ხმით წარმოგვიჩენს საჭყონდიდოს არეალში მოძიებულ ნიმუშებს: დინოზავრების პრეისტორიული ნაფეხური დაუტყვევებია გაქვავებულ ლავას თუ მაგმას. ნიამორის, იგივე გარეთხას წარმოუდგენლად უშველებელ ფიტულს საარაკო რქები ჩამოზიდვია.

წარმოჩენილია ანტიკური ხანა. მასალები, ფასდაუდებელი მასალები ათასწლოვანი სამაროვანებიდან და მაინც მარტვილის ეროვნული მუზეუმის ინდივიდუალობა, შეუდარებელი თავისთავადობა და ქართუ-



ლი სულიერების ტრამპლინი ოცდამეერთე საუკუნეში, ესოდენ სასურველი კირბეზია — მრავალგზის დაფიქსირებული ისტორიოგრაფთაგან, ცივილიზაციის გარიჟრაჟის ჟამინდელი ჭადა ქვეები, დაუდგრომელი ადამიანის რულუნებით ნატვიფრი, ნაკაწრი ბიოგრაფია. მრავლისმეტყველი ნაოჭები, ღარები და ხაზები, ვინ იცის, რა შინაარსს, რა საიდუმლოებას ლულულულებენ შთამომავლობისათვის?!

ათი მონოგრაფია ცნობილი მიზეზების წყალობით ვერაფრით დაძრულა მეცნიერის საწერი მაგიდიდან. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს გასრულებული სადოქტორო დისერტაციის აპრობაციისთვის ვერანაირად მოუცლია. ჩანთქმულია კირბეზში, ჩაკარგული, დილა-სისხამისას რომ სჩვევია ტაბაკონის მთას შეჯანღიანება, იმგვარად. დინჯი და იშვიათი მთხრობელია კინოკამერის წინაშე. ექსპონატებს დაძარღული ხელით ალაგებს მაგიდაზე. ჩესუჩის ნაჭრის კოლხური ქუდი უნახვევებს მაღალ შუბლს. ოდნავ წამოზრდილი წვერის მოსაპარსად სადალაქოში წასვლას არ ინებებს — მზე მიიჩქარის დასალიერისკენ, ადამიანის ცხოვრებაც ხომ მოსწრებაა ჟამსაწუთრისო ელესსა და მელესს შორის?! ვენურ სკამზე მოკალათებულს თავზე ვადგავარ ერთი კვადრატული მეტრის სივრცეში ათასწლეულების ბობოქრობაა, აურაცხელი თაობის მღელვარება და

ზემსწრაფველობა სათავიდან შესართავისაკენ.

მსცოვანი მეცნიერის საათნახევრიან საუბარს რამდენადმე თუ შეკუმშავთ ბელეტრისტული კანონზომიერებით, დაახლოებით ამგვარი ტექსტის გამოძერწვა მოხერხდება:

— კოლხები, ეგრისელები იდეოგრამული დამწერლობის ავტორები არიან, — პირწავარდნილი მოგვივით ხყვება ბერძენულზე ჰყონდიდელი, — იდეოგრამული და კარტოგრამის კულტურა, დიახაც, აქ, ეგრისში, კოლხეთში, უფრო სწორად წინა აზიის ამ რეგიონში, ქარდების, ქალდების, ხალდების ქვეყანაში წარმოიშვა, ჯერ კიდევ წარმართობის უადრეს ეპოქაში: ვარსკვლავთმრიცხველი ქურუმები ხომ ციურ სხეულთა ხატებით თვლიდნან და კითხულობდნენ აზრებს, გამოთქმებს, იქნებ — ბეგრებსაც, — ფრთხილია მეცნიერი, — უფრო მეტად — მეტყველების მცირე ნაწილის გამოსახატავად. ეს მოვლენა შეინიშნება სამყაროს ყოვლად განვითარებულ ცენტრში, შორხანად და უფრო გვიანაც.

ბატონი ივანე ჯავახიშვილი წერდა: **ქართული დამწერლობა გაცილებით ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში ინთქმება, მცირე აზიასა და გუშინდელ საბერძნეთში უაზრობაა გეპიოთო. თვით ქართული ანბანის მოსაზრებობა ისეთია, რომ ის შეუძლებელია წარმართობის ხანისა არ იყოსო, რაც უხსოვრობის დროინდელის, მითაქამინდელის ტოლფარდია მეცნიერული ქვეტექსტით, მინიშნებით.**


ბუმბერაზი მეცნიერის ასეთი გამონათქვამი, სტიმულია ჩვენთვის მოკრძალებით განვავითაროთ წამოწეული ხიპოთეზა, მით უფრო, როცა საამისოდ ხელშესახები მასალა უხვად წარმოიჩინდება. მცირე აზია, განსაკუთრებით ქალდების, ხალდების ქვეყნების და მერე შედარებით განვითარებული ცივილიზაცია კოლხეთის სახით ასეთი დამწერლობის პირველი საწყისი ნიშნების ინიციატორია უეჭველად, რაც მოგვიანებით უფრო დასრულებულ-დახვეწილ ფორმებშიც გამოიხატა; ეს იმაზე მეტყველებს, რომ აბორიგენი ქართული მოსახლეობა აქ იწყებს თავისი ცივილიზაციის ამოსავალს, აქ ვითარდება და სახიერდება. ამ დასკვნის გამბედაობას მრავალი მეცნიერის გამომხატურება კვებავს, — უმწიკვლო თვალებით ამოგვხედავს დეაწლმოსილი მეცნიერი, კონკრეტულად გაუარბის, მოკრძალებულია, თუმცა ჩვენ ხომ წაკითხული გვაქვს მარტივლის ეროვნული მუზეუმის ალბომების სერიალი, სადაც შავით თეთრზეა მითითებული: „ავტორის (გ. ელიავას) დასკვნა, „რომ ჩვენს ხალხს, ქართველებს, ქართველ ხალხს გვართონული წყობილება ადგილზე გაუვლია, აქვე უცხოვრია, უვითარებია თავისი ცხოვრება, შეუქმნია სოფლები და ქალაქები, თავისი დიდი

**კულტურა და ასე მოსულა დღემდე,“ ამგვარი მოსაზრება ქართველთა შესახებ დიდი ხანია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია და გაზიარებული. გ. ელიავას მასალები კიდევ უფრო ამაგრებს ამ მოსაზრებას“.**

ეს სიტყვები აკადემიკოსის წევრ-კორესპონდენტ შოთა მესხიას ეკუთვნის, ხოლო აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი თანაკუთხელ მეცნიერზე გაცილებით გულუხვია, არ შეინანებს მისთვის იმედისმომცემ ნაპერწკალს: **„აგტორს ეტყობა კვლევის ნიჭი და დაკვირვების უნარი. მისი მეცნიერული დასკვნები სწორია, რაც იმის საწინდარია, რომ აგტორი საჭირო მეცნიერული სკოლის გაგლით ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი სასარგებლო მკვლევარი გახდება“.** აი, ამას გულისხმობს ბატონი გივი ელიავას ფრაზა: **„ამ დასკვნის გამბედაობას მრავალი მეცნიერის გამოსმაურება კვებავსო.“**

დიახ, ცოდნით სავსე, სიბრძნით დატენილი მოკრძალებულია, ხოლო ზერეღე და ფშუტა — ხმაურიან უნიჭობას ამოფარებული თავკერძა.

— ჩვენ ჩვენს ადრეულ წერილებში, შრომებსა და შემდგომ დასკვნებში აქ ქართველი ხალხის აბორიგენობის საკითხს ვუჭერდით მხარს და ჩვენი მასალებით ვამტკიცებდით, რომ ამ აბორიგენ ქართი-ქალდი-ხალდი ხალხს დამწერლობის პირველი ცდები ძალიან ადრე დაუწყია. წარმართ ქურუმებს, მოგვებს ასტრალური სხეულების მოხაზულობის საიდუმლო მეტყველი ნიშან-ხატებით გამოუსახავთ, ციურ სხეულთა საკმაოდ ცნობილი და აღიარებული ხატები: — ჩვენთან მზე და მთავრე, მათი ხატები, ხატობრივი ნიშნები — კრიპტოგრამა იყო პირველი ასო, ბგერა, იგი ჯვარსა და მთვარის დისკოშია გამოხატული სვასტიკისა და ოვალის სახით, რომელთაც ბრუნვის გამოსახატავად ქიმები ხქონდა, რაც გვიან განსხვავდა, მოშორდა და დარჩა ჯვრისა და ოვალის გამოსახულება ხატ-ფიბულების სახით. მასში ჩანს, თავიდანვე აზრი იყო ჩადებული ბგერის გამოსარჩევი, საიდუმლო წაკითხვისა და გამოსახვის, მეტყველების უდავო პირველი ნიშნები. ამრიგად, ციურ სხეულთა ვარსკვლავური (მურიცხთა), — ბატონი გივი წამიერად ყოვნდება, თვალეი კირბების ექსპონატების ვრცეულობაში დანთქმია. უნებურად „მურიცხს“ ზოგადქართულ „ურიცხვს“ ვუკავშირებ, როგორც უთვალავის, აურაცხელის სიმბოლოს, მაგრამ ამის გამოთქმის დრო და საშუალება წარმეტაცება, ვინაიდან მსწრაფლ გადააბამს ახალ მოსაზრებას დახანებულ წინადადებას, — გამოსახულებები საიდუმლო მეტყველების უტყუარი მოწმენი გახდნენ. ისინი იქნებ ბგერებს გამოხატავდნენ, შემდეგ კრიპტოგრამული გამოსახულებანი კოდად დაიდეს, ციურ სხეულთა სახელობით გამოსარჩევად, აზრის გამოსახატავად. ეს ქურუმთა საიდუმლო დამწერ-



ლობის დასაწყისი გახლდათ.

უდავოა, მათ უფრო გვიან სხვა საშუალებებიც ხქონდათ გამოყენებული, როცა ისინი მრევლის, მორწმუნეთა საერთო დამწერლობად იქცა. საიდუმლო გაიშიფრა, ნიშნები გამარტივდა, გახშირდა და თანდათანობით იდეოგრაფული დამწერლობის საფუძვლები შეიქმნა. ასე, ადამიანის გონებრივ განვითარებას მოხყვა ეს სასწაული, განსაკუთრებით ბგერითი გამოთქმა დადგა დღის წესრიგში — ხატ-ხაზულებით.

ამისთვის ქვა ან ხვინჭკა ორივე მხარეზე სწორდება, პრიალდება და ამ გასწორებულ, გაპრიალებულ პირზე იხაზება, იჭრება ეს ხატ-გამოსახულებანი, კრიპტოგრამებით კოდირებული იდეოგრაფული ნაწერები. იგი გამოხატავს მეტყველებასაც და გეოგრაფიულ მისანიშნებსაც. იწყება კარტოგრაფული მონაცემების ამოხაზვა, იქმნება კირბები, რაზედაც ცნობა მოგვცა აპოლონიოს როდოსელმა თავის „არგონავტიკაში:“ **კოლხებს უნახული აქვთ თავიანთი მამებისაგან დანაწერი კირბები, სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მეზღვა-**

**ურთაოვის ნაჩვენები.** იგი იხაზებოდა ქვაზე, ძვალზე, ტყავზე, ლოკოკინათა ქერეჭებზე, თევზის გაპრიალებულ ძვლებზე და ასე შემდეგ.

ამ დროის პირველყოფილი ადამიანი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა თავისი აზრის წერილობით გამოსახატავად. სანამ იგი იდეოგრამას პირდაპირ არ მიაღწავდა; სანამ არ შეიქმნა კირბები ქვიშა-ქვებზე, კირბები ჭადა-ქვებზე, ხვინჭკებზე, სხვა მაგარ საშუალებებზე და მათგან დამზადებულ ფირფიტებზე. იგი დამწერლობის ადრეული ფორმა იყო, უფრო განვითარებული და სრულყოფილი, იმ ასტრალურ ხატთა შემდეგ. მასში ჩაერთო კრიპტოგრამები, როგორც კოდები; ეს დამწერლობა ადრეულია, წარმართობის უძველესი პერიოდისა და იგი ასტრალურ ღვთაებათა ბგერითი გამოსახვის შემდეგ ყველაზე ზოგადია და დეტალურადაა გამონახული დამწერლობაამეტყველებული ფორმები, ნიშნები. უფრო გვიან მასში ჩაერთო კრიპტოგრამები, როგორც კოდები, როგორც სახეობრივი გასაღებები. — ჭყონდიდელი მეცნიერი სათითაოდ უახლოებს კინო-კამერის ობიექტივს ხელისგულისოდენა საკრალურ ქვეს მოსაზრების დასადასტურებლად. მუზეუმის ათიოდენ ნამშრომელი კი მონდომებით ფუსფუსებს სათადარიგო მაგიდასთან, ვენახის კიდეზე, რომელიც ამ ცა და მიწასავით უხსოვრობისდროინდელია, მითაყამინდელი. სახელითაც გამოხატავს მომშენებლის ვინაობას, „ნოვა“ ხქვია. აქედან ბიბლიურ ნოემდე ხომ ერთი ნაბიჯია? სუფრაზე მიყოლებით ჩნდება ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, დოქებით ღვინო. ოსშივარი ასდის მოხარულ ხორცს, მაგრამ საამისოდ არც ნერწყვი გვემეტება და აღარც — მზერა, — ეს კრიპტოგრამები, კოდებად გამოყენებული სახეები, ჩვენს ხელთ არსებულ იდეოგრამულ მასალებში მრავლადაა წარმოდგენილი. ეტყობა მაშინ სრულ გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. შემდეგ მას მოსდევს, ან მასში ჩართულია ვრცელი ხაზულები, იდეოგრამული დამწერლობის ნიშნები. ხშირად სტრიქონებად წარმოდგენილიც კი, თუნდაც ქანდაკება „მესეფი“.

მუშტისხელა ძლივს არის დასახელებული ქანდაკება. დიდი შემოქმედებითი ენერჯიაა ჩაქსოვილი მასში. ვერტიკალურად კაცღვთაებაა, ხორიზონტალურად — თევზღვთაება, ხოლო ზურგზე — იდეოგრამა, და ერთხელაც ეხმაურება ადრინდელ მოსაზრებას წმინდა იოანის თაობაზე, რომელიც უშუალოდ ასწავლის მიწათმოქმედებას, დამწერლობას, მშენებლობას, განმანათლებლად მოველინება მესოპოტამიას.

განა იგივეს არ გვიდასტურებს ნუნისის ვეშაპი, თუ ახალი აღთქმა? ანალიზისთვის, დასკვნებისთვის დროს არ გვიტოვებს ჭყონდიდელი ბერძენი. უმაგალითო ტემპრით აშენებს და ლარავს სასურველ ციტადელს ქართული ეზოტერიის საყრდენად. დარწმუნებული ვარ, როგორც კი ამ

ნიმუშებს იხილავენ ბატონები: ალექსანდრე ჩუბინიძე, გივი ალაზნისპირელი, ხამლეტ წულაია, ზურაბ ქაფიანიძე, ჯერ ერთი, შვების ცრემლი ხომ მოერევათ, და ჩაუვარდებთ ხელთ?! — კოცნა-კოცნით გაღევენ, როგორც ქართული სულიერების ნამცეცში არეკლილ უსასრულობას.


— ასეთი ხაზები ხვინჭკებსა და ჭადა ქვებზე ამოტვიფრულია არა ბუნებრივი ღარებით, — რუდუნებით მიუყვება თავის აღმართს მარტვილის ეროვნული მუზეუმის მხცოვანი დირექტორი, — არამედ — ხელით ამოღარვით და მიუთითებს მიმართულებას, მდგომარეობას, გავრცელებას, მასშტაბებს.

მსგავსი ნიმუშები ჩვენს ფონდში მრავალია და ახალ-ახალი ექსპონატები კვლავაც ჩნდება ალანიას გადან, ლეხანდარაოდან, კოტორიდან, ვედიკარის ნოჯიხუდან, აბედითის დიხაზურგადან, ნახუნაოდან. ესენი პირველი კირბებია, იდეოგრამები და კარტოგრამები. მათგან გამორჩევა შეიძლება აზრიანი, მეტყველი ხაზებისა. ასეა თუ ისე, კოლხეთში იყო დამწერლობის პირველი ნიშნები, რაზედაც ასე ხაზგასმით ვპოულობთ ცნობებს ანტიკურ წყაროებში, — უძირო თვალებით ამოგვხედავს უხუცესი გივი ელიავა — მათ შორის ხეროდოტესთან, ხომეროსთან, არგონავტებთან, თუნდაც — აპოლონიოს როდოსელთან. ეს პირობითი ნიშნებია, იმ კრიპტოგრამების შემდეგ მათთან ერთად და მათი მეშვეობით კოდირებული. ეს პიქტოგრამები შესანიშნავი მაგალითებია, თუნდაც ასო პიქტოგრამა — **Ⴀ** აქ პიქტოგრამა ნახევარი ოვალით გამოხატავს მთავრის ღვთაებას და ასო-ანბანიც სწორედ მისით დაიწყო იმ საიდუმლო ანბანწერაში. შემდეგ მზის გამოსახულება, მისი მბრუნავი სხეულისვასტიკა არის ასო ნიშანი **Ⴁ**— **Ⴂ**. ეს ნიშანი მარტვილის მონასტრის ჩრდილოეთის შიდა კედელზე, სვეტის ფარზე მოხატულობაშია მოცემული გვიან. ასევე, გვიან, ეტყობა ამ კრიპტოგრამასთან გრაფემას ქიმები მოშორდა და **Ⴃ** ჯვარის ხატ-სალოცავად დარჩა. მსგავსი ხატვებულა ჩვენ ვიპოვეთ კურზუში, აპოლონ ახალაიას ეზოში, ჭილაიების ყოფილ საცხოვრისზე, სამაროვანში ათეულ ცალობით და ასე შემდეგ. ამრიგად, ესენი ადრეული აზრადებული ნიშნებია. მათგან სწრაფსაწერად იდეოგრამების შემუშავება შემდგომი ეტაპია. ეს სახალხო, საზოგადო დამწერლობის დასაწყისია. იგი მოსიარულეთათვის გზის საჩვენებლად და აზრის საამბობადაა გათვალისწინებული. — მზის სიმბოლოდ ჯვრის, უკეთ სვასტიკის წარმოჩენის ბატონი გივი ელიავასეული კონცეფცია არახალია, ვინაიდან, მბრუნავი ჯვარი ეზოტერიკული ტრადიციით დედამიწელების უმთავრესი მნათობის ხატია. ბორჯღაღიჯ ხომ ამას მიუთითებს, სადაც თითოეული ხაზი, ქიმიანად 35 გრადუსს შეესაბამება და საბოლოოდ ვლებულობთ სრულ წრეს, 360 გრადუსს. ამის თაობაზე ადრეც გვითქვამს

და შემდგომშიც დავაწდევებთ აზრს რამდენადმე, მაგრამ არსებითი ის გახლავთ, რომ მეცნიერი შეუპოვრად მიუყვება დამწერლობის შექმნის ციკაბობებს. ვენურ სკამზე აღარული სხეული ნაცადი კავალერისტივით წამითაც არ შეუტოკდება ათასწლეულებზე გადაჭირითებისას. ხელები კი მოგეცა ლხენა, ქარგავენ და ახარატებენ ათას ფორმა-შინაარსს, უთვალავ, აურაცხელ ნასკვსა და მოხრილობას. ხმაც შესატყვისი ტონლობით ეცვლება. ხელები და ბგერები ჰარმონიულად ძერწავენ ბატონი გივი ელიავას სულიერებას; და პოეტის თვალთ შეხედო, მისი სხეული ლოდებით ამოხერგილ მდინარის კალაპოტს მოგაგონებს ფიგურალურად, სადაც სული, ტემპერამენტი მათზე გაფიცებით მოჩქაფუნე გაათმაგებული თერგია.

განვითარდა და დარჩა ჯვრისა და ოვალის გამოსახულება ხატფიბულეების სახით. დრო გადის, სწრაფი და უფრო აზრიანი წერის საჭიროება დგება, — განაგრძობს მეცნიერი, — იდეოგრამაში ახალი აზრი ჩაიტოტება, ახალი სული ჩაიღვრება, იგი იქცევა ასო-ბგერად, რაც თვალსაჩინოდაა გამოხატული ურნებზე, ქვეზე. ამის სამაგალითოდ შეგვიძლია წარმოვადგინოთ კუფტინის მიერ ქვემო გომში ნაპოვნი ურნები, რასაც ხშირად იმოწმებდა და ანბანის პირველ არსებად, რეალურ სახეობად მიიჩნევდა აკადემიკოსი ამირანაშვილი:


— ასეთი ასო-ნიშნები შემდეგ ყოფით საგნებზეც ვლინდება. გრიგოლ შენგელიას ნაპოვნი ძელის ლარტყულები კრიპტოგრამებია სურათებად გარდაქმნილი, თუნდაც მასზე ასახული ქალის ფიგურა ან დაჩოქილი მანდილოსნის მუხლისთავები და სხვა. იგი ნაპოვნია „ჯოლორიში ღალუში“ — ძალის ღელეში, ჩხოროწყუში, — განმარტება ფართო აუდიტორიისთვისაა უფრო განკუთვნილი, ვიდრე — ჩვენთვის და კიდევ სმენა გაფაციცებული კინო-ოპერატორისათვის, ქანდელი დათო იაკობაძის მისამართით, — იგი ჩხოროწყუს მუზეუმში ინახება, გამოქვეყნებულია „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკურ კატალოგში“ და უფრო მეტი, ჩვენს მასალებშიც ურევია. ჩვენ ვიპოვეთ სენაკში, ისულას მასალებში, ურნები, რომელთა კედელი ასეთივე ხაზობრივი ნიშნებითაა დამშვენებული. ესენი თავდაპირველი ხაზობრივი ასო-ნიშნებია, რომელიც იდეოგრამიდან ამოვიდა, ადამიანმა თავის ყველაზე საჭირო ნივთზე — ურნებზე და ცხოველის ტანზე — ცხენთან დალის სახით ღერბად ამოტვიფრა და ეს ყველაფერზე აუცილებელი და საჭირო ცხოველის საკუთრებად მიიწინა, რაც ბატონ სერგი მაკალათიას დამოწმებული აქვს წიგნში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, — მსგავს მოსაზრებას ვხვდებით მეცნიერ ბეჟან კილანავასთანაც. მასალები მართლაც წლობით გროვდებო-



და გაცილებით გაბედული დასკვნებისთვის, მაგრამ მივუგდოთ ყური მსცოვან მეგზურს: — რასაკვირველია, ეს დალი, ღერბი, შემდეგ არ შეცვლილა და მოგვიანებით რამდენადმე განვითარებული ასომთავრული და მხედრული ასონიშნებიც კი გამოიყენებულა. ასე რომ, მისი მოხმარების ხორიზონტი უფრო გვიან ძალაშია და ვრცელდება საქარ-თველოს კილით კიდემდე. ქართულმა ანბანმა იმ უძველესი დროიდან განიცადა სახეობრივი სრულყოფა. კირბებიდან ამოვიდა ასომთავრული, მრგვლოვანი ანბანი. შემდეგ იგი ნუსხური დამწერლობით განსხვავდა, ხოლო გვიან, თანდათანობით მხედრული დამწერლობით განსხეულდა.

აქ, ამასთან ერთად, სხვა რამეცაა ყურადსაღები: იმ უძველეს დროში, ანბანის წარმოქმნის პირველ ეტაპზე, ჩვენგან გასულმა პელაზგებმა, კორინთოში თან წაიღეს ეს ნიშნები და გამოიყენეს კიდეც. მისი ერთ-ერთი ეგზემპლარი ქვის ზოდი, რომელზეც არის ორხაზოვანი ასო-ნიშანი — ბჭკარი, **B** ხაზობრივი ნიშნიან წარწერების ადეკვატურია. იგი ნაპოვნია ისევ ჩხოროწყუში და ინახება რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. იგი ერთეულია, მაგრამ არა იმპორტული: აქ არის დამზადებული, განსახლებამდე, ამ თარ-გუდაზე არსებული კერიდან. ვფიქრობ, რომ ეს ძველსამყოფი, სადაც ამნაირი ქვების ფილების მოპოვება შეიძლება მუხურში, ხაბუმეში, ოსინდალეს ფერდობებზე, ხობწყარის ნაპირებზე, უფრო და უფრო დაადასტურებს პელაზგთა უძველესი განსახლების საპოლემიკო საკითხს.

კორინთული **B** ნიშნით წარწერიანი ლოდები, ქვები აღწერილი აქვს ჩედევიკს წიგნში: „მიკენური სამყარო“. ესეც უცილობლად მეტყველი ფაქტია და ჩვენს მოსაზრებას ემთხვევა, რომ იბერიული ტომები ხმელთაშუა ზღვის აუზში გასულან, აბორიგენი მოსახლეობის ნაწილს ადგილზე, ახალ საცხოვრისზე გააქვს ცივილიზაციის აქაური, საკუთარი მონაპოვარი, იყენებს და ავრცელებს მას. იქნებ ასე გახჭონდათ ნიშნიანი დამწერლობა ეტრუსკებსაც და ბასკებსაც, — რაოდენ ნიშნობლივია ჩემთვის ამწუთას ბატონი გივი ელიავას ფრაზა. მყისვე ამოტივტივდება ჩემში ინდოევროპელებისგან შევიწროვებული ბასკების



თუ ირლანდიელების საწუთრო, ჩვენი ცხოვრების მსგავსდუხჭირი, ნი-  
ადაგ რომ გვანამცეცებდა მომხდური, გვაჭეჭყავდა და მიგვაგლესდა  
ხოლმე კავკასიონის მთაგრეხილს ზევისის არწივისგან ღვიძლდაკორტ-  
ნილ ამირანსავით?! — ამდენად, აქედან გატანილია მეტყველება, დამ-  
წერლობა, ყოფითი ელემენტები, ტოპონიმია, არქიტექტურა და ბო-  
ლოს — ცოდნა თარ-გულაზე, ხსოვნა თარ-გულაზე; აქედან გაიტანეს  
და შეინახეს დიდხანს, იქნებ დღემდე, რასაც ადასტურებს ენობრივი  
მასალა, ტოპონიმია, ეთნიკური ელემენტები. ესეც მომავლის შესწავ-  
ლის ობიექტი უნდა გახდეს. რასაკვირველია, მე ვიცნობ საწინააღმ-  
დეგო აზრებსაც, ზოგჯერ კარდინალურად განსხვავებულსაც, მაგრამ  
**ყველაზე სასიფათო და მადეზორიენტირებელი ლეონტი პრო-  
ველის მიერ ქართული ანბანის ფარნავაზის დროს შექმნის  
ნიპოთეზა მიმანია. იგი- საფუძველს მოკლებულია თუნდაც  
იმ პარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე  
284 წელს ქართული ანბანის შექმნა ყოვლად შეუძლებელია;  
ამ დროისათვის ქართველებს უკვე გააჩნდათ რამდენიმე ათას-  
წლოვანი ანბანი. იგი ეტყობა ადრე იყო სპარებაში და ელი-  
ნისტური ლიტერატურის კორიფეები: სეროდოტე, აპოლონიოს  
როდოსელი, მას ხელშესახებად იცნობდნენ.**

ასევე ვერაფრით გავიზიარებ ბატონი კორნელი კეკელიძის დაბეჭი-  
თებულ მტკიცებებს ქართული ანბანის გვიან წარმოშობის თაობაზე;  
სომხურ ანბანთან ურთიერთობა და მაშტოცის მიერ ქართველთათვის  
ანბანის შექმნა ხომ ტენდენციურზე ტენდენციურია, თითებიდან გა-  
მოწოვილი განგებცდომილება. ყოველივე უკვე კარგად ცნობილი თვალ-  
საჩინო მასალების წინააღმდეგ მეტყველებს, შავით ნაკერ თეთრს ხგავს,  
უხეირო მამლის ქურდს, რომელსაც სასაცილოდ ამხელს იდლიიდან  
გამოჩრილი ნამგალა კუდი. არც ბერძნულს, აღარც ლათინურს და  
სომხურს ხმა არ ამოეღებათ ქართული ალფაბეტის ორიგინალობის  
წინაშე. ათასწლეულების წიალიდან კოლხურმა კირბებმა ენა ამოიდ-  
გეს. ჯერ კიდევ ახალფეხადგმული ჩვილის დონეზე ტიტინებენ ისინი, ენას  
იჩლექენ, ბორძიკებენ, ენაბრგვილობენ ჯერხანობით, მაგრამ გაივლის  
წლები, წამოჩიტდებიან ჩვენი კირბები და ილიასი არ იყოს დაიწყებენ  
ქვები ლაღადისს. ნიმუშს ნიმუში მიემატება, ექსპონატს — ექსპონატი,  
დაჭაბუკლებიან, დაჭარმაგდებიან და ადრე თუ გვიან უსათუოდ ამეტ-  
ყველდებიან იოანე ზოსიმეს საკრალური სიტყვებით: „ყოველი საიდუმ-  
ლო ამასა ენასა (ენა — ერი, ეთნოსი, **ზ. გამსახურდიას მისედეით,**  
**გ. თ.)** შინა დამარხულ არს.“

ძიება, მუდმივი ძიება, ახალი აღმოჩენები, ახალი სიტყვა არქეოლოგი-  
აში, ეთნოგრაფიასა და ენთამეცნიერებაში ამ დამარხულ საიდუმლოს  
საბოლოოდ დაადგენს. იქნებ იგი წინააზიის ცივილიზაციის — „რატომ  
სრულიად დედამიწის არა?“ მივაგებებ ფიქრებში მხცოვან მეცნიერს, —  
სულიერი ეპიცენტრის გახსნისა და გაშიფვრის საშუალება გახდეს და ეს  
იქნება ნამდვილი სასწაული, იგივე სარწმუნისი, ჩუბინიძისეულად, ოქ-  
როს საწმისი, ფენიქსივით მკვდრეთით აღმსდგარი მთელი კაცობრიო-  
ბისათვის! — ამგვარად ასრულებს საუბარს ჩვენი მეგზური და მეკვლე,  
ესოდენ გახმაურებული კირბების ერთადერთი მეციხოვნე იდუმალი  
ჭყონდიდის ცისქვეშეთში და კოლხისთვის ნიშანდობლივი თავაზიანობით  
სახელდახელო სუფრისკენ მიგვიძღვის.

ასეთი განსხეულება ქართული ანბანის უდიდეს მახასიათებელს წარ-  
მოადგენს, რაც თვალსაჩინო მოვლენად მიიჩნევა. და რადგანაც კვლავ  
ვაც გრძელდება „ოქროს საწმისის“, იგივე, „დაწუნებული ლოდის“,  
„ქრისტეს კვართის“ თუ კირბების გარშემო დისკუსია, ერთ მოსაზრება-  
საც შემოგთავაზებთ, ოღონდ უკვე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტო-  
რის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი ავტორეფერატიდან. ბატონი  
მილორდ სიჭინავას ყურადღებას ამახვილებს ფონემა „ორინჯ“-ზე,  
„ორენჯ“-ზე, „ქართა“-ზე, რომელთაგან პირველი ორი შინაური პირუ-

ტყვისა და რინა-ცხოვრების — ყოფიერების სემანტიკისაა. ქართაში კი იგი ხედავს „ქა ართო“-ს, „ერთად თავმოყრილ რქოსან პირუტყვს.“

ნაშრომში ორიგინალურად საბუთდება, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, წარმოებისა და გაცვლის შემდგომ განვითარებას, წესით უნდა მოხყოლოდა შრომის საშუალებათა პროგრესიც.

ამ თვალსაზრისით, ბუღას, კურატს, ფართო გაგებით მენახირობას, ადგილი უნდა დაეთმო უფრო წვრილ საყოველთაო ეკვივალენტზე, ვერძისათვის, კრავისათვის, კირიბისათვის. ბუღა ეცემა, იგი გადაიზრდება ხარში — გამწევი ძალის შინაარსში, თვინიერ მუშა-პირუტყვში, რომელიც შემდგომ უფრო იხვეწება, რაფინირდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება ცხვრის ფარაში, „ცხვრის ფულში“.

ავტორმა ეტყობა თვალი ვერ მიაღწენა ესპანეთის სინამდვილეს, სადაც გახლებული ხარების დესფილირება (მოკვდინება) მისმიერ წამოწეული ვერსიის ერთგვარი გამოძახილია.

მთელი ესპანეთის მოსახლეობაში, განსაკუთრებით იბერიული წარმოშობის ესპანეთში, ასრერიგად ძვალ-რბილში გამჭდარი ტორო, ხარის დაცემის, მესაქონლეობის გზის დაცლაა მეცხვარეობისათვის, როგორც უფრო მოქნილი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისათვის, ვაჭრობის აღორძინებისათვის, რამაც გამოიწვია „ხალხთა მასების საკმაო დიდი გადაადგილებანი დედამიწაზე“, და მწიფდება დასკვნის წინაპირობას: „ცხვარმა ერთგვარად გადაანაწილა კაცობრიობა დედამიწაზე.“

ავტორი ავითარებს თეზას პრომეთესა და ზევსის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზეც, რაც საქართველოში ოქროს მონეტის აღმოცენების პრელუდიაა, წინარე სურათი. „ოქროს საწმისი მითებში: ტყავი ოქროს ვერძისა, ანუ ბრტყელი, მზის ფორმის, ოქროს მონეტა — ერთ-ერთი პირველი ოქროს მონეტა დედამიწაზე — მისი სავსებით ადეკვატური და ფრიად ამალღებული სახელწოდებით — მანათი უდავოდ მომდინარეობს, ცნებიდან „ნათება“, და უკავშირდება მზესა და მის ბრწყინვალეობას.

აიეტი მზის ბერძნული ღმერთის — ხელიოსის შვილია. იქნება აქ გადაიკვეთოს ბ-ნ მ. სიჭინავასა და „გრაალელების“ პოსტულატები, მით უფრო, რომ ბეოტიის ქალაქ ორქომენიდან ორქო-ოქროს მეგრულად, მენი — მანეთს ეხმანება), მოუსავლიანობისა და შიმშილის გამო ფრიქსე ჩამოიყვანს ხერმესის — ვაჭრობის ღმერთის მიერ ოქროცურვილ ვერძს, რომელიც მოგვიანებით ზევსს შეეწირება ტყავის სახით, ანუ იგივე დაბრტყლებულ ოქროდ, ფულის ეტალონად, და როგორც მატრიცა, ნიმუში ჩამოეკიდება ომის ღმერთის, არესის, წმინდა ჭალის

ერთ დიდ მუხაზე, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონის სადარაჯოდ.

რაც შეეხება ბერძენთა ლაშქრობას კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატაცებლად, სულაც არაფრისმთქმელია საგნობრივად, ფეტიშის დონეზე, თუკი არ დავუშვებთ იმ კანონთა ერთობლიობის თვისებას, რაც მონეტარულ სისტემას, ფულად-სასაქონლო ურთიერთობას ახასიათებს საერთოდ, და ადრეულ ჩვენეულ ვერსიას: **ოქროს საწმისი სიბძნის-მეტყველი წიგნია**, ბერძენი ავტორების ტირადებზე დანდობით — **ოქროს საწმისი, იგივე კირბი, კირბიში, კრაგისა, მატერიალური ცოდნა-ფორმულაა იმის თაობაზე, თუ როგორ მოგვემოგვინა ოქრო ქიმიის მეშვეობით**, ფრიად საინტერესოდ წახნაგდება ბ-ნ მ. სიჭინავას წიად- სვლებით: ოქროს საწმისი — ოქროს მონეტის ეტალონია, ფალიბი, მატრიცა და, ალბათ, ამ მონეტარულ სისტემასთან დაკავშირებული უამრავი წვრილმან-მსხვილმანი პრობლემა, მიღწეული ცხვრის ფართით, ცხვრით, როგორც ამ ცხვრის ღირებულების ტოლფასი. თუკი აქამდე ცხვარი ასრულებდა მონეტის როლს, აწი კოლხმა, (**ჰალიდონები ებისტროფოსს, ოდიოსს მოსყვანენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, (ხალიბეს მხრიდან**“), ანუ იმ ქვეყნიდან სადაც მეტალურგია დულდა და გადმოდულდა, ოქროს მონეტის ფალიბში მოქცევა იოტისოდენად არ გაუჭირდებოდათ. და თუ დავენდობით ბ-ნ მ. სიჭინავასეულ დასკვნებს: „ფული აუცილებელია მონეტარული მიმოქცევისა და მისი სახელმწიფოებრივი მოწესრიგების სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. — განსჯისათვის რჩება თავისი კულისხელა — **კოლხური ებოქის განვითარება ლეგენდარული აიეტის ებოქაში, თითქოსდა, მართლაც მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ფულის უკვე საკმაოდ ფორმირებული მონეტარული მიმოქცევისა და, შესაბამისად, ასევე მიმოქცევაში სხვა ლითონებით □ან კიდევ რაიმე სხვა საშუალებით) ოქროს მონეტის შენაცვლების ბაზაზე, რომელიც უსასტიკეს სახელ- მწიფობრივ მოწესრიგებაზეა დამყარებული.**“

ქართველებს ბერძენები „გიორგიოსებს“ გვიწოდებდნენ, მიწის დამმუშავებლებს, იგივე მარგალებს, დამრგველებს პრიმიტიული შეხედულებით. „გი“ მიწაა ბერძნულად, „ქი“ — შუმერულად, „გიმ“ — სვანურად. „ან“ — ცაა შუმერულად, „ქი-ანა“ — ქვეყანა მეგრულად. გიორგიოსი ფაქტობრივად მარგალის, დამრგველის ვულგარული ვერსიაა, გამოძახილი იმ ჰემმარიტი ფუნქციისა, რასაც მწიგნობარი, ასოების თიხის ფირფიტებზე, ურნებზე, პაპირუსებზე, კირბიშიზე, ოქროს სარწმუნის-საწმისზე დამრგველი ტომი აწარმოებდა.

ბევრს ვეზიანები უნდა ნათელს,  
ჩემო ლაზო, ჩემო, ჩემო ჭაჭი ჩუნიუნჯუ,  
თავდაც 33-ე წელიწადს აღსრულდა ჩრისტესავით.  
თურმე რაოდენ ჭეშმარიტია გაცხობარი ჩვენი:  
**ღიან, არარაი ღარჩხ დაფარულ!**

— ბატონო, ლაშა, ჩემთვის სასამთონო იყო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, ბატონ მისეილ სააკაშვილის შესვენდრა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივთან და იქ გაუღებელი ინფორმაცია, რომ მართლაც განის გათხრებში აღმოჩენილი ერთი ექსპონატი მთელს ლუგრს გადაწონის. დამანისელი „HOMO GEORGIKUS“-ით ჩვენ კავკასია პირველი ადამიანის აკვნად გამოვაცხადეთ. ამ თვალსაზრისით რა მნიშვნელობისაა ცაიშის არქეოლოგიური გათხრები?

— აღსანიშნავია, რომ მართლაც საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან განვითარებული ვართ არაერთი უნიკალური აღმოჩენით. როგორც თქვენ შენიშნავთ: დმანისის, ვანის, საირხის, ითხვისის, თრიალეთის, შულავერის და ა.შ. არქეოლოგიურ მონაპოვრებზე ბოლო სამი წელიწადია მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. მათ შორის, ერთ-ერთი ფლაგმანია ცაიშის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ქრისტემდე VIII-VII ს. სრულიად უნიკალური არტეფაქტები (ხელოვნების ნიმუშები, რედ.) მოიპოვა, კერძოდ — გამოვლინდა მასალები, რომლებიც ასახავენ საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის პირველ ნაბიჯებს. ანუ მაშინდელი დასავლური ქართული ტომების, კოლხების უშუალო კავშირს ეგეოსურ ცივილიზაციასთან.

— ამ ასპექტით საინტერესოა ბატონ რისმაგ გორდუზიანის გამოკვლევა მედიტერიანული სამყაროზე. სიტყვიერ მასალაზე დაყრდნობით გამოვლენილია კოლხურ-ბერძნული ცივილიზაციების სერიოზული კონტაქტები.

— ნიშანდობლივია, რომ კუნძულ სამოსზე აღმოჩნდა ბავშვჩახუტებული მხედარი ქალის ქანდაკება. მსგავსი ტიპის სკულპტურა მოპოვებულია აგრეთვე კონტინენტურ საბერძნეთში, რომელიც ძვ. წ. აღ. VII ს. თარიღდება. იგი ცაიშის სამაროვანის №1 სამარხში მოპოვებული მასალების სინქრონულია. კუნძულ სამოსზე ამ იდოლის (ქანდაკების, რედ.) აღმოჩენისთანავე გამოითქვა ვარაუდი, რომ იგი ეკუთვნის კოლხურ სამყაროს. შემდომში ეს მოსაზრება ამერიკელმა მეცნიერმა გარი ვოიაცისმაც დაადასტურა. ცაიშის გათხრებში ამ ქანდაკების მსგავსი 8

ეგზემპლარი გამოვლინდაანუ მთვარის დღეს ხარის დაკვლა იკრძალება — ვაშინერს — არეგების. აქვე ერთ მეგრულ სენტინციასაც გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: **თუთა ახლი, დორონთი სი გუმახარი**, — მთვარე ახალი, უფალო შენ გამახარე! ეს ხალხური გამოთქმა ნათლად მიუთითებს კოლხების რელიგიურ წარმოდგენასა და მითორიტულზე. ასევე ეთნოგრაფიულ ასპექტში საინტერესოა შემდგომი ფრთიანი ფრაზა: **ჯგეშიშ ძვალი თკო ვარკაღანდას** წინაპრის ძვალი უნდა კრიალებდეს. ცაიშის სამაროვანში აღმოჩენილი ოსტოლოგიური მასალა აშკარად მიუთითებს მის საგანგებო გაწმენდასა და პატივით ჩასვენებაზე.

— **ერთი წუთით, საკრალური ხარის ამბავს მინდა მივუბრუნდეთ, კონკრეტულად კი იმას, რომ მთელი შუშური, ეგვიპტე დიდი ფურის პირშია, ამასთან ჩემთვის გამაოგნებელია აშკარად პროტოქართული ტომის — ბასკების დამოკიდებულება ხარისადმი, ლამის სატად მინეული ცხოველის ბარბაროსული დესფილირება — დაცაკვლა.**

— კოლხურ სინამდვილეში მხოლოდ ხარის ქანდაკებები გვხვდება. მათ შორის ერთი ფურიც არ ფიქსირდება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მამრობითი სქესის პრიორიტეტს, ხარი ხომ მთვარის წმინდა ცხოველია კოლხურში: **თუთა — მუმა ჩქიმი**. რაც შეეხება ფურის კულტს უშემერულ-



ეგვიპტურსა თუ ესპანელების კორიდაზე, უეჭველად ინდოევროპელების გამარჯვების სიმბოლიკაა პროტობერიულ სივრცესთან.

– ჩინებული ფაქტია, მაგრამ ამ საკრალურ რიტუალს ახლავს ფრიად შორსმიმავალი ეზოტერიკა. კოლხებს ხეზე მხოლოდ მამაკაცის ნეშტი ჰქონდათ. ქალისას ქვევრში კრძალავდნენ. ამ ამადლებით მამაკაცი ჰელიოს-დემერთისკენ აიწეოდა, იმნაირად, როგორც ფარაონების ცად ამადლება ხდებოდა ტონადოებით, ანუ პირამიდის წვეროს გამობშული ქარბორბალებით.

– კოლხები მიწას და ცეცხლს მიიჩნევდნენ წმინდა სტიქიად. ამიტომაც ადამიანის პირდაპირ მიწაში მიბარება მკრეხელობად მიაჩნდათ. მისი ნეშტის გაპათიონება ამიტომაც ხდებოდა ცეცხლის მეშვეობით, ანუ მზის სიმბოლოთი. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჩვენს მიერ აღმოჩენილი, დინამიკაში მოცემული სვასტიკიანი საკიდები. სვასტიკა შუმერულ-ეგვიპტური წარმოდგენით მზის სიმბოლოს ასახავდა. აგრეთვე მასში ხდებოდა სამყაროს ოთხი მხარის ინიციაცია. თავად მეფე აიეტიც ხომ ჰელიოსის შვილი გახლდათ.

– გათხრების ორგანიზაციულ მხარეზე რას გვეტყვით?! ცაიშში სომ ეს ექსპედიცია ორ წელიწადში რიგით მკორეა?



— ცაიშში პირველად საძიებო-სადაზვერვო შურფი (თხრილი, რედ.) გავლებულ იქნა 2001 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მოვლინებული ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი რევაზ პაპუაშვილი. 2005 წელს უკვე დაიწყო კომპლექსური სამუშაოები ზუგდიდის რაიონის გამგეობისა და უშუალოდ ბატონ ალექსანდრე ქობალიას შემწეობით. ექსპედიცია შედგებოდა 6 სპეციალისტისაგან. მათ ხალისით ეხმარებოდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. ცაიშის სამაროვნის №1 კოლექტიური ორმო-სამარხის შესწავლა ზუსტად 30 კალენდარულ დღეში დასრულდა. გათხრები ფინანსურად უზრუნველყო (5 000 ლარი) ზუგდიდის გამგეობამ. როგორც აღვნიშნეთ, ამ გათხრებმა უნიკალური ექსპონატები გამოავლინა, რამაც არსებითად განაპირობა ცაიშში შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

— **მაინც რა არქეოლოგიურ ფასეულობებზე საუბარი?!**

— სპეციალისტების მიერ ერთხმად აღიარებულია, რომ ცაიშში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები ქართული კულტურული მემკვიდრეობის შედევრებია. მართლაც გასაოცარია კოლხი საზოგადოების დახვეწილი და გეომეტრიულად სრულყოფილი აზროვნება. გამოვყოფდი ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმის სამკაულებს,



რომლებზეც გეომეტრიული ფიგურებია გამოსახული, მათ შორის უნიკალურია სამკუთხედში ჩახაზული წრე, სადაც დაცულია ამ სხეულების ზუსტი პარამეტრები. თავად ეს სიმბოლოები ხალხთა წარმოდგენაში სრულყოფილებას გამოხატავდა.

**– მებადება აზრი, რომ კოლხეთი-შუშერი-ეგვიპტე ცივილიზაციის ერთიანი ჯაჭვის ორგანული რგოლებია.**

– მეტსაც გეტყვით, მოპოვებული მასალები უდავოდ ადასტურებენ, რომ კოლხური სამყარო იზოლაციონიზმით არ არის შებოჭილი. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს გარე სამყაროსთან. კერძოდ, ჩვენს მიერ მოპოვებული ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი იწოდებოდა ცენტრალურ ამიერ-კავკასიურად. ცაიშის გათხრებმა დაადასტურა რომ ყოველივე წმინდა კოლხური ფენომენია. კონკრეტულად, მასზე გამოსახული ორნამენტები მხოლოდ კოლხურ მასალებზე გვხვდება. გამომდინარე აქედან აშკარაა მათი იმპორტი მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ცაიშის სამაროვანის №2 სამარხი-აკლდამის შესწავლისას, რომელიც ქრისტემდე X-IX ს. თარიღდება, გამოვლენილია ეგვიპტური იმპორტის ნიმუშები — ცხოველსახოვანი ანთროპომორფული ქანდაკებები და ასევე სირია-პალესტინიდან შემოტანილი მინის ჩიტის მინიატურული სკულპტუ-



რები. აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეგვიპტესა და კოლხეთს შორის გარკვეული სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა ფინიკიელების შუამავლობით. ამდენად, მაშინდელ ცივილიზაციებს შორის ხელშესახები რგოლი იკვრება. ახლა ორიოდ სიტყვით იმის შესახებაც, თუ ვინ იყვნენ ეს ხალხები: შუმერები, ეგვიპტელები, კოლხები... ცაიშის სამარხში დაახლოებით 800-ამდე მიცვალბულია ჩასვენებელი. ისინი წარმოადგენენ საზოგადოების საშუალო ფენას. უდავოდ ნათელია, რომ მათ დაგროვილი აქვთ გარკვეული სიმდიდრე, როგრიცაა: ძვირფასი მეტალებისაგან დამზადებული სამკაულები. ბუნებრივია, დოვლათის შექმნა შეუძლებელი იყო სამეფო ორგანიზაციის გარეშე. მით უმეტეს, აქ წარმოდგენილი მასალების უმეტესობა წმინ- და ლოკალური ხასიათისაა და მეტად თვითმყოფად კულტურას ასახავს. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ პერიოდში ჰყავის ურარტული, ასურული კულტურები, და ამავე დროს ჩრდილოეთიდან ხდება კიმერიელებისა და სკვითების შემოტევა, კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში მათი გავლენის არანაირი კვალი იძებნება. მისახვედრებელია, რომ მათ წინააღმდეგობას უწყევს მეტად ორგანიზებული ძალა, რომელიც შესაძლოა ცენტრალიზებული სამეფო ხელ-ისუფლება იყო.


– კოლხეთთან, საქართველოსთან დაკავშირებული ყველა ბილიკი ოქროს საწმისთან და ამირანის მითთან იყრის თავს, ანუ რკინის გამოდნობის და მონეტარულ სისტემის შექმნის საიდ-



**უმლოსთან. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე ცაიშის არქეოლოგიური მესაღების მიხედვით?**

— ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა კერამიკის სასმისი, რომელიც ოქროს საწმისის იდენტურია, ცაიშის ძველი ხომ იმ პერიოდისაა, როდესაც რკინა ოქროზე უფრო ფასობს. და მართლაც, ჩანს, თუ როგორ ინტენსი-ურად აძევენ ბრინჯაოს რკინა, შემდგომ — ფოლადი. და არსებობს მოსაზრება, რომ ბერძნების კოლხეთში შემოსვლის მთავარი მიზანი სწორედ რკინის მოპოვების საიდუმლოს გატანა იყო. როგორც ისტორი-ული, ლიტერატურული თუ არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ მათ ეს ჩინებულად მოახერხეს. ცაიშის ორივე სამაროვანი საინტერესოა სხვა ასპექტითაც, კერძოდ — ოსტეოლოგიური თვალსაზრისით. მისით თვალსაჩინოდ ხერხდება კოლხების ანთროპოლოგიური ჰაბიტუსი. მათი ძირითადი ნაწილი საშუა-ლო სიმაღლისაა. სამარხში გვხვდება, როგორც ბავ-შვების, ასევე — მოზრდილების ჩონჩხები. მეტად საინტერესოა, რომ რამდენიმე თავის ქალაზე აღმოჩნდა აშკარა სამედიცინო ჩარევის კვალი. ბერძნული გად-მოცემებით კოლხი მედეა ხომ მედიცინის ფუძემდებელია.

— **არის წყაროები, რომლის მიხედვით კოლხიტები აბატი-ოსნებდნენ ფარაონთა ნეშტებს. მათ მუმიფიცირების ჩინებულ სპეციალისტებად იხსენიებენ. ამასთან, ქართუშები, ქართის ტომის წინაპრები ახდენდნენ ფარაონების კორონაციას. მათგან მომდინარეობს ანტიკური „როფორა სამართო ავირფინის სინონიმი.“**



— ამისი სამხილი მასალა კოლხეთში ჯერ-ჯერობით არ არსებობს. შესაძლოა სხვა ექსპედიციებმა გამოავლინონ მსგავსი რამ, მაგრამ დღესდღეობით მოვლენებს ვერ გადავუსწრებთ და უმჯობესია არსე-ბულზე ვისაუბროთ. ექსპედიციამ მოიპოვა საკრალური მნიშვნელობის სკულპტურული ქანდაკებები, ბრინჯაოს ვერძის, ხარის, ძაღლის და მითოლოგიურ სიუჟეტებზე გამოძერწილი ფიგურები. ძველი წარ-მოდგენით ხარი მთვარის წმინდა ცხოველად მიიჩნეოდა, რამეთუ მისი რქის მოყვანილობა ახალი მთვარის სიმბოლური ასახვა იყო. დღესაც მთის წინა სამეგრელოში თუთაშხას, ანუ მთვარის დღეს ხარის დაკვლა იკრძალება — ვაშინერს — არეგების. აქვე ერთ მეგრულ სენტეინციაზეც გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: **თუთა ახლი, დორონთი სი გუმასარი**, — მთვარე ახალი, უფალო შენ გამახარე! ეს ხალხური გამოთქმა ნათლად მიუთითებს კოლხების რელიგიურ წარმოდგენასა და მითორიტულზე. ასევე ეთნოგრაფიულ ასპექტში საინტერესოა შემდგომი ფრთიანი ფრაზა: **ჯგუშიშ ძვალი ოკო ვარკალანდას** — წინაპრის ძვალი უნდა კრიალებდეს. ცაიშის სამაროვანში აღმოჩენილი ოსტოლოგიური მასალა აშკარად მიუთითებს მის საგანგებო გაწმენდასა და პატივით ჩასვენებაზე.

— **ერთი წუთით, საკრალური ხარის ამბავს მინდა მივუბრუნდეთ, კონკრეტულად კი იმას, რომ მთელი შუემური, ეგვიპტე დიდი ფურის**



**ბირშთა, ამასთან ჩემთვის გამაოგნებელია აშკარად პროტოქართული ტომის – ბასკების დამოკიდებულება ხარისადში, ლამის ხატად მიჩნეული ცხოველის ბარბაროსული დესფილირება – დაცაკვლა.**

— კოლხურ სინამდვილეში მხოლოდ ხარის ქანდა-კებები გვხვდება. მათ შორის ერთი ფურცი არ ფიქ-სირდება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მამრობითი სქესის პრიორიტეტს, ხარი ხომ მთვარის წმინდა ცხოველია კოლხურში: **თუთა — მუშა ჩქიმი.** რაც შეეხება ფურის კულტს შუმერულ-ეგვიპტურსა თუ ესპანე-ლების კორიდაზე, უეჭველად ინდო-ევროპელების გამ-არჯვების სიმბოლიკაა პროტოიბერიულ სივრცესთან.— **საინტერესო საკითხი ჩამოაგდეთ. არის გერანიაში ერთი თქვენი კოლეგა, ბატონი ჯონი აფაქიძე. ამას წინათ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნდა მისი ფრიად საინ-ტერესო სტატია ტროას გათხრებზე. რამდენად ესმიათ ცაიშის მასალები ილიონის პერიოდს?**

— სამწუხაროდ, ცაიშის გათხრების ფონზე ამ მიმართებით რაიმე კონკრეტული მოსაზრების გამოთქმა ძნელია, ვინაიდან ქრონოლოგიური სხვაობა საკმაოდ დიდია — 500-600 წელიწადი. თუმცა ეს მომ-ენტი სულაც არ აკნინებს ცაიშის გათხრების მნიშვნელობას. ამ მასალებითაც მშვენივრად შეიძლება ოქრომრავალი კოლხეთის განჭვრეტა. მით უმეტეს, რომ აქ მოპოვებული ოქრომჭედლობის ნიმუშები საქართველოში ერთ-ერთი უპირველესია, რომლის ეთნიკური ატრიბუცია ხერხდება. ჩვენი სამარხების მასალებით მყარად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: კოლხეთი ჯერ კიდევ ძლიერი სახელმწიფო წარმონაქმნია, რომელსაც კონკურენციას ვერ უწევნ ხეთ-ები და ურარტუელები. ამასთან კოლხური ოქრო, ვერცხლი, რკინა, ფოლადი ჯერაც უმეტოქოა მის გეო-პოლიტიკურ არეალში.

— **მარტვილის მუზეუმში, ცხონებული გივი ელიაგასთან მისაუბრია კირბებზე, ხვინჭა ქვებზე, რისი დამადატურებელი მასალები დღესაც ინახება ჭყონდიდში. ძნელად დასაჯერებელია, იმ ექსპონატების ბატონი გივისეული დათარიღების მეთოდი — 80-70 ათასი წელი.**

— სამწუხაროდ შეიძლება გულლიად ითქვას, სამუზეუმო, არქეო-ლოგიური საქმიანობა საქართველოში ჯერაც არ არის სახელმწი-ფოებრივ დონეზე აყვანილი. ნაკლებია ლიტერატურა, ექსპონატების დესკრიპცია...

— **ბიბლიოგრაფია ლიტერატურულად.**

— დიახ. ამასთან ძალზე უმნიშვნელოა არქეოლოგიური მასალების რაიმე სახის ენციკლოპედიურ გამოცემაში თავმოყრა. მაგრამ შეინიშნება

ცხოველი ინტერესი სახელმწიფოს მხრიდან, რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოს ჩვენი გმირული წარსულის ამსახველი მასალების გამომზეურებას. სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი ტურიზმის განვითარებაა, და ამ ფონზე, ბუნებრივია, მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა, წარმოჩენა, მათი პოპულარიზაცია გზამკვლევებით, გაცილებით ფართო ხასიათს მიიღებს ახლო მომავალში. რაც შეეხება ცაიშის გათხრების მასალებს, ამჟამად მიმდინარეობს საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის გამოცემა. მოგვიანებით იგი, ალბათ, ასახვას პპოვებს უფრო მონუმენტურ ნაშრომში. ჩვენ ზემოთ გაკვრით შევხებით ტროას პერიოდს, ბატონ ჯონი აფაქიდის ფენომენს. ის უცხოეთში მოღვაწე ნიჭიერი არქეოლოგია, მაგრამ როგორ უჩვეულოდაც მოგვიჩვენოთ, არის ტენდენციები, როცა თვალსაჩინო სპეციალისტები აქეთ ჩამოდიან საქართველოში, იმ მიწა-წყალზე, სადაც კაცობრიობის შორეული წარსული მოუთმენლად ელის ახალ-ახალ აღმოჩენებს. უცხოელი სპეციალისტებში ეს ინტერესი დღითი დღე იზრდება.

**(დასტურ, დღეს ბ-ნი ჯ. აფაქიძე აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორია. რედ).** ამისი ბრწყინვალე ნიმუშია დმანისის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია.

— **ბატონო, ლაშა, უეჭველად დადგა დრო მთელს პლანეტაზე, როცა არქეოლოგიის განხილვა საკუთრივ არქეოლოგიით უკვე აშკარა კარნაკეტილობაა; როცა უამრავი საბუნებისმეტყველო დარგის შემთხვევლიება სხვანაირ რეგისტრში წარმოაჩენს კაცობრიობის გარდასულ პერიოდებს, როგორცაა: რადიოლოგია, ბიოსოციო-ეკოგარემოს დადგენა.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, სამყარო მთლიანია. არქეოლოგების მიერ მოპოვებული მასალებით სხვადასხვა სპეციალისტებს საშუალება ეძლევათ წამოაყენონ სპეციფიკური ინტერპრეტაციები, ეს იქნება პალეონტოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, მედიცინასა თუ სხვაგან. კომპიუტერის აღმოჩენამ დიდი შესაძლებლობები შეუქმნა მეცნიერებს მჭიდრო კონტაქტებისათვის. ინტერნეტის მეშვეობით დღეს თავისუფლად შეიძლება პოლიტიკური საზღვრების გადალახვა ათსობით კოლომეტრით, ანუ მეცნიერება გვევლინება სრულიად კაცობრიობის და არა რომელიმე ქვეყნის მუზეუმის თუ კერძო კოლექციონერის საკუთრებად. ცაიშის გათხრებმა ჩვენ ნათლად დაგვანახა ეს პერსპექტივები. ამასთან ცაიშის გათხრებმა წამოაყენა წინაპირობა, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიება ფართოდ გაიშალოს კოლხეთში. დაგეგმილია სოფელ რიყის ტერიტორიაზე ანტიკური ხანის ძეგლის გამოკვლევა, რომელიც წინასწარი ვარაუდით საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობის ელინისტურ პერიოდს

მოიცავს, იმ სანატრელ ხანას, როცა სავაჭრო თუ კულტურული კავშირები ზენიტშია. ბერძნებს ამ დროს კოლხეთიდან გააქვთ ბზა, კანაფი, თაფლი, გემის საშენი მასალები. პროექტები უამრავია: ნავარაუდევია საძიებო-სადაზვერვო ექსპედიცია მოეწყოს მთელი სამეგრელოს მასშტაბით, რამეთუ აუცილებელია შეიქმნას მათზე საინფორმაციო ბანკი. არ არის გამორიცხული კვლევა-ძიების არეალში მოექცეს სვანეთი, რადგანაც დაბლობისა და ბარის ტერიტორია მაინც მდინარეების წარმონაქმნი სივრცეა — იგივე მწვანე სამკუთხედი. ალბათ, უახლოეს ხანებში განახლდება ერგეტის დაკონსერვებული სამაროვნები, ამასთან გვანტერესებს კოლხური ნამოსახლარების შესწავლა, რომლებიც ინტენსიურადაა წარმოდგენილი დიხაგუძებზე. შემძლია გამოვყო სოფელ ორულში პერტიებისა და წურწუმიების დიხაგუძები, სადაც აშკარაა რამდენიმე კულტურული ფენის არსებობა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ანტიკურ პერიოდამდე. ბოლოსთვის შემოვინახე ფრიად საინტერესო ფაქტი — ცაიშის სამაროვანის ზედა ტერასაზე მდინარემ ჩამორეცხა ფერდობი, სადაც გამოვლინდა ინტენსიური კულტურული ფენა. თამამი ვარაუდით შეიძლება იგი ნაქალაქარიც იყოს, ვინაიდან ცაიშში აღმოჩენილი მასალების სიმრავლე და ტექნოლოგია საქალაქო ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი.

**— გუთანხმებით, ადრეულ პერიოდში ნებისმიერი დასახლება თბილ წყლებთან აღმოცენდებოდა ხოლმე — ტიბულისთან (დღევანდელი თბილისი, რედ.), ტიბეტში, წყალტუბოში...**

— ცაიში ამისი ნათელი მაგალითია. თბილი გოგირდოვანი წყალი აიოლებდა ადრეული ეპოქის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს. ამასთან იგი სტრატეგიულად გამორჩეულ ადგილასაა და ქმნის მეტალურგიის განვითარების წინაპირობას. ერთ რამეში მყარად ვარ და რწმუნებული, რომ ცაიშის ტერიტორია ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის კიდევ მრავალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს ახლო მომავალში.

### „ნაბადი“ და ნაბადელელები

მე ორმაგად გავიხარე „ნაბადის“ კომპაქტური კოლექტივის სპექტაკლით, საკუთრივ ჩვენი გმირული ფოლკლორის ხალასი გადმოცემის უნარით ღვთაებრივ „საფერავთან“ და სატკბარუნებელთან ერთად, მეორეს მხრივ იმ მოზომილი საკრალური, ეზოტერიკული მნიშვნელობის მასალის მოშველიებით — სლაიდებით, შუქჩრდილებით, რომელიც იოტის ოდენადაც არ ამძიმებს ქორეოგრაფიის რიტმს, ფონად, ლაიტმოტივად გასდევს მთელს წარმოდ

გენას. ყველაფერთან ერთად, ჩვენ ორნაირი შედეგი მოგვიხვეჭავს ერთდროულად — ესტეტიკურ ტკბობასაც ვანიჭებით მაყურებელს და აქვე დაფარულ ცოდნასაც ვაზიარებთ სამყაროს აგებულებაზე, „ჰომო საპიენსის“ ბიოგრაფიაზე, მკიდროდ ვაახლოებთ სასიამოვნოს სასარგებლოსთან.

**კოსმოსიდან მომავალი მზის ენერგია ცილინდრის ფორმით ჩამოეცემა დედამიწას და ატრიალებს ამ ქაბრში. დედამიწაზე აღმოცენებული ხე — რომელიც სიცოცხლის ჩასახვის, ჰუმუსში ენერგიის გადმოსვლის ვიზუალური სატია — ჯაია, ნატურის ხე, დიახაც, ცილინდრის ფორმისაა. ამ საკრალურ ხეს, ამ უკვდავების მცერანეს, გეომეტრიულად იმეორებენ შუემრები დამწერლობით, კოლხები — სვეტებზე აღმართული სამკუთხა ქვის დაფებით — სამანძილო კირბებით. ეგვიპტელები — პირამიდებით — ღვთიური ენერგიის ადამიანში გადმოსვლისა და მარადისში დაგანების მონუმენტური სატით. ნებისმიერი დონის ცივილიზაცია, რომელიც შესაძლოა იყო ჩვენს ცნობიერებაზე და იქნება ჩვენი კაცობრიული შექმნების მიძინების შემდეგ, ვერაფრით გაექცევა ამ კანონზომიერებას. აცტეკების მოსახლეობა თავიანთ ქურუმებიანად ისე ამოუყუეს კორტესელებმა, რომ მათთვის არაფერი უკითხავთ, არც კი ისურვეს ევროპელებმა კაციჭამია ველურების სულიერებაში ჩახედვა. დაიწვა, ცეცხლმა მოიცვა ათასობით ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, მაგრამ „ცოლკინი“ მაინც გადარჩა. გადარჩა ტაძრები — შვიდი საფეხურითა და 13 ქონგურით, რომლის სიმაღლე 91 მეტრია. ამ მარადიული ინფორმაციის წართმევა შეუძლებელია, ვინაიდან, იგი ფორმულაა, ნებისმიერი ჩაღრმავებული გონების პროდუქტი.**

„ნაბადის“ ცეკვები ეთნოგრაფიულ სამკაულზე ბად მოეჩვენება საგნის არსში ნაკლებად ჩახედულს, არადა, იგი ასახავს ქრისტეს ამალღების მისტერიას, უფრო ადრინდელს, პრომეთეს მჯაჭვის საიდუმლოს, ნახაზების ფორმით, ქორეოგრაფიისა და პოლიფონიის პლასტიკის ენით გადმოცემულს — მუმის გულხელდაკრეფილი პოზა, ფარაონის სარტულაო ალკაზმულობა: გადაჯვარედინებული სკიპტრა და გონიო გახლავთ — ცად ამალღების თადარიგი. არა სიკვდილი, არამედ გარდაცვალება, წამიერიდან საუკუნოში მარადიული სიცოცხლით გადასვლა. დაახლოებით მსგავსი შინაარსი ექსოვება ნეფე-პატარძლის მექორწილეთა გადაჯვარედინებული ყამების ქვეშ გამოტარებს თუ თავად ქართულ ცეკვას, როცა ასული და ძე მოწიწებით შეუკავშირებენ მკლავებს ერთურთს. ვისაც შენახული ჰქონდა „ცოლკინი“, დავითის ვარსკვლავი და ასომთავრული,

ჯანის — 35-ე ასო-ნიშანი სიმბოლოთი, დაუბრკოლებლად მოგზაურობდა დროსა და სივრცეში.

„ნაბადელების“ ყამას შუმერულ სატევარში უდევს სათავე, რომლის ვადაზე რგოლებით სამკუთხედია ამოტვიფრული. სამკუთხედის აღნაგობისაა თავად კოლხური ორპირა ცულიც. ეს საიდუმლოება გააზრებული ჰქონდათ ჩრდილოელ დრუიდებსაც — სკანდინავიელი ხალხის ქურუმებს. ისინი ხეების შემწვობით წინასწარმეტყველებდნენ ადამიანის ბედ-იღბალზე. სინამდვილეში კი ხე — ჯაია (სანსკრიტულად), იგდარასილი (სკანდინავიურად, რომელზეც 9 დღე-ღამეს თავს ჩამოიხრჩობს მათი უზენაესი ღვთაება ოდინი, რათა მისნობას ეზიაროს. ამ უშველებელ იფანს იგრის მზიდველსაც ეძახიან, იგრი ოდინის მეტსახელია), — ჯა, ანუ სიცოცხლის სათავე ბიბლიის მიხედვით (ხე-ხალა — შობაა მეგრულში, აქვე ხე ქალიშვილის, მდედრობითი სქესის გამსაზღვრელია კოლხურ-სლავურში), დაკავშირებულია გაჩენის მისტერიასთან. ამ ყველაფრის თაობაზე მინიშნებით, სიმბოლოებით მსჯელობს ქალბატონ ნინო ტურაბელაძის სტილიზებული ფოლკლორული სპექტაკლი. ჩვენ „ნაბადელებს“ ვერ მოვსთხოვთ თავიანთი ჩინებული სპექტაკლი რაღაც ეთნომეცნიერულ კლიპს დაამსგავსონ, სადაც სცენა სრულიად გაუგებარი რეკვიზიტებით გადაიტვირთება, მაგრამ ზომიერების დაცვით, ბევრი სასიკეთო სლაიდის ჩამონტაჟებით, შესაძლებელი გამხდარა წარმოდგენას მეტი სიღრმე მინიჭებოდა.


ეკრანზე მზის შუქის ციდან დაშვების მომენტი, ტანაშოლტილი ხის გამოსახულების ჩვენება, ღვთიური ჩასახვის მისტერიაა სალვადორ დალის მიხედვითაც. ხოლო მათი გრაფიკული გაფორმება, გვაძლევს დავითის ვარსკვლავს გეომეტრიულად, პირამიდას — არქიტექტურულად, ხეს, მის ვარჯს, მის გაშლილობას კენწეროდან შტამბამდე — ბოტანიკურად. ეს საიდუმლოებანი იცოდნენ დრუიდებმაც, ქართუშებმაც, კოლხიტებმაც, რომლითაც ადასრულებდნენ სარიტუალო სამსახურს შუმერსა თუ ეგვიპტეში.

ციდან ღვთიური შუქის, ანუ უფლის ძალმოსილების გადმოსვლის მისტერიას გამოხატავს „ნაბადის“ ლოგოც — ცერზე შემდგარი ნაბდოსანი ხანჯლების წრეში. ეს კომპოზიცია სამყაროს იდენტურია შინაარსით და შეესაბამება დავითის ვარსკვლავის ნახევარს, ყამას მიმსგავსებული ნაბდოსანი უფლის ცადამაღლების სიმბოლიკაა. ჩვენ ზემორე ბევრი ვისაუბრეთ ეზოტერიკულ პრობლემებზე, მაგრამ კონგენიალური თავად ცერზე შემდგარი „ნაბადელის“ ყამების წრეში მომწყვდევია. ეს იგივე კავკასიური ცარცის წრეა ანუ იგივე „შარ“ — შუმერულად. „ნაბადის“ ლოგო იკვებება ქართული ლახტით, ვეფხისა

\* ჰ ო უ ნ ა ნ ა

და მოყმის ორთაბრძოლით ელგუჯა ამაშუკელის სკულპტურის (1985) შინაარსიდან.. ხელოვანს გააჩნია ინტუიტიური იმპულსი ამ ცოდნის გადმოცემის გზაზე. მას ხშირადუჩინარი ძალა უბიძგებს ხოლმე ქეშმარიტების არეალისკენ, რადგანაც ქეშმარიტება უმოკლესი გზაა ნამდვილი ცოდნისკენ. „ნაბადელებიც“ ამ განწყობილებით სულდგმულობენ. წრე და სამკუთხედი ფარაონის საკრალური რეგალიებია. შევხედოთ ტუტ-ანხ-ამონის აღკაზმულობას. ჩვენთვის თვალში საცემი გახდება კობრას — სიბრძნის სიმბოლოს თავსამკაული და წრე-

გური  
ოტობანია



სამკუთხედის სკიპტრათა გადაჯვარედინება, რაც მიუთითებს ორი ურთიერთგამომრიცხავი სიდიდის შეთავსებას, ფლობას. აი, ეს მომენტია ჩაქსოვილი „ნაბადის“ მიკროსხეულშიც.

გრანდიოზული ზერეღვა. იგი მიჩრებულია მონუმენტურ შთაბეჭდილებებს. როცა გაავეებული ოკეანის ცისკიბულებს უმზერ, შენი გონება ვერ იცლის ნაფოტის უმწეო ბედისწერისათვის, მაგრამ „ნაბადელებს“ არ ეპატიებათ ამ ნაფოტის უგულებელყოფა, მისი არსებობის იგნორირება, რამეთუ ისინი ამ ნაფოტის გამომწეურებისთვის, ამ დეტალის განსულიერებისთვის მოვლენილან ცისქვეშეთში. სხვას არცერთ ქართულ ფოლკლორულ ანსამბლი ჩაღრმავებულა დღემდე ეზოტერიკაში.

თავისი მიკროორგანიზმის წყალობით მხოლოდ „ნაბადის“ პრეროგატივაა ამ მისიის აღსრულება, ანუ — ჭიქაში ქარტეხილების დატრიალება.

შეუძლებელია „ნაბადი“ და „სუხიშვილები“ ერთ სიბრტყეზე განვიხილოთ, თუმცა ორივე ანსამბლი მსგავსი რეპერტუარითაა აღჭურვილი. რასაც „სუხიშვილები“ პანორამით, სივრცით, გრანდიოზულობით აღწევენ მაყურებელში. „ნაბადი“ კი კონვენიალურად ახერხებს მცირეში, დეტალების სიბასრით, დეტალების სიფიცხით. ამიტომაც,



გადამეტებულს არაფერს ვიტყვი თუ ამ პატარა არენა-სცენის მსახიობები განსაკუთრებული ოსტა-ტებით გამოირჩეოდნენ თავიანთი მრავალრიცხოვანი კოლეგისაგან. ქორეოგრაფიული შტრიხებისადმი, დეტალებისადმი მათი მიდგომები გაცილებით ენერგიულია. ანსამბლის ნებისმიერი წევრი, დიახაც, ამ სამკაულებით ნუსხავს მაყურებელს, როგორც მიკროსკოპის ქვეშ შეგორებული წვეთის ელვარება მეცნიერის თვალს. ჩვენ სხვაგანაც გვითქვამს და აქაც გავიმეორებთ, რომ სტილიტზებული ფოლკლორის თეატრი „ნაბადი“ თავისთავში ახორციელებს იბერიკონს, ანუ სიმღერას — როკვით.

**თავდაპირველად, როცა ჯერ კიდევ „მოაზროვნე ადამიანი“ ვეღურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ანუ დაოთხილი იბრაოდა არსებო-**

ბისათვის, ნელ-ნელა ჩაესახა მას როკვა-სიმღერის ტრადიციები. ამ მომენტს ეთნოგრაფები რიტუალურსაც უწოდებენ. პირველყოფილ ტომებში დღესაც შეინიშნება ამა თუ იმ გამარჯვების საზეიმო განწყობილებით აღნიშვნის მოთხოვნილება. ყველა დაწინაურებულ რასას განთვითარების მსგავსი ფაზა უნდა გაეულო წესით.

მართალია, „ნაბადის“ რეპერტუარი მკვიდრად ინახავს ამ საილუმლოს, მაგრამ ძირისძირამდე ჯერაც ვერ გაუცნობიერებია საკუთარ წილში მფეთქავი განძის სიდიადე. როკვა-სიმღერა მეგრულში „იბირ-ირიკვა“, იბერიკა, იბერიოკონი. ჩვენ ხომ მართლაც ერთდროულად ვართ იბერებიც, ქართებიც, კოლხებიც, მარგალებიც (სიტყვის თინის ფირიფიტებზე ლერწმის ღეროთი დამრგველი ხალხი), ანუ ეს ეტიმოლოგიები უფლის ხელისგულზე მოგოგმანე ერთი ბრილიანტის სხვადასხვა წახნაგია, ე. ი. იბერია, იბერიკა თავისი ასტრალურობით მომღერალ-მოცეკვავე ხალხის ერთიანობაა. მაგრამ რა არის თავად ცეკვა-სიმღერა?! განა შეიძლება ეს ნიშან-თვისება პოფესიად გაეხადა საზოგადოებას?! და აქ „ნაბადის“ სპექტაკლის ვიზუალური მინიშნებები უფრო ხელშესახები რომ იყოს ფართო მკითხველისათვის, ეზოტერიკულ კომენტარებს გავბედავ:

„ჰომო გეორგიკუსი“ დმანისის არქეოლოგიური სივრციდან ორი მილიონი წლის წინათ გამოეყო ცხოველურ მდგომარეობას. ეს ანთროპოლოგიური ეგზემპლარი შეაღებურია აფრიკელ და ჩინურ ჰომოლოგიებს შორის. ამ დროის ადამიანი უკვე ფეხზე მოსიარულეა. გამართული სიარული მას გამოუმუშავდა მდებრთან ზეზეური სექსუალური კავშირის შედეგად. ამიტომაც დარქმევია „ჰომო ერექტუსი.“ ორ ფეხზე დგომის ჩვევამ დროის უმოკლეს მონაკვეთში გადაასწავფერა ადამიანი. მისი დაქანებული შუბლი საგრძობლად (65-70<sup>0</sup>) მიაუსლოვდა მართ კუთხეს, გონიოს. განუვითარდა ფილტვები, იმატა ჟანგბადის მოცულობამ აორტაში, ურომლისოდაც ტვინი სრული ყამირია, უდაბნო. და აი, ამ მომენტიდან, ადამიანი აკეთებს არნახულ ნახტომს ანთროპოლოგიურად – 50 000 წელიწადში „ჰომო საპიენსი“ ხდება.

ჩვენ ბიოლოგიიდან ვიცით, რომ თთხეხის წინა ჯირკვავალი ფრიად მიმყუდროებულ მდგომა რეობაშია, იგი მოქცეულია მართ კუთხეში და მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი მოვლენებისაგან – ქარი, წვიმა, სიცივე, სიცხე, მაგრამ როცა გაიმართება ადამიანი და ორ ფეხზე დაიწყებს სიარულს, პრისტატიტი მოუშიშვლდება და ყველა უბედურებაც აქედან დაატყდება თავზე, თუძვა კი არნახულად დაწინაურებულა დროსა და სივრცეში. აი, აქ იმარჯვებს უჩინარი ხელი, იგივე ქურუმებისა და მოგვების კლანი იწყებს მათ გაჯანსაღებას ცეკვა-სიმღერით, იბერიკონით, იბირ-ირიკეთი, იმღერე-იცეკვეთი, რადგანაც სორნი, ანა-

ტომის მიხედვით წინა ჯირკვალის გვირგვინია. პოლიფონიით სდება ინდივიდუულის ჰარმონიზაცია, გაწონასწორება, ხოლო ცეკვით, წრებრუნვებით საშვილიშვილოდ მათი დამაგრება. რასაც ებრაელები ახლო ქორწინებებით – ინდრინდით აღწევდნენ, ქართველები ტრიალითა და სიმღერით ახორციელებდნენ. და ოდეს ამ ნიშან-თვისებათა კომპლექტი შორი ქორწინებებით გადაეცემოდა თაობებს, უფრო სრულყოფილი და ამბავიერი სდებოდა. ამიტომაც შესძახებს ჰეგელი: ევროპეიდული რასა ქართველებისგან მოდისო. მაგრამ ჩვენმა ქურუმებმა ჯერ კიდევ არ იციან ცეკვა-სიმღერის მთავარი დანიშნულება. ამისი ცოდნა არც „ნაბადელებს“ მოეთხოვებათ და აღარც – „სუნიშვილებს“ (დიდი სცენის ამ დიდებულ კოლექტივს), მაგრამ სამხატვრო სელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ტურაბელიძე მკაცრი მსაჯულია, შორეული ათასწლეულებიდან აღმოაცენებს ქართლოსიანთა დასილულ ისტორიას და პლასტიკის ენაზე ანიჭებს ძეგლის მნიშვნელობას. ამ იბერიკონის ძირითადი მიზანი კი ფილტვებში ჭარბი ფანგბადის შეგზავნაა.

ჩვენი საზოგადოების 95 პროცენტი მუცლით სუნთქავს. მათი ფილტვის მხოლოდ 30–40 პროცენტი ფანგბადით სავსე, დანარჩენში მომაკვდინებელ მასად ჩაბუდებულა ნახშიროქსიდები. „ჰომო საბიენსის“ მთავარი დაბრკოლება ფანგბადის უკმარისობაა. ადამიანი თვეობით უძლებს შიშინის, ათეული დღით იტანს უწყლობას, მაგრამ საკმარისია მის ორგანიზმს ხუთიოდე წუთით შეუწყდეს ფანგბადის მიწოდება, რომ იგი მოკვდება. ფილტვების სრული მოცულობით მსუნთქავი ინდივიდის ტვინის უჯრედები სამჯერ მეტ ფანგბადს მოიხმარს, ვინემ – რიგითის. ამიტომაც არის მომღერალი და მოცეკვავე ხალხი განსაკუთრებულად ჯანმრთელი, განსაკუთრებულად დღევრძელი.

აი, ამ პროფილაქტიკურ სასწავლებს ემსახურება „ნაბადის“ ჩინებული სპექტაკლი. მათ მშვენივრად უწყინან ამის თაობაზე და ბუნებრივია, მეტის პასუხისმგებლობით ეკიდებიან ათასწლეულების ბურუსით მოცულ მისტერიებს, რათა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა მიენიჭოს ერთი შეხედვით თითქოსდა უწყინარ ფოლკლორულ წარმოდგენას; რათა საშვილიშვილო მისია იტვირთოს და ხელოვანებისა და მეცნიერების შერწყმით, პირველმა დანერგოს დრამატურგია ქორეოგრაფიაში.

ჩემთვის, როგორც ეზოტერიკული და ესთეტიკური სიღრმეების მკვლევარისათვის, ღიმილის მომგვრელია ფოლკლორში შრომითი ტრადიციების წარმოჩენა. იყო პერიოდი, როცა სცენა-სცენა პუტაფდნენ ჩაის ჭილის ქუდიანი ქორეოგრაფები, კრეფდნენ ვაზის მტკვანებს,

მანდარინს, ჩენაგდნენ შეშას და ასე შექმდებოდა. ამას ნომ დღესაც დიდი ექსტაზით მისდევენ ნახევრად გელურ ტომებში. ხელოვნება მიბაძვავა პლატონის სწავლებით, მაგრამ არა მთლად შრომითი ტრადიციების ასლად გადმოიღება. ქალაქური მოტოგები, ტაკარაცუკელი ქალების მიმსგავსებით ქოლგების ტრიალი, ჭინახსულის სონჩებით ჩამოტარება, არახალია. ხელოვნება სიმბოლოებით აზროვნებაა და ამას ზედ- მიწევნით მისდევს სპექტაკლის მაგისტრალური ხაზი – ქართველი კაცის ბიოგრაფია, საქართველოს თავგადასავალი. ექვს ათასწლიანი ისტორიის რეტროსპექტივა, ბუნებრივია, მსოფლიო ქორეოგრაფიული და პოლიფონიური არსენალით ძნელია სრულფასოვნად წარმოაჩინო, ამიტომაც გაძნდარა საჭირო მონათესავე დარგების – კინოლენტის, ე. წ. „რგოლების“, სლადების შემოშველიება პრეისტორიული თუ შედარებით ახლო წარსულის გასაცოცხლებლად. ეკრანი და სცენა სინქრონულად მოძრაობს, ხშირად შეიწვევება კიდევ მიჯაჭვული ამირანის, ოქროს საწმისის, არგონავტებისა და მედეას მითოსური წახნაგები რეალურ დროსთან, თუქცა ერის ბიოგრაფიას, ცხადია, 90 წუთში ვერ ჩატევ, მაგრამ ცოტაა განა ქვეყნის საკვანძო ეტაპების გაცოცხლებით გარკვეული ინტერესი აღუძრა უცხო ქვეყნის მოქალაქეს?! ამ თვალსაზრისით ქალბატონ ნინო ტურაბელიძის წარმოდგენა, შეიძლება თამამად ითქვას, პიონერია სამამულო ქორეოგრაფიაში. კი, სხვათა კონცერტებზეც გაივლევებს აქა-იქ შთაბეჭდავი პეიზაჟები და პანორამები, საქართველოს ხედები ექსპრესიის გასაძლიერებლად, მაგრამ „ნაბადისათვის“ სცენის და ეკრანის შერწყმა კონცეფციაა, სტილი, ხელწერა და ამ არენაზე მეტოქედ ჯერ-ჯერობით არავინ გამოადგება.

იშვიათია „ნაბადის“ პოლიფონიაც. აქ ძალზე მწირი შტრიხებითაა მოტანილი შედარებით ახალგაზრდა სიმღერები, სამაგიეროდ, მეტი დოზითაა მოწოდებული პრეისტორიული, წარმართული, რამეთუ სპექტაკლის მიზანიც ხომ ოდინდელის, მითების დროინდელი რეგალიების წარმოჩენაა?! პირველ რიგში „ლილეო“ — მზის საგალობელია განფენილი; ფინალს „ოლოია“ — ოქროს საწმისის ჰიმნი ავირგვინებს, წარმოდგენის ექსპოზიცია, კვანძი, კვანძის გახსნა აშენებულია „ჩაკრულოთი“, „კვირიათი“, „ხასან-ბეგურათი“, „კრიმანჭულით“ და თანამიმდევრულადაა გაცოცხლებული ჩვენი წარსულის უსასრულო ხანძრებით შერეული სახე, რისი წყალობით მთელი სპექტაკლი იკითხება როგორც გადაშლილი წიგნი, როგორც ულოსავით შეკრული დრამა.

ქალბატონ ნინო ტურაბელიძის ესთეტიკური საჩუქარი სრულ- ებით მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, ვინაიდან ჩვენი ქორეოგრაფია

სიყრმიდანვე გაჯერებულა დაშტამპული ტრადიციით, დოგმებით, სტემატურობით, დაზუთხული ნახაზებით და რიტმიკით. აქ კი ლამის თავდაყირა შეტრიალებულა ათასგზის ნანახგანცდილი. ვერ ვიფიქრებდი თითქოსდა ფრაგმენტული, თითქოსდა მოზაიკური სურათებით შინაგანი გრანდიოზულობით შეკრული მონოლითის შეკვრას მოახერხებდა ვინმე. მაგრამ ეს უკვე მოხდენილია დროსა და სივრცეში — ეზოტერიკა, მაგია, მართლმადიდებლური სამსახოვნება, ჩაწნულია ერთმანეთში წარმოდგენის პირველივე წუთიდან და მონუსხული მასურებული ხელახლა იბადება, კათარზისი ეუფლება მის სმოგიან სულს — დიადი განწმენდა.

„ნაბადის“ თეატრის სივრცის შეკუმშულობა, მისი ატომური ენერგია, დიახაც, ნაბდისგაშლა არენაზე ამ საარაკო საქმეს ემსახურება ორიგინალური ხელწერის დასამკვიდრებლად. როგორც ჩანს, გაცილებით შორეულ სირვეცეებს უმიზნებს კოლექტივი. წარმოდგენის დასაწყისი თუ ფინალი ამ სულისკვეთებითაა გაჯერებული. წარმოდგენა თანდათან იკუმშება, გადაიქცევა ცერზე შემდგარ ნაბდოსნად, იგივე ყამად, აღიმართება სრულყოფილი ადამიანის ხატად და კოსმოსური ხომალდით გაიჭრება ზეფირებში.

ჩვენ ცის შვილები ვართ. მზე დედაა ჩემიო, ამბობს ქართველი და სულის შემძვრელია სპექტაკლის აქცენტები ქართული ცის ნოსტალგიაზე. სპექტაკლის მუსიკალური ფონი „ლილეოთი“ იხსნება, მზის სხივის ციდან დაშვების მისტერიით, სამკუთხედით, ტანაშოლტილი მუხის გამოსახულებით, ჩიჩილაკით და ცერზე შემდგარი ნაბდოსნით. ფინალისას კი ეკრანზე გამოისახება სვანური კოშკები, კავკასიონის მარად-თოვლიანი მწვერვალები, პირამიდები... კვლავაც ცერზე შემდგარი ნაბდოსანი, რომლებიც გამსჭვალავენ ერთურთს და მივიღებთ დავითის ვარსკვლავს — კაცობრიული გონის სიმბოლოს.

ჩვენებმა ათასწლეულების მიღმა იცოდნენ, რომ ფუტკრის ფიჭა, ადამიანის გენები თუ ტვინის ნეირონები წესიერი ექვსკუთხედის — სექსტაგონის აღნაგობისაა. ამის თაობაზე, ეტყობა არ უფიქრიათ „ნაბადელებს,“ მაგრამ დარწმუნებული ვართ, სულ რაღაც ათიოდე სათა ნალო სლაიდის მოძიებაც არ გაუჭირდება მათ სპექტაკლის სრულ-ყოფილი იერის დასაფინალეზლად. ისევ ხორუმის წრეები, ისევ ფერხული, ისევ წრეები ნაბდით, წრეები ხანჯლებით. მერამდენედ გაესმება ხაზი შთამბეჭდავ დეტალებს, თითის წვერებზე დგომებს. გაივლის ასტრონომიული ოთხმოცდაათი წუთი და მასურებელის ფიქრი თავქუდმოგლეჯილი გარბის რუსთაველის პროსპექტიდან ვაშინ-გტონისაკენ თუ ლონდონისკენ, ეიფელის კოშკისკენ თუ ჩინეთის დიდი კედლისკენ, რათა რაც შეიძლება ჩქარა ჩაიტანოს იქ სიზმარივით ახდენილი ზღაპრის სიცხადე. სხვა კოლექტივს საქართველოში დღესდღეობით ნაკლებად ძალუმს მსგავსი მისტერიის

აღსრულება. კვერცხივით შეკრული „ნაბადი“ სწორედ რომ ამისთვის მოვლენია ქვეყნიერებას. ჰანგის, პლასტიკისა და დეკორაციის ურთიერთ-შეხამებით მიღწეულია არნახული ესთეტიკური ეფექტი, რაც შეუძლებელია ვიწრო პატროფი-ლიით დავსაზღვროთ, ვინაიდან იგი ზედმიწევნით პლანეტარული განზომილებისაა და თავისი ატომური მუხტით ზოგად კაცობრიულ იდეალების სამსახურში დანთქმულა მშვენიერ-ამაღლებულის თუ ტრგიკულ-კომიკურის წარმოსაჩენად.

„ოღონა“ — ქველიბერიული  
ზღვანოსური სიმღერა

**პომეროსი** ეწინამძღვრება ყველას, ვისაც ეპიკური ტილოებისთვის მოუცლია. მრავალზე მრავალ ბურუსით მოცულ სივრცეს და ისტორიას აერთიანებს იგი და თუ შლიმანის ღვთაებრივ ინტუიციით მომადლებული ადამიანი ჩაუკვირდება „ხელოვნების ნორმად და ნიმუშად“ აღიარებულ მის შრეებს, არაერთი აღმოჩენა გველოდება მომავალშიც. ზომეროსის პომეებთან დაკავშირებული საკითხები დიდებულადაა გაშუქებული ჩვენი სასიქადულო მეცნიერის, ბატონ რისმაგ გორდეზიანის მონოგრაფიებში, სადაც უამრავი საერთო-საზიარო ფასეულობებია დაფიქსირებული ბერძნულ-კოლხური ცხოვრებიდან. უფრო მეტიც, მედიტერიანული ხანა, დიახაც, მათი თანაარსებობის ეკვივალენტურია, რაც ნათლად მიუთითებს წინარებერძნულისა და ქართველურის ნათესაობას; რომ აქილევის რისხვა არ არის მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული ამბიციების შედეგი, მას უფრო მნიშვნელოვანი ფაბულა ესაძირკვლება — კონკრეტულად კი ის, რომ ფეხმარდი აქილევის წინარებერძნული საზოგადოების ტიპური წარმომადგენელია; რომ იგი გრეკებს — ძველი ცივილიზაციის დამპყრობს საბოტაჟს უცხადებს ტროას იავარქმნაში; ამით აქილევის სიცოცხლეს უხანგრძლივებს თავის მოდგმას, თავის სისხლსა და ხორცს; მისი სიმპათიები ცხრა წელიწადს ყოყმანებს, ცხრა წელიწადს ითრევს ფეხს ილიონის კედლების დასაღწავად, მაგრამ როგორც კი საკუთარი აბჯრით აღჭურვილ ძმაკაც პატროკლეს, სიცოცხლეს მოუსწრაფებს ხექტორი, აქილევის მძვინვარე ლომს დაემსგავსება, უკვე დისწულის მიმართაა ხელი აღმართული და ფაქტობრივად ტროის დამხობა მისი ბურჯის — ხექტორის მოკვდინებით მიინიშნება; თუმცა ვიტყვდი, რომ ილიონის ათწლიანი ომი აისბერგისებურად აურაცხელ საინტერესო მოტივსაც ითავსებს, რასაც მხოლოდ ვარაუდის, ხიპოთეზის მნიშვნელობას ვანიჭებთ.

**პომეროსის** პომეების ქრესტომათიული განხილვისთვის ამჟამად არც დროა და აღარც — სივრცე. ვიმეორებ, სრულიად კონკრეტულ ფაქტს — ტროას ათწლიანი ომის ნიუანსებს დავსჯერდები-მეთქი. სხვა

მომენტების გაშიფრვას წერილების მთელი ოკეანე მიეძღვნა, ასე რომ, უმჯობესია, პირდაპირ ხომალდების კატალოგს ჩავუკვირდეთ, რომელიც ერთგვარი პასპორტია ამ დაუსრულებელ ორომტრიალში ჩათრეული ქვეყნებისა და ხალხებისა.

სიტყვასიტყვით თარგმანში ასეა: „ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არის.“

მეექვსე ქებაში აგამემნონი პოროლით განგმირავს ჰალიძონების ოტებულ (გაქცეულ) გოლიათ მეთაურს, ოდიოსს. მოგვიანებით ამ სტრატიკონებს ჩინებულად გადმოაქართულებს ბატონი რომან მიმინოშვილი — **„ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, ალიბეს მხრიდან.“** მოხმობილი ციტატა სრულიად საკმარისია ჩვენეული მოსაზრების გასაშლელად. ალიბე, იგივე ხალიბე, შემთხვევით რომ არ მოხსენიებულა „ილიადაში“, უდავოა. „ხალიბიუმ“ ხომ რკინას ნიშნავს ბერძნულად?! ხალიბები კი ვინ იყვნენ თუ არა კოლხები?! ან სად დაირწა ამირანის მითი — ცეცხლის მოთვინიერების საგა, პრო-მეთეოსის, ანუ პრო-მითის, წინარე მითის, ძველი ამბის სახელით რომ გავრცელებულა მერმე მთელს მცირე აზიაში?! (პრომეთე წინასწარმეტყველს ნიშნავს ბერძნულად; ხოლო სანსკრიტულში პრომათუსა გახლავთ ცეცხლის გაჩენის მოწყობილობა — ნახვრეტიანი დაფა შიგ მოტრიალე წკირით). ანდა სად ბრდღვინავენ აიეტის რკინისჩლიქება ხარები?! რკინის გამოდნობის საიდუმლო, როგორც ოქროს მოპოვებისა, ისევ და ისევ კოლხებს უკავშირდება უმთავრესად. დღეს ამის შესახებ არავინ კამათობს. მივუბრუნდეთ ზემოთ ხსენებულ სტროფს — ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ, შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არისო. რატომ მაინცდამაინც ვერცხლის საბადოებს ასხენებს ხომეროსი და არა აია-ქვეყანა, საიდანაც ოქროს საწმისი, ანუ ოქროს მოპოვების ტექნოლოგია წარწერილ ცხვრის ტყავს (კირბები) მოიტაცებენ არგონავტები რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ?!

ჩვენ არაფერი ვიცით თუ რას აკეთებენ ჰალიძონები და მათი გოლიათი მეთაური ოდიოსი ტროას ომში ცხრა წელიწადს. ამის თაობაზე „ილიადა“ სდუმს. გასაღები ისევ და ისევ მოხმობილ სტროფშია. ბერძნების გაერთიანებული ლაშქარი ცხრა წელიწადს ვერ დაამხობს ათჯერ მცირერიცხოვან ტროელებს, იგივე ზღვის ხალხს — კოლხეთს შეხიდებულ მხარეს.

1067 (საკრალური 9-ის წამატების შექმნევაში ვლკებულობთ ეპოტერიკულ ციფრს — 076 — 1-ის 13 გაყოფის პირველ წევრს — 0, 076 923. 076 13 პარამონიულად დანაწევრების სურათია. სამყაროისეული განზომილების უფლისეულ და მაცილისეულ

**განზომილებად — სადაღ უფლისეული 7-ია, ხოლო ეშმაკისეული 6. უფალმა 6 დღე-ღამე მთანდომა სამყაროს შექმნას. ზიქურატების ქონგურები სასწორის ორივე უღელზე ექვს-ექვსი საფეხურით მაღლდება მეშვიდეძდე — უზენაეს სუბსტანციამდე — ცაბათამდე.)**

ხომალდით მოსდგომიან ბერძნები ტროას. თითოეულში 120 მეომარი ეტევა. ესე იგი დაახლოებით 130 ათასი კაცისთვის მოუყრია თავი ილიონის წასალეკად ბერძნების გაერთიანებული ლაშქრის მეფეს — აგამემნონს. ბერძენი ყოყლოჩინობს სპილენძის იარაღით, როცა ნახსენებია ხალიბები, რკინის, ფოლადის მესაიდუმლე ხალხი. ამ უზარმაზარ გაერთიანებაში ვითომ მხოლოდ მეომრის ფუნქცია ეკისრებოდათ მუჭა ხალიძონებს?! ჩვენი ვარაუდით ხალიძონები, ანუ კოლხები იარაღის გამოსაჭედად უნდა ჩამოსულიყვნენ ტროაში, ისინი პროფესიონალი მჭედლები უნდა ყოფილიყვნენ წესით. მათი მჭედლებად ჩამოყვანა ტროაში უსათუოდ ომის მასშტაბებს უნდა განეპირობებინა, ვინაიდან ამხელა მანძილზე კოლხეთიდან იარაღის ტრანსპორტირება ვერ მოხერხდებოდა ოპტიმალურად და რეგულარულად. მით უმეტეს ალყაშემორტყმულ ქალაქში. ჩანს, ჰალიძონები თავიანთ გოლიათ მეფესთან, ოდიოსთან, ერთად ბრძოლაში მხოლოდ ომის მიწურულს ჩაბმულან ფიზიკურად, როცა ტროა სისხლისგან დაწრეტილია, როცა უკვე თითოეული ადამიანი ჯარისკაცია — მჭედელი იქნება ეს თუ გუთნისდელა. აბა, დააკვირდით, როგორ მოკურცხლავს აგამემნონს შეფეთებული ხალიძონების გოლიათი მეფე ოდიოსი. მისთვის ომი, ხმლების ტრიალი, უცხობა. ეს იგულისხმება სტრიქონებს შორის. მაშ, სად მივყავართ მსჯელობას?! კოლხები ტროელების მხარეზე არიან ოდიოსის მეთაურობით, იმ ოდიოსისა, რომელიც აიეტის შვილიშვილების ხნოვანებისაა. არგონავტები, მართალია, რაღაც სამიოდე ათეული წლის წინათ კოლხებს მოსტაცებენ ოქროს საწმისს, რომელზეც ამ იშვიათი ლითონის მოპოვების წესებია წარწერილი, მაგრამ რკინის გამოდნობის საიდუმლო ჯერ კიდევ ერის წიაღში ინახება. ასე რომ, ვარაუდიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, — ჰალიძონები და მათი გოლიათი მეფე ოდიოსი მჭედლებად ჩასულან ტროაში; ამიტომაც ვერ ამარცხებენ ათჯერ მრავალრიცხოვანი ბერძნები ილიონს — ზღვა ხალხის კოალიციას, რადგანაც კოლხური იარაღი იბრძვის იქ.

მოგვიანებით, როცა ამ გაერთიანებას გაუჭირდება, თვით მჭედლებიც იძულებულნი ხდებიან ორომტრიალში ჩაებან. ბევრი რომ არ ვავარძელოთ, კოლხეთი იმ დროისთვის მაღალგანვითარებული იარაღით მოვაჭრე ქვეყანაა. კოლხები მიაგნებენ ფოლადის გამოდნობის საიდუმლოებას და განუდგებიან ხვანა-თესვას, მესაქონლეობას. ხელს აიღებენ მამა-პაპური ღვინის წარმოებაზე. იარაღია პურიც, ღვინოც, უზ-

რუნველი ცხოვრებაც, არქილოქეს ლექსისა არ იყოს და გადაგვარდება კოლხი. აუხდება კალიმაქეს წყევლა: ამომწყდარიყოს მათი ჯიმ-ჯილაგი, რკინა რომ ამოიღეს მიწიდან. არ გახარებულყვენ მისგან იარაღის გამომჭედლეები ადამიანი საკუთარ სახეს დაჰკარგავს. აღრე მიწათმოქმედებს, იგივე გეორგიებს, შავ ჭირად მოველინებათ ეს სიბრძნე, შავ ჭირად და დაღუპვად. განა მხოლოდ ოქროს საწმისის დაკარგვა?! არა და არა! უმთავრესად იარაღით ვაჭრობა მოსრავს კოლხეთს. ასე რომ, საკუთარი აღარაფერი დარჩება, ლამის აღიგავება მიწის პირისაგან. მოკლედ, გაბღენძილ ოდიოსს, როგორც კი საკუთარი ხელით გამოწართობილ ჰოროლს ბეჭებშუა გაუტარებენ, მაშინდა მიხვდება თუ რა ყოფილა სხვათა წაკიდება-წასისინება, რა ყოფილა ომი, რომლითაც მისი მოდგმა სულდგმულობდა აქამდე, მაგრამ თითზე კბენა უკვე გვიანია. ეგერ, სულთმობრძავი გდია ბრძოლის ველზე და მის ლიბრგადაკრულ მზერაში გარბის თვით ტრაოში დატრიალებული საცოდაობა, ათასების ტრაგედია, ათასების ვაება-უბედურება:

ვერავინ იხიერებს ამ ომით, ვერც ხალხთა მეფე აგამემნონი, ბაგაში დაბმული მოზვერივით რომ დაკლავენ აბანოში მეუღლე კლიტემნესტრა და მისი კურო ეგისტე; ვერც ფეხმარდი აქილევსი, ვერც ზუზმო-ელვარე ჰექტორი, ვერც ჰკუაულევი ოდისევსი, წლობით რომ ახეტიალებს მერმე ბედისწერა ხიფათიანი გზებით ოჯახს მოწყვეტილს; მით უფრო — გაფხორილი ოდიოსი. ეს ყველაფერი დღესავით ნათელია, მაგრამ ვინ არის თავად გოლიათად შერაცხული ოდიოსი, ჰალიძონების წინამძღოლი მეფე, მისივე ახოვნების მეტოქეს — აგამემნონს შეფეთებულ კურდღელივით რომ მოკურცხლავს?!

ძნელია ახლა გაარკვიო, რა სწადია ჰომეროსს, აგამემნონის მრისხანებისა და ძლიერების დახატვა თუ იარაღის ვაჭრობით ზნეობადაცემული ოდიოსის დაკნინება.

ოდიოსი, ოდიოსი... ნუთუ ჩვენ გაგვიძნელდება პარალელის გავლება ამ სიტყვასთან?! ბერძნული ტრანსკრიპცია ქართული სახელის პარალელურ ფორმებს უთუოდ ინახავს ერის მეხსიერებაში. გვაქვს ქუთაისი — ქუთაია. ქვაბულს ნიშნავს იგი მეცნიერების ენაზე, გამოლრუნტულს. ქუთაისი — ქუთაია, ქუთაია და უცებ განათდება გონება: ოდიოსი — ოდი... სკანდინავიური „ოდინ“, კოლხური „ოდოია“.

მაინც რას ნიშნავს ეს ძველკოლხური სიმღერა?! დღეს იგი მუსიკათმცოდნეობაში შრომის ჰიმნადაა აღიარებული. ჩავეკითხები მრავალ სპეციალისტს: ჟვანიებს, ჭოხონელიძეებს, გონაშვილებს, მაგრამ ისინი სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამორიცხავენ. მართალია, ერთხმად ადასტურებენ, რომ „ოდოია“ წარმართული საგალობელიაო, მაგრამ მაინც-

დამინც შრომის, გამარგვლის, გამოროდების საგალობელიო. მე კი ვიტყვი, თუკი „ოდოიას“ სინქრონულად, „ოდოიას“ თანშეწყობით თოხი იქნია მუშაკაცმა, სვრელის ბოლომდე სულს ვერ მიატანს. „ოდოიას“ მეტრიკა, ინტონაცია, გადასვლები, ხეროიკა კარდინალურადაა გამიჯნული ძალისძალით შრომას მიტმასნილ შინაარსისგან. არიან მეცნიერები, რომლებიც ოდოიას კულტს სვანურ ვობს — ნაყოფიერების წარმართულ ღვთაებას უკავშირებენ, მაგრამ ესეც ნაკლებად სარწმუნო მეჩვენება. რაც შეეხება ამ სიმღერაში დაფიქსირებულ სტრიქონებს — „ბერგის მურქი გიგოია“ — ანუ თოხს მოუქნიე გიგოია, გუშინ წინდელი პოეტომანიის შედეგი უფროა, ვინემ პირვანდელი, რამეთუ ადრინდელ ტექსტს ქრისტიანობა, როგორც მას საერთოდ სჩვევია, პირწმინდად წაშლის, დასტოვებს მხოლოდ მელოდიას, მუსიკას და შემდგომ ხალხის ფანტაზია, რადგანაც უკეთესს ვერაფერს შეუნაცვლებს — თოხს მოუქნიე გიგოიათი შეავსებს. შრომის სიმღერად გარდაისახება ბრძოლის ჰიმნი. კასტრირებული მამალი წიწილების ჩეკას მიხყოფს ხელს.

კიდევ ერთი ფაქტის გამო ვერ დავუშვებ სიმღერა „ოდოიას“ შრომის სიმბოლოდ, რადგანაც იქ სტროფებსა და სტროფებს შუა არის პასაჟები, რომელიც რაღაცნაირად სვანური ზარის ელფერს დაიკრავს; მიუხედავად იმისა, რომ შრომის ყაიდაზეა მოქცეული, მისამღერი — ვოი, ვოი, გლოვის ატრიბუტი რომაა, ყრუმაც იცის. მაშ, როგორ ჩაეტევა ერთ ცნებაში მწუხარება და აღმაფრენა, ომი და მშვიდობა, შრომა და სისხლისღვრა?! წლების მანძილზე ბრძოლის სიმღერა რომ შრომის ხასიათს შეიძენს, აქ უჩვეულო არაფერია. პირიქით, ომებით დაქცეული წუთისოფლის განუხრელი ლტოლვაა სიმშვიდისკენ; ეს ადამიანის, ხალხების საერთო განწყობილებაა მათი მმართველი ძალებისგან განსხვავებით. ასე რომ, უშუალოდ „ოდოიას“ გაიგივება შრომის საკულტო სიმღერასთან შეძენილი თვისებაა, ხელმეორედ მონათლულს ხგავს, ძველის თანდათან გარდაქმნის შედეგია და სხვა არაფერი.

თუკი დავუშვებთ, რომ ოდოისი და ოდოია იდენტური პიროვნებებია, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. უკვე სრულიად ნათელი ხდება, რომ იგი ოდოიას უკვდავსაყოფად დამღერებულ-დაკვნესებული ოდაა და ამით წრედიც შეიკვრება. იმდროინდელი პოეტები ხომ უტყუარ სარკესავით აირეკლავენ მომხდარ ფაქტებს, აკი, ვახსენეთ, შლიმანის ფენომენალური ალლო, რომელიც სწორედ დასახელებული პოემებზე დაყრდნობით მიაკვლევს ტროას, და აგამემნონის ოქროს ნილაბსაც კი აღმოუჩინს კაცობრიობას.

მაშ, რატომ არ უნდა ვენდოთ ჰომეროსის სტროფებს, როცა იგი აცხადებს: **ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი (ოდოია) და ეპისტროფოსი**

**მოუძღვდნენ შორეული ალიბედან (ხალიბედან), სადაც ვერცხლის სამშობლო არისო?!** რისთვის სჭირდება ჰომეროსს ხალიბეს ხსენება? მხოლოდ გეოგრაფიული არეალის მოსანიშნად?! ეგრე რომ ყოფილიყო ხალიბეს ნაცვლად უფრო ცნობილ ფაქტს — ოქროს საწმისის აია-ქვეყანას მოიშველიებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ უფრო სიღრმისეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ჩვენ თუ დავუშვებთ, რომ სიმღერა „ოდოია“ შრომის კი არა ჰალიძონების გოლიათი მეფის — ოდოია-ოდოსის უკვდავსაყოფად შექმნილი ჰიმნია, მაშინ იქ გამქრალი სიტყვები შეიძლება სხვანაირად წარმოგვიდგეს: აჰა, მომაკვდავ ოდოიას მრავალხოფიანი ხომალდით სამშობლოსკენ მოაქროლებენ ჰალიძონები და სასოწარკვეთილნი უმღერენ:

**ოდოლო ოდოია დო ოდოია,  
სადაც არის აიას ჭადარა  
მწვერვალებიც გამოჩნდება.  
ვისთვის ჭედავდი მახვილს და მუზარადს?  
არ ჯობდა ტუბილი ღვინო გეწურა,  
სამშობლოსთვის მიგუნებაო?**

ეჰ, ვერგილიუსისხელა კალმოსანი სჭირდება ამ განძეულის წარმოჩენას, ვერგილიუსისა, რომელიც ლათინთა ტომს „ენეიდას“ სახით სიკვდილ-სიცოცხლის სწორუპოვარ საგალობელს დაუტოვებს; იმ ენეასისა, იავარქმნილ ტროას რომ გამოარიდებს თვის ჯილაგს და რომულუსის შთამომავლობას ჩაუყრის საფუძველს. ეს ყველაფერი მწერლის საასპარეზო სივრცეა, მომავალი თაობებისათვის ნაცარშიგახვეულ დადარივით შენახული მასალა; ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ერთხელაც ფოკუსში მოვუყაროთ თავი სათქმელს:

ხომეროსი ჩვეული ქვეტექსტებით მიგვანიშნებს კოლხეთის სრულ დამხობას, იმის გამო, რომ იარაღით მოვაჭრეა, ახალ-ახალი ომის მიზეზი, წამქეზებელი და რადგანაც საკუთარი მოწოდებისთვის — გეორგიანობისთვის, ანბანთმსახურებისთვის, მოჰანგეობისათვის უღალატია, გოლიათი ოდოიას დაცემით გვაუწყებს კოლხეთის მითოსური დიდების საუკუნო ჩასვენებას.

ცხადია, ყოველივე თქმული ემიჯნება მეცნიერულ პრეტენზიებს, ვარაუდის პირმშო უფროა, მწერლის ინტუიციას დამყარებული, და რაც მთავარია, სწორუპოვარი მარონისა არ იყოს, ცოცხალ მასალას წარმოაჩენს ტროასდროინდელი საქართველოს ყოფიერების ამსახველი ფართო ტილოს შესაქმნელად. არის ხომეროსთან რიცხვი ათის გაშიფრვის ჩემეული ვერსიაც, ათისა — ყოველ ნაბიჯზე რომ გვხვდება „ილიადასა“ თუ „ოდისეას“ ფურცლებზე, როგორც ღვთაებრივი, რო-

გორც საკრალური სავსება, თუმცა ამჯერად სათქმელი ბატონ ბორის გოგიას გამოხმაურებით დავასრულოთ:

„გური ოტობაიას წერილში მოკლედაა მიმოიხილული ღრმად არ-ქაული, ოდინდელი საქართველოს, კერძოდ — კოლხეთისა და წინა-ბერძენული კულტურების ურთიერთობანი, რომელსაც ეხება ჰომე-როსი თავის თხზულებებში და ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

მწერალი გაცნობია ბატონ რისმაგ გორდეზიანის ფუნდამენტურ და მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომებს, სადაც თვალნათლივთაა განხილული წინაბერძენული და კოლხურ-იბერიულ კულტურების ურთი-ერთობათა დამაკავშირებელი რამდენიმე საკითხი, ინტერპრეტირებუ-ლი მეცნიერული კუთხით. ამასთანავე მწერალი, თავისი საკუთარი თვალ-თახედვისა და მწერლური ალღოს მეშვეობით ცდილობს გააცოცხლოს და გააშუქოს ზოგიერთი ბუნდოვანი კვანძი. მაგალითად „ალიბუ“, რა-საც მასთან ერთად სხვა მეცნიერებიც აიგივებენ ხალიბუსთან, ხალიბი-უმთან, რკინის მწარმოებლებთან, მერკინეებთან და ძველი ელადის ენა-ზე, ჰომეროსის პოემებზე დაყრდნობით, არა მარტო ხალხს — ხალიბებს, არამედ მხარესაც, ქვეყანასაც, ხალიბების — რკინის მრეწველობის ქვეყა-ნას უწოდებენ. მე სრულიად ვეთანხმები მწერლის მცდელობას, თუნ-დაც იმის გამო, წინა პლანზე წამოსწია საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულის რამდენიმე საკითხი ქართველი მოსახლეობისა, განსაკუთრე-ბით ქართველი ახალგაზრდობის ყურადღების მიქცევის მიზნით, რამაც შეიძლება დააინტერესოს ბევრი მათგანი და გავხდეთ მონაწილე მთელი ამ უძველესი და ურთულესი პრობლემების სრულიად ახლებური შეს-წავლისა და გაანალიზების მომსწრენი, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს არა მარტო საბერძენეთთან, არამედ მრავალ სხვა ქვეყანასთან მეგობრუ-ლი ურთიერთობის დამყარებას, ვინაიდან წინაბერძენული და ძველბერძ-ენული, კრეტამიკენური, ეგეოსური, ეტრუსკული, შუმერული, პროტო-ხეთური და ხეთური, პელასგური, მცირეაზიური, სამხრეთ-ამერიკული, ძველი ინდური და სხვა კულტურების საოცარ ურთიერთკავშირს ავლენ-ენ. დღეს არსებულ მრავალ ათეულ სახელმწიფოსთან უძველეს კულ-ტურულ ურთიერთობათა და მეგობრულ დამოკიდებულებათა პერს-პექტივები უნდა გაიხსნას, რაც ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობას და ურთიერთგაგების განმტკიცებას და გაფართოებას.

ახლა კი, რაც შეეხება უძველეს — ოდინდელ — არქაული დროის სიმღერას „ოდოია“. მწერლებს და პოეტებს აქვთ რაღაც განსაკუთრე-ბული ალღო ინტუიციური წინათგრძნობისა და არც ბატონი გური

ოტობაია დალატობს ამ საკითხს. პირადად მეც ვგრძნობდი ყოველთვის, რომ „ოდოია“ არ იყო შრომის სიმღერა. მისი რიტმი სრულებით არ შეესაბამება შრომას, განსაკუთრებით თოხნის პროცედურას, რადგანაც ამ უნიკალური სიმღერის ტემპით თოხნა შეუძლებელია და წარმოქმნის შრომისა და სწორი, ნორმალური სუნთქვის შეუსაბამობას.

ასეთი სიმღერითა და შრომით ერთდროულად დაიხრჩობა, ალბათ, ადამიანი, ან სრულად გაჩერებულმა, თოხის ტარზე დაყრდნობილმა უნდა შეასრულოს. ამ შემთხვევაში კი ეს არაა შრომის სიმღერა.

მე ვეთანხმები ბატონ გურის, რომ „ოდოიას“ სიტყვები, ალბათ, სრულებით არ შეესაბამება იმ უძველეს ფორმას და ხალხში შემორჩენილი საოცრად ტკბილი და ხარმონიული მელოდიის აღსადგენად მავანმა სპეციალურად შეარჩია გარკვეულ სიტყვათა რაღაც თანაწყობა.

ბატონო, გური, თქვენც ჩემსავით, ალბათ, ცრემლნარევი ღიმილით უყურებდით პირველ ქართველ ფეხბურთელებზე ფოთში გადაღებულ ფილმ „პირველი მერცხალის“ ნაწილს, სადაც მაღალი კლასისა და საკმაოდ გამოცდილმა ინგლისელებმა გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხეს დამწყები ქართველი ფეხბურთელები და ეს ბიჭები ტალახში ამოსვრილები, ერთ მუშტად შეკრული ქართული გენი, ინგლისელების მიერ შესრულებულ ხოტბას თავისებურად როგორ შეუწყობენ სიმღერას და ქართული ჰიმნის დონეზე აჰყავთ. დაბოლოს, მინდა კვანძი გაეხსნა და დიდად გასახარი სიურპრიზი შემოგთავაზოთ: 1975 წლის ნოემბერ-დეკემბრის „ინოსტრანაია ლიტერატურა“-ში დაბეჭდილია ჟორჟ ამადუს რომანი სათაურით: **„ტერეზა ბატისტა, უსტავშია ვოევატ“**, სადაც ნაწარმოების ერთ-ერთ ნაწილში მართლდება თქვენი და ჩემი დაკვირვებები (გნებავთ მოსაზრებები), სიმღერა „ოდოიას“ შესახებ, რაც დაახლოებით ასეთი სიტყვებითაა გადმოცემული: **ოდოია – დრეგნობერიისკაია მორსკაია პესნია**. სამწუხაროდ, მე არასოდეს ვეკუთვნიდი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომ მივლინებით, ან ტურისტად მაინც ჩავსულიყავი ბრაზილიაში და გამომეკვლია ჩემთვის ასე უაღრესად საინტერესო მასალა, თუნდაც ჟორჟ ამადუს საარქივო მასალებში მაინც. დიდია ჩემი ცდუნება და, ალბათ, თქვენც მსგავსი ცდუნებით აგანთეთ. მე ვესაუბრე რუსთაველ ლოტბარს, რომელიც „მიონის“ გუნდს ხელმძღვანელობდა „ოდოიას“ შესწავლისას. ეს შარშან შემოდგომით იყო. სამწუხაროდ მისი გვარი არ მახსოვს. იგი განცვიფრებული იყო ჩემი ვარაუდით და მეხვეწებოდა იქნებ შევძლოთ ძველი (ნამდვილი) სიტყვების აღდგენაო. თითქოს მეც ეს არ მსურდეს.“

აღსრულდა! ლაზარე აღდგინებულია!

**მოანე-ზოხივე (X ს.)**

ქებადი და დიდებანი ქართულისა ენისადი

**დამარხულ არს ენაი ქართული** დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა, ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა **ამას ენასა ლაზარე სქვიან!**

და ახალმან ნინო მოაქცია და ხელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი,

და მეგობრობაი ამისთ ვის თქუა, ვითარმედ **ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს.**

და **ოთხისა დღისა მკუდარი** ამისთვის თქუა დავით წინას წარმეტყუელმან რამეთუ „**წელი ათასი – ვითარცა ერთი დღეი**“,

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჰესსა წილი ზის, რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა,

და ესე არს **ოთხი დღე**, და **ოთხისა დღისა მკუდარი**, ამისთვის მისთანავე **დაფლული** სიკუდილითა ნათლისღებითა უფლისაითა,

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა,

და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტესსხუათაენათა ქრისტეს მოსვლითგან დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ, ესე წილი ანბანისაი.

**ფესტოსის დისკო გახსნილია!**

(17 წლის დაუღალავი ინტელექტუალური შრომის შედეგად  
საიდუმლოებით მოცულ ფირფიტას კრეტადან უფლის კარნახით  
ერთ ლამეში გაშიფრავს მათემტიკოსი **გია დ. კვაშილავა**  
**giakvashilava @ yaho. com**)



ავტორი

**აია, ჭაბუკნო, გამწმენდელნო დაფარული ტაძრისანო,**  
(ლაბირინთი)  
**აია ჭაბუკნო, სადარნო**  
**გამწმენდელნო დედის კარის,**  
**დაფარეთ თაღი გადვთიურებულნო!**  
**ქვეყნის სიმაღლისანნო,** (სიცოცხლის ძალნო)  
**წინააგალო კორიბანტნო,**  
(მფარველნო ანგელოზნო)  
**ქვეყნის სიმტკიცენნო** (შემწენო)  
**პქმენით დაფარული ტაძარი,** (ლაბირინთი)  
**ქვეყნის სიმტკიცენნო** (შემწენო)  
**მარადმაგაღნო კორიბანტნო,**  
(მფარველნო ანგელოზნო)  
**გარდაპქმენით აიას სიცოცხლე ყველნაირად.**  
**შუაღამის მთვარით განათებულნო,**  
**დედის ქვეყანა მუდამ დაფარეთო,**  
**დაახსნით ხელნი ბრუნეა-ფარეა სხივოსანნო ფარაგნო,**  
**ოჯახის ფუძის, ჯიშის სვლა-ბრუნვის**  
**განამწმენდელნო.**

დასასრული.



რამპრსი

**ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო,**  
**მოდგმის ნენანავ,**  
**ააყვავე სუთი შტო, მშეენი,**  
**ჯიშის სიწმინდით, ახლით ნარშემოსილი**  
**ერთო ძლიერთ შტოვ,**  
**ოჯახის წმინდავ ძლიერთ,**  
**თაურთ სუთი შტოისა,**  
**მფარველ სხივოსანთ ნანადმერთო, (დედაღმერთო)**  
**წინამძღოლო,**  
**ხანგძელ ჰყავ დედის ტაძარი (სპილენძისა),**  
**მაყვავებელი თარხონთ,**  
**ნათულო ჰეფესტოთ, (ოსტატლვთაებაო)**  
**მდნობელო წინამძღოლო,**  
**განმწმენდელსხივოსანთ,**  
**დაფარეთ მისი მოგიზგიზე სასახლე, —**  
**ჩვენთ მჭედელო,**  
**ახლით მოსილო მთვარისნაირთ.**

დასასრული

ავაბეშეფე | მაზიხე | გრიხემფე ნენე  
 ქენქეფერგე |  
 ავაბეშეფე | ნეშკარე | მაზიხეფერგე |  
 ფერქე კაერგანა |  
 ქენგაგრგერქენფერგე |  
 ქაშქქეფერგე |  
 წეშემლო გარფენქენცო  
 ქაშქქე ქეფერგე |  
 რეჩხო | გრიხემფენქენფერგე |  
 ქაშქქე ქეფერგე |  
 გკეშმაგლო | გარფენქენცო |  
 შექფაჟ | აგაშრგერგერგე |  
 თეფაცმაჟ | ნეკაცფერგე |  
 ხდღქენე | ფერგთწაქენე |  
 ჩხოთამაფერგე |  
 სკაჯგლჯგლჯე | თეშწალჯგე | ფერგთაფა |  
 გაშმაზიხეფერგე |

ლგა

თეშწთ | ნეშერგსკალე |  
 თერგენენანა |  
 თეგაფაგენქე | ხეშთეცაჯგე |  
 ფაგართე | თეშწათე | ნეგათე  
 ნერგსკაქენე |  
 ცარშთეცაჯგლჯგე |  
 თეშწაჯგლჯე | ჩხეხეჯგლჯე | ხეშთეცაჯგე |  
 მაქქენქე | ჩხოფაგერგენანა |  
 მაზიხეჯგე | გაეხა | ნეოფაფალჯგე  
 მაჯაჯანქენე | თაქაქეცო |  
 ნეთაფათე | ნეხომფენე |  
 გამაზიხეთა | ჩხოფაჯმაზიხე |  
 მეშგარეხა | ფერგოფაჩხო | ქერგნეგე  
 ჩქეშრემფერგე | ნეთეწაქენე |  
 თეთაგეფერგე |

ლგა

ფესტოსის ღისკოს“ ლექსიკონი  
მათემატიკოს ბია კვაშილავას მიხედვით

ლინჯი (მეგრ.) — სპილენძი

ნანა (მეგრ.) — დედა

ნე — მდებრობითი სქესის ნიშანი

ნეოფაფალენჯი — დედის სპილენძის

(შესაკრებელი) ადგილი

ოლუ (მეგრ.) — საფალი გზა;

ULU ინდოევროპულად არის — ტრიალი,  
ბრუნვა

ორონე (ძვ. მეგრ.) — ღმერთი

ოფაფალი (მეგრ.) — ბევრი ხალხის

შესარებელი

ფურაქი (მეგრ.) — ცუცხლი (კვამლი, გ.ო.)

ჩხოფა (ლ.ზ.) — სიცხე

ჩხომოლაფა (ლ.ზ.) — ბრწყინვა

ჩხორია (მეგრ.) — სსიფი


ჩხონა / ჩხანა (მეგრ.) — მზე (მზიანი დარი, გ.ო.)

ჩხოფა ორონე ნანა — გაბრწყინებულ /

გასხიფოსნებული დედა ღმერთი

ლვა (მეგრ.) — დამორჩილიშ დალია,

შემოდგომის დასასრული, მიწურული ( გ. ო.)



„ფესტოსის დისკო“ 1908 წლის 3 ივლისს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ კუნძულ კრეტაზე საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში აღმოაჩინა. იგი დათარიღებულია ძვ. წ. აღ. 1850-1600 წლებით და წარმოადგენს თიხის ფირფიტას, რომლის დიამეტრიც დაახლოებით 16 სანტიმეტრია. ამჟამად დისკო საბერძნეთში, კრეტის მთავარ პორტ-ქალაქ ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში ინახება. (III გალერეა, 41-ე ყუთი, № EP-1358).

1992 წელს გლადიკაგკაზში 1880 წელს აგებულ შენობაში იპოვეს „ფესტოსის“ დისკოს მსგავსი თიხის ფირფიტის ფრაგმენტი (დიამეტრი 10 სმ.), რომლის შესახებაც გლადიკაგ კუნძუცოვმა მეცნიერული გამოკვლევა გამოაქვეყნა.

დისკოს მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები: სერ არტურ ევანსი, ელ კობერი, ინგლისელი არქიტექტორი მაიკლ გენტრისი (რომელმაც გაშიფრა მიკენური ბერძნული, ანუ B საზოგადოება) და სხვები იკვლევდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავსტრიელი მოყვარული ენათმეცნიერის ჰერბერტ ძეხის შიბოთეზა „ფესტოსის დისკოს“ საგარაუდო ენის თაობაზე. მან 1988 წელს ბუდაპეშტში, ეირენის კომიტეტის მე-18 საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა **მაროულია**.

ასავალ-დასავალი, 2006 წლის 13-19 ნოემბერი, №46, (636)

ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრულია 61 სიტყვა და 244 ნახატ-ნიშანი, რომელიც ფირფიტის ორივე მხარეზე ოქროს ყალიბით არის დაბეჭდილი. ეს ტექსტი გია კვაშილაგამ მის მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდებით წაიკითხა, რომლის შედეგადაც იგი ადასტურებს რომ:

1. კოლხი კორიბანტების (ალბათ, კირიბანტების, გ.ო.) მიერ შექმნილი „კირიბის“, „კირიბის“ ანუ წერილ-ფირფიტის — „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია.

2. კირბებზე ამოკვეთილ წარწერას „კირიბიში“ ეწოდება, სიტყვის ფუძეა კირიბი, რაც მეგრულად კრავს ნიშნავს. იგივე ფუძისგან ნაწარმოებია სიტყვა „დოკირობუა“, რაც მეგრულად ამოტვიფრას, ამობეჭდვას ნიშნავს.

გია კვაშილავას მტკიცებით დისკოზე აღბეჭდილი ნახატ-ნიშნები „კოლხური ოქროდამწერ-ლობაა“.244 ნახატ-ნიშანი, რომელიც ფირფიტის ორივე მხარეზე ოქროს ყალიბით არის დაბეჭდილი. ეს ტექსტი გია კვაშილავამ მის მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდებით წაიკითხა, რომლის შედეგადაც იგი ადასტურებს რომ:

1. კოლხი კორიბანტების (ალბათ, კირიბანტების, გ.ო.) მიერ შექმნილი „კირიბის“, „კირიბის“ ანუ წერილ-ფირფიტის — „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია.

**P. S.**

„ფესტოსის დისკოს“ გაშიფრვა ბატონ გია კვაშილავას მიერ, ხელშესახებად ადასტურებს ფილოსოფიაში ფუნდამენტურად დამკვიდრებულ აზრს: ევროპეიდული რასა ქართველებისგან იწყება (პეგელი). რაც შეეხება იოანე ზოსიმე „ქებას“ მიხედვით ქართული ცივილიზაციის ასაკად გახმავანებულ 4000 წელს, აშკარა მათემატიკური ცდომილებაა, ამ ცდომილებას თავად ბატონი გია კვაშილავაც ავტომატიურად იმეორებს, ვინაიდან, როდესაც ზოსიმე მოლვაწეობდა, მაშინ X საუკუნე იყო (1000 წელიწადი) ქრისტეს აქეთ, და იმ ხანად ნათქვამი ოთხი დღისა მკვდარი, ანუ ოთხიათასი წლის მიძინებული ეთნოსი, დღეს უნდა აღვიქვათ, როგორც 5 000 წლის ცივილიზაცია (3000 + 2000 = 5 000). მართლაც, გასაკვირი არაფერია, ვინაიდან, ქართული ცივილიზაცია უნდა ყოფილიყო დანარჩენი მსოფლიოს მკვებავი ქურუმულ-ეზოტერიკული ცენტრი, მომთაბარე წარმართულ ტომთა შემოსევებისაგან მკვიდრად დაცული ადგილი. გაშლილ ველზე მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ამისი მიღწევა შეუძლებელი იყო. კოლხური კირბები, სამკუთხა დაფებზე წარწერილი კანონები, წერილსვეტები, შუმერული სამკუთხედებით შეკრული დამწერლობა და ეგვიპტური პირამიდების ტრიპტიქი ამისი ნათელი დასტურია. დიახ, სათავე, პირველყარო ცივილიზაციათა კოხეთია, აია-ქვეყანა, ქართლოსიანთა ნერჩი **(გური ოტობაია)**.

აღსრულდა ჩემო ლაზო, ძმაო, ჩემო ზოლაშ ბერე, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ, 4000 წელიწადი გამოცისკროვდა მიბურუსებული ჩვენი თვალსაწიერიდან, ჩვენი ხალიბების და ჰალიძონების, ჩვენი კარდუხების და პენიოხების, ჩვენი პელაზგების და კორიბანტების, ჩვენი მარგალებისა და ქართუშების — ზოგადად პ როტოქართული მოდგმის —



ზღვა ხალხის სულიერების სივრცე.

ვინმე თევზაკი იოანი ერითრიის ზღვიდან გადმოვა მესოპოტამიის სამხრეთით და ადგილობრივ ველურ ტომებს განანათლებს დამწერლობით, მიწათქმომედებით, რკინის გამოდნობის საიდუმლოებით, როკვით და გალობით, ან მოახდენს მათ სინქრონიზაციას, გაწონასწორებას, ჰარმონიაში მოიყვანს ერთმანეთის მოჭიშპე ძალებს, შეათავსებს შეუთავსებლებს.

პროტოქართული ჯიშ-ჯილაგის მისია, დიახაც, შეუთავსებელ განზომილებათა შათსება გახლდათ პლანეტარული მასშტაბით. ჩვენს მოკლე ეპისტოლეში უფრო შთაბეჭდავად გამიჭირდა ბელეტრისტულ მატთანე „სუფევაში“, ამ გიგანტურ ექვსწიგნეულში გაფანტული მტკიცებულებების მეტადრე შეკუმშვა, სულ ეს მომიხერხდა ათწლეულობით ნარუდუნალის გამოწურვით, მაგრამ ვინაიდან მთელი სამყარო კონტინუუმი — სამერთვიანი დრო, აწმყო-წარსულ-მომავლის ჯამი და ვაჟის თქმისამებრ, ნებისმიერი აღძრული ბგერა, მოძრაობა, ფერი, რაკი მკვიდრად შაუნახია ჰაერს, ანუ სამუდამოდ აღბეჭდილა ბორჯალის გონსასიერო ფირზე, სხვა რა უფლება გვაქვს ერთხელაც არ დავვესხხოთ ჩვენი მასულდგმულებელი მაცხოვრის ნაბრძნობს: **არარაი დარჩეს დაფარულ!**

ასე რომ, ჩემო ლაზო ძმაო, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ, თუ გინდა ჯვარს ეცვი, თუ გინდა ჯოჯოხეთში გადავარდნილხარ, მაინც ვერაფრის დებით გაექ-ცევი ბედისმწერალს — ეს ყველაფერი სამყაროს შინაგანი კარნახითაა, უფრო სწორად უფლისეული ზემთაგონებით და არა მხოლოდ საკუთარი ავტონომიის მოპოვების ეგოისტური სურვილით — დიდებული ლათინურის ზეობის პირ ჟამს ტოსკანურ კილოზე ამღერდება კაჩიოს ბიჭი, ალიგიერი დანტე და საკაცობრიო ტრაგედიებს დააზოდებს „ღვთაებრივი კომედიის“ სახით. იტალიური ენაც ფაქტობრივად ამ მომენტიდან აიდგამს ფეხს რენესანსის სარბიელზე.

რა გაეწყობა, მსგავსი ტკბილ-მწარე ყისმათი დაბედებია პოეზიის მამფალ რაბინდრანათ თაგორსაც, როცა ლამის მილიარდიან ინდოეთს ციცქნა ბენგალიელების (30 მილიონი) ენაზე უწერს „მეზალეს“ თუ „გიტანჯალს.“

ვერარას მოიმოქმედებ, ამნაირი მოქროლევები დასჩემებია პროვანსულზე აკენესებულ მისტრალს შუაგულ საფრანგეთში.

რას ილონებ, რომელ საკირეთში გადავარდები ფშავურ კილო-კავზე ხარივით აბლავლებული ვაჟა-ფშაველას შემხედვარე?!

რას იზამ, ამდაგვირია შეუდარებელი ეთერ-დაის ოქროლილები პირველყოფილი თუშეთიდან.

თავს ზემოთ ძალა არ არის — ამისთანა გახლავთ გური ოტობაიას შემოქმედებითი სვეც, რომანებს, ესეებს სალიტერატურო ქართულით თხზავს, ჩემო ლაზო ძმაო, მაგრამ უნს მიერ სრულიად კოლხეთის საქვეთინოდ შემძრავ ჰოუნანას, დასაბამისეული მეგრულით და გვეიმედება, რომ პირუთვნელი დრო-ჟამი მეტის ლმობიერებით განსჯის ყოველივეს, რამეთუ **თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა და სიტყვა იყო ღმერთი იგი** — კირიბიში — ორქოშვ სარწუმისი — რწმენის წიგნი — ოქროს საწმისი — ჰოუნანა. ... აქვთ წიგნებს თავიანთი ბედი, ჩემო ლაზო, ძმაო, ჩემო ზოლამ ბერე, ჩემო ქაზიმ ქუიუნჯუ — ასეთია უცილობლად ჩვენი ნაგოლ-გოთარი „ჰოუნანაც“.

26. 05. 2008 წ.

სახელთა საძიებელი,  
ზენიზვნები და კომენტარები  
(ანბანური თანამიმდევრობით)

**აბაშა** — ეთიოპია.

**აბსრკილი** — აფხაზური ეპოსის გმირი, შვა ქალწულმა, გლეჯს გვიმრებს, ციდან ყრის ცეცხლით სავსე ტოპრაკებს, ებძვის ბოროტ ძალებს და ღმერთ ანცვას, კავკასიის პრომეთე.

**აგამეშნონი** — ტროის, ზღვა ხალხის წინააღმდეგ მებრძოლი ბერძნების გაერთიანებული ლაშქრის მხედართმთავარი, ატრევსის ძე, მენელაოსის ძმა, არგოსის მფლობელი, რომლის დედაქალაქი იყო მიკენი; აგა — ქიშის პირველი დინასტიის ბოლო მმართველი, უშუმერული ეპიკური პოემის პერსონაჟი.

**ათიონი, ათონი** — მზის დისკო; აქ — ქალაქი ათენი.

**აგვება** — ელადის მეფე, მისი საჯინბოები ოცდაათი წლის მანძილზე არ სუფთავდებოდა, ქვეყანა შეაწუხა ამაზრზენმა სუნმა. გაწმინდა პერაკლემ ერთ დღე-ღამეში.

**აგსტრი** — სამხრეთის ქარი.

**აია** — კოლხეთი, აიაია, აიეტის სამეფო; მისი ეპითეტია „ტიტ-ური“; იგი მიჩნეულია რამსეს II — სესოსტრისის დასახლებულად.

**აიაქსი** — ოილევის ძე, ტროას ომის ბერძენი გმირი.

**აიდი** — ჰადესი, საიქიო.

**აიეტი** — კოლხეთის მეფე, ჰელიოსის ძე, ქალკიოპეს, აფსირტესა და მედეას მამა, ფაეთონტის — აქციუსის ძმა.

**აიეტსე** — აიეტის ასული, აქ — ქალკიოპე.

**ალანი** — ოსი.

**ალექსანდროსი** — ტროას მეფის პრიამოსის და ჰეკაბეს ძე, ელენე მშვენიერის მომტაცებელი, პარისი.

**ამირანტა** — ამირანმთა, იგივე ამირანის ქური.

**ამირანი** — ქართული ეპოსის გმირი, დალისა და მონადირე დარჯელანის ძე, ღმერთის მიერ კავკასიონზე მიჯაჭვული ადამიანთათვის ღვთიური ცეცხლის მიწაზე ჩამოტანის გამო.

**ამუს** — ყვითელი რასა, დაბალი კატეგორიის ხალხი ეგვიპტეში.

**ამფორა** — ვაზების ტიპის ორყურიანი მსხვილი ჭურჭელი.

**ანტეოსი** — უძლეველი გმირი, ლიბიის ხელისუფალი, პოსეიდონისა და გეას ძე, პერაკლემ მიწას მოწყვეტილი ჰაერში დაახრჩო.

**ანისტორესია** — ისტორიის დავიწყება, საკუთარი მეობის თანდათანობითი წაშლა.

**ანდები** — მათა სისტემა სამხ. ამერიკის კონტინენტზე.

**ანცვა** — აფხაზების უზენაესი ღვთაება; ან — ცაა შუმერში.

**აპალაჩი** — მათა სისტემა ჩრდ. ამერიკის კონტინენტზე.

**აპოლონი** — ზევსისა და ლეტოს ძე, ხელოვნების მფარველი, ბერძნული პანთეონის უბრწყინვალესი ღვთაება. მისი ტაძარის შესასვლელზე ამოტვიფრული იყო: „შეიცან თავი შენი.“

**არამხუტუ** — ერემხუტუ, ბერძნული პრომეთეს ძველკოლხური დედანი; ერენი ქალაქია შუმერში, ხოლო უთუ — მზის ღვთაება.

**არაში** — აფხ. მერანი, რაში.

**არგო** — 50 ნიჩბიანი სწრაფი ხომალდი, რომლითაც ბერძნებმა იასონის მეთაურობით ოქროს საწმისი მოიტაცეს.

**არგონავტები** — ხომალდ „არგოს“ მეზღვაურები.

**არგოსი** — ფრიქსესა და ქალკიოპეს ძე, აიეტის შვილიშვილი.

**არიადნა** — მინოსისა და პასიფაეს ასული, შეუწყარდა თეზეესს, მოიტაცა კიდევ, მაგრამ ბოლოს დიონისეს დაუთმო, სანაცვლოდ შეერთო მისი და ფედრა.

**არტავაზდი** — სომხური ეპოსის გმირი, პაიკის შთამომავალი.

**ასი** — ასუ შუმერულში რვიანია, იგივე ღმერთის სიმბოლო; ეთიოპიის დედოფალი.

**ატლანტიდა** — მითიური კუნძული, რომელიც წყალში დაიძირა დედამიწაზე მომხდარი სტიქიური უბედურებისაგან. სოლონის ამ ცნობას ეგვიპტელი ქურუმების გადმოცემაკვებავს.

**ატრიდი** — ატრევის ძე, აგამემნონი.

**აფროდიტა** — ზღვის ქაფისგან შობილი, ზევსისა და დიონეს ასული, სრულყოფილი ქალური სილამაზის ეტალონი.

**აფსირტე** — აიეტისა და ნიმფა ასტეროდის ძე, ქალკიოპესა და მედეას ძმა, კოლხები სილამაზის გამო ბიძამისის მსგავსად ფაეთონტად მიმართავდნენ.

**აქილეუსი** — პელევსისა და ნიმფა თეტისას ძე, ტროას ომის გმირი, მოკლავს ორთაბრძოლაში გამოწვეულ ჰექტორს; განგმირავს პარისი ქუსლში ნატყორცნი ისრით, მედეას ქმარი საიქიოში.

**აქციუსი** — ჰელიოპოლისის დამაარსებელი, ბენ-ბენის ტაძრის მთავარი ქურუმი; კირკე ფაზის. ელის, პასიფაე — მინოსის დედოფლისა და აიეტ მეფის ძმა.

**აშლატინა** — დევის სახელია ამირანის ეპოსში.

**აპრიმანი** — ბოროტი საწყისი ირანელთა უზენაესი ღმერთის — აპურა მაზდას მიხედვით.

**ასა** — მეომარი, ი გივე ბეს; მთვარის სინონიმი.

**ბაირონი ჯორჯ ნოულ გორდონ** — ინგლისელი პოეტი (1788-1824) მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გამორჩეულია: „შილიონის

პატიმარი“ (1816), „მანფრედი“ (1817), „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“ (1812-18).

**ბაშლიმი** — ვაინახების მყინვარწვერი.

**ბეატრიჩა** — ბეატრიჩე, დანტე ალიგიერის გენიალური პოემის, „ღვთაებრივი კომედიის“ უმთავრესი სუბსტანცია უფლისკენ მიმავალ გზაზე.

**ბერანუნი** — ევფრატი, აქადურად — ფურათუ.

**ბეროსი** — ბაბილონელი მემატიანე ძვ. წ. აღ. (350-280).

**ბორჯღალი** — დრო-ჟამი. ბორჯღალი იგივე შუმერული სვასტიკაა, მზის მოძრაობის რვაბოლოიანი ნიშანი. დღემდე არსებული 7-ბოლო-იანი ეროვნული ბორჯღალი ეროვნული გრაფიკოსების ცდომილებაა.

**ბო ძიუი** — ტანის ხანის ჩინელი პოეტი (772-846).

**ბრისკიდა** — აქილევსის მხევალი, რომელსაც წაართმევს ტროის წინააღმდეგ საბერძნეთის გაერთიანებული ლაშქრის მხედართმთავარი აგამემონი.

**ბუდა შაკაა მუნი** — სხივოსილი, ერთ-ერთი გადმოცემით იგი გაუტამის ტომის მეფის შვილია (625-544 ან 550-480).

**გალათურა** — წყალი ცხოველი

**გალია** — მთლიანობაში განიყოფა სამ ნაწილად; ერთში ცხოვრობენ ბელგიელები, მეორეში აქვითანელები, მესამეში — კელტები. აქ — დღევანდელი საფრანგეთი.

**გელეები** — ირლანდიელების წინაპრები.

**გილგამეში** — შუმერული ეპოსის გმირი, ღმერთ-კაცი, რომელიც უკვდავებას ეძებდა.

**გრახალი** — ჯადოსნური ფიალა, პარციფალი

**გუდუას ცილინდრული წარწერები** — ენერგიული ენის სამშენებლო საქმიანობის წარწერა.

**დავითი** — ისრაელის გამაძლიერებელი, შურდულით მოკლა ფილისტიმელთა გოლიათი მეფე, მეფსალმუნე; ქრისტე მისი დინასტიის მესიაა.

**დანტე ალიგიერი** — ალონძინების ხანის იტალიელი პოეტი (1265-1321) უკვდავებას სიცოცხლეშივე ეზიარება პოემა „კომე-დიით“ (1307-21), ღვთაებრივი მოგვიანებით წაუმატეს მისმა ამხანაგებმა.

**დარჯელანი** — მონადირე, რომელიც დალის შეეუღლა და გაუჩნდათ დევგმირი ამირანი — ადამიანთათვის ღვთიური ცეცხლის ჩამომტანი ციდან.

**დიღმუში** — შუმერების სამოთხე, რომელსაც ოთხი მდინარე კვებას; დიღმუნი — მზის ამოსვლის მხარის ქვეყანა.

**დუქე** — ქმნადობის დარბაზი, სადაც სული ჩაედგა პირველ კაცსა და ქალს.

**ეგვიპტე** — „პტა-ს სულის კედელი“, ქვეყანა, სადაც ეთაყვანებიან ღმერთ პტა-ს, ისინი თავიანთ ქვეყანას „კემეტს“ „პტა-კემეთ“ ანუ „შავ ქვეყანას“ ეძახდნენ, განსხვავებით უდაბნოსაგან, რომელსაც „ღეშე-რეტ“ — „წითელი ქვეყანა“ ჰქვია.

**ეგისტორე** — ეგისტე, მიკენის მეფის თიესტეს და მისივე ასულის პელოპეას ძე; ეგისტე გამზრდელ ატრევესს მოაკლავს, მერე დაუახ-ლოვდება აგამემნონის ცოლს კლიტემნესტრას და მოღალატურად აბაზანაში ხარივით დაკლავენ ტროის ათწლიანი ომიდან გამარჯვებულად დაბრუნებულს.

**ედუბაში** — ფირფიტათა სახლი „ერთხელ, დიდი ხნის წინათ...“ — ასე იწოდება შუმერული პოემები.

**ეგრიპიდე** — ბერძენი ტრაგიკოსი, ძვ. წ. აღ. (480-404) „მედეას“ ავტორი.

**ესონი** — ესონი, იასონის მამა.

**ელენე** — ზევსის და ნემეზიდას ასული, მშვენიერი ქალის განსახიერება.

**ელი** — უფალი, ღმერთი, ცაბაოთი; დინგირ — ღვთაება შუმერულად, თენგირ — ღმერთი თურქულად.

**ელიონი** — ილიონი, ტროა.

**ელიოსის პოლი** — ჰელიოსის პოლი, მზის ღვთაების ქალაქი.

**ემეში** — შუმერ. ზაფხული.

**ენეასი** — ანქიზეს და აფროდიტე ძე, კრეუზას ქმარი, ტროას ომის გმირი, ლათინების კანონიერი წინაპარი.

**ენტენი** — შუმერ. ზამთარი.

**ეპისტროფთ** — ეპისტროფოსი, ტროას ომში მონაწილე კოლხების ლაშქარის ერთ-ერთი მხედართმთავარი.

**ეაინასი** — ჩეჩენ-ინგუში.

**ეილუშა, ეილუ** — ილიონი, ტროა ხეთურად.

**ეულკანი** — რომაელების ჰეფესტო, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი.

**ზარატუსტრა** — ირანელების ზოროასტრიზმის დამაარსებელი.

**ზეესი** — ბერძნების უზენაესი ღმერთი, კრონოსისა და რეას ძე.

**ზიუსუდრა** — ქურუმი შუმერში, რომელიც უკვდავებას ეზიარება.

**თებე** — ბერძენთა უძველესი ქალაქი ბეოტიაში; აქ — ეგვიპტური თებე — ტა-აპე — „პარამხანა“ ნილოსის ველზე.

**თეზეუსი** — ათენის მეფის ეგეოსის და ეთრას ძე, ბერძნების ეროვნული მერვე გმირი ჰერაკლეს შემდეგ, აპოლონს უძღვნა თეზისი — თმის კულუღი, მოიტაცა არიადნე, მაგრამ მასზე დანიშნულ დიონისეს დაუთმო.

**ზოდამ ბერე** — ლაზ. ზღვის შვილი

**თენგუს** — თეთრი რასა.

**თეტისა** — ნერევისა და ღორიდას ასული, პელევის მეუღლე, აქილეუსის დედა, „ვერცხლის ფეხებანიმფა.“

**თოთი** — თჰოთს, თჰოუთს, თუთა, მთვარე. ქართულში ძველ ეგვიპტეში ეძახდნენ მთვარის ქართას, წრეს. ქართულში იყო ფარაონის სახელზე შემოვლელი წრე, როგორც განსაკუთრებულის, გამორჩეულის აღმნიშვნელი და მფარველი. ქართა ქართულში შემორავებული ადგილია, ბაკი, ქალაქი, გამაგრებული პუნქტი. ტროაც ქართა იყო ერთგვარი. ხოლო ქართველი — ყველაფერი ამის შემცნობელი, წარმართველი და მესიაა.

- თურფალი** — ნართების ეპოსში ზღაპრული ცხენი.
- იდა** — მტაცებელი ფრინველი ნართების ეპოსში.
- იბერია** — იბ — ცეკვა. იბერია, ბერიკა.
- იასონი** — ესონისა და ალკიმედეს ძე.
- იესო** — ქრისტე, ნაზარეთელი, განკაცებული და ჯვარზე გასული ადამიანთათვის, სიკვდილითა სიკვდილის დამორგუნველი.
- ილიონი** — ტროა.
- იმპუ** — ანუბისი, არარა.
- იოანე-ზოსიმე** — ავტორი მესიანისტური ძეგლისა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, X ს. ბერი.
- იონა, იოანი** — „იონი ბრძენი“ ბეროსის, III საუკუნის ბაბილონელი ისტროკოსის მიხედვით, მითიური არსება — თევზკაცი, რომელიც გამოჩნდა ერიტირის ზღვაში წარღვნის დღეებში; რამდენიმე დღის შემდეგ მობრუნდა, ადამიანები დაასახლა ზღვის ნაპირას, ასწავლა წერა-კითხვა, ხელოსნობა, მიწათმოქმედება, ქალაქის მშენებლობა, ტაძრების აგება.
- იოჰანი ვოლფგანგ გოეთე** — გერმანელი პოეტი (1749-1832) სახელი გაითქვა ეპიკური ტილოთი „ფაუსტი“ (1808-31).
- იუბიტური** — მზის სისტემის მეხუთე პლანეტა.
- კა** — ადამიანის ორეული სული.
- კალქანტი** — ბერძენი მისანი, მარჩიელი
- კემი** — „კემეტ“ შავი ქვეყანა, ეგვიპტის სინონიმი.
- კენტაური** — ცხენ-კაცი.
- კირკე** — ჰელიოსის და პერსეს ასული, აიეტისა და ჰეკატეს გრძნე-ული და. მას თავისი ეტლით მამა ჰისპერიაში გადაიყვანს.
- კიტისორე** — ფრიქსესა და ქალკიოპეს ძე.
- კესანა** — დონ კიხოტი, ესპანელი მწერლის მიგელ დე სავადრა სერვანტესის (1547-1616) ამავე სახელწოდების გენიალური რომანის (1605-15) გმირის სახელი მოგზაურ რაინდად კურთხევამდე.
- კოლოზანი** — კუნძული პალიასტომის ტბაში.
- კოლხი** — ფაზისოსის ძე, ჰელიოსის შვილიშვილი; აქ — აია; კოლხიტები ფარაონებს აპატიონებენ რომან „ფარაონში“.
- კორინთო** — საბერძნეთის ქალაქი.
- კრონიდი** — კრონოსის ძე, ზევსი.
- ლაბირინთი** — მითიური ხელოვანისა და გამომგონებლის მიერ აშენებული კუნძულ კრეტის მეფის მინოსის სასახლე. მისი ოთახები ისე განელაგებინა ხუროთმოძღვარს, რომ შიგ შეღწეული ადამიანი უკან ვერ იგნებდა გზას. თეზევსმა არიადნეს მოცემული დედალოსის ძაფის გორგალით შეძლო იქ შესვლა, მინოტავრის მოკვდინება და უკან დაბრუნება.
- ლაზარე** — დარისა და ავდრის წარმართული ღვთაება; „სახარებაში“ —

მარიამისა და მართას ძმა, რომელიც მოკვდა და იესომ გააცოცხლა. აქ — ლაზეთი, კოლხეთი, საქართველო ზოგადად.

**ლაზები** — კოლხური ტომი, ამჟამად ცხოვრობენ აჭარასა და თურქეთის ტერიტორიაზე.

**ლატინი** — ლათინი.

**ლეო** — დავიწყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში. „ლეტეფ“ — მორწყვაა ეგვიპტურად, ლეტა ტალახია მეგრულში.

**ლიგრიონი** — აქილევსი, „უჭმელი“.

**ლირნესი** — მიზიაში, ბრიზიედას ქმრის სატახტო ქალაქი, დაანგრია აქილევსმა.

**ლოკი** — ცეცხლის დემონი, ცბიერი, მუხანათი, ბიულეისტის ძმა, ქვეყნიერების დასასრულის ღმერთი, ოდინის საპირისპირო ძალა; .

**მათე** — „სახარების“, ოთხთავის ერთ-ერთი ავტორი.

**მაია** — ჰერმესის დედა; ჯადოქრული გარდასახვის უნარი ინდურ მითებში; ატლანტისა და პლეიონეს ასული; აქ — მექსიკელ ინდიელთა ცივილიზებული ტომი; მათი უმთავრესი სალოცავი ტაძარია იუკატანი.

**მანცხვარკარი** — მაცხოვრის კარი, ეკლესია ზუგდიდში

**მარგალი** — კოლხური ტომის, მეგრელის, თვითსახელწოდება.

**მარიამი** — ღვთისმშობელი, იესო ქრისტეს დედა.

**მართა** — ლაზარეს და „სახარების“ მიხედვით

**მარსი** — მეოთხე პლანეტა მზის სისტემაში, მარიხი, მისი ზედაპირი რკინის ქანგულითაა დაფარული, მოჩანს წითლად; ამიტომაც უკავშირებენ ომების ბერძნულ ღმერთს არესს. მარსი რომის დამაარსებლების რომულუსისა და რემუსის მამაა

**მარონი პუბლიუს ვერგილიუსი** — ავტორი პოემისა „ენეიდა“ (70-19) ქრისტემდე.

**მაუი** — ცეცხლის ღვთაება პოლინეზიაში, „ოკეანიის პრომეთე“.

**მაქაინი** — ასკლეპიოსისა და ეპიონეს ძე, ტროას ომის მონაწილე, უბადლო დასტაქარი, პარისის დაჭრილს ნესტორი გადაარჩენს. თურმე მისი სამარის მიწის შეხებაც კი სნეულებს კურნავდა.

**მედეა** — აიეტის გრძნეული ასული, ქალკიოპესა და აფსირტეს და, იასონის მეუღლე

**მედესი, მედესელები** — ჰერაკლეოპოლისის მკვიდრნი, მათ გერბზე გამოხატული იყო დელფინი და წინარე ხე.

**მელასი** — ფრიქსეს და ქალკიოპეს ძე, აიეტის შვილიშვილი.

**მემფისი** — „მენფემ“ კობტურად მეფეა. აქედან მემფისი — მეფეთა რეზიდენცია.

**მენელაოსი** — სპარტას მეფე, ატრევსის უმცროსი შვილი, აგამემნონის ძმა, ელენე მშვენიერის ქმარი, ასულ ჰერმიონეს მამა

**მერკური** — მზის სისტემის პირველი პლანეტა

**მესისი** — არარატი.

**მიკენი** — ქალაქი საბერძნეთში, აგამემნონის სამფლობელო.

**მინოსი** — ზევსისა და ევროპეს ძე, პასიფაეს ქმარი, არიადნეს, ფედრას, დეკალიონის, ანდროგეოსის, ევრომედონტის, ქრისეს, ნეფთა-ლიონის მამა, რადამანთოსისა და სარპედონის ძმა.

**მინოტავრი** — „მინოსის ხარი“, კაცის ტანიანი და ხარის თავიანი ურჩხული, რომელიც პოსეიდონის ხართან შეწყვილებულმა პასეფაემ შვა. ლაბირინთში დაბმული მინოტავრი ქალ-ვაჟებით იკვებებოდა. მოაკვდინათ ზევსმა კომბლით.

**მისტრალი** — ქარი.

**მპერი** — სომხური ეპოსის გმირი.

**ნაგარ** — დურგალი უმერულად.

**ნართები** — კავკასიური ტომები, „ნართი“ განაყარია მეგრულში

**ნასრენ უაკე** — ყაბარდოელების პრომეთე.

**ნასჩოუ** — კავკასიური ტომი.

**ნეპტუნი** — ლათინების ზღვის ღვთაება, ბერძნებისათვის — პოუსიდონი; აქ — მზის სიტემის მერვე პლანეტა.

**ნესსუ** — შავები, ნუბიელები. დაბალი კატეგორიის ხალხი. უმადლესი რანგის ადამიანებად ეგვიპტელებს მიაჩნდათ ფარაონების მასალა, იგივე ღმერთების ცომი — კემის ხალხი.

**ნილოსი** — ხაპი, „დიდი ჰაპი“; „ეგვიპტე ნილოსის წყალობა“ ჰეროდოტეს მიხედვით

**ნინ-თი** — თი — ნეკი, **ნინ-თი** — სიცოცხლის მომცემი ქალქათონი „შენთვის მიშობია ქალღმერთი ნინ-თი“.

**ნინო** — ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (IV ს. 30-იან წ.) წარმოშობით კაპადოკიელი ბერძენი, ვაზის ჯვრით მოაქცევს წარმართ ქართველებს.

**ნიფური** — დიდი მთის, ენლილის საწმინდარი ადგილია.

**ნიში** — ფარაონების ციური ნავი. **ნუ-მტ** — ნავი, ოსირისის პერსონალური საღვთო ხომალდი. აქ საყურადღებოა ქართული „ნიშატი“-სა და „ნეშტი“-ს თანხედრობა ზემოთ მოხმობილთან.

**ნოე** — ნეთ — ნოე, ნოი, ციური ძროხის იპოსტასი, იგივე კილობანი და სამყაროს გადარჩენა ბიბლიური ვერსიით.

**ნომასეები** — ვინც არხებს თხრიდა ძველ ეგვიპტეში, ნომების მმართველი, სეპატი — ეგვიპტურად.

**ნომები** — ეგვიპტის ოლქის ტომები.

**ნუსი** — რამსეს II ასული, ოდოიას მეუღლე; ქალღმერთი. ძროხის სახეს იღებდა და შობდა მზეს. ახალშობილი მზე იყო ოქროს ხბო. ეს გადმოღებულია ებრაელების მიერ ოქროს ხბოს გამოძერწვის სცენაში მოსეს ქანაანისკენ მსვლელობის ყამს. ამასთან ნიშანდობლივია, რომ „მზეს“ მეგრულში „ბჟა“ ჰქვია, აგრეთვე — ძროხის რძესაც. ნოთე — სინათ ლეა მეგრულში.

**ნუნისი** — ნუნ — წყლის ქაოსი. ნუნ წყალია შუმერში. გვაქვს საქართველოში საკულტო ადგილი ნუნისი ბერთაკლდეზე, ლიხის ქედი; იგი მეთოთხმეტე ასონიშანია ასომთავრულში გრაფემით — **ნ**.

**ოდი, ოდიოსი, ოდოია** — აიეტის შვილიშვილი, აფსირტესა და ჰალიძონების მთავრის ასულის, ჰანანის ძე.

**ოდისე** — ოდისეესი, ითაკას მეფე, კლიტემნესტრას ქმარი, ცბიერების განსახიერება.

**ონი** — ჰელიოპოლისი ბერძნულად. ონი მზის საკულტო ქალაქია საქართველოში. შუმერში მას შეესაბამება ნიფური. ჩინეთში — ტიბეტი. „ტი“ იგივე „ონი“ მეგრულში — ცური, რაც გაიგივებულია მზის სიმბოლიკასთან, ხოლო „ბეთ“ — სახლი ებრაულად — **ღ**.

**ორფეოსი** — ორფეესი, თრაკიელი მგოსანი, ოქროს საწმისის მოსატაცებლად კოლხეთში მოლაშქრე არგონავტი.

**ორქოშენი** — ქალაქი ბეოტიაში.

**ოსირისი** — ფსირილთა, მკვდართა ღმერთი. „შენი არსი ოსირის, უფრო ბნელია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ღმერთის არსი.“ წკვარამი. უმაღლესი კატეგორიის შავეთი.

**ოჩოპინტრე** — მეგრ. ვაცკაცი, ოჩოპინტრე, ოჩოკოჩი, კენტავრის ნაირსახეობა.

**პალიასტომი** — ტბა დას. საქართველოში.

**პარისი** — ალექსანდროსი, ტროას მეფის პრიამოსის ძე, ელენე მშვენიერის ქმარი, ჰექტორის ძმა.

**პასიფაე** — კრეტის მეფის მინოსის მეუღლე, ჰელიოსისა და პერსეიდას ასული, კირკეს, ჰეკატესა და აიეტის და, ანდროგეას, მინოტავრის (ეყოლა პოსეიდონის ხარისაგან) ფედრასა და არიადნეს დედა.

**პატროკლე** — მენეტეოსის და სთენელეს ძე, ტროას ომის მონაწილე, აქილევსის მეგობარი, მოკლა ჰექტორმა.

**პელია** — პელეესი, პელაზგური ტომის — მირმიდონელების ბელადი, ფთიის მეფე, რომლისგან ზღვის ქალღმერთ თეტისასთან შეეძინება აქილევსი — ტროას ომის გმირი.

**პერუნი** — ჰეჰა-ქუხილის ღმერთი ძველ სლავებში.

**პირამიდა** — მონუმენტური არქიტექტურული ნაგებობა, ფარაონების უკვდავსაყოფი აკლდამა

**პოლინეზია** — კუნძულები წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში: ტონგი, ჰავაი, ტუვალუ, ტიკელაუ, სამოა და სხვ. ვულკანურ-მარჯნული წარმოშობისა, მთიანი, ცეცხლოვან მიწსაც უწოდებენ.

**პრიაპე, პრიაპოსი** — ტროას მეფე, ჰექტორის, პარისისა და კასანდრას მამა.

**პრომეთე** — ჰიპერიონის, იპერიონის შვილი, ფანავის კლდეზეა მიჯაჭვული კოდორის ხეობაში.

**პტა-სი** — „პტა“ ეგვიპტის სახელმძღვანელო ლმერთია, „ხი“ უამრავი პრიზმით — შობაა, რაც მთლიანობაში „პტა ლმერთის ნაშობს“ ნიშნავს.

**რა** — მაჯეთ (დღე) მესქეთ (ღამე), მზის ღვთაება, ამონ-რას საღვთო ცხორველია ვერძი.

**რამზეს II** — ეგვიპტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფარა-ონი, „დიდ რამსესად“ წოდებული (1290-1223) ილაშქრა კოლხეთში, ოქროს საწმისის მოტაცებისა და ტროის დაცემის შემდეგ.

**როკაპი** — კუდიანი, ავსული დედაკაცი ქართულ ფოლკლორში.

**რუსთაველი** — შოთა რუსთაველი რენესანსის გენიალური პოეტი, რომლის კალამს ეკუთვნის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

**სა** — იგივე ეგვიპტურად, რაც Son, შვილი, ძე თუ ასული.

**საბა** — კუზიანი მკურნალი აქციუსის კარზე.

**სათა** — ფრინველი, ჩიტი ავარიულში.

**სამოსიო** — სამეზობლო

**სარკოფაგი** — „სარკო“ სასწაულია მეგრულში, „ფაგი“ ჭამაა ბერძნულად. სარკოფაგი შესაძლებელია გაიშიფროს, როგორც სასწაულის მჭამელი, სასწაულის შემნახველი, ფარონის მუმის საცავი.

**სასრიყა** — ოსური ეპოსის გმირი, პრომეთეს ნაირსახეობა.

**სახელგ ხოლო უშქურნაფუ ბჯოსო!** — სახელიც ხომ უშიშარი მჭვია! — იგულისხმება გური ოტობაიას საპასპორტო სახელი გულადი (რედ.).

**სიელა** — ნართების უზენაესი ღვთაება.

**სიმუგ** — მჭედელი შუმერულად.

**სიფა** — მწყემსი შუმერში.

**სკამანდროსი** — მდ. ტროის ველზე, სიყვითლის გამო ქსანთოსსაც ეძახდნენ, შიგ ჩავარდნილი ცხვრის საწმისი იღებებოდა.

**სკვიტები** — სკვიტევის, ჰერაკლესა და ექიდნეს ძე, რომელიც მიჩნეულია ძველი აზიური მომთაბარე სკვიტების მითიური ტომების წინაპრად, აღმართავდნენ ყორღანებს; მათი მონათესავე ტომები იყვნენ სარმატები, რომელთაგან წარმოსდგნენ ალანები და ირანული წარმოშობის ოსები.

**სკილა** — ზღვის ურჩხული; აქვს 12 ფეხი და 6 გველური თავ-კისერი.

**სმირნა** — ქალაქი დას. თურქეთის ტერიტორიაზე. დაარსდა II ათასწლეულში, ბერძენ-ეოლიელთა კოლონია. დაანგრია ლიდის მეფე ალექტემ. მოგვიანებით ეწოდა იზმირი.

**სნო** — წრე; შუმერ „მარ“.

**სომეხი, სომხეთი** — არმენი, არმენია მათ ეწოდათ მერვე საუკუნიდან არაბების მიერ ქრისტეს აქვთ, იგივე ჰაიასტანი.

**სპარტა** — ლაკედემონი, ქ. პელოპონესში. ტირეტეოსი სპარ-ტელეებს ჰერაკლეს შთამომავლებად მიიჩნევს; ელენე მშვენეირის სამშობლო.

**სპილო** — ბატონ ოთარ ჭითანავას მეტსახელი (რედ.).

**სოდომი** — ბიბლიაში ორ ქალაქს იორდანეს შესართავთან, სოდომს და

გომორს, გარყვნილობა-ზნედაცემულობისათვის, ღმერთი აწვიმებს წუნწუმას და ცეცხლს, ცოცხალი არავენ გადარჩება ლოთის გარდა.

**სტიქი** — ქვესკნელის საზარელი მდინარე, რომელიც შვიდგზის უვლის ჰადესს.

**სუ ასტ** — სანსკრიტულში „სიკეთე არს“, სვასტიკა, ბორჯღალი.

**სფინქსი** — „მუღმივი“, იდუმალებით მოცული დემონური არსება, ლომის ტანისა და კაცის თავის ქვის მონუმენტური ქანდაკება, ძალაუფლების უზენაესობისა და ფარაონების დაცვის სიმბოლო.

**ტაბაკონა** — ალქაჯების თავშესაფარი ადგილი ურთის მთაზე დას. საქართველოში.

**ტიბეტი** — „ტიბ“ თბილია მეგრულში, აგრეთვე ტიბეტი შესაძლოა გაიმიფროს, როგორც „ტი-ბეთ“, — ცური-სახლი, მაწოვარი დედა — ალმა მატერ, მეგრულ-ებრაულად.

**ტორნადო** — ქარბორბალა, ბორიაცი აფრიკის კონტინენტზე.

**ტროა** — ილიონი, ზღვა ხალხის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი.

**უინაფიშიში** — ზიუსუდრას მეტსახელი შუმერში, უკვდავებას მიღწეული ერთადერთი ძეხორციელი.

**უუა** — ფჰარმათის დამტყვევებელი ნართების ეპოსში.

**ურანი** — მეშვიდე პლანეტა მზის სისტემაში.

**ურთა** — მთა დას. საქართველოში.

**ურია** — ებრაელი.

**ურიტი** — ეტლი ეგვიპტურად.

**ურუმი** — კოლხები ურუმებს ეძახდნენ დაბალი განვითარების ხალხს, როგორც მოგვიანებით ელინები დანარჩენ მსოფლიოს — ბარბაროსებს.

**ურუქი** — დღევანდელი ვარქა.

**ურუქაგინა** — ხალხის ქომაგი, არამხუტუს წინამორბედი.

**ურადარაბი** — მეგრ. შაფროხიანი, გველი.

**ფაეტონი** — ფაეთონი, ჰელიოსის და კლიმენეს ძე, მამას მისივე ეტლით გასეირნებას სთხოვს. ფიცხი ცხენები გაიტაცებენ ფაეტონს. ქვეყნიერება რომ არ მოისრას, ჰელიოსი იძულებულია ეტლს მეხი სტყორცნოს და შვილთან ერთად გაანადგუროს.

**ფაზისი** — კოლხეთის უმთავრესი მდინარე, რიონი.

**ფალოსი** — ნაყოფიერების ღვთაება, „დეფუს-ფალიკუს“ — ღმერთი-ასო და „ლონგა-იონი“ — საშო.

**ფანავი** — ერთ-ერთი ვერსიით მთა კოდორის ხეობაში, რომელ- ზედაც მიჯაჭვული იყო პრომეთე.

**ფარაონი** — ეგვიპტის მეფე. სიკვდილის შემდეგ ფარაონი ღმერთად იქცეოდა.

**ფაუსტი** — იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ამავე სახელწოდების თხზულების გმირი.

**ფერ-აა** — პერ-აა — „სახლი დიდი.“ აქედან ბერძნულის მეშვეობით „ფარაონი“.

**ფირდოუსი** — ჰაქიმ აბუ ლ-ყასიმ ტუსი (934/940—1020-1030) სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი. დაიბადა ქ. ტაბარანის მახლობლად ტუსის ოლქში, ხორასანი. ავტორი მონუმენტური ეპიკური ტილოსი „შაჰ-ნამე“ (მეფეთა წიგნი).

**ფრიქსე** — ათამანტისა და ნეფელეს ძე, ჰელეს ძმა. ათამანტი მოკვდავ ინოს შეირთავს. ის კი გერებს შეიძულეებს. მოსყიდული ორაკულს დაი-მოწმებს და ღმერთი ფრიქსეს შეწირვას ითხოვს, იცრუებს. ბიჭუნას მიიყვანენ საკურთხეველთან, მაგრამ ამ დროს ნეფელე ღრუბლებს შემოახვევს, ოქროს საწმისიან ვერძს მიჰგვრის და კოლხეთისკენ გაისტუმრებს. ჰელე გზაში დაიღუპება, ხოლო ფრიქსეს აიეტი საკუთარ ასულს, ქალკიოპეს მიათხოვებს ცოლად; არგოსის, მელასის, ფრონ. ტისისა და კიტისორეს მამა.

**ფრონტისი** — ფრიქსეს და ქალკიოპეს ერთ-ერთი ვაჟი.

**ფხარმათი** — ნართების, ვაინახელების ეპოსის გმირი, კავკასიელი პრომეთე.

**ქალკიოპე** — აიეტის უფროსი ქალიშვილი, მედეასა და აფსირტეს და, ფრიქსეს მეუღლე.

**ქარიბდა** — მესინის სრუტეში სკილას საპირისპირო მხარეს მობინადრე ზღვის ურჩხული

**ქარმატე** — ლაზ. წისქვილი.

**ქარონი** — ერებოსისა და ნიქსის ძე, ქვესკნელის ბებერი მენავე, მიცვალებულების სულელები გადაჰყავდა ნავით ანგარებიანს.

**ქი-ენ-გი** — შუამდინარეთის ტერიტორია. მეფეთა სიების მიხედვით შუმერის უძველეს ქ. ერიდუში პირველად დაეშვა ციდან სამეფო ხელისუფლება. შუამდინარეთში წარღვნა 7 დღე-ღამეს გრძელდებოდა. აქადურის მიხედვით 12 დღე-ღამეს, ებრაელებმა 150 დღე-ღამემდე გაჭიმეს.

**ქირონი** — ბრძენი კენტავრი, ჰერაკლეს, იაზონისა და აქილეესის მასწავლებელი

**ქრისე** — აპოლონის ტაძრის ქურუმი, ქრისეისის მამა; აგრეთვე — ამ სახელწოდების კუნძული და ნავსადგური ტროაში.

**ქრისეისი** — აპოლონის ტაძრის ქურუმ ქრისეს ასული, იგივე ელხე.

**ქრისტე** — იესო ნაზარეველი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი.

**ქურგარა** — მტვერი მოილო; ქური — აიდი, შეორლი (ძვ. ებრ.) საიჭიო. მკვდარ სხეულს სამსჭვალზე კი დებდნენ, კოლხები ნორჩ ხეებს მოდრეკდნენ და ხარის ტყავში გახვეულ მამაკაცის ნეშტს მზისკენ ასწევდნენ ხოლმე. როცა ხორცი ძვალს განეშორებოდა, ძვალს კარგად გაწმენდნენ და აკლდამაში ჩააწყოვნენ. დედაკაცს ქვევში მარხავდნენ. აქედან კარგად ჩანს კოლხურში მამრის პრივილეგიები. ისინი ხარს განადიდებდნენ, რომლის რქა გაიგივებული იყო ახალ მთვარესთან. წმინდა ფური ეგვიპტურში მათი მაწოვარი დედაა.

ესპანელები ბრძოლა ხართან ასახავს პროტოქართული სივრცის დაურკვებას ინდო ევროპულის მიერ.

**დიღლა** — კავკასიური ტომი.

**ყებური** — ებრაელი.

**ყურმა** — ამირანის ძალი.

**ყუმიტები** — ეთიოპური ტომი.

**შარაშხე** — შარაშიების, შერვაშიძეების ასული

**შექსიური უჯლიამ** — ინგლისელი დრამატურგი და პოეტი (1564-1616) მისი გამორჩეული ტრაგედიებია: „ჰამლეტი“ (1601), „ოტელო“ (1604), „მეფე ლირი“ (1605).

**შტაინერი რუდოლფ** — გერმანელი ფილოსოფოსი, მისტიკოსი და ანტროსოფიის დამაარსებელი (1861-1925) იგი ატლანტიდას ლუმერულ ცივილიზაციად ნათლავს.

**შუმერი** — ლერწმის მეუფე მიწა, შავთმიანების მოდგმა, საიდანაც წარმოიშვა ქვეყნიერების პირველი ცივილიზაცია.

**შურუბუშუ** — მღვიმე დას. საქართველოში.

**ჩინელი, ჩინეთი** — ქვეყანა აზიაში, ზოგი ვერსიით ცივილიზაციის აკვანი.

**ცარაბათუ** — სამოთხის ხე შუმერში.

**ცაცი** — ხელის ჩამორთმევის პომპეზური ფორმა გვიანდელ სამეგრელოში. ჭერ სალოკს და ნეკს შეახებდნენ ერთმანეთს, შემდეგ ცერებს, ბოლოს გაშლიდნენ ხელისგულს და ისე ჩაეზდრასტებოდნენ.

**ცერბერი** — კერბერი, ტიფონისა და ექიდნეს ნაშიერი, ჰადესის სამთავიანი და გველის ფაფრიანი ძალი.

**ცილიკინი** — მაიას ცივილიზაციის მთვარის კალენდარი, რომელიც შედგება 260 ელემენტისაგან (**13 X 7 X 20**).

**ქერათა სტელა** — ვანათუმას საბრძოლო ამბებია აღწერილი.

**ძიქვა** — მეგრ. შვარვალი

**წათე** — ფარაონის ნაცვალი ეგვიპტის სახელმწიფოში.

**ხაიამი თმარ** — დიას ალ-ადინ აბუ ლ-ფათჰ იბნ იბრაჰიმ ნიშაბური (1048-1122) სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი. წერდა არაბულ ენაზე ტრაქტატებს მეცნიერების სხვადასხვა დარგზე. ფილოსოფიაში აგრძელებდა არისტოტელესა და იბნ სინას იდეებს.

**ხალიბუ, ხალიბუბი** — პირველი მეტალურგი ქართველური ტომი.

**ხაში** — „დიდი ჰაბი“, ნილოსის სინონიმი.

**ხარანი** — ძველი ქალაქი ჩრდ. მესოპოტამიაში; საკრალური ადგილი რიკოთის უღელტეხილზე.

**ხეთა** — სოფელი ხობის რაიონში.

**ხეთები, ხეთური** — სახელმწიფო მცირე აზიაში.

**ხორი** — ოსირისის ძე, რომელსაც ქართულს დაადგამს თავზე თოთი;

შემოქართული, შემოგალავნებული. ხორ-ონთი— დორ-ონ-თი. „ხორ“ რას შვილია. მერეთში ხორს თავს დაესხმება სეტი. ბოლოს სძლევს ხორი. O-მერეთის „ღ-მერეთი“-დ, ღმერთად წაკითხვა გვიანდელი აპერიოდისაა.

**ხუეაგა** — ურჩხული შუმერულ მითოლოგიაში.

**ჯაია** — ნატურის ხე სანსკრიტულად; ჯად — ჯა, ხე, იგივე ფალსი, იმედის ხეა შუმერულში; ჯა — ხეა მეგრულში; ოხორჯა დიასახლისია ლაზურში; ქალიშვილის გვარს „ხე“ ემატება მეგრულში — მაგ.: „ჰალიძონხე“, რაც ნაყოფიერების სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული.

**ჰადესი** — კრონოსისა და რეას შვილი, „შავეთის ზევსი;“ აქ — საიქიოს სამეფო.

**ჰალიძონები** — კოლხური ტომები, რომლებიც მეტალურგიას მისდევდნენ ხალიძების მსგავსად.

**ჰანანი** — ჰალიძონების ბელადის ქალიშვილი, ოდოიას დედა.

**ჰარპიები** — ფრთოსანი მტაცებელი ურჩხულები: კელენო, აელო და ოკიპეტე.

**ჰეატე** — პერსეს და ჰელიოსის ასული, აიეტისა და კირკეს და.

**ჰელიოსი** — ელი, ღმერთი. „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანია — უფალო ჩემო, უფალო ჩემო, რისთვის დამიტევებ მე.“ ელ-ოჰიმ, ელია, ელინი, ჰ ელენე, ელ დო ვალი, უმაღლეს სუბსტანციასთან დაკავშირებული განზომილებებია.

**ჰერაკლე** — ზევისისა და ალკმენეს ძე, ჩაიდინა თორმეტი გმირობა, მამის უკითხვად მონობის ბორკილებისაგან ახსნა კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე.

**ჰესიონე** — ტროას უნდო მეფის ლაომედონტის მშვენიერი ასული, პრიამოსისა და ასტიოქეს და. მსხვერპლშეწირვისაგან იხსნის ჰერაკლე, მაგრამ სანაცვლოდ ვერ მიიღებს აღთქმულ გასამრჯელოს — რაშებს. გაიმართება ბრძოლა. ჰერაკლე ტროაში პირველად შეჭრილ ეაკის ძეს, პელევსის ძმას, ტელამონს ცოლად მისცემს ჰესიონეს.

**ჰეფე** — ჰეფესტო, მჭედლობისა და ცეცხლის ღმერთი საბერძნეთში. ჩანს, ქალაქი ფესტოსი მის სახელს უკავშირდება.

**ჰიპალია** — მთათა სისტემა აზიის კონტინენტზე.

**ჰომეროსი** — კაცობრიობის უდიდესი პოეტი, ბრმა აედი, რომლის პოემებს — „ილიადას“ და „ოდისეას“ ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევენ ესთეტიკოსები, IX-VIII ს. ძვ.წ. აღ.

**ჰუმმ, ჰუმუ** — ადამიანი, კაცი, მუშია, წინაპარი; „რემეჩ“ — ადამიანი — ეგვიპტელის სინონიმი.

## სარჩევნი

ძირბი	პირველი
	(ლექსები)
ქართულ-ლაზური ანბანი —	<b>04</b>
ჭიჭე ფარა — პაწა ფული —	<b>006-007</b>
გეფრჩქინექ უჩხონჩხე — გავჩენილვარ უჯიგრო —	<b>008-009</b>
შურიშლაფა — სულთახდომა —	<b>010-011</b>
ნანაია — დედო —	<b>012-013</b>
მაფშალია —	<b>014-015</b>
დებჯერა?! — დავიჯერო?! —	<b>016-017</b>
ქაზიმ ქუიუნჯუს —	<b>018-019</b>
ჯარშა ვაზარენთ უკლაშე ჯიმას —	
ჯარში ვაცილებთ ნაბოლარა მმას —	<b>020-021</b>
ქა-შქვილი დო ქა საგანი — მშვილდ-ისარი —	<b>022-023</b>
დამორჩილი — შემოდგომა —	<b>024-025</b>
პოი, ბირა, მაჭუალი! — პოი, მწველო სიმღერებო! —	<b>026-027</b>
გვიმარა — გვიმარა —	<b>028-029</b>
გურშა ქომიხუტოლეთ — გულში ჩამიხუტუნეთ —	<b>032-033</b>
კვინჩა — სკვინჩა —	<b>034-035</b>
ცათე ძლაბი — ეს გოგონა —	<b>036-037</b>
სისმარი — სიზმარი —	<b>038-039</b>
ბალანობა გიმაშინე ჩქინი —	
სილმაწვილე მახსენდება ჩვენი —	<b>040-041</b>
ელხე —	<b>042-043</b>
თე გურცალო... — ამ გულივით... —	<b>044-045</b>
აკა მუშენ ვემირულექ?! —	
რად არ მორბი, სანატრელო?! —	<b>046-047</b>
მალას მორთი! — ჩქარა მოდი! —	<b>048-049</b>
თოლგ ბწყურადა... — თვალს თუ ვხუჯავ... —	<b>050-051</b>
ნერჩი — ფუძის ანგელოზი —	<b>052-053</b>
მამლა — მამილა —	<b>054-055</b>
ძიკვა —	<b>056-057</b>
არდა —	<b>058-059</b>
ჭიჭა ხარჩილა — ჭიჭა ხარჩილავა —	<b>060-061</b>
წყონდა ვორექ... — ანკარა ვარ... —	<b>062-063</b>
სახიოლო — სამხიარულო —	<b>064-065</b>
გესერელ ბორჯიშე ობირეში —	
შელამებული ჟამის სიმღერა —	<b>066-067</b>
ოღიარე — ბალახი —	<b>068-069</b>
ეჩლოშქვითი ჩილამური — ოცდაშვიდი ცრემლი —	<b>074-075</b>
ქეჭეთობა — ჭიკოკონა —	<b>076-077</b>
სონგ ხანი რე — რა ხანია —	<b>078-079</b>
გემცადიაშე ჭიანა — მომიცდიდეს ქვეყანა —	<b>080-081</b>
ზანური ნანაია — ზანური იავნანა —	<b>082-083</b>
ხაჯალური —	<b>086-087</b>
სონეტი ბუტუტის — სონეტი ჭიანჭველას —	<b>090-091</b>
სონეტი როკის — სონეტი ძელქვას —	<b>092-093</b>
სონეტი ლანდაფას — სონეტი მოლანდებას —	<b>094-095</b>

სონეტი ელულას — სონეტი დასავალს — **096-097**  
 სონეტი ეკოთანას — სონეტი შემოთენებას — **098-099**  
 სონეტი ქაზიმ ქუიუნჯუს — **100-101**  
 სანდრა-ელისაბედ რულოვსს — **102-103**  
**პირბი ვეორა**  
 (ბალადები)  
 დადია — **106-107**  
 პაპანწყვილი — **114-115**  
 ხუმუშგ ქური — ხუმუს ქუსლი — **130-131**  
**პირბი ვესავე**  
 (პოემა)  
 ოშქარ ანდერზი — შუალა ანდერძი — **150-151**  
**პირბი ვეოთხა**  
 (ეპოსი)  
**ოღოია** — **192-193**  
 მიძღვნა — **192-193**  
 ოდა პირველი. დუდიშ გოქყოლადა — ანისტორესია — **196-197**  
 ოდა მეორე. ინჭაშა ენულა. — ჭაში ჩასვლა — **370-371**  
 ოდა მესამე. ზღვაშ კათა — ზღვის ხალხი — **544-545**  
 სამარადისო **Essaey** პროტოქართულ  
 სულიერებაზე ჩემს ლაზ მომღერალს,  
 ჩემს ზოლამ ბერე ქაზიმ ქუიუნჯუს — **596**  
 ბჟა დიდა რე ჩქიმი — **605**  
 ჩემი შემოქმედებითი მივილინება  
 სამშობლოში გოგლაობით იწყება — **611**  
 ჰოუნანა — **623**  
 პოეტი, რომელიც სამეგრელოში საქართველოს ვერ ხედავს,  
 ანუ ვეზუვა ენა ამოიდგა — **649**  
 შუაეკაცი მსაჯულის მანტიით — **669**  
 მეგობრული შეხმიანება გაზეთ  
 „მაფშალიისა“ და ლექსების კრებულ „მეგრული  
 პოეზიის გამომცემლებს — **672**  
 „გვიმარას“ ხელმეორედ დაბადება — **679**  
 წერილი ნათლიმამას — **681**  
 სხვას გავიხსენებ — ყრობის დროინდელს — **684**  
 ცა იყო ცაზე ბევრად მაღალი (ლაშა გვასალია) — **689**  
 მოხეტიალე წერილები — **694**  
 ორქოშ სარწუმისი — ოქროს საწმისი — **699**  
 მეექვსე აგრეგატი — **704**  
 კაზმული სიტყვიერების დაძლეული და  
 გადასაჭრელი პრობლემები — **707**  
 სტუმრად ჭყონდიდელ ქურუმთან — **712**  
 დიახ, არარაი დარჩეს დაფარულ — **725**  
 „ნაბადი“ და ნაბადელები — **735**  
 „ოდოია“ — ძველიბერიული სიმღერა — **744**  
 ქება და დიდებაი ქართულსა ენისაი  
 (იოანე-ზოსიმე, X ს.) **752**  
 ფესტოსის დისკო გახსნილია! — **753**  
 სახელთა საძიებელი, შენიშვნები და კომენტარები — **757**  
 სარჩევი — **766**

გური თტობაია

ჰოუნანა

პოეზია

ერთტოვეული

რედაქტორი: ნანა ხუფენია

კორექტურა: მარი შატალავა  
კომპიუტერული მომსახურება: კოკა შატალავა  
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა:  
შ.პ.ს. „საპარტოველოს მაცნე“  
ტირაჟი: 2 000  
ფასი 20 ლარი

თბილისი  
2008

გური ოთბაია

Guri Otobaia

1952

1952

დავით გიორგიანი „საქართველოს პრესა“ (1983)  
„საბჭოთავი“ (1983)  
„საბჭო“ (1983)  
„საბჭო“ (1983)  
„საბჭო“ (1983)  
„საბჭო“ (1983)  
„საბჭო“ (1983)  
„საბჭო“ (1983)

He has already published  
Poems "Soviet" (1983)  
Novels:  
"Vladimir" (1983)  
"Kobak" (1983)  
"Lovers' Lane" (1983)  
Religious translation "Suffer  
Me to remain" (1983)



GURI OTOBAIA

HOUNANA

Megrelian Poetry